ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა
და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი

XIV

STUDIES IN HISTORY AND ETHNOLOGY

თბილისი – 2012
Tbilisi – 2012

ხათუნა იოსელიანი

სამხედრო ეტიკეტის საკითხები

სამხედრო ხელოვნების კვლევას ყველა ერის ტორიისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. თუ ერის ისტორია ძირითადად იწერება მისი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული სფეროების მონაცემების მიხედვით, სამხედრო ხელოვნება (თავისი სხვადასხვა ასპექტებით) ყველა ეპოქაში, ამ სფეროების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სამხედრო ხელოვნების, სამხედრო მოღვაწეების, ლაშქრისა და ომების გარეშე, არ მიმდინარეობდა არცერთი პოლიტიკური მოვლენა, არ ხდებოდა ქვეყნის გაძლიერება, მისი გასვლა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, მითუმეტეს, მყარი და ანგარიშგასაწევი ადგილის დამკვიდრება. არათუ შუასაუკუნეებში, დღესაც კი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, აშკარად ან ფარულად, სამხედრო ელიტის მონაწილეობით მიიღება.

ქართული სამხედრო ისტორიის შესახებ ინტერესი ბოლო ხანებში უფრო გაძლიერდა, თუმცა მისი კვლევის პრეცენდენტები ადრეც გვხვდება. პირველი მკვლევარი, ვინც მეცნიერულად განიხილავს ქართული ლაშქრის საკითხებს, კერძოდ, მის საბრძოლო წყობას, სადროშოებს, მათ შემადგენლობას და ა.შ. გახლავთ ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ვახუშტი ბაგრატიონი.

XX საუკუნის დასაწყისიდან აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი მატულობს და იბეჭდება სხვადასხვა გამოკვლევები (ი. გედევანიშვილი, ლ. გარსიაშვილი, ი. შაიშმელაშვილი, თ. დადეშქელიანი, ა. კლიმიაშვილი...); შემდგომ პერიოდში ისევ გრძელდება კვლევა სხვადასხვა კუთხით (ქ. ჩხატარაიშვილი, გ. აკოფაშვილი, კ. ჩოლოყაშვილი, ა. ჯორჯაძე, გ. ანჩაბაძე, ხ. იოსელიანი და სხვ.).

განსაკუთრებით ნაყოფიერად საბრძოლო იარაღების არქეოლოგიური ექსპონატების კვლევა მიმდინარეობდა, რამაც უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იარაღების საკმაოდ ნათელი სურათის შექმნა გახადა შესაძლებელი (ლ. სახაროვა, კ. ფიცხელაური, ა. კახიძე, მ. კვირტაია, შ. ჩართოლანი, გ. გამყრელიძე...).

რაც შეეხება წყაროებს, უნდა აღინიშნოს რომ სპეციფიკური თვალსაზრისით, არც თუ ისე მდიდარია ქართული საისტორიო მწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საისტორიო წყარო ,,ქართლის ცხოვრება'' თითქმის ომების ისტორიაა, მასში ნაკლებად მოგვეპოვება ცნობები ომის წარმოების, საბრძოლო ხელოვნებისა და მით უმეტეს სამხედრო ეტიკეტის შესახებ. მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც ამ საკითხის მეტ-ნაკლებად შესწავლაა შესაძლებელი, ძირითადად, სამართლის ძეგლებსა და რამდენიმე ისტორიულ წყაროშია გაბნეული. გარკვეული მასალის მოძიება შესაძლებელია ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში და ლიტერატურულ წყაროებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე ფოლკლორი, სადაც შემონახულია უნიკალური ინფორმაცია ხალხური ტრადი-

ციებისა და ბრძოლის წარმოების, ორთაბრძოლებისა და რაც მთავარია, დაპირისპირებული მხარეების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, სადაც კარგად ჩანს როგორც ქართული, ისე საერთო კავკასიური მენტალიტეტი.

სამხედრო ეტიკეტის საკითხებიდან, ყურადღებას გავამახვილებთ მეფედ კურთხევის ცერემონიაში უმაღლესი სამხედრო პირების მონაწილეობაზე, სადაც დაწვრილებით იყო თითოეული დეტალი გათვალისწინებული, და ომში მეომრის ქცევის იმ წესებზე, რაც ქართულ სამართალში მუხლობრივად იყო გაწერილი.

მეფედ კურთხევის ცერემონია საეკლესიო და საერო რიტუალის ერთობლიობას წარმოადგენდა, რომელშიც ორივე ფენის უმაღლესი პირები მონაწილეობდნენ. თუ კათოლიკოსი მეფეს გვირგვინს ადგამდა და ამით ღვთისგან ხელდასხმა და კურთხევა გამოიხატებოდა, სამხედრო პირი (ან სამხედრო სფეროს წამყვანი დიდგვაროვნები) ხმალს აბამდნენ (გადასცემდნენ) მეფეს, რაც ამქვეყნიური ძალაუფლების და მთავარსარდლობის მიღებას ნიშნავდა.

ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფედ კურთხევის ცერემონიის შესახებ საკმაოდ მდიდარი ცნობებია შემონახული. წყაროებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ სკურპულოზურად იყო გაწერილი თითოეული დეტალი ამ რიტუალისა და რამდენად დიდი ყურადღება ექცეოდა მის ტრადიციული წესისა და რიგის მიხედვით ჩატარებას.

ძირითადი საისტორიო წყარო, რომელიც დეტალურად მოგვითხრობს "მეფედ კურთხევის" წესის შესახებ, არის XVII-XVIII საუკუნეებში ნუსხა ხუცურით გადაწერილი ხელნაწერი. აღნიშნული ტექსტის შედგენის

დროდ მეცნიერთა მიერ XIII საუკუნეა მიჩნეული (ს. კაკაბაძე, ი. ჯავახიშვილი ...) ამ ხელნაწერის ერთერთი თავი "წესი და განგება მეფეთ კურთხევისა" ეძღვნება სწორედ ჩვენთვის საინტერესო საკითხს. გარდა ამისა, მეფედ კურთხევის წესის რიგ საკითხებთან დაკავშირებით ცნობები გხვდება "ქართლის ცხოვრებასა" და სხვა საისტორიო წყაროებში.

მეფედ კურთხევის წესს, ქართულ სამეფო კარზე, ჩანს ბევრი ცვლილება განუცდია, რასაც პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური მიზეზები განაპირობებდნენ. თუმცა, ჩვენი კვლევის საგანს მხოლოდ ამ ცერემონიაში სამხედრო პირების მონაწილეობისა და როლის განხილვა წარმოადგენს.

წყაროთა მონაცემების თანახმად, მეფეს ჯერ გვირგვინს დაადგამდნენ, შემდეგ ხმალს შემოარტყამდნენ. ამ მისიას თავდაპირველად ასრულებდნენ ქუთათელი მთავარეპისკოპოსი და "ლიხთიმერელი დიდგვაროვნები", შემდგომ გვირგვინის დამდგმელად ქართლის კათოლიკოს-პატრიარქი გვევლინება, ხოლო ხმლის შემომრტყმელად — ამირსპასალარი. ეს ცვლილებები სამეფო კარზე თამარის მეფობის შემდეგ ჩანს მომხდარი [12,154]. თუმცა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ ცერემონიალში ხმლის გადაცემა აუცილებელ ელემენტს შეადგენდა, მიუხედავად იმისა, ვინ შეასრულებდა მას — სამეფო კარზე წამყვანი მდგომარეობის მქონე დიდგვაროვნები, თუ ამირსპასალარი.

მეფედ კურთხევის შესახებ პირველი ცნობა, რომელიც მოგვეპოვება, გიორგი II-ს შეეხება, სადაც მშრალადაა ნათქვამი, რომ **"მოიყვანეს საყდარსა რუისსა და**

აკურთხეს მეფედ" [5, 304]. აქ არავითარი აღწერილობა არ გვხვდება. უფრო სრულია დავით აღმაშენებლის მიერ თავისი ვაჟის, დემეტრეს თანამოსაყდრედ დასმის ამსახველი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ დავითმა მთლიანად თავის თავზე აიღო მეფედ კურთხევის რიტუალის ყველა კომპონენტის შესრულება: თავისი ხელით დაადგა გვირგვინი, რაც საეკლესიო კურთხევას ნიშნავს და შეარტყა მახვილი, როგორც მთავარ-სარდალმა: **"თჳსითა ხელითა დასუა საყდართა თჳსთა ძე თჳსი დიმიტრი... დაადგა თავსა მშვენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი, ეჰა, რაბამ სჳანად ხმარებული და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა"** [1, 363].

ალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალი: თანამოსაყდრედ დასმის შემდეგ, მაგალითად თამარ მეფეს, გიორგი III-ის გარდაცვალების მერე მოუწია ხელმეორედ მეფედ კურთხევა, რასაც გვამცნობს ქართლის ცხოვრება. დემეტრე I-თან დაკავშირებით ასეთი ცნობა არსად არ გვხვდება. გამონაკლისია საქართველოში ერთადერთი, უნიკალური ფრესკა, **სვანეთში, სოფელ ლატალში მდებარე "მაცხვარიშის"** ეკლესიისა, სადაც გამოსახულია დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის ცერემონია. დემეტრე I-ს თავზე გვირგვინს ადგამს ანგელოზი, ხოლო ხმალს აბამენ დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვნები, მათ შორის ვარდანის-ძე, სვანეთის ერისთავი. ეს ეკლესია დემეტრეს გამეფებიდან 15 წლის შემდეგ – 1140 წელსაა მოხატული (თარიღი ფრესკასთანაა მითითებული). აქ აქცენტი გადატანილია მეფედ კურთხევის დროს "ხმლის შემორტყმის" მნიშვნელობაზე, რაც ცხადია გასაკვირი არ

უნდა იყოს, ვინაიდან ეს ფრესკა სვანეთში გვხვდება, აქ, ლოგიკურად საზგასმული უნდა იყოს სუანთა ერისთავის როლი მეფედ კურთხევის ცერემონიაში, რასაც ადასტურებს კიდევაც ფრესკასთან არსებული წარწერა: "დემეტრე მეფესა ჴრმალსა აბმენ დავითისას, ერისთავნი" [10, 77].

საყურადღებოა, რომ ამ ფრესკას ყურადღება მხოლოდ იმიტომ ექცეოდა, რომ ერთადერთია საქართველოში, სადაც მეფედ კურთხევის სცენაა გამოსახული და არავის შეუმჩნევია მთავარი — ეს ფრესკა, თავისი წარწერითურთ, გარკვეულწილად თითქოს მოკლენათა კონტექსტიდანაა ამოვარდნილი. დემეტრე I თანამოსაყდრედ დაისვა და მეფედ აკურთხა დავით აღმაშენებელმა, როგორც მოგვითხრობს დავითის ისტორიკოსი. ამის შემდეგ, დემეტრე I-ის ხელმეორედ კურთხევის შესახებ, არცერთ წყაროში არ გვხვდება ინფორმაცია.

ჩვენი აზრით, ეს ფაქტი შესაძლებელია იმ რთული მოვლენების ამსახველი იყოს, რომელიც დემეტრე I-ის მეფობასთანაა დაკავშირებული და ბურუსითაა მოცული. არაა გამორიცხული, რომ კონფლიქტების შედეგად დემეტრე I-ს დასჭირდა ხელმეორედ მეფედ კურთხევა ტრადიციული წესით — "შვიდთა სამეფოთა" დიდებულებისა და სპათა მიერ, რათა მეტი, ან სრული ლეგიტიმაცია მიეცა თავისი მეფობისთვის, და რის შესახებაც არაფერს გვამცნობენ ქართული წყაროები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ მისი ნებისა და აუცილებელი ვითარების არარსებობისას, ვერავინ გამოსახავდა ეკლესიაში ფრესკაზე მეფედ კურთხევის ამსახველ შეცვლილ ვერსიას.

შედარებით სრულადაა მოცემული თამარის მეფედ კურთხევის აღწერილობა. პირველის, როცა ის თანამოსაყდრედ დაიყენა გიორგი III-მ, უფრო ლაკონურია. ხოლო მეორედ კურთხევა უფრო დაწვრილებით არის აღწერილი. გიორგი III-მ "... **მეფე ყო თამარ თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებიზკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა... დაადგა გვრგვნი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღკმული იაკინთითა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ**" [2, 21]. აქ საერთოდ არაა ნახსენები ხმლის "გადაცემის" ფაქტი, თუმცა სამხედრო პირები და დიდგვაროვნები ჩამოთვლილები არიან, როგორც თანამდგომნი, ანუ აქტიური მონაწილენი და მხარდამჭერნი. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფოს დიდებულებმა, "**შემყრელთა შჯიდთავე ამის სამეფოსა მეთქუ-მეტყუეთა ჰკადრეს**" და თამარს მოთხოვეს წესისა და რიგის მიხედვით მეფედ კურთხევა. მათი თქმით, ეს ცერემონია პირველად არ იყო სრულყოფილად ჩატარებული. ამის შემდეგ სრულდება თამარის მეფედ კურთხევა ტრადიციული, სრული ცერემონიით. აქ ისევ იკვეთება პოლიტიკური ვითარების სხვადასხვა პერიპეტიები, რაზეც ყურადღებას არ გავამახვილებთ. ცხადია, რომ მიუხედავად თანამოსაყდრეობისა, სამეფოს დიდებულებმა, მოითხოვეს მეფედ დასმის ისეთი წესის აღსრულება, სადაც მათი მონაწილეობა გამოკვეთილი იყო. "**აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსუეს მზე იგი მზეთა... ვინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გვრგვნისა თავსა სამეუფოსა, აწუეს მონაზონი ღირსი და მადლშემო-**

სილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-ძე, მიღებად გჳრგჳნისა, და ცალის-კერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულყვეს მოჴელეთა სჯანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ჴრმლისა... თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდსავე სამეფოსათა" [2, 26-27].

განხილული მონაცემებიდან ჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის ლეგიტიმაციისთვის კურთხევის სრულყოფილ ცერემონიას, რაც მრავალი კომპონენტისგან შედგებოდა. სწორედ ამ კუთხით არის მნიშვნელოვანი XIII საუკუნის წერილობითი წყარო, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი მეფედ კურთხევის ყველა ნიუანსი.

ამრიგად, მივყვეთ წყაროს მონაცემებს: მეფედ კურთხევის წინა ღამეს, მთავარეპისკოპოსი სამეფო ნიშნებს (გარდა ხმლისა) ეკლესიაში მიიტანდა და ტრაპეზზე დაალაგებდა. იმ ღამეს ლოცვაში ათენებდნენ ეკლესიაში მღვდელმსახურები და თვითონ სამეფოდ გამზადებული პირიც [6, 5].

დილით, სამეფო სასახლეში "ჯუარისმტვირთველი" მთავარდიაკვანთან ერთად "ძელი ცხოველს" მიუბრძანებდა მეფეს, თაყვანს სცემდა და დალოცავდა. მას ამ დროს ახლდნენ უმაღლესი სამხედრო პირები, რომელნიც მონაწილეობდნენ ამ რიტუალში: ჯვარისმტვირთველი თავმოდრეკილი დალოცავდა მეფეს: "გაკურთხენ ღმიდაო და თვითმპყრობელო მეფეო, მრავალცა არიან წელნი მეფობისა თქუენისანი", მერე "სრულიად ლაშქართა თქვან" [6, 5]. ანუ, ჯვრისმტვირთველის ლოცვას "ლაშ-

ქარი" უერთდება, მეტიც, მათ ჯვრისმტვირთველი ისევე თავმოდრეკილი მიმართავს, როგორც მეფეს. ცხადია, სამეფო პალატაში ლაშქარი ვერ იქნებოდა მოთავსებული და აქ სამხედრო ელიტა უნდა იგულისხმებოდეს. ნიშანდობლივია, რომ მეფის მერე ჯვრისმტვირთველი სწორედ სამხედრო პირებს ულოცავს მეფის კურთხევას: **"თქვენცა გიხაროდენ ძლიერნო და უძლეველნო და დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო. ჟამი არს წინამდებრისა საქმისა აღსრულებად"** [6, 5].

ივანე ჯავახიშვილი ამ ცნობაზე შემდეგ კომენტარს აკეთებს: **"თავ-მოდრეკილობა, მიმართვის ფორმულა და შინაარსი სრული უეჭველობით ამტკიცებენ, რომ მეფეთა კურთხევის წესი "ლაშქართ" "თვითმპყრობელი" მეფის თანასწორ პატივს აკუთვნებდა და ერთი და იმავე მოწიწებით ეპყრობოდა"** [12, 156].

ამის შემდეგ მთელი ამალა ეკლესიისკენ გაემართებოდა. ამ მსვლელობაში მთავარი როლი და ადგილი სამხედრო პირებსა და ატრიბუტიკას ეკუთვნის. მეფეს წინ მიუძღვის ზარი, შემდეგ დროშა და შუბი, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების სიმბოლოები. შემდეგ მიდის ჯვრისმტვირთველი "ძელი ცხოვრებისათი", შემდეგ "მეფე და ლაშქარნი". მეფეს მარჯვენა მხარეს მიჰყვება ხმალშემორტყმული ამირსპასალარი, ამილახვარი და მეჯინებეთუხუცესი, ასევე ხმალშემორტყმულები. ანუ, მთავარი პოზიცია – მეფის მარჯვენა მხარე, სამხედრო სფეროს წარმომადგენლებს უჭირავთ. ამირსპასალარს ხელში მეფისთვის შემოსარტყმელი ხმალი უკავია: **"და სამეფო ჴრმლი ორთვე ჴლთა ზედა ეტყვირთოს"** [კურ. 6]. დანარჩენები, ანუ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი სფე-

როების წარმომადგენლები, მეფეს მარცხენა მხრიდან მიჰყვებიან [6, 6].

საინტერესოა ერთი დეტალი: მეფეს უკან მიჰყვებიან "ეზოთუხუცესი, ჩუხჩარეხი, მეაბჯრეთუხუცესი", რომელთაც მიაქვთ სამეფო "ფარი, ლახტი და ქარქაში" [6, 6].

ჩვენ არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, იმ დროს ფარი, ოდნავ თუ მაინც ატარებდა "სახელმწიფო ნიშნის, ანუ გერბის" ფუნქციას. თუმცა ის ფაქტი, რომ ლახტთან და ქარქაშთან ერთად მას მეფის უკან მიაბრძანებენ, შესაძლებელია არ გამორიცხავდეს ფარის როგორც არა მხოლოდ თავდასაცავი იარაღის ფუნქციას. ასევე საინტერესოა, რომ ამირსპასალარს, როგორც ჩანს, "შიშველი", ანუ უქარქაშო ხმალი უჭირავს ხელთ, ვინაიდან ქარქაში მეფის უკან მიმყოლთ მიაქვთ.

ნიშანდობლივია, რომ სამეფო ხმალი, როგორც სახელმწიფოს ძლიერების და მეფის მთავარსარდლობის სიმბოლო, ამ შემთხვევაში "ძელი ცხოვრების" თანაბრად გვევლინება, ეკლესიაში შესულებს ჯვრისმტვირთველი ამირსპასალარს ხმალს გამოართმევს და საკურთხეველში შეიტანს: **"გამოულოს ჯვრისმტვირთველმან ამირსპასალარს სამეფო ჴმალი და საკურთხევლის შინა ძელსა ცხოვრებისსა მიყრდნობილი დადგას"**, ხოლო სამეფო დროშა და შუბი საკურთხევლის კარების იქეთ-აქეთ თავსდება: **"და დროშა და შუბი საკურთხევლისა კარს ემჭირნენ იმრ და ამრ"** [6, 6].

საეკლესიო რიტუალის ჩატარების შემდეგ, რაც მთელი რიგი კომპონენტებისგან შედგება, მეფეს დაადგამენ გვირგვინს. მთელი ეს პროცესი საგალობლების ფონზე მიმდინარეობს, გვირგვინის დადგმისას კი "მრავალჟამიერს" იგალობებენ: **"მრავალჟმეულ ჰყვენ**

ღმერთო მეფეთ ჩვენი (სახელით) მრავალჟმეულ ჰყვენ”. ამის შემდეგ მეფეს, საკურთხევლის კარებიდან გამოსვლისას ამირსპასალარი ხმალს შემოარტყამს: **“ამირსპასალარმან ჴმალი შეარტყას”** [6, 8].

სასახლეში მისვლის შემდეგ, მეფეს ტახტზე კათალიკოზი და ჯვრისმტვირთველი უნდა შეჰყოლოდნენ. თუმცა მალევე სამხედრო პირების მილოცვა “ლაშქართა თაყუანისცემა და ძღუენის შეწირვა” იწყებოდა და კათალიკოზი და ჯვრისმტვირთველი მეფეს მარტო ტოვებდნენ სამხედრო პირებთან.

მეფედ კურთხევასთან დაკავშირებული ზეიმი და პურობა სამი დღე გრძელდებოდა. ამ პერიოდში კი მეფე, შემოსილი თავისი სამეფო რეგალიებით, ტახტზე იჯდა და ისე იღებდა მიმლოცველებს.

ამდენად, სამხედრო სფეროს წარმომადგენლებს, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების და ძლიერების გარანტს, უმნიშვნელოვანესი როლი ეჭირათ მეფედ კურთხევის ცერემონიაშიც. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამეფო ხმალი უმთავრეს რელიგიურ სიმბოლოსთან “ძელი ცხოვრებისასთან” იყო გათანაბრებული. ეს ალბათ მეტი სიმბოლიზმის მატარებელია და ჩვენი აზრით, “ღვთისმიერ, ჯვრისმიერ კურთხეულ ხმალს” უნდა ნიშნავდეს, რაც შესაძლებელია არა მხოლოდ გამარჯვების იდეიის მატარებელი, არამედ უფრო შორს მიმავალი, შუასაუკუნეების სარაინდო მისტერიებში დაფარული იდეის გამოხატულება იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ **“მახვილი და ხმალი ბიზანტიაში სამეფო ნიშნებად არ იყო მიჩნეული, დასავლეთ ევროპაში – კი, სახელდობრ, საფრანგეთში და ბრიტანიაში ხმალ-მახვილი სამეფო სამკაულის**

აუცილებელ კუთვნილებად ითვლებოდა. ამ მხრივ მაშასადამე მაშინდელი საქართველო დასავლეთ ევროპას უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე მეზობელსა და მისაბაძავად მიჩნეულს ბიზანტიას" [12, 158].

საქართველოში სამხედრო კულტურის მაღალ დონეზე განვითარების შესახებ, გარდა ზემოთ განხილული წყაროებისა, მეტყველებს აგრეთვე ქართული სამართლის ძეგლების მონაცემები, სადაც მუხლობრივადაა გაწერილი ომის დროს აუცილებელი ქცევის ნორმები. ეს არცაა გასაკვირი — ქვეყანა, რომელიც მარად საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რეალურად და სამართლიანად აფასებდა ბრძოლის დროს, როგორც საკუთარ, ისე მტრის მდგომარეობას. ამიტომაც, კანონით იყო განსაზღვრული, როგორი ქმედების უფლება ჰქონდა ბრძოლის ველზე მეომარს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვახტანგ VI-ის სამართალი, ვინაიდან მასში მუხლობრივადაა ჩამოყალიბებული ბრძოლის ველზე ქცევის წესები.

სამართალში დაფიქსირებული 178-ე მუხლი, ბრძოლის ველზე მოპოვებული ქონების კუთვნილებას განსაზღვრავს: **„ლაშქარში დანარჩუნებულის კაცსა და იარაღზე ირჩოდნენ"**. მისი სრული ვერსია მხოლოდ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ 201 ხელნაწერშია წარმოდგენილი. ეს მუხლი საინტერესოა იმდენად, რომ ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს ომში მოკლულ მტრის მიმართ მოქცევის წესების შესახებაც. აქ დაწვრილებითაა მოცემული თუ ვის რჩება მოკლულის ან დატყვევებულის იარაღი, ცხენი და

ტანისამოსი. ამავე საკითხს ეძღვნება სამართლის 254-ე მუხლი, სადაც გაწერილია ომში მოკლულის, დაჭრილის, ან ტყვედ აყვანილისადმი დამოკიდებულება. ყოველივე ეს მეტყველებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრძოლის დროს ქმედებებსა და წესებს. მოკლულისა და ტყვედ აყვანილისადმი დამოკიდებულება კანონით იყო განსაზღვრული და მას ვერავინ ვერ დაარღვევდა (თუ არადა "კანონი აქვს", ანუ კანონით დაისჯებოდა). **„თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ან მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებლისა არის; ჯაჭვი, ზუჩი, მუზარადი და ამგვარი ხელმწიფისა არის, თვალი თუ მარგალიტი".** ამასთანავე, **„მოკლულ კაცს ვერავინ ვერ ედავება მომკვლელს და და ვერც გაუძარცვის"** [8, 525]. ანუ მოკლული და მისი აღჭურვილობა უკვე მეომრის საკუთრებად ითვლებოდა და მას სხვა ხელს ვერ ახლებდა.

იმ შემთხვევაში თუ მეომარი თავის მოკლულს არ გაძარცვავდა და ისევ გააგრძელებდა ბრძოლას, შეეძლო ვინმესთვის ეთქვა, ეს მე მოვკალი და შენ მიხედე მის აღჭურვილობასო, მაგრამ მისთვის გარკვეული წილი უნდა მიეცა: **„და თუ მან არ ინდომა გაძარცვა და ისევ მტერსა სდევს, და სხვას უთხრა ეგ კაცი მე მოვკალი და შენ გაძარცვეო, იმასაც ცოტა წილი უც მის ნაძარცვში მისი კარკაცობით"** [8, 526].

თუ მეომარი თავის მიერ მოკლულს ყურადღებას არ მიაქცევდა, არც არვის მიაბარებდა და ბრძოლას გააგრძელებდა, მაშინ ის მოკლული ვისაც დარჩებოდა, იმისი იქნებოდა ალაფიც.

თუ მოკლული ან დაჭრილი საცილაოდ გახდებოდა მებრძოლებს შორის, მაშინ ეს საქმე მოწმის თქმით გადაწყდებოდა. ხოლო ვისაც დარჩებოდა მოკლული, იმას მოწმისთვის ყველაზე საუკეთესო იარაღი უნდა მიეცა: **„ერთი, რომელიც უკეთესი იარაღი ჰქონდეს, მოწმობის გულისთვის მისცეს“** [8, 545]. აღბუღას სამართლის მიხედვითაც თუ ომში დატყვევებული ან მოკლული (დარჩენილი) კაცის აბჯარი და ცხენი საცილაო გახდებოდა, მოწმის და ფიცის მეშვეობით უნდა გარკვეულიყო: “თუ ომსა შიგან დარჩენილსა კაცსა და მისსა აბჯარსა ზედა იცილებოდნენ, რასაცა აბჯარსა ზედა ნაკრავი აჩნდეს, და ანუ ცხენსა, მას მართებს. ასსე რომე იგი დარჩენილი კაციცა გაიკითხონ ფიცითა” [7, 460-461] ჩვენთვის, განსაკუთრებით საინტერესოა 178-ე მუხლის ის ნაწილი, სადაც მოკლულისადმი ქცევის გარკვეული აკრძალვებია მოცემული: **„აგრევე მოკლულს კაცს არასგზით ნიფხავი და პერანგი არ გაეცრცვების და ნურცავინ ჴელს მიყოფს, თვარა კანონი აქვს და თუ ვინმემ იკადროს ამისი ქნა, მათი უფროსი ნუ აქნევინებს“** [8, 526]. **„ბრძოლაში შინა რომელიც კაცი მოკუდეს, აბჯრისგან კიდე ტანსაცმელსა და ნიფხავ-პერანგსა, ნუვინ მოჴდის. კრულ, წყეულ და შეჩვენებულ იყავ ღვთისა პირითა“** [4, 471].

ამგვარად, ჩანს, რომ მოკლული მტრისადმი ქცევასაც თავისი წესი გააჩნდა, რაც კანონით იყო განსაზღვრული, არ შეიძლებოდა მოკლულის შეურაცხყოფა და მისი გაშიშვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჩამდენი კანონით დაისჯებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართალში ასევე გაწერილია ომში ნაშოვნი ალაფის განაწილების წესები. ჩანს, რომ ომის დროს მოპოვებული ქონების საუკეთესო და უმეტესი ნაწილი მეფეს ეკუთვნოდა. 255-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელმწიფე ესწრებოდა ბრძოლას ალაფიდან საუკეთესო და მეხუთედი ნაწილი მისი იყო, თუ არ იყო მონაწილე, მეხუთედი ალაფისა მაინც მას ეკუთვნოდა: **„თუ ან თარეშობით ნაშოვნი იყოს, თუ ხელმწიფე იქ ბრძანებდა, რომელიც ეპრიანება, იმასაც მიართომს და ფანჯიაკსაც აიღებს, თუ არ ბრძანდება ფანჯიაკს მაინც აიღებს“** [8, 546] (ფანჯიაკი – მეხუთედი; ამავე გამოცემის თანადართული ლექსიკონი, გვ. 768).

იმ შემთხვევაში თუ სათარეშოდ ერთად წავიდნენ მეომრები და მათგან რომელიმე ცარიელი დარჩება, სხვები ვალდებულნი არიან მას ნადავლი გაუყონ: **„ამხანაგში ჯეთ თუ გარიგდნენ, პირობა მისცეს ერთმანერთს, რომელიც ამხანაგი სულ ცარიელი დარჩეს, წილს ვერ დააკლებს“** [8, 546]. ამავე დროს წილის უმეტესი, მეათედი ნაწილი, ანუ „საცხენმალო“ ქონების მშოვნელს ეკუთვნოდა [8, 546].

საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით სომხური სამართლის წესები. ხითარ გოშის სამართლის მიხედვით თუ **„ლაშქარი და თავადი ხელმწიფის ბრძანებით წავიდნენ რასაც ალაგს დასარბეველად, რაც იქ იშოვნონ, ნახევარი ხელმწიფის არის, ნახევარი თავადთა და ჯართა“** [9, 387]. იმ შემთხვევაში კი **„თუ თავისთავად წასულიყვნენ, ორი წილი ნაშოვნისა – თავადთა და ჯართა და ერთი წილი ხელმწიფესა მიართვან“** [9, 387].

რაც შეეხება ომში ნაშოვნ ქონებას, სომხური სამართლის მიხედვით, ის შემდეგნაირად ნაწილდებოდა: **„ომში ნაშოვნი ოქრო, თვალი, მძიმე ზარბაზი (ოქროქსოვილი) ვინც იშოვოს, ხელმწიფის წილია, მარგალიტი და ვერცხლი თავადების არის და სხვა რა გინდა რა ნაშოვარი ჯარისა არის“** [9, 388].

ომში დატყვევებული კაცის და მისი აღჭურვილობის განაწილება სომხური სამართლით, ქართულისაგან განსხვავებული წესით ხდებოდა, აქ ტყვე, მისი ჯაჭვი და მუზარადი მეფეს ეკუთვნოდა, ხოლო იარაღი, ცხენი და ტანისამოსი — დამტყვევებელს: **„მოლაშქრე კაცმან ომში ვინც დაინარჩუნოს კაცი, დარჩომილის კაცის იარაღი, ტანისამოსი, ცხენი ვინც დაინარჩუნოს მისი იყოს და კაცი, ჯაჭვი და მუზარადი ხელმწიფის მიართვან“** [9, 388].

ამრიგად, სახელმწიფო სამართალი ომში ქცევის ძირითადად რამდენიმე ასპექტს არეგულირებს:

1. მოპოვებული ნადავლის განაწილებას, საიდანაც ძირითადი წილი მეფეს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა ის აღნიშნულ სამხედრო ოპერაციაში. ქართულისგან განსხვავებით, სომხური სამართლის მიხედვით, მეტი წილი მეფეს ეკუთვნის.

2. დატყვევებული მეომრის და მისი აღჭურვილობის კუთვნილობის საკითხს — მეფეს აქაც წილი უდევს — აბჯარი მეფისა იყო, ტყვე, ცხენი, ტანისამოსი და სხვა — დამტყვევებლისა. სომხური სამართლის მიხედვით კი ტყვეც მეფეს ეკუთვნოდა; აქვეა დარეგულირებული მოკლულის აღჭურვილობის ცილაობის ვითარება, ამ

შემთხვევაში მოწმის სიტყვით გადაწყდებოდა, ვის ეკუთვნოდა დარჩენილი ქონება.

3. მოკლული მტრისადმი დამოკიდებულებას — კანონით იკრძალებოდა მისი ტანისამოსისგან განძარცვა; გარდა კანონისა, ამ ქმედების ჩამდენი ეკლესიისგან დაწყევლილიც იყო.

გარდა ოფიციალური კანონმდებლობისა, ბრძოლისა და მოწინააღმდეგესთან ურთიერთობას ხალხური ტრადიციებიც აგვარებდა. არსებობდა დაუწერელი კანონი, რაც მტრისადმი, ანუ ღირსეული მოწინააღმდეგისადმი პატივისცემას გულისხმობდა. ამის დამადასტურებელი მაგალითებით სავსეა ქართული ფოლკლორი. არ შეიძლებოდა მოკლული მტრის გაშიშვლება, დამახინჯება, "მიწის ზემოთ", ანუ დაუმარხავად დატოვება.

საინტერესოა, რომ ძირითადი ბრძოლის წინ ზოგჯერ წესად ყოფილა მეთაურთა, ან მსურველთა შერკინება. ზოგჯერ ბროლის ბედი ამ შერკინების შედეგზეც-კი იყო დამოკიდებული [3, 345]. ერთი სვანური ლექსის მიხედვით, სადაც ასეთი ბრძოლაა ასახული, "თათარი" პირველი სროლის უფლებას მოითხოვს — შორიდან მოვდივარ და დაღლილი ვარო. მისი ეს პირობა კი უყოყმანოდ სრულდება [11, 156-157].

ერთადერთი კუთხე საქართველოში ხევსურეთია, სადაც მოკლული მტრისთვის ხელის მტევნის მოკვეთის წესი არსებობდა. ამ მტევანს ხევსური სახლის ბანზე ჰკიდებდა. ეს წესი, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს მოკლული მტრის შეურაცხყოფას, არამედ ის ხევსურთა საიქიო ცხოვრებაზე წარმოდგენას უკავშირდება. ხევსურის შეხედულებით, გარდაცვალების შემდეგ ცხოვრება ისევე

გრძელდებოდა, როგორც ამ ქვეყანას იყო. მას იქაც ისევე სჭირდება იარაღი და ყველა სხვა ნივთი, როგორც სამზეოზე, რათა იცხოვროს და მტერსაც გაუმკლავდეს. მომაკვდავ მამაკაც ხევსურს: **"მისი ახლობელი ვინცკია, ხმალზე სანთელს დაუკრავს და მარჯვენა ხელში მისცემს. ხმლის მიცემისას ეტყვის: "შენთვის შემოსეულსა შენს ხმლითამცა იშორებ". ხევსური ხმლოსანია და იქაც იარაღიანი უნდა იყოს"** [12, 233]. სწორედ ამიტომ, ხევსურს იმ ქვეყანაში კიდევ რომ შეხვდეს მის მიერ მოკლული მტერი, მას მკლავი მოკვეთილი ექნება და ხმალს ველარ გამოიყენებს. ამდენად, ხევსური, ასე ვთქვათ, თადარიგს იჭერს, რომ ერთხელ დამარცხებული მტერი, მისთვის აღარ გახდეს საშიში.

ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა სამხედრო ფენას და მათ მოქმედებას საქართველოში; ისინი იყვნენ პრივილეგირებული ფენა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ქცევის ნორმები კანონმდებლობით მკაცრად იყო განსაზღვრული, რასაც ემატებოდა ხალხური, დაუწერელი სამართლის ნორმები. უმთავრესი დასკვნა ასეთია: სამხედრო საქმის ასეთი პრივილეგირებულობა და თითქმის ყოვლისმომცველობა, საქართველოს რთული გეოპოლიტიკური ვითარებითაა განპირობებული. რაც შეეხება კანონმდებლობით და ხალხური სამართლით მკაცრად განსაზღვრულ ნორმებს — საქართველოს, როგორც მაღალი კულტურის მქონე და კანონმდებლობით სფეროში განვითარებული ქვეყნის შესახებ მეტყველებს.

ლიტერატურა

1. დავითის ისტორიკოსი, "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
2. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
3. ხ. იოსელიანი, სამხედრო საქმის ისტორიიდან სვანეთში, "ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი", IV, თბ., 2002.
4. კანონიკური სამართალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.
5. მატიანე ქართლისა, "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955
6. მეფის კურთხევის წესი, მე-XIII საუკ. დასაწყისს შედგენილი, სარგის კაკაბაძე, ტფ., 1913.
7. სამართალი აღბუღასი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.
8. სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.
9. სამართალი სომხური (მხითარ გოშის სამართალი), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963.

10. სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევები და სამეცნიერო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ., 1988.
11. სვანური პოეზია, I, თბ., 1939.
12. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ, VII, თბ., 1984.
13. რ. ხარაძე, ხევსურეთის საარქივო ეთნოგრაფიული მასალები, "კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", XIV, თბ., 2012.

Khatuna Ioseliani

Problems of the Military Etiquette

Warfare, army and armament are those foundations on which even now the strength and independence of each state is based. Military sphere had the same meaning in the Middle Ages.

Because its significance,the state traditionally regulated the rules and obligations of the military sphere representatives by the law. According to the written monuments of law the code of conduct in a war was determined: to whom the trophies were belonged, how warriors should have dealt with captured or dead warriors... For instance, it was forbidden to take off the cloths from a dead person. Those who did not obey the rule were punished by a certain punishment and etc.

According to the written sources we also have a detailed description of a ceremony of becoming a king, where the representatives of the military sphere had one of the main leading role and the weapon – king's sward together with "Dzelitskhovrebisa" (the Pillar of Life) is put in the alter of the church that is significant as well. It is well known that a sword was not belonged to the attributes of king. It was peculiar only for Byzantine and Western Europe (France, Britain...).

As for the folklore, there are a lot of examples of battle rules and chivalrous behavior data. For example, who and why had the right of a first shoot in one-on-one battle, was it permitted to mutilate a body of a killed warrior or not (it was strictly forbidden) and etc.

The only region in Georgia is Khevsureti where it was a rule to cut the right palm of a killed man that was determined by the religious viewpoints. According to Khevsurians (old beliers) the life in the next world is the same as it is on this world. So, the enemy onehad defeated will be without right hand and if they meet each other in the next world, will be unable to oppose him.

აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის რელიგიური ცხოვრების თანამედროვე საკითხები

ქართულ-აფხაზურმა საომარმა დაპირისპირებამ, შემდგომში აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის იზოლაციამ, აფხაზური საზოგადოება მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა. ერთ-ერთი მტკივნეული და საჭირბოროტო პრობლემა აღმოჩნდა რელიგიური საკითხიც. აფხაზმა სამღვდელოებამ რამოდენიმეჯერ სცადა რუსულ თუ ბერძნულ ეკლესიებთან ურთიერთობა, რაც ახალი სტატუსის მიღებას ისახავდა მიზნად. ეს მოძრაობა ბოლო დროს ძალებს იკრებს – 2011 წლის მაისში, ახალ ათონში გაიმართა საეკლესიო და საერო პირების გაერთიანებული სახალხო კრება, სადაც აფხაზური ეკლესიის პრობლემური საკითხების გადაწყვეტის გზები დაისახა. ამას 2012 წლის იანვარში, აფხაზი სამღვდელოების მსოფლიო პატრიარქთან ვიზიტი მოჰყვა. თუმცა აფხაზური ეკლესია ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული, მეტიც, აქვს შიდა დაპირისპირებები, რომელთა განხილვაც შორს წაგვიყვანს. ქვემოთ ამჯერად განვიხილავთ აფხაზეთის მოსახლეობის დამოკიდებულებას მართმადიდებლობის, ისლამისა და ტრადიციული ხალხური რელიგიის მიმართ და შევაფასებთ თანამედროვე მეცნიერთა ზოგიერთ აშკარად ტენდენციური მოსაზრებას.

მოგეხსენებათ თუ რაოდენ მწვავეა დღევანდელი დაპირისპირება ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის. სამწუხაროდ, ამ დაპირისპირებას ხელს უწყობს მძლავრი

იდეოლოგიური მანქანა, რომელიც კავკასიაში თითქმის ორი საუკუნეა მუშაობს და საფუძველს აცლის კავკასიელთა ოდინდელ ერთობას. ჯერ ცარისტული, შემდეგ ბოლშევიკური და დღეს უკვე საოცრად აგრესიული და ავტორიტარული რუსეთის შესაბამის უწყებების მიზანმიმართული მუშაობა არის მთავარი მიზეზი იმ თითქმის ისტერიული ანტიქართული განწყობისა, რომელიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ენგურს გაღმა დარჩენილთა უმრავლესობაში. სამეცნიერო ლიტერატურაში XIX საუკუნის ბოლოდან იწყება ბრძოლა აფხაზეთის მოსახლეობის მაცხოვრებელთა დაპირისპირებისთვის. კონფლიქტებისა და დაპირისპირება-დანაწევრებისთვის სასაფუძვლო ველები ადვილად იქნა ნაპოვნი – პირველ რიგში ენობრივი განსხვავება, შემდგომ ისტორია და ისტორიული გეოგრაფია, რომელიც ტენდენციურმა მეცნიერებმა თავიანთი ინტერესების მიხედვით გააყალბეს. შედარებით ხელუხლებელი დარჩა კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი მხარე როგორიცაა რელიგია. XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფებს აზრად არ მოსვლიათ რელიგიის ასპექტში დაპირისპირება ეძებნათ ქართველებსა და აფხაზებს შორის, ან შეგნებულად გვერდი აევლოთ, ან სულაც ტენდენციური მოსაზრებებით დაეკნინებინათ ქართული ელემენტის და გავლენის მძლავრი არსებობა აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის რელიგიურ ცხოვრებაში,. ამის ნათელი მაგალითია თვით აფხაზეთის მოსახლეობის ბუნებრივი წიაღიდან გამოსული ორი ეთნოგრაფის, სოლომონ ზვანბასა და ნიკო ჯანაშიას საკმაოდ სოლიდური ნაშრომები აფხაზეთის რელიგიის შესახებ.

დღეს, როდესაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ფაქტობრივად ჩიხშია შესული და გაღრმავების არასასურველი პერსპექტივებიც გააჩნია, პირველი რიგის ამოცანას ჩვენი აზრით, სწორედ იმ იდეოლოგიური საფუძვლების განეიტრალება-აღმოფხვრა წარმოადგენს რასაც დიდი ხანია ნერგავენ ორივე ხალხის არაკეთილმოსურნე რეჟიმების მსახურნი. გასაკვირი არაა, რომ 2012 წლის დასაწყისში აფხაზური ეკლესიის სეპარატისტული ფრთის წარმომადგენლობა კონსტანტინეპოლში სტუმრობისას თავიანთი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მოპოვების შესაძლებლობებს ზვერავდა. დელეგაციის მეთაური დოროფეი (დოროთე) დბარი, თეოლოგიის მეცნიერების დოქტორი და ახალი ათონის ტაძრის წინამძღვარი ავტორია რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა დედააზრი აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალურობის უფლების მტკიცებაა. ამ შემთხვევაში მამა დოროფეი (დოროთე) აშკარად დაინტერესებული მხარეა და შესაძლოა ოდნავ მაინც გაგებით მოეკიდო მის მისწრაფებებს. გაცილებით საშიში და ყოვლად მიუღებელია არასაეკლესიო ფენის, აფხაზეთთან არანაირი საერთოს მქონე საკმაოდ სოლიდური მეცნიერის აშკარად ტენდენციური ნაშრომი, რომელიც რომ არა ეს ტენდენციურობა, შესაძლოა აფხაზეთის რელიგიის შესახებ უკანასკნელ დროს შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებთა რიგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე დაგვეყენებინა. მხედველობაში მაქვს პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრ კრილოვის სქელტანიანი მონოგრაფია, რომელშიც მიმოხილულია აფხაზური რელიგიის შესწავლის, შეფასების

საკითხები, ისტორია, და თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის რელიგიური ყოფა-ცხოვრების საკითხები. ყველა ამ საკითხის მიმოხილვისას ავტორი აშკარად ტენდენციურია, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ისე ნიღბავს, ნებელობით თუ უნებურად თვითრწმენაში არსებულ ანტიქართულობას, რომ კარგად გამეცადინებული თვალის გარეშე მისი ხრიკების დანახვა ჭირს. ეთნოლოგისთვის, მითუმეტეს იმისთვის ვისაც შექმნილი კონფლიქტის გამო ენგურს გაღმა არათუ სამეცნიერო მუშაობის, არამედ ფეხის დადგმის საშუალებასაც არ ეძლევა, მნიშვნელოვანია კრილოვის ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის რელიგიური ცხოვრების დღევანდელობას აღწერს. კრილოვის ნაშრომში აღწერილია აფზური რელიგიის ყველა მნიშვნელოვანი საკულტო ადგილი, რიტუალების ჩატარების, კულტმსახურების არჩევის წესი და ხალხის დამოკიდებულება ტრადიციული კულტმსახურებისადმი. კრილოვის, რომელიც 1995-2003 წლებში აქტიურ საველე ეთნოგრაფიულ მუშაობას აწარმოებდა აფხაზეთის ჩრდილო დასავლეთ, ე.წ. ბზიფის აფხაზებს შორის, გადმოცემით აფხაზეთში შვიდი მთავარი სალოცავია (ბჟიშნიხა) [5]. უმთავრესი დიდირიფშია, რომელსაც მოყვება ლიხნიხა, ლძანიხა, ილირნიხა, ლაშკენდერნიხა, ინალ-კუბა და ბითნიხ (სოჭთანაა და უბიხურ სალოცავად ითვლება. მეშვიდე სალოცავად ზოგი ფსხუ ნიხას, ზოგი აეგრ-ლაპრნიხას, ნაპრანიხას, გეჩნიხას, კაპბა ნიხას მიიჩნევს). ამ შვიდი სამლოცველოდან კულტმსახურება ამჟამად აღდგენილია ხუთ ადგილზე. ავტორი მათ შემდგომ აღწერს შვიდეულის გარეთ მდგომ, მაგრამ მნიშვნელოვან ჯვარ-

ხატს აეგრ-ლაპირნიხასა და ოსთა სალოცავს, „ფრონ-ძვარს“, რომელიც ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან აფხაზეთში გადმოსახლებულ ოსებს 1972 წელს დაუარსებიათ. მოკლედ შევეხოთ ამ ჯვარ-ხატების აღწერილობას: ყველა აფხაზური ჯვარ-ხატის „წინამძღოლი“, არჩევითია. ლიხნიხა ამ შემთხვევაში გამონაკლისია, აქ კულტმსახურის მამიდან შვილზე გადადის. სხვაგან კულტმსახურთა გვარიდან დამსახურებულ, სუფთა ბუნებისა და უმწიკვლო რეპუტაციის კაცს ირჩევენ. მთავარი სალოცავების წინამძღოლობის უფლება გარკვეული გვარების პრეროგატივაა ესენი არიან: დიდირიფშში ჩიჩბები, ლიხნიხაში გოჩუები, ლძანიხაში შაყრილები, აეგრ-ლაპრნიხაში ციმცბები. კულტმსახურის ლოცვის ტექსტები საკმაოდ მსგავსია ერთმანეთის და ძირითადად უფლისა და მისი მოადგილების, აპაიმბარებისადმი (ანგელოზების) კეთილდღეობის გამოთხოვის შინაარსისაა. დღემდე ტარდება ხატზე გადაცემისა და წყევლის მოხსნის რიტუალებიც, აგრეთვე ლოცვა კარგი ამინდისთვის, აცუნიხა.

სანამ შევეხებოდეთ აფხაზეთის მოსახლეობაში აფხაზური ტრადიციული რელიგიის როლსა და ფუნქციას, კრილოვის მიერ ჩატარებული ანკეტირების შედეგებს გავეცნოთ: ანკეტირება ჩატარდა გაგრაში და გუდაუთაში, სოფელ აჭანდარაში და ლიხნში. ანკეტების მცირე ნაწილი შეივსო სოხუმში, მერხეულში და კვიტოულში (ოჩამჩირის რაიონი). საბოლოო ჯამში დაგროვდა 23 ეროვნების რესპოდენტების მიერ შევსებული 1448 ანკეტა. მიზანმიმართულ ტენდენციურობაზე შემდგომ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, აქ კი მხოლოდ იმას აღვნი-

შნავთ, რომ მკვლევრის იმ 23 ეროვნების წარმომადგენელს შორის, რომლებმაც ანკეტები შეავსეს 30 ქართველი, 8 მეგრელი და 4 სვანური ეროვნებისაა [5, 11]. ადვილი მისახვედრია, რომ კრილოვს ეს „ფანდი“ საკუთარი კვლევისა და საველე მასალებისთვის ფართო მასშტაბების შესაძენად და მასში მრავალი ერის შვილების ჩართულობის დასტურად არ დასჭირვებია. აშკარად ანტიქართული ტენდენციები, შეფარვით თუ აშკარად მის კვლევას თავიდან ბოლომდე გასდევს. გამოკითხულთა 55% თავს ქრისტიანად თვლის, 17% მუსლიმად, 14,6% ათეისტია, 7,4%-ს გაუჭირდა რაიმე რელიგიისადმი თავისი რწმენის მიკუთვნება, 2% აფხაზური ტრადიციული რელიგიის მიმდევარია. ეთნიკურ აფხაზებს შორის 49,3 % ქრისტიანობას აღიარებს, 28,7% მუსლიმია, 2% წარმართად თვლის თავს, 1,2% კი ტრადიციულ აფხაზურ რელიგიას მიაკუთვნებს საკუთარ რწმენას. აქ ცოტათი გაუგებარია წარმართისა და ტრადიციული აფხაზური რელიგიის ურთიერთმიმართება – ადვილი სავარაუდოა, რომ გამოკითხულებს ერთმანეთში არეოდათ ტრადიციული აფხაზური რელიგია და წარმართობა. რთულია იმის წარმოდგენაც თუ რა კრიტერიუმით მიჯნავდა კრილოვი ამ ორი მიმართულებისადმი ვისიმე კუთვნილებას, მითუმეტეს რომ სამეცნიერო წრეებში არსებობს სხვადასხვაობა აფხაზური რელიგიის შესახებ – ზოგიერთები მას აშკარად წარმართულად თვლიან, ზოგნი მიიჩნევენ მონოთეისტურ რელიგიად, ზოგიერთი სულაც წინააზიური რელიგიების მემკვიდრედ. საინტერესოა ანკეტირების მონაცემები ქართველთა რელიგიურობის შესახებ: 73,3% ქრისტიანია, 6,7 %

მუსლიმი, 3,3 % წარმართი [5, 16-17]. ეს მონაცემები უნდობლობას იწვევს და ალბათ ყოვლად გაუმართლებელი იქნება თუ მას მთელს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე გავავრცელებთ. მუსლიმ და წარმართ ქართველთა პროცენტულობა მართლაც დაუჯერებლად ჟღერს, თუმცა შესაძლოა გამოკითხულ 30 ქართველს შორის 2 კაცი მუსლიმი და ერთიც წარმართი აღმოჩნდა, რაც შესაბამისად გამოკითხულთა 6,7 და 3,3 პროცენტს უდრის.

კრილოვის მთელი კვლევა მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული სურათის საწინააღმდეგოა – მხედველობაში გვაქვს აფხაზთა რელიგიური იდენტობა. აფხაზის რელიგიური იდენტობა გვიანი შუასაუკუნეების ცნობებიდან მოყოლებული საკმაოდ ბუნდოვანია. ისინი ქრისტიანობის, მუსულმანობისა და ტრადიციული რელიგიის მიმდევრები არიან და რიტუალური თვალსაზრისით მათ რელიგიურ ქცევაშიც გაცილებით ბევრია წარმართული ვიდრე ქრისტიანული და მუსულმანური.

აფხაზებს შორის ისლამის გავრცელებისა და მისი ქრისტიანობაზე გავლენის შესახებ საკუთარი შეხედულება აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ს. ზვანბას. იგი თანამემამულეთა რწმენის შესახებ მოკლე კომენტარს აკეთებს თავისი ერთ-ერთი ნაშრომის შესავალში: „აფხაზეთში ქრისტიანობის კვალი მხოლოდ ძველი ეკლესია-მონასტრების ნანგრევებშიღა შემორჩა. ამ ქვეყანაში მაჰმადიანურმა სწავლებამ ჭეშმარიტი რწმენის სხივები დააბნელა, თუმცა თვითონაც ვერ ჰპოვა დიდ გასაქანი ხალხში. მთავრის სახლეულობის გარდა

მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი ითვლება ქრისტიანად, ცოტაა მუსულმანთა რიცხვი, დანარჩენები ყველა წარმართები არიან“ [4, 31].

XIX საუკუნეში დაფიქსირებული აფხაზური წარმართობა და მისი რიტუალური მხარე მისი მონაწილისა და მასში რწმენითაც ჩართული ნიკო ჯანაშიას მიერ თითქმის ზედმიწევნითაა აღწერილი. ნიკო ჯანაშიას გადმოცემები და აღწერილობანი კიდევ ერთი დასტურია თუ როგორ ღრმად ქონდა ფესვები გადგმული ხალხში წარმართულ რელიგიას, რომელსაც მართმადიდებლობის და მითუმეტეს მაჰმადიანობის გავლენის კვალი ოდნავ, ისიც სარიტუალო და არა იდეურ ნაწილში ამჩნევია.

სოციოლოგიური გამოკითხვით ამ რამოდენიმე წლის წინ აფხაზთა სამოცი პროცენტი თავს ქრისტიანად თვლიდა, თექვსმეტი პროცენტი მაჰმადიანად მიიჩნევდა თავს, დანარჩენები კი წარმართებად და ათეისტებად [2, 9]. ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას რელიგიისადმი არც თუ ისე „ახლობლური“ დამოკიდებულება აქვს. „აფხაზების უმრავლესობა ქრისტიანები ვართ, მაჰმადიანები ცხოვრობდნენ ჩვენი სოფლის ზემოთ, მათ თურქებს ვეძახდით“ – ამბობს, ოჩამჩირელი ნუსია ჯინჯოლავა სოფელი ჯგერდადან. არა და XIX საუკუნის შუა წლებისთვის ჯგერდა მუსულმანთა ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი იყო. შესაძლოა მოჰაჯირობის დროს ეს სოფელი დაიცალა მუსულმანური მოსახლეობისგან – დღეს თურქებად წოდებული ხალხი შესაძლოა ან მოჰაჯირობას გადარჩენილი ანდაც იქიდან დაბრუნებული ხალხია. ნაკლებად სავარაუდოა თუმცა დასაშვებია, რომ დღეს თურქებად წოდებული ჯგერდელები

იმ ეთნიკურად თურქების შთამომავლები არიან, რომლებიც ოჩამჩირესა და სოხუმის მიდამოებში ცხოვრობდნენ და ცნობების მიხედვით საკმაო გავლენას ახდენდნენ ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ მრწამსზე [6, 63] არის ასეთი მოსაზრებაც, რომ აფხაზი სამღვდელოება 1937 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს (გ. მამარდაშვილის საველე დღიური). ამავე რესპოდენტის აზრით, აფხაზები თითქმის მთლიანად ქრისტიანები არიან. მათი ინტეგრაცია ეკლესიაში კი იმიტომ არ მოხდა, რომ ღვთისმსახურება ეკლესიებში მათთვის გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა. მთხრობელის მიერ ნახსენები ენობრივი ბარიერი აფხაზთა შორის ქრისტიანობის დამკვიდრების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტს აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი და ლაკონურად აყალიბებს აზრს, რომლითაც კარგადაა ახსნილი აფხაზთა მიერ ქრისტიანობის ვერ გათავისების ერთ-ერთი მიზეზი: „ბერძნული ქრისტიანობა აფხაზეთისთვის უცხო და თავზე მოხვეული მოძღვრება იყო. მისი გაზიარება –შეთვისება მოითხოვდა: ან აფხაზები უნდა გაბერძნებულიყვნენ კულტურულად, ან ეს სარწმუნოება აფხაზურ ენაზე უნდა გამართულიყო, თუ არა აფხაზეთში ქრისტიანობა მუდამ ზედაპირული დარჩებოდა “ [1, 595]. სავარაუდოდ აფხაზთა შორის ქრისტიანობა ხელმისაწვდომი და ადვილად შესათვისებელი იყო სოციალურად დაწინაურებული, მაღალი საზოგადოებისთვის, რომლებიც კარგად ფლობდნენ ქართულ და ბერძნულ ენებს, იმ ენებს რომლებზეც აფხაზეთში მიმდინარეობდა ღვთისმსხურება. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ აფხაზებში

ქრისტიანობის თავდაპირველი გავრცელებისთანავე ზედაპირულობა იქცა მათში ქრისტიანობის დამცრობისა და პაგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

დღესდღეისობით აფხაზეთში ქრისტიანული რელიგიისადმი ინტერესის გამოცოცხლება შეინიშნება. არსებობს მართლმადიდებლური აფხაზური საიტები (მაგალითად: Abkhazian-churches.ru), სადაც მოთხრობილია აფხაზეთში ქრისტიანობისა და ეკლესია-მონასტრების ისტორია. ცხადად შეინიშნება, რომ შეგნებულად აქვს გვერდი აქცეული იმას, რომ ყოველივე ეს ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია. თუმცა მათში საინტერესო ინფორმაციაცაა დაცული: აღსანიშნავად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე XX საუკუნის პირველ ნახევარში შენდება ორი დიდი ეკლესია. სოხუმის საკათედრო ტაძარი 1915 წელს ქალაქში მცხოვრებ ბერძენთა ინიციატივით და სახსრებით აშენებულა. თითქმის იმავე პერიოდში ბერძენი ბერების ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსი დაარსებულა. ამჟამად ორივე ეკლესიასთან არსებობს სასულიერო სასწავლებელი. ამავე საიტების ინფორმაციით დღეს სოხუმის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება ოთხ ენაზე: აფხაზურად, ქართულად, ძველ რუსულად და ბერძნულად ტარდება.

ქრისტიანობის შესამჩნევად გააქტიურების კვალად, ჩანს რომ აფხაზეთში ქრისტანობისადმი ტრადიციული აფხაზური რელიგიის საფუძვლების მიმართების დადგენაზეც ზრუნავენ. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთ რუსულ ინტერნეტ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის ამონარიდები: "Согласно опросам, большинство насе-

ления Абхазии исповедует христианскую религию. При этом многие исследователи-абхазоведы отмечают, что духовные ценности традиционных верований абхазов не находятся в противоречии с православием, они скорее дополняют друг друга". ამავე ავტორის ცნობით აფხაზეთში ოთხასამდე ქრისტიანული ეკლესიაა, რომელთაგანაც დღეს ოცდაერთიღა ფუნქციონირებს და ქრისტიანობის მთავარ პრობლემად კვლავ რჩება აფხაზური მართლმადიდებლური ეკლესიის გაურკვეველი მდგომარეობა. აფხაზური ეკლესია ქართულ-აფხაზური დაპირისპირების შემდეგ ქართულ ეკლესიას ჩამოსცილდა და ჯერ კიდევ (ავტორისეული ხაზგასმაა) არ არის აღიარებული რუსული ეკლესიის მიერ, რომელიც აფხაზურ ეკლესიას საქართველოს მარტმადიდებლური ეკლესიის ნაწილად მიიჩნევს.

აქვე, საუბარია ისლამზეც: ისლამის როლის დამცრობას მუჰაჯირობას, მაჰმადიანი მოსახლეობის თურქეთში გასახლებას მიაწერენ. ამჟამინდელი „ნომინალურად" მუსულმანი აფხაზები ისეთივე მუსულმანები არიან როგორც აფხაზი ქრისტიანები ქრისტიანები: მუსულმანი არ იცნობს ყურანს, არ აქვს წარმოდგენა მის მთავარ პრინციპებზე, ხოლო ქრისტიანი არ დადის ეკლესიაში, არ მარხულობს, არ კითხულობს ბიბლიას. ალბათ ამიტომაც, მუსლიმთა მეთაური აფხაზეთში ჭეშმარიტ მუსულმანთა ძალიან მცირე რიცხვს ასახელებს. მისი თქმით, ისინი 200-250 კაცამდე არიან. აქედან აფხაზი (დაბრუნებული მუჰაჯირების შთამომავლების ჩათვლით) მხოლოდ 25 პროცენტია, ხოლო დანარჩენები არიან თათრები, ბაშკირები, თურქები, შუააზიელები. 1999 წლიდან სოხუმში ოფიციალურად

არსებობს მუსულმანთა სულიერი მმართველობის ორგანო. აფხაზეთში მეჩეთი არ არსებობს, თუმცა არის ორი სამლოცველო სახლი, ერთი სოხუმში, მეორე კი გუდაუთაში.

ამ სტატიის შინარსი და ქვეტექსტი კარგად ჩანს მის ბოლო ნაწილში, რომელიც ტრადიციული აფხაზური რელიგის ფუნქციებს და ფუნდამენტურ რელიგიებთან გაუგებარ, გაიდეალიზირებულ ურთიერთმიმართების სურათს ხატავს: „Следует особо подчеркнуть ту роль, которую играет традиционная религия в современной Абхазии. Распад Советского Союза, кровопролитная война и последовавшие за ней блокада и изоляция Абхазии способствовали возрождению традиционных верований абхазов. Представляется, что традиционная религия выступала и продолжает выступать в качестве одного из инструментов национальной консолидации и идентичности в современных непростых условиях. И православие, и ислам в Абхазии приобретают весьма колоритный традиционный абхазский окрас.

Очевидно, что в современном мире повышается значение национальной культуры, традиций. И для Абхазии это также характерно. Поэтому, на мой взгляд, можно уверенно констатировать, что в республике возрождается традиционная религия абхазов“ [3].

აფხაზური რელიგიის როლი და მნიშვნელობა კარგად ჩანს კრილოვის რამოდენიმე ცნობიდან. ტრადიციული რელიგიის პრიორიტეტულობა, მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულება აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიამაც დაადასტურა – ვლადისლავ არძინბას გა-

პრეზიდენტების მილოცვისა და საზოგადოების წინაშე ამ ფაქტის მრავალმნიშვნელობის აღსანიშნავად ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლის უპირველესი უფლება მთავარი აფხაზური სალოცავის, დიდრიფშის კულტმსახურს, ზაურ ჩიჩბას ერგო. ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიის თავკაცებს მხოლოდ მის შემდეგ მიეცათ მილოცვის უფლება. დღესასწაულების დროს დიდრიფშში, ლიხნში და სხვა სალოცავებში აფხაზეთის მთავრობისა და პრეზიდენტის სტუმრობაც ტრადიციადაა დამკვიდრებული. 1996 წელს კრიმინოგენული სიტუაციის მკვეთრი გაუარესების გამო დიდრიფშისთვის მიუმართავს პრეზიდენტ არძინბას. სალოცავს ხალხის აზრზე მოყვანას სთხოვდნენ და სამაგიეროდ ყოველწლიურ მსხვერპლშეწირვა აღუთქვეს. ამავე შინაარსის ლოცვა აქ 2000 წელსაც გამართულა. საინტერესოა კრილოვის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც მთავარი კულტმსახურის, ზაურ ჩიჩბას ცნობებს ეყრდნობა: დიდრიფში ყოველთვის მფარველობდა აფხაზეთს. ბოლო ხანებში დიდირიფშში საყოველთაო ლოცვამ ორჯერ იხსნა აფხაზები განადგურებისაგან – პირველად ზვიად გამსახურდიას დროს, მეორედ კი აფხაზურ-ქართული ომის დროს. მისივე თქმით, 1992 წლის აგვისტო-სექტემბერში დიდრიფშის მთიდან ნათელი სვეტი ამოდიოდა და გაგრის მხარეს ანათებდა. მას შემდეგ რაც გაგრა „გაანთავისუფლეს“ დიდირიფშიდან ამოსული ნათელი უკვე სოხუმის მხარეს ანათებდა, ცოტა ხანში სოხუმიც განთავისუფლებულ იქნა. ვგონებთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია – რაღა თქმა უნდა, ანზორ ჩიჩბას სრული უფლება აქვს საკუთარი

მსოფლმხედველობა იქონიოს, მაგრამ საზოგადოება და მთავრობა, რომელიც ამგვარ შეხედულებების ადამიანს ანიჭებს უზენაესი რელიგიური პირის ფუნქციას, რბილად რომ ვთქვათ, ნამდვილად არ დგას თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე. დიდრიფშის დიდმნიშვნელოვნებაზე მეტყველებს კრილოვის საველე მასალაც: აფხაზთა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სალოცავს აფხაზური ძალოვანებიც მიმართავენ. შეიძლება ითქვას, დიდრიფში ერთგვარი უდანაშაულობის ტესტის ფუნქციას ასრულებს — თუ ძალოვანებს არ გააჩნიათ საკმარისი მტკიცებულება ეჭვმიტანილის დამნაშავობისა, მაშინ ეს უკანასკნელი მიდის დიდრიფშის სალოცავში და იქ უდანაშაულობის ფიცს დებს. თუ ეჭვმიტანილმა ეს გააკეთა, უდანაშაულობაზე დაიფიცა, მაშინ გამოძიება დახურულად ითვლება [5, 129]. ამ მხრივ საინტერესოა ფაქტი რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინ მოხდა: ინტერნეტით გავრცელდა აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის, კჩაჩის ნათესაობის მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი. შეგახსენებთ, რომ კჩაჩი ეჭვმიტანილი იყო ანქვაბზე განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებაში. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა თავი მაშინ მოიკლა, როდესაც პოლიცია მის დაკავებას ცდილობდა. ნათესავები რა თქმა უნდა წერილში უარყოფენ კჩაჩის მონაწილეობას ტერაქტში და ერთ-ერთ არგუმენტად მოყავთ ის რომ კჩაჩი, იმის შემდეგ რაც ხმა გავარდა მისი ტერაქტში მონაწილეობის შესახებ, აპირებდა დიდრიფშში ასვლას და უდანაშაულობის ფიცის დადებას, თუმცა ეს მას არ დასცალდა. კრილოვისვე გადმოცემით აფხაზი ანიხაში ტყუილს არაფრისდიდებით

არ იტყვის, თუმცა მან შეიძლება იცრუოს ეკლესიაში და მუსულმანურ სამლოცველოში.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადად წარმოაჩენს, რომ აფხაზეთში ტრადიციული აფხაზური რელიგია გამოცოცხლებულია და საზოგადოების ცხოვრებაშიც აქტიურ როლს თამაშობს. თუმცა გამოკითხულთა ნახევარზე მეტი თავს ქრისტიანად თვლის. კრილოვის მიერ ჩატარებულმა საველე სამუშაოებმა საუკუნის წინანდელი ცნობები გაიმეორა: ქრისტიანი აფხაზი მხოლოდ ნომინალურადაა ქრისტიანი. მისთვის უცხოა ეკლესია, ბიბლია, ზიარება და მკაცრი მარხვა. მიუხედავად ამისა აფხაზებში ქრისტიანობა ისევე როგორც მათი ტრადიციული რელიგია გამოყენებულია საკუთარი ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად და ანტიქართული განწყობის გასაღრმავებლად. ბუნებრივია, ეს ორი რელიგია გარკვეულწილად პრობლემას აწყდება გავლენის სფეროების გადანაწილებაში. იყო შემთხვევა, როდესაც დიდრიფშის კულტმსახურმა სალოცავში არ შეუშვა საკმაოდ მაღალი რანგის მღვდელმსახური, მისგან ანაფორის და სამღვდელო ნიშნების აყრა მოითხოვა, თავისი ქცევა იმით ახსნა რომ მასთან ანუ დიდრიფშში სხვა წესები მოქმედებს. ასეთივე კონფლიქტური იყო ილირნიხას (ილორის წმინდა გიორგი) სალოცავის აღგდენის ცერემონიის ზოგიერთი ნაწილი. ილორის აფხაზმა მღვდელმა არ მისცა მსხვერპლშეწირვის და არც რაიმე წარმართული რიტუალის ჩატარების უფლება ეკლესიის ეზოში. საქმეში მაშინდელი პრემიერმინისტრი ჩაერია და ასეთი გამოსავალი ნახეს: საკლავი ეკლესიის გალავნის გარეთ დაკლეს, ხოლო რიტუალი და ლოცვა გალავნის შიგნით ჩაატარეს. ბოლო მაგალითის შესაბამისად აფხაზეთის მოსახლეობის რე-

ლიგიურობაც აღრეულია – მათთვის უცხოა ქრისტიანული ცხოვრების წესი, თუმცა მათ შორის მონათლულები ბევრნი არიან. ისინი ხშირად ესწრებიან ტრადიციულ დღესასწაულებს, თუმცა მრავალი მათგანი ამ დღესასწაულებს რელიგიურ დატვირთვას არ აძლევს და თავშეყრის და სუფრის კარგ საბაბად თვლის [5].

საინტერესოა ქრისტიანი აფხაზების პოზიციაც: აფხაზების უმეტესობას დღესაც საამაყოდ აქვს, რომ კავკასიაში პირველი ქრისტიანული საეპისკოპოსო ბიჭვინთაში იყო. ეს მართლაც ფაქტია, მაგრამ არავინ უწყის ვინ და რა ეთნოსის, ანდაც რა დოზით იყო გაქრისტიანებული ბიჭვინთის ეკლესიის მრევლი. მიუხედავად იმისა, რომ იოანე საბანისძე თავის ნაწარმოებში აღნიშნავს აფხაზეთში ქრისტიანობა მძლავრად ფეხმოკიდებულიაო, თანამედროვე აფხაზებში ჟამის სიავის თუ კიდევ ბევრი სხვა რამის გამო ოდინდელი ქრისტიანობის მცირე კვალიღა თუ შეინიშნება. თუმცა თანამედროვე მკვლევრებს ორიგინალური შეხედულება გააჩნიათ თანამედროვე აფხაზის ქრისტიანული სარწმუნოებისგან შორს დგომის შესახებ. მაგალითად, ალექსანდრ კრილოვს სავსებით დასაშვებად მიაჩნია აფხაზს გული „დასწყვეტოდა“ იმ მდგომარეობაზე, რაც სუფევდა XI საუკუნის ქართულ ეკლესიაში, რომელსაც აფხაზეთის საკათალიკოსო შეუერთეს. მკვლევარს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა მოჰყავს, რომლის მიხედვითაც დავითის მეფობის პირველ ხანებში საქართველოს ეკლესიაში გამეფებულ უკანონობას და ცოდვიანობას ვერ შეურიგდებოდაო აფხაზური ბუნება, რომელიც მთავარ პრინციპად პიროვნულ სიწმინდეს და სიმართლეს აღიარებსო [5, 49]. ოდნავ უხერხულია ამ მოსაზრებაზე

კომენტარი, თუნდაც იმიტომ რომ აფხაზთა შორის არსებული წესიერება, ქართველებისთვის სრულიად უცხო ყოფილა და ეკლესიის უკანონობები თურმე ზედმიწევნით შეესაბამებოდა ქართველთა ეთნიკურ ფსიქოლოგიას. აქვე შევახსენებთ ბატონ კრილოვს: დავით აღმაშენებელმა აფხაზთა საკათალიკოსოს მცხეთის საკათალიკოსოსთან შეერთების შემდეგ, სულ რამოდენიმე წელში ჩაატარა დიდი საეკლესიო რეფორმა და კრილოვის მიერ მოხსენიებული აფხაზური ბუნებისთვის მიუღებელი „სიბილწენი“ აღმოფხვრილი იქნა. ამას კი კრილოვის ლოგიკით ეკლესიებში აფხაზ მორწმუნეთა ხელახალი შემობრუნება უნდა მოყოლოდა. თუმცა როგორც ჩანს ამ რეფორმის შესახებ არც კრილოვს და არც აფხაზეთის დღევანდელ მოსახლეობას ინფორმაცია არ გააჩნიათ. ალექსანდრე კრილოვი თავისი ნაშრომის შესავალში აფხაზი მეცნიერების დბარისა და გ. სმირბას მოსაზრებებსაც გვაცნობს. დბარი მღვდელმსახურია და ფიქრობს, რომ აფხაზებმა ქრისტიანობა მიიღეს ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. გვიანშუასაუკუნეებში კი იწყება წარმართობის რეანიმაცია და ქრისტიანობის დაკნინება. მკვლევარს ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რომ ქრისტიანობის შესუსტება შეიძლება გარკვეულწილად ქართული კულტურული სფეროდან გასვლის შედეგი იყოს. გ. სმირი უფრო შორს მიდის — სამწუხაროდ, მისი სადისერტაციო ნაშრომი ვერ მოვიძიეთ, მაგრამ მისი დედააზრი კრილოვს აქვს მოწოდებული: აფხაზები X საუკუნემდე თავგადაკლული ქრისტიანები ყოფილან და თან მათი ეპისკოპოსებიც აფხაზები იყვნენ. ღვთისმსახურება უმეტესად აფხაზურ ენაზე, ხანდახან კი ბერძნულად მიმდინარეობდა. და ამ დროს იქნა დაშვებუ-

ლი ნაციონალ – პოლიტიკური შეცდომა: ბაგრატ III-ის გამეფება აფხაზთა და ქართველთა გაერთიანებულ სამეფოში [5, 49]. ამის შემდეგ ქართველმა სამღვდელოებამ ეკლესიებიდან აფხაზური განდევნა, შეწყდა აფხაზური ღვთისმეტყველებაც. აი ამ დროიდან იწყება აფხაზების ქრისტიანობისგან გაუცხოება გ.სმირის აზრით. კრილოვი სმირის ამ ნააზრევის შესახებ დუმს, მხოლოდ დასაწყისში აღნიშნავს რომ სმირის კვლევას ეტყობა აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გავლენაო. არ და კრილოვს, როგორც ჩანს მაინცა და მაინც ზერელედ არ აქვს გადაკითხული საქართველოს ისტორია და მშვენივრად იცის, რომ გ. სმირის მოსაზრებას იოტისოდენა საფუძველიც არ აქვს. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობას საფუძვლები სხვა პროცესების გამო ეცლება და ეს შესაბამისად დამტკიცებულია ქართველ მეცნიერთა კვლევებში. აქ ამ თეორიების მტკიცებას არ მოვყვებით, რადგანაც მასალა და ფაქტები ბევრია. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც უფრო კონკრეტულად გასცემს პასუხს შეგნებულ თუ შეუგნებელ პროვოკაციებს, შესაძლოა ეს ვინმეს სასაცილოდ ანდაც უსარგებლოდ მოეჩვენოს და თქვას, რომ სიმართლე ხომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანსო, თუმცა ეს აზრები აფხაზური თუ რუსული საიტებისა და ინტერნეტბიბლიოთეკის მეშვეობით ასიათასობით დაინტერესებულისთვისაა ხელმისაწვდომი და ამის საპირწონედ, სიმართლის გამოსამზეურებლად შედეგისმომტანი ქმედითი ნაბიჯები ფაქტობრივად არ გადადგმულა.

ლიტერატურა

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
2. ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართმადიდებლობა, თბ., 2003.
3. Элана ЭШБА, аспирантка Института востоковедения РАН, научный сотрудник Центра партнерства цивилизаций ИМН МГИМО (У) МИДа РФ
4. Званба С. Тю. – Абхазские этнографические этюди, Сухуми, 1982.
5. Александр Крылов, Религия и традиции абхазов, (по материалам полевых исследований 1994-2000 гг.), Москва, 2001
6. Обзор деятелньости обшества возстановления православного христианства на кавказе, 1910.

Giorgi Mamardashvili

Modern Issues of the Religious Life of the Abkhazia Territory Population

A review of the modern situation and problems of Abkhazia territory population are given in the article, as well as the review of the scientific works, articles and theses dedicated to the study of the Abkhazians' religious beliefs.

Today a certain part of Abkhazia population is a follower and supporter of Abkhazian clergy group headed by Dorofei Dbar, who tries to gain autocephaly of the Church of Abkhazia. According to the researches carried out in near past 55% of respondents belong themselves to Christians, 17% to Muslims, 14.6% to Atheists and for 7.4% was difficult to attach their faith to any kind of religion, 2% is a follower of the traditional Abkhazian religion. Among ethnic Abkhazians 49.3 % is a Christian, 28.7% Muslim, 2% belong themselves to Pagans and 1.2% to traditional Abkhazian religion beliefs. A kind of confusion takes place. It is a bit difficult to understand what the relations between pagan and traditional Abkhazian religion beliefs means. It is easy to suppose that the respondents might have mixed traditional Abkhazian religion beliefs and Paganism. It is difficult to imagine as well what the Krilov's criteria was for belonging a certain person either to one or another religious belief. All the more there are different viewpoints among the scientific circles about what the Abkhazian religion is. Some think it obviously is Paganism, some think it is monotheistic religion, some – it is a heir of Southwest Asia.

Despite of the survey results, it is obvious that the Abkhazian traditional religion beliefs gained a new meaning: to attach to the traditional religion one of the main functions in determining the national identification and the consolidation of the nation. It must be mentioned that the tendentious attitude of the modern researchers when they study traditional religious beliefs of Abkhazians is obvious. They consciously ignore Georgian influence on the nuances of the traditional

Abkhazian religion. But the influence of Christianity and Georgian traditional folk believes are clearly evident. The Abkhazian ethnographers of the 19th century: S. Zvanba and N. Janashia straightly, without any kind of implication, write about it.

Tendentious and purposeful lie are those theses which try to split Georgian-Abkhazian churches and sow hatred among Abkhazians against Georgians. S. Lakoba says as if Georgians "occupied" Abkhazian church in the 10th century. As if, before liturgy was in Abkhazian language. According to A. Krilov there was another reason that Abkhazian alienated from the church. As if, the honest nature of Abkhazian was unable to get used to the corruption and improper behavior that was dominating in the Church of Georgia at the end of the 11th and the beginning of the 12th centuries.

მედეა გოგოლაძე

„ბუნ-თურქთა“ სახლობა ქართლში – მითი თუ რეალობა?

ქართულ წერილობით წყაროებში, უცნობი ავტორის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“-ში („ქართლის ცხოვრება“) ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისას მოხსენიებულნი არიან „ბუნ-თურქები“.

„მოქცევაჲს“ მიხედვით: „პირველ, ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი ბუნ-თურქნი, – მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჴე და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისა, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჴისაჲ. დაუკჳრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ჴორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა და წარვიდა. მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრქუან მას ხერკი. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე მეფჱ ყოვლისა ქუეყანისაჲ და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახჳლი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუჱ და დადგა

სარკინესა დასავლით კერძო... და მერმე გამოიღო სარკინე. თჳთ დაყარეს და მეოტ იქმნეს“ [1, 81].

„მეფეთა ცხოვრება“ თურქების ქართლში მოსვლის ისტორიას უფრო ვრცლად გადმოგვცემს. მას შემდეგ, რაც ირანის ლეგენდარულმა მეფე ქაიხოსრომ თურქები შემუსრა „მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა და ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა [2, 14]. მაკედონელის ლაშქრობის გადმოცემისას ლეონტი მროველს ეს თურქნი უკვე ბუნ-თურქებად ჰყავს მოხსენიებული: „და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით.... შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა... ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს თუე... ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება ზავი და ვედრება მათი არა შეიწყნარა...“ [2, 15].

ქართული წყაროების ცნობები ბუნ-თურქთა ქართლში სახლობის შესახებ, ისტორიულ მეცნიერებაში სხვადასხვა ასპექტით იქნა განხილული: ერთ შემთხვევაში — ისტორიული რეალობის კუთხით, მეორე შემთხვევაში — მათი ეთნიკური კუთვნილების კუთხით.

მეცნიერების ერთი ნაწილი ბუნ-თურქთა ქართლში სახლობას, ლეგენდარულს უწოდებს (გ. მამულია, ვ. ვაშაკიძე, გ. ყორანაშვილი [8; 5; 11]). მეორე – ისტორიულ ფაქტს, მაგრამ მათი ეთნიკური ნომინაციის დაზუსტებით (ე. თაყაიშვილი, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, ო. ლორთქიფანიძე, მ. სანაძე, გ. ალასანია და სხვ. [6; 12; 9; 7; 10; 3]). ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მათში ჰუნებს გულისხმობს, მეორე – ჰურიებს. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომლითაც ბუნ-თურქები კავკა-სიური წარმოშობის და კავკასიის უძველეს მოსახლეო-ბადაა მიჩნეული (მ. სეიდოვი). უმრავლეს შემთხვევებში კი მეცნიერები ბუნ-თურქებში სკვითებს ვარაუდობენ (ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოვალევსკაია, მ. სანაძე, გ. ალასანია; დაწვრილებით აღნიშნულ საკითხზე იხ. 3, 5-20).

ჩვენი ადრინდელი მოსაზრებით ბუნ-თურქთა ქართლში სახლობა ლეგენდარული იყო [4, 73]. ამჟამინ-დელი ჩვენი კვლევის ამოსავალია მეტი ნდობა გა-მოვუცხადოთ ძველ ქართულ წყაროებს, მათი ახლებური გააზრებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთა-ვაზებული საინტერესო კვლევების გათვალისწინების გამო.

ცნობილია, რომ ძველ ხანაში არსებობდა ტრადიცია ქვეყნის ისტორიის დაწერის მითოლოგიური, ან მითოლოგიზირებული რეალობის დასაწყისით. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და „ქართლის ცხოვრების“ ავტორებიც ამ ტრადიციის მიმდევრები არიან. თანაც მემატიანეთა მიერ ბუნ-თურქთა როლის გამოკვეთას ალეგორიული დატვირთვაც აქვს, რაც უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის სახელს. შუა საუკუნეებში გაიდეა-

ლიზებული გმირი ალექსანდრე მაკედონელი, ახალი მსოფლიო წესრიგის შემქმნელი, ბერძნული ცივილიზაციის გამავრცელებელი, ებრძვის უკულტურო და ჩამორჩენილ ხალხებს. ასეთ ხალხებად, ძირითადად, ითვლებიან კავკასიის მთებს გადაღმა მცხოვრები ხალხები, რომლებიც პერიოდულად, შემოსევების თუ დევნის შედეგად ხვდებიან ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც მათ თავიანთი ჩვეულები შეაქვთ. ალექსანდრეს კულტურისთვის მათი კულტურა უცხოა და იგი მათ ებრძვის, როგორც პოლიტიკური მიზნებით, ისე კულტურული მსოფლხედვით. ავტორები მომთაბარე-ბარბაროსულ სამყაროს უპირისპირებენ კულტურულ მსოფლიოს, რომლის განსახიერებაც ალექსანდრე მაკედონელია. ალექსანდრეს ლაშქრობების ერთ-ერთ პუნქტად მემატიანეები კავკასიონის გადმოსასვლელებს მოიაზრებენ (დარიალი, დარუბანდი) და მათ „ალექსანდრეს კარის“ სახელითაც მოიხსენიებენ. ამ კარის წარმომავლობა უკავშირდება მაკედონელის მიერ ველური ხალხის დამარცხებას, ჩრდილოეთის მთებში მათ გადარეკვას და მათი შემოსევებისაგან თავდაცვის მიზნით, იქ ციხე-სიმაგრეთა სისტემის შექმნას. აღნიშნულ ტომებში ბიბლიური გოგისა და მაგოგის ხალხები მოიაზრებიან, რომლებიც ირანულენოვან და თურქულენოვან ეთნოსებთან არიან დაკავშირებულნი.

ამავე დროს, ლეგენდების უმეტესი ნაწილი გარკვეულ წილად ისტორიულ რეალობას ასახავს. ასეთად გვესახება ძველი ირანული ეპოსის, ზოროასტრიზმის უძველესი ლიტერატურული ძეგლი „ავესტა“ (უმთავრესი წყარო „მოქცევაჲს“ ავტორის და ლეონტის).

იგი ალექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე შეიქმნა, მისი ჩაწერა დაიწყო ძვ. წ. III საუკუნეში არშაკიდების დინასტიის დროს, საბოლოოდ კი ჩამოყალიბდა სასანიდების ხანაში. „ავესტას“ მიხედვით ბრძოლები მიმდინარეობს ირანელებსა და თურქებს შორის, კერძოდ, მეფე ქაიხოსროსა და თურქ აფრასიაბს შორის. მათი დაპირისპირება საბოლოოდ სრულდება ქაიხსოსროს მიერ აფრასიაბის მოკვლით. აღნიშნული ლეგენდა აქემენიდური ხანით თარიღდება. ისტორიული პერსპექტივით რომ შევხედოთ, სპარსული ტომების გაძლიერება-გააქტიურება და ჰეგემონობისთვის ბრძოლა ისტორიული რეალობაა და იწყება დაახლოებით ძვ. წ. VII საუკუნიდან. ირანის ჩრდილოეთით არსებული სამყარო (კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი), ასევე ცნობილია, რომ უკავიათ მომთაბარე, ავი ზნის ხალხებს, სავარაუდოდ, თურქული მოდგმის ტომებს. ირანელთა ექსპანსიის ერთ-ერთი მიმართულებაა კასპიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (თურანი), ხოლო ჩრდილოეთის ხალხების ექსპანსიის სამხრეთ-დასავლეთით. ამ ბრძოლებში დამარცხებულები ლტოლვილებად იფანტებიან და ერთ-ერთი ასეთი ნაკადი თავშესაფარს პოულობს ქართლში. ამ ისტორიულ პროცესებში ქართველებიც იყვნენ ჩართულნი, ერთ შემთხვევაში, როგორც უშუალო მონაწილეები ბრძოლებისა, მეორე შემთხვევაში, როგორც დევნილთა თავშესაფრად ქცეული ტერიტორიის მკვიდრები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხდება თურქული ნაკადის შემოსვლა ქართველთა ტერიტორიაზე. არაფერი არარეალური ამ ფაქტში არაა, რადგან ისტორიული წყაროებით ცნობილია სხვადასხვა ხალხები, რომლებიც

ძვ. წ. I ათასწლეულში ჩვენს ტერიტორიას აფარებდნენ თავს, მაგალითად, ასურელები, ურარტუელები, ებრაელები, ბერძნები და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ბუნ-თურქთა ყოფნა ქართლში ისტორიული ფაქტია და არა მითიური ამბავი.

გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ პრობლემას. კერძოდ, „მოქცევაის“ ავტორის ცნობა ქართლში ბუნ-თურქთა სახლობის შესახებ, მკვლევართა მიერ გაგებულია, როგორც მათი ამ ტერიტორიაზე აბორიგენობა. რაც, ვფიქრობთ, ძირშივე მცდარია, რადგან ტოპონიმები: კასპი, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე და სხვა ყველა, რომლებიც წყაროებში მოხსენიებულია ბუნ-თურქთა სხდომის ადგილად, უკლებლივ ქართულია, რაც გამორიცხავს ბუნ-თურქთა აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტოქთონობას. გასათვალისწინებელია „მოქცევაის“ ავტორის თხრობის ლაკონური, ქრონისტული სტილი და, ზოგადად, ძეგლის არქიტექტონიკა, რის მიხედვითაც იკვეთება მემატიანის იდეა აჩვენოს ალექსანდრე მაკედონელი, არა ცივილიზებულ ქართველებთან, არამედ ველურ ხალხებთან მებრძოლი გმირი, მსოფლიოს მხსნელი და განმანათლებელი.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა დიდი ნაწილი ბუნ-თურქებში სკვითებს მოიაზრებს. მიუხედავად რიგი საინტერესო და გასაზიარებელი არგუმენტებისა, ცალსახად ვერ მივიღებთ ამგვარ მოსაზრებას. საკითხი რთული და ბუნდოვანია, რაც ძირითადად განპირობებულია წყაროებში არსებული ხარვეზებით, ანაქრონიზმებით და ურთიერთგამომრიცხავი ცნობებით. მართალია, მემატიანეები სკვითების ნაცვლად ხან ხაზარებს,

ხან ყივჩაყებს (შესაძლოა, ბუნ-თურქებსაც) მოიხსენიებენ, მაგრამ გაუგებარია, რატომ, მაშინ, როდესაც ჰეროდოტედან მოყოლებული, ძველი ანტიკური, ელინისტური და ადრე შუასაუკუნეების ისტორიოგრაფია, რომელიც ძალიან კარგად იცნობს სკვითებს, ანსხვავებს მათ სხვა ხალხებისაგან. საინტერესოა, იგივე ცოდნა ქართველ მემატიანეებს არ ჰქონდათ? რას ნიშნავს ლეონტი ჰისთან დაცული ცნობა „ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრიამ მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკვითედ“ [2,43]. ძნელი დასაჯერებელია, ძველ ქართველ მეისტორიეთ არ ჰქონოდათ ცოდნა სკვითებზე და ვერ განესხვავებინათ ერთმანეთისგან სკვითები და თურქები. მეტიც, ის რომ თურქები იხსენიებიან ძველ ქართულ წყაროებში, აჩენს ცდუნებას, ვივარაუდოთ კასპიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები თურქული წარმოშობის ხალხის მიგრაცია ქართლში.

აქედან გამომდინარე „ავესტას“ სპარსულ-თურქულ ბრძოლებში მოხსენიებული თურქები (თურქულენოვანი მასივი) ისტორიის ასპარეზზე უფრო აქტიურად ანუ მათი სამხრეთ-დასავლეთით ექსპანსიის თვალსაზრისით მოგვიანებით ჩნდებიან, რადგან ჯერ კიდევ ძლიერია რეგიონში ირანელთა გავლენა, მაგრამ „მოქცევაჲს“ ბუნ-თურქები შესაძლოა, ეთნიკურ თურქთა სწორედ ის მცირე ნაკადია, რომლებიც დევნილებად შემოდიან ქართლში (არა დამპყრობლებად) და რომლებთან ერთადაც ქართველები ანტიირანულ კოალიციას ქმნიან.

ლიტერატურა

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963.
2. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით.
3. გ. ალასანია, ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბ., 2008.
4. მ. გოგოლაძე, ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, თბ., 2004.
5. ვ. ვაშაკიძე, „მეფეთა ცხოვრების“ წყაროები ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ.
6. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890.
7. ო. ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისთვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIX, 6, თბ., 1962.
8. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979.
9. შ. მესხია, ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ, კრებული „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966.
10. მ. სანაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი, თბ., 2001.
11. გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1994.
12. Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1969.

Medea Gogoladze

"Bun-Turks" in Georgia – Myth or Reality?

According to Georgian historical sources, in "Mokcevai Kartlisai" (The Conversion of Georgia) by anonymous author and Leonti Mroveli's "Mepeta Tskhovreba" (The Lives of Kings) "Bun Turks" are mentioned in connection with Alexander III of Macedon's campaigns in Kartli.

These data of Georgian sources were discussed by historians from the different aspects: weather these people lived in Georgia or not and on the other hand to which ethnic group "Bun-Turks" were belonged. One group of scientists thinks that "Bun-Turks" were not living in Georgia and it is only a legend, others believe it was a true historical fact. Most of the scientists suppose that "Bun-Turks" are people of Iranian - Scythian origin.

In our opinion, the data of "Conversion" and "The Life of Kartli" about Bun-Turks' coming in Kartli should have been a reflection of historical reality. It also should have been that mentioned "Bun-Turks" belonged to those people of Turkish origin who were living to the north-east of the Caspian Sea.

დავით მერკვილაძე

რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არძივის მასალების მიხედვით (1783-1787 წწ.)

შესავალი

პოლკოვნიკი სტეფანე ბურნაშევი რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ 1783 წელს დაინიშნა რუსეთის საგანგებო წარმომადგენლად („კომისიონერად") ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა და იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე. ამას მოწმობს ბურნაშევის არქივში არსებული გრიგოლ პოტიომკინ-თავრიჩესკის ორდერი, დათარიღებული 1783 წლის 3 აპრილით, ე.ი. ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე. ამასთან ბურნაშევს დაევალა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით საქართველოში იმავე წლის 2 ნოემბერს შემოსულ ეგერთა ორი რუსული ბატალიონის მეთაურობა. რუსი პოლკოვნიკი საქართველოში იმყოფებოდა ოთხნახევარ წელიწადს. 1787 წლის 13 სექტემბერს მეფე ერეკლეს მეთაურობით ქართულ ჯართან ერთად თავისი ბატალიონებითურთ განჯასთან დაბანაკებულმა ბურნაშევმა მიიღო ბრძანება (კვლავ გრ. პოტიომკინ-თავრიჩესკის ორდერი, დათარიღებული ამავე წლის 29 აგვისტოთი), რუსულ ჯართან ერთად დაეტოვებინა საქართველო და რუსეთში გაბრუნებულიყო.

ს. ბურნაშევს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა როგორც ქართველ მეფეებთან ერეკლე II-სა და სოლომონ I-თან, ასევე მუდმივ მიწერ-მოწერას აწარმოებდა კავკასიის ხაზის სარდალთან, გენერალ-პორუჩიკ პავლე

პოტიომკინთან, რომელიც თავის მხრივ გენერალ გრიგოლ პოტიომკინის ხელმძღვანელობით წარმართავდა რუსეთის საიმპერატორო კარის კავკასიურ პოლიტიკას.

1901 წელს ს. ბურნაშევის შვილთაშვილმა ალ. ცაგარელის რეკომენდაციით „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ 200 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცა ს. ბურნაშევის არქივის ეპისტოლარული ნაწილი. ბურნაშევისადმი მიმართულ ოფიციალურ ბრძანებებთან (ორდერებთან) ერთად აქ თავმოყრილია პოლკოვნიკისადმი მიმართული პირადი წერილები: ყველაზე მეტი, 36 წერილი ეკუთვნის პავლე პოტიომკინს, ასევე აქ არის კიდევ რამდენიმე რუსი სამხედრო პირის წერილი და ქართველ მეფეთა, ერეკლესა და სოლომონის რამდენიმე წერილის რუსული თარგმანიც. ეს წერილები ნათლად ასახავს იმდროინდელ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, რუსეთის ინტერესებს საქართველოში და ზოგადად კავკასიაში, ასევე ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებას რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ. ეს ვითარება პირდაპირ ფიქსირდება როგორც ერეკლე II-ის მიერ, ასევე თავად რუსული უმაღლესი გენერალიტეტის მხრიდანაც. ეს პოზიციაა ერთ-ერთი მიზეზი, რითაც რუსული სარდლობა ახსნას უძებნიდა საქართველოდან რუსული ბატალიონების გაყვანას იმ დროს, როცა ქართული სამეფოს საზღვრებთან შემოსაჭრელად გამზადებული ომარ-ხანის ლაშქარი იდგა.

ს. ბურნაშევს ეკუთვნის ასევე ნაშრომი: „*საქართველოს სურათი ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა*“. იგი მან გამოსცა

რუსეთში დაბრუნების შემდეგ 1793 წელს კურსკში, სადაც სამხედრო სამსახურის დატოვების შემდეგ გუბერნატორად იქნა დანიშნული. ნაშრომი წარმოადგენს რუსი პოლკოვნიკის თვალით დანახულ საქართველოს და იმ პერიოდის საქართველოს მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა. ეს ნაშრომი ასიოდე წლის შემდეგ ხელმეორედ იქნა გამოცემული ნ. ბეგიჩევის მიერ.

ორივე ზემოდასახელებული გამოცემა (ეპისტოლეები ორდერებითურთ და „*საქართველოს სურათი*“) უკვე ნათარგმნი გვაქვს ქართულ ენაზე და ვამზადებთ გამოსაცემად. ეს მით უფრო საშურია, რამდენაც ბოლო დროს რუსეთში კვლავ აღორძინდა ტენდენცია, რომ იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოს ანექსია ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ რუსეთის მიერ იძულებით გადადგმულ ნაბიჯად წარმოჩინდეს. მსგავსი მცდარი შეხედულებები ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა მრავალწლიანი პროპაგანდის შედეგად დღემდე ფეხმოკიდებულია ქართულ საზოგადოების ნაწილშიც. აღნიშნულ ხანებში რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების სიღრმისეული მეცნიერული შესწავლა უდავოდ ხელს შეუწყობს ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას და ცრუპროპაგანდის სავალალო შედეგების გაქარწყლებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად წაადგება ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-გაძლიერების საქმეს.

რუსეთის მფარველობაში შესვლის მიზეზები

აღნიშნული წყაროები საყურადღებო მასალას იძლევა გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ. კერძოდ, გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა ინტერესები ამო-

ძრავებდა ამ დროს თითოეულ მხარეს და რა შედეგები მოუტანა ამ შეთანხმებამ მათ.

„*საქართველოს სურათში*“ ბურნაშევი ცდილობს აღნიშნოს „*მიზეზები, რომლებმაც უბიძგა მეფე ერეკლეს, შესულიყო რუსეთის მფარველობითი ძალაუფლების ქვეშ*“. თავიდან იგი წერს: „*ქართველი მეფეები, იყვნენ რა დამონებულნი მაჰმადიანების მიერ, ერთმორწმუნეობის გამო ძველი დროიდან ყოველთვის ეძიებდნენ რუსეთის დიდ ხელმწიფეთა დახმარებასა და მფარველობას, მაგრამ არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მათ მოესურვებინოთ ცნობილ დამოკიდებულებაში ყოფნა. მათი ამჟამინდელი მიდრეკილების აღმძვრელ მთავარ მიზეზთაგან კი შემდეგი არის: ბუნებრივი მემკვიდრეები ქართლის სამეფო ტახტისა, რომელზედაც მეფე ირაკლი აყვანილია შაჰ-ნადირის მიერ, არსებითად არიან შთამომავლები მეფე ვახტანგისა, რუსეთში გაიქცეულისა თურქების მიერ საქართველოს დაპყრობისას. თავადმა ალექსანდრემ, ძემ ბაქარ უფლისწულისა და შვილიშვილმა ვახტანგ მეფისა, მეფე ირაკლით უკმაყოფილო ქართლელებთან ურთიერთობისას და დარწმუნებულმა მეფედ გახდომის შესაძლებლობაში, დატოვა რუსეთი მამისეულ სამემკვიდრეო ტახტზე ასვლის განზრახვით... მეფეს ჰქონდა საფუძვლიანი მიზეზი უკიდურესად შეშფოთებულიყო მოსალოდნელი არასაიმედო შედეგების გამო...*“ [1] [1, 18-19].

ცხადია, ბურნაშევისათვის ცნობილია ქართველ მეფეთა სწრაფვა, მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების აგრესიისაგან თავდასაღწევად მიეღოთ შემწეობა

[1] რუსული ტექსტის თარგმანი აქაც შემდეგშიც ჩვენია – დ.მ.

რუსეთისაგან და მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ფიქრობს, რომ ეს გარემოება ყოფილიყო მიზეზი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით გათვალისწინებულ *„ცნობილ დამოკიდებულებაში“* მათი მოქცევისა. ეს ლოგიკურიცაა: გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო იმ დროს არათუ *„დამონებული არ ყოფილა მაჰმადიანების მიერ“*, ტრაქტატის გაფორმების წინა ხანებში სამხედრო-პოლიტიკურ სარბიელზე მეზობელ მაჰმადიან მფლობელებთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებებისა და ჰეგემონობის დამტკიცების შემდეგ მეფე ერეკლემ თავის ძალაუფლებას იქით დაუქვემდებარა რამდენიმე ისლამური სახანოც.

ფაქტობრივად, ერთადერთ მიზეზად, რამაც უბიძგა ერეკლე II-ს რუსეთის მფარველობაში შესულიყო, ბურნაშევი ასახელებს ალექსანდრე ბაქარის ძის მცდელობას ქართლის სამეფო ტახტი წაერთმია ერეკლესათვის. ამას ეხმიანება ერეკლეს წერილიც პ. პოტიომკინისადმი, სადაც მეფე თავის შეშფოთებას ვერ მალავს ამის გამო და ითხოვს, მომავალშიც არ ჰქონდეს ადგილი მსგავს გამოხდომებს. ერეკლეს შეშფოთება უსაფუძვლო არ ყოფილა: მეფობის მსურველი მარტო არ მოქმედებდა, მას თანამზრახველები ჰყავდა როგორც სახელმწიფოს სამეზობლოში, ისე თავად ქართლშიდაც და, რაც მთავარია, ალექსანდრე ბატონიშვილის გააქტიურებაში ერეკლე II-ზე ზეწოლის მოსახდენად აშკარად ჩანს რუსული ხელი, რათა მეფე მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმებაზე დაეყოლიებინათ. ტრაქტატის საგანგებო მუხლით ერეკლემ რუსეთისაგან ქართლის ტახტის თავისი შთამომავლობისათვის

შენარჩუნების გა-რანტია მიიღო [4]. სხვა საკითხია, როგორ შეასრულა (უფრო სწორად, არ შეასრულა) რუსეთმა მიცემული პირობა.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე ბაქარის ძემ ამრიგად რუსეთისათვის „თავისი მისია“ შეასრულა, ერეკლეს მთავარ მეტოქესთან და დაუძინებელ მტერთან, ფათ-ალი-ხანთან მყოფს პ. პოტიომკინის ბრძანებით თავის უახლოეს გარემოცვასთან ერთად რუსეთში დააბრუნეს. ამის თაობაზე 1783 წლის 11 დეკემბერს პ. პოტიომკინი ბურნაშევს წერდა: *„ძოაბსენეთ მეფე ირაკლის საიდუმლოდ, რომ თავადი ალექსანდრე ბაქაროვი და მასთან ერთად ამილაბვაროვი უცხვირო, და კიდევ ორი კაცი დერბენტიდან აყვანილია და უკვე მოყვანილნი არიან ასტრაბანში, და რამდენად ბევრადაც არ უნდა აერიდებინა თავი ფათ-ალი-ხანს მათი გადმოცემისათვის, იძულებული იყო. ამრიგად, შეიძლება მეფეს მიელოცოს, რომ ის ამ მხრივაც დამშვიდებული დარჩება“* [2, 14].

ერეკლეს დამოკიდებულება რუსეთისადმი

ბურნაშევისადმი მიწერილ პ. პოტიომკინის წერილებში იკვეთება ტრაქტატის გაფორმების წინ ერეკლეს მერყეობა და უნდობლობა რუსების მიმართ, რის გამოც საქართველოში მოვლენილი პოლკოვნიკს მიეთითებოდა: რომ საჭირო იყო ქართველებში რუსეთის მიმართ ყოველგვარი ეჭვის გაფანტვა და მას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა მოეხერხებინა *„მეფის უნდობლობა შეეცვალა საჭირო პირდაპირი ერთგულებით.“* წერილი დაწერილია ტრაქტატის გაფორმებამდე 4 დღით ადრე 20 ივლისს [2, 6].

სხვაგან ჩანს, რომ პ. პოტიომკინი ხვდება რა, რომ ერეკლეს მისი სიტყვების (მისი სახით კი საერთოდ რუსეთის) მაინცდამაინც არ სჯერა, ამიტომ როცა საიდუმლო ბარათს უგზავნის ერეკლეს, ბურნაშევს ავალებს, ურჩიოს მეფეს, რომ ბარათის თარგმანი ბურნაშოვისავე მეთვალყურეობით შეასრულოს გაიოზ არქიმანდრიტმა და ბოლოს დასძენს: *„იმედს გამოვთქვამ, რომ მეფეს ყველა სიტყვას დააჯერებთ“*. 10 მარტი, 1784 წ. [2, 19].

ერეკლეს ამგვარი დამოკიდებულების ფონზე აქვე თვალშისაცემია რუსული მხარის განსაკუთრებული დაინტერესება ტრაქტატისადმი. გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის წინ პ. პოტიომკინი ბურნაშევს თხოვს, შეატყობინოს, *„როგორი სულისკვეთებით მიიღებს მეფე ტრაქტატის დადებას“* [2, 7]. უნდა ვიფიქროთ, რომ ტრაქტატს ერეკლე დიდი აღტაცებით არ შესვედრია. თუმცა, ტრაქტატის დადება თბილისში აღნიშნეს ზეიმით, რისი აღწერილობაც ბურნაშევს პ. პოტიომკინისთვის გაუგზავნია. *„თქვენი ღლესასწაულები არის კმაყოფილების გამოხატულება“* — თავის მხრივ კმაყოფილებით აღნიშნავს თავადი პოტიომკინი ამის გამო იმავე წლის 31 აგვისტოს წერილში [2, 8]. მაგრამ ტრაქტატის დადების შემდეგ მეფეს რუსეთში კმაყოფილებისა და მადლიერების გამოხატვით აღსავსე წერილები არ გაუგზავნია, რაშიც კავკასიის ხაზის მეთაურს დიდი კეთილგანწყობილების ნიშანი ვერ ამოუკითხავს. *„ძალზე უცნაურია ჩემთვის, რომ ტრაქტატის დადების შემდეგ მეფე ირაკლის ჩემთვის არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, რასაც თვით კეთილგანწყობილება მოითხოვდა“*, — აშკარა

უკმაყოფილებითა და იჭვნეულად წერდა გენერალ-პორუჩიკი ბურნაშევს და იქვე დასძენდა: „*მაცნობეთ, კმაყოფილნი არიან თუ არა მისი ელჩები აქ ცხოვრების პირობებით, მიღებითა და საჩუქრებით*“ [2, 9]. უნდოდა რა გაეგო, ქართველი ელჩები აქედან რაიმეთი უკმაყოფილონი ხომ არ წაბრძანებულანო.

რუსეთის მცდელობები საქართველოში პრორუსული ორიენტაციის გასაძლიერებლად

ბურნაშევის არქივის მასალებში პ. პოტიომკინის უკმაყოფილება ერეკლესადმი სხვაგანაც შეიმჩნევა: კავკასიის ჯარების მეთაური ვერ მალავს, რომ არ ესიამოვნა მისადმი ერეკლეს რეკომენდაცია ვინმე რუსი მოხელე აპრაქსინის შესახებ: „*გულაბდილად გეტყვით, რომ ასეთ შემთხვევაში მე ვისურვებდი მეფისაგან მეტ ყურადღებას. აპრაქსინი ჩემთვის უფრო ადრიდან ნაცობია, ვიდრე მისთვის, ხოლო ადერბიჯანელი მთავრების საქმე, რაზედაც ის დუმს, უფრო მოითხოვდა მისი მხრიდან ახნას... ახლა კი, ჩემდამი ჯეროვანი უწყების ნაცვლად, მეფემ ბრძანა სიტყვიერად ეთქვათ ჩემთვის, რომ იბრაჰიმ-ხანზე დაყრდნობა არ შეიძლება,... მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ასეთ შემთხვევებში მეფეს სიტყვიერად არ ეცნობებინა ჩემთვის. მე მის სახლს იმდენად ბევრი სიკეთე გავუკეთე, უფლება მაქვს, მოვითხოვო ჩემდამი მეტი გულრწფელობა.*“ წერილი დათარიღებულია 1783 წლის 8 ნოემბრით [2, 12].

პ. პოტიომკინმა შესანიშნავად იცოდა რა ერეკლეს განწყობილებათა შესახებ, ვინაიდან თვითონ იყო ქართველი მეფისადმი ტრაქტატის თავს მოხვევის საქმის მთავარი განმახორციელებელი პირი, ცდილობდა იგი

მუდმივ კონტროლში ჰყოლოდა. სოლომონ I-ის მოულოდნელი გარდაცვალების შეტყობის შემდეგ, იმერეთის საქმეებზე მითითებების თანადროულად, პ. პოტიომკინი ბურნაშევისაგან ითხოვდა: *„თავის მხრივ საჭიროა, მეფეს მიაქციოთ ყურადღება“*. 13 მაისი, 1784 წელი [2, 24]. შესაძლებელია, უფრთხოდნენ იმერეთის საქმეებში ერეკლეს ჩარევას, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემდა თავისი გავლენა დაემყარებინა დასავლეთ საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, რუსეთის ინტერესებში სულაც არ შედიოდა.

ეპისტოლეებში არაერთი უწყება გვხვდება იმისა, როგორ ცდილობდა რუსეთის ხელისუფლება, რაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეპოვებინა მთლიანად სამეფო ოჯახისა და ასევე ქართველი წარჩინებული ზედაფენის კეთილგანწყობილება (ასე რომ, მხოლოდ ტრაქტატის ხელმოსაწერად ჩასული ქართველი ელჩების გულის მოსაგებად არ უზრუნია). ამ მიზნით პ. პოტიომკინი იმპერატრიცას სახელით მრავლად აგზავნიდა საჩუქრებს საქართველოში და შემდეგ თავის პოლკოვნიკ „კომისიონერს“ თხოვდა ეცნობებინა მისთვის, რამდენად კმაყოფილნი დარჩნენ საჩუქრებით დედოფალი, მეფის ასულები და ერეკლეს უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, ისევე როგორც სურდა შეეტყო, როგორი კმაყოფილი იყო ერეკლე მეფე ეკატერინეს „გულუხვობით“, როცა იმპერატორისაგან ებოძა *„მოწყალების ნიშნები, რომელმაც ასე მნიშვნელოვნად აამაღლა მისი მეფური ღირსება“* [2, 16]. თუმცა, რასაკვირველია, ერეკლეს ისედაც მაღალ „მეფურ ღირსებას“ ეს ნიშნები ბევრს ვერაფერს შემატებდა. თვით

მეფისთვის კი ტრაქტატის დადების აღსანიშნავად პ. პოტიომკინს საჩუქრად ცხენი მოურთმევია მოზდოკელი იასულის ხელით (1783 წ. 31 აგვისტოს წერილი) [2, 8].

რუსეთის ხელისუფლებას, ბუნებრივია, ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ერეკლეს ვაჟები. 1783 წლის 8 ნოემბრით დათარიღებული წერილის მიხედვით პ. პოტიომკინი ელოდება ბატონიშვილ მირიანის გამგზავრების შესახებ ცნობებს [2, 12]. როგორც ჩანს, რუსეთთან ურთიერთობის გამო გარკვეულ უკმაყოფილებას გამოხატავდა ვახტანგ ბატონიშვილი. ამიტომ პ. პოტიომკინი ბურნაშევს ავალებს ბატონიშვილის დარწმუნებას, *„რომ ის არ დარჩება გამხნევების გარეშე“* (26 დეკ. 1783 წ.) [2, 15]. ბატონიშვილებზე მეტი შთაბეჭდილებისა და გავლენის მოსახდენად გადაწყდა რუსეთშიც მიეწვიათ ზოგიერთი მათგანი. ამისათვის შესაფერის დროდ კი ერეკლეს მიერ დამტკიცებული გეორგიევსკის ტრაქტატის რუსეთში წაღება იქნა შერჩეული. 1784 წ. 11 მაისს ბურნაშევმა მიიღო უწყება: *„დროა, რათა მეფისწულები გაემგზავრონ პეტერბურგში, რამეთუ ბატონ ტომარასათვისაც რატიფიკაციის წაღების დროა. თხოვეთ მის უმაღლესობას, რათა ინებოს [მათი] გაგზავნა“* [2, 23]. მომდევნო წერილში პ. პოტიომკინი საგანგებოდ ინტერესდება ვახტანგ ბატონიშვილის პიროვნებით: *„ჩემთვის საჭიროა, ვიცოდე ვახტანგ მეფისწულის თვისებები, რის თაობაზეც მაუწყეთ“* — წერს პ. პოტიომკინი ბურნაშევს [2, 23].

ერთხელ პ. პოტიომკინის ყურამდე მოუღწევია ხმებს, რომ *„თავადებისათვის ნაბოძები საჩუქრებიდან, ისინი ზოგიერთებს ჰყიდიანო“*, რასაც მასში გარკვეული

აღელვება გამოუწვევია (შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ იქნებ მათთვის ეს საჩუქრები არც ისე მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს, რაკი ასე იოლად იმეტებენ გასაყიდად) და კვლავ ბურნაშევს თხოვდა: გარკვეულიყო ამ საკითხში და მისთვის მოეხსენებინა (წერილი ბურნაშევმა მიიღო 1784 წლის 15 მაისს) [2, 23].

იმხანად რუსეთისათვის აქ თავისი გავლენის გაძლიერების გზად ქართველების გულის მოგება რომ ჰქონდათ დასახული, ამაზე უშუალო პირდაპირობით მეტყველებს კიდევ ერთი დეტალი: თავად ერასტი ამილახვარს საჩივრით მიუმართავს პ. პოტიომკინისათვის, რომ საქართველოში გაგზავნილ რუსულ ჯარში მომსახურე *„მკურნალმა წაართვა მას ცოლი, ხოლო თვით მას თავი გაუტეხა“*. ამის გამო ბურნაშევმა მიიღო დავალება, გარკვეულიყო საქმის ვითარებაში და შედეგი ეცნობებინა ზემდგომისათვის. ამას თან ახლდა მკაცრი მითითებაც: *„არ დაუშვათ თვითნებობის დაწყება იმ ქვეყანაში, სადაც უნდა მოვიგოთ გულები და მივიბათ ჩვენზე“* (не допускайте своеволству начинатся в той земле, где должно ловить сердца и привязывать к себе) [2, 15].

რუსული ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობდა, არ დაეშვა ერეკლეს გულში რუსეთისადმი ეჭვისა და უნდობლობის გაღვივება და მეფის არაპრინციპულ თხოვნების შესრულებაზეც უყოყმანოდ იძლეოდა თანხმობას: *„მეფის თხოვნა – ასწავლოთ მედოლეებსა და ფლეიტისტებს, უნდა შესრულდეს, რამეთუ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო შეერთებას არ შეუძლია დაუთმოს ადგილი მცირე ეჭვსაც კი“*. აღსანიშნავია, რომ საქართველოში რუსული ბატალიონების მეთაურს ასეთი

უმნიშვნელო საკითხების გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდა და ისევე როგორც ყველა წვრილმანი ზემდგომ ხელმძღვანელობასთან უნდა შეეთანხმებინა. პ. პოტიომკინი ბურნაშევს იქვე ნებას რთავდა, რომ *„რეგულარობის ზოგიერთი წესის შემოღებაც დაუბრკოლებრივ შეიძლებოდა შესრულებულიყო“* [2, 15]. ნიშანდობლივია, რომ საუბარი არის რეგულარობის მხოლოდ „ზოგიერთ წესზე“, – ეს ნათლად მიუთითებს, რომ საკუთარ მფარველობაში მიღებულ სამეფოში ადგილობრივი ეფექტური მუდმივი ჯარის ჩამოყალიბება რუსეთში მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ.

რუსეთის ინტერესები და მიზნები საქართველოში

საკითხის ამგვარი განხილვისას იბადება კითხვა: რა განაპირობებდა რუსეთის ასეთ დაინტერესებას ერეკლე II-თი? ბურნაშევის არქივი ამ საკითხებზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა.

რუსეთმა 1782 წელს წარმატებით გადაჭრა რა თავის სასარგებლოდ ყირიმისა და ყუბანისპირეთის საკითხი ოსმალეთის ხარჯზე, იმავდროულად ერთობ გააქტიურა თავისი პოლიტიკა ამიერკავკასიაშიც, სადაც თავის ერთადერთ მეტოქედ ისევ ოსმალეთი ესახებოდა. პ. პოტიომკინი ბურნაშევს ტრაქტატის ხელმოწერის წინ კმაყოფილებით ატყობინებს, რომ ვინაიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან გაძევების მიუხედავად, *„დადასტურებულია ყველგან პორტაში, გამოთქვან სამშვიდობო განწყობილება“*, *„ეს გარემოებები, ჩანს, გაუხსნის, ასე ვთქვათ, ხელებს მათ ამორეცხვას ამიერკავკასიის მხარეში, და ამიტომაც საჭიროა, რომ მათი მდგომარეობა ვიცოდეთ მალე“* [2, 7]. უფრო ადრე, რუსეთის იმპერიის საგარეო

პოლიტიკის წარმმართველი გრიგოლ პოტიომკინი 1783 წლის 16 ივნისის საგანგებო ბრძანებულებაში ბურნაშევს ავალებდა *„უსწრაფესად შეეძგინა საქართველოს რუკა, მისი საზღვრების შეძლებისდაგვარად ზუსტი განსაზღვრით, განსაკუთრებით თურქეთის მხრიდან“* [2, 3].

რუსეთი ცდილობდა ასევე გამოეყენებინა ერეკლე მეფის სადაზვერვო ქსელი, რათა მიეღო დაწვრილებითი ცნობები თურქეთში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ მხარეებში მიმდინარე ამბების შესახებ. პ. პოტიომკინი 1783 წლის 19 ნოემბერს ბურნაშევს სწერს, რომ მას ერეკლესათვის უთხოვია *„ეცნობებინა მისთვის ყველა გარემოებათა შესახებ, რაც ისმის თურქულ საზღვრებში“* და ამგვარი ცნობები რაც შეიძლება ხშირად მიეწოდებინა მისთვის. აქვე ვიგებთ, რომ მას ასევე უთხოვია მეფისათვის, *„შეერჩია სანდო კაცი, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულ ყოფილიყო კონფიდენტად* (ჯაშუშად) “ [2, 12-13]. ჩანს, რომ გენერალი არ აპირებდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ერეკლეს მიერ მიწოდებული ცნობებით და სურდა ჯაშუშობისათვის გამოსადეგი ისეთი კაცის მოძებნა, რომელიც უშუალოდ მას მიაწვდიდა მოპოვებულ ინფორმაციას, რაშიც ისევ ერეკლეს დახმარებას საჭიროებდა.

ბურნაშევის არქივიდან ჩანს ასევე, რომ რუსეთში ჭარელი ლეკების საკითხსაც განიხილავდნენ და საჭიროების შემთხვევაში მათ დამორჩილებასაც არ გამორიცხავდნენ. ეს დაღესტნური თემები მათ მიერ მიტაცებულ, კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში ბინადრობდნენ და ერეკლე II-ის რუსეთთან კავშირის გამო, ოსმალეთის წაქეზებით სხვებზე მეტად აზარალებ-

დნენ აღმოსავლეთ საქართველოს. პ. პოტიომკინი საიდუმლოდ ითხოვდა ბურნაშევისაგან *„ნათელ და დაწვრილებით ცნობებს“, რათა „საფუძვლიანად სცოდნოდა“ „რა ხალხია ჭარელები, საქართველოს რომელ ნაწილში არიან, როგორი საფუძველი აქვთ, ვის ემორჩილებიან, დიდი ხანია, რაც მისი ბრწ. მეფე ირაკლის ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან? რამდენი შეიარაღებული უნდა დავითვალოთ ყველა მათგანი, რომელი მხრიდან და როგორ უფრო მოსახერხებელია მათი დამორჩილება?“* [2, 11]. უფრო გვიანდელი წერილიდან (მიღებული 1784 წლის 15 მაისს), სადაც პოტიომკინი ითხოვს მეტ დემოგრაფიულ და სამხედრო ხასიათის ცნობებს ჭარელი ლეკების შესახებ, ვიგებთ, რომ ეს ინფორმაციაც ერეკლე მეფისაგან უნდა ყოფილიყო მიღებული: *„მივიღე ცნობები ლეკების ყველა დასახლებების შესახებ, მაგრამ მე ვისურვებდი, რათა მათი დასახლების ჩამონათვალთან იქვე ნათქვამი იყოს, სად რამდენი მაცხოვრებელია და რამდენი მებრძოლი კაცი შეიძლება შეიკრიბოს. თხოვეთ მეფეს, რათა ასეთი ცნობები მომაწოდოს“* [2, 23]. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამდე თეორიული დამუშავების დონეს არ გასცდენია.

მიუხედავად სოლომონ I-ის გამოკვეთილი ანტიოსმალური ორიენტაციისა, რუსეთმა უარი თქვა იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღებაზე და ამის მთავარი მიზეზი სწორედ ოსმალური ფაქტორი იყო. თუმცა თავის პოლიტიკურ გავლენას დასავლეთ საქართველოში გულმოდგინედ უფრთხილდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ

პოლკოვნიკი ბურნაშევი საგანგებო წარმომადგენლად ინიშნებოდა როგორც ერეკლე II-ის, ასევე სოლომონ I-ის კარზე. ამავე მიზეზების გამო რუსეთში ფრთხილობდნენ, რომ სოლომონის პოლიტიკური ვექტორი ოსმალეთისაკენ არ გადახრილიყო. მართალია, სოლომონ I, ერეკლე II-ისაგან განსხვავებით, თავის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებში არანაირი ხელშეკრულების ძალით არ ყოფილა ხელშეკრული, პოტიომკინი ცდილობდა სრულ კონტროლქვეშ ჰყოლოდა იმერეთის მეფის დიპლომატიური ურთიერთობებიც და პირველ რიგში, სწორედ თურქულ მხარესთან წარმოებული. იგი სასწრაფოდ ავალებს ბურნაშევს *„მოიპოვოს სოლომონისაგან ახალციხის ფაშის მიერ მისადმი გაგზავნილი წერილის დედანი“* (26 დეკ. 1783 წ.) [2, 16]. პოტიომკინის შიში სოლომონ II-ის დიპლომატიური ურთიერთობების თაობაზე ადვილი ასახსნელია: დიდი მონდომების მიუხედავად, იმერეთის მეფემ ვერც სასურველი დახმარება მიიღო რუსეთისაგან და ვერც მფარველობა, მხოლოდ „გულუხვი“ დაპირებები. ამის გამო რუსეთისადმი მისი გულაცრუება სულაც არ იქნებოდა გამორიცხული.

რუსეთში გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს იმერეთის სამეფოში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ შექმნილ ვითარებასაც, რათა აქ რუსული პოლიტიკური გავლენა კვლავ ოსმალურს არ ჩაენაცვლებინა. ამიტომ პ. პოტიომკინი ბურნაშევს ავალებდა: *„ძალზე უნდა ეცადოთ, რომ იმერეთში იყოს სიმშვიდე,... რათა თურქები ამასობაში არ შემოძვრნენ.“* (13 მაისი, 1784 წელი). იმავე წერილში პ. პოტიომკინი ბურნაშევს წერს: *„მე ველი თქვენგან უტყუარ ცნობებს, სოლომონის შემდეგ*

ვინ დარჩა იმერეთში მფლობელად“ [2, 23-24]. მომდევნო წერილში კი ბურნაშევს ავალებს, სასწრაფოდ ჩავიდეს იმერეთში და შეისწავლოს იქ არსებული მდგომარეობა. ამასთან პ. პოტიომკინი ითხოვს: *„ჩემი რჩევების ძალით ახალ მეფეს და ყველა ჩინოსნებს მისცემთ რა დადებით საფუძველს, შემატყობინეთ რა განწყობილებაში ნახავთ მათ, თუ მშვიდად და რიგზე, მაშინ დაბრუნდით“* [2, 24]. *„დადებითი საფუძველის მიცემა“*, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა, ახალი დაპირებებითა და დაიმედებით იმერეთის ახალი მონარქის რუსულ ორიენტაციაზე მყარად დაყენება.

ამიერკავკასიაში რუსული გავლენის მკვეთრ ზრდას ოსმალეთი გულხელდაკრეფილი ვერ შეხედავდა. რუსეთის შიში, ოსმალეთს არ ესარგებლა ძლიერი ხელისუფლის მოულოდნელი გარდაცვალების გამო იმერეთში დაწყებული შიდა არეულობით, ასახულია ბურნაშევისადმი მიმართულ პ. პოტიომკინის კიდევ ერთ წერილში: *„თურქების თავშეყრა ყარსისა და ხაზიურუმის[2] მხარისაკენ თუმცა კი წარმოადგენს მათი მხრიდან სიფრთხილეს, რათა არ დაუშვან ამ მხარეში ჩვენი გაძლიერება, მაგრამ მათი განზრახვა, თუკი მართალია, შეიჭრნან იმერეთში, ძალზე მიუღებელია. ამისათვის საჭიროა მიღებულ იქნას უსაფრთხოების ყველა შესაძლო ზომები!“* (19 ივლისი 1784 წელი) [2, 24].

რაც შეეხება ირანს, ის აღნიშნულ ხანაში ქაოსს და ანარქიას მოეცვა. ოდესღაც ძლევამოსილი და მეზობლებისათვის შიშისმომგვრელი სახელმწიფო აღარ არსებობდა. იგი მრავალ ურთიერთმოქიშპე სახანოდ იყო

[2] იგულისხმება ერზრუმი.

დაშლილი. შაჰობის პრეტენდენტები კი თვით ეძიებდნენ რეგიონში ფეხმოდგმული რუსეთის მხარდაჭერას [5, 89-119]. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიაში ბატონობისათვის რუსეთი ირანს, ბუნებრივია, მეტოქედ ვერ მიიჩნევდა. სამაგიეროდ აქტიურად ცდილობდა აზერბაიჯანულ სახანოებზე თავისი გავლენის დამყარებას. ამ საქმეში რუსეთისათვის განსაკუთრებული როლი სწორედ ერეკლე II-ს უნდა შეესრულებინა, ვინაიდან პეტერბურგში ცნობილი იყო, როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა ერეკლე ხანებს შორის. მისი რიდიც ჰქონდათ და შიშიც მეტ-ნაკლებად.

ბურნაშოვის არქივიდან ჩანს, რომ რუსეთს განსაკუთრებით მიზანში ჰყავდა ამოღებული შუშის ანუ ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი. ამას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა: ა) განჯის, ერევნისა და ნახჭევნის სახანოები ერეკლეს ემორჩილებოდნენ და ვარაუდობდნენ, ქართველ მეფეზე რუსული გავლენის დამყარება ამ სახანოებზეც ავტომატურად უნდა გავრცელებულიყო. ბ) იბრაჰიმ-ხანთან კი ერეკლეს გამორჩეულად ახლო პოლიტიკურ-სამოკავშირეო ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა. ამიტომაც რუსეთში მიაჩნდათ, რომ ერეკლეს მის გადაწყვეტილებებზე და ორიენტაციაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეეძლო და ამიტომაც ღიად აკისრებდნენ კიდეც ამ მისიას.

ასეთი ვითარება არაერთხელ იჩენს თავს ბურნაშევისადმი მიმართულ წერილებში. 1783 წლის 11 დეკემბერი: *„გმართებთ, უკიდურესად ეცადოთ, რათა მეფე* (აქაც და შემდეგშიც იგულისხმება მეფე ერეკლე II – დ.მ.) *ურჩევდეს იბრაჰიმ-ხანს, გამოაგზავნოს ჩემთან*

საპატრიო მოხელეები. მე მაცნობებენ, რომ იბრაჰიმ-ხანი, შეშინებული ჩვენი ჯარებისგან, არა მარტო გასამაგრებლად ემზადება, არამედ [საჭიროების] შემთხვევაში გაქცევასაც ფიქრობს. ეს ყველაფერი არ თანხვდება ჩვენს ვარაუდებს და საჭიროა მისი დაყვავება და დაიმედება. მეფესთან მისი მეგობრობის გამო, ვგონებ, რომ ის მას დაუჯერებს“ [2, 14]; 1784 წლის 10 მარტი: *„გთხოვთ, აუხსნათ მეფეს, რომ იბრაჰიმ-ხანის საქციელი ჯერ სულაც არ არის გულრწყელი“, „ის მხოლოდ გვიმტკიცებს, რომ არის მეფის მეგობარი და სურს მისი მიბაძვა, და არ გადასცდება მის რჩევებს. თუკი იგი ნამდვილად ისმენს მეფის რჩევებს, მართებს, რომ მეფემ იგი დაარწმუნოს“* [2, 19-20]; 13 აპრილი 1784 წელი: *„მეფეს მართებს იბრაჰიმ-ხანის შეგულიანება ჭეშმარიტი შემობრუნებისაკენ“* [2, 20]. ბურნაშოვის არქივის მიხედვით დავალებებით ასე დატვირთული, სხვა ხანების მიმართ ერეკლე ნამდვილად არ ყოფილა.

ცხადია, რუსეთი ყარაბაღის ხანზე ისეთივე პოლიტიკური გავლენის დამყარებას ცდილობდა, როგორიც ეს ქართლ-კახეთზე მოახერხა. ამიტომ ცდას არ აკლებდნენ იბრაჰინ-ხანს თავის მეგობარ ერეკლესთვის „მიებაძა“, რაც უეჭველად რუსეთის „მფარველობაში“ შესვლას გულისხმობდა. ისევე როგორც ხანის *„ჭეშმარიტი შემობრუნება“*, რასაკვირველია რუსეთისაკენ შემობრუნებას, ღია რუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას უნდა ნიშნავდეს. ამ საქმეში კი ერეკლეს უმთავრესი როლი უნდა შეესრულებინა. მაგრამ მასალებიდან ჩანს, რომ შუშის ხანი რუსეთს არ ენდობოდა. კავკასიაში მისმა სამხედრო-პოლიტიკურმა აქტიურობამ ხანი დააფრთხო

და წინააღმდეგობის გასაწევადაც კი დააწყებინა სამზადისი (მარცხის შემთხვევაში იბრაჰიმს სახანოს დატოვების შემთხვევაც ჰქონია გათვლილი). ასეთ ვითარებაში, როგორც ბურნაშევისადმი მიმართული ერთი წერილიდან ჩანს, შეშინებული ხანისათვის ისევ ერეკლეს უნდა *„დაეყვავებინა და დაეიმედებინა“*. როდესაც დიპლომატიურმა ზეწოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რუსეთი იბრაჰიმ-ხანზე ზემოქმედების მოსახდენად ქართლ-კახეთის სამხედრო შესაძლებლობებით მუქარის გამოყენებასაც კი შეეცადა. ამ შემთხვევისათვის კი ერეკლეს თვალში ისეთ ელფერი უნდოდა მიეცა, თითქოს ქართული სამეფოს უსაფრთხოებისათვის ზრუნავდა. 1784 წლის 15 აპრილს პ. პოტიომკინისგან ბურნაშევმა მიიღო დავალება: *„საჭიროა, განამზადოთ მეფე, რათა მან თავისი ჯარები მიაახლოვოს, წარმოუდგინოთ რა მას საბუთად, რომ როცა იბრაჰიმ-ხანი და სხვანი შეიარაღებულნი არიან, საჭიროა, რომ იგიც შეიარაღებული იყოს, რათა მოულოდნელად მას რაიმე ზიანი არ მიაყენონ“*. ბუნებრივია, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შედეგად, რუსული ინტერესებიდან გამომდინარე, ახალი პოლიტიკური სინამდვილის ჩამოყალიბების გამო ერეკლესა და იბრაჰიმს შორის ურთიერთობის გაცივება გარდაუვალი იყო. რუსული საფრთხით შეფიქრიანებული იბრაჰიმ-ხანი ერეკლეს კარგი თვალით აღარ უყურებდა და მალე ღია მტრობაც კი დაუწყო. თუმცა ურთიერთობის საბოლოო გაფუჭებამდე რუსეთში ჯერ კიდევ ცდილობდნენ ერეკლეს ფაქტორის გამოყენებას. პ. პოტიომკინისაგან ბურნაშევის პირით ერეკლეს მითითება ეძლეოდა, *„რათა მან ეს საძაგელი ხანი არ გაიუცხოოს, მისი დაიმედებით*

მოიყვანოს ჩემთან მჭიდრო კავშირში, ხოლო ამასობაში განზე არ გაუშვას“ (1784 წლის 7 აპრილი) [2, 21].

ქართლ-კახეთის სამეფოსთან სასურველი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რუსეთის პოლიტიკური ამბიციები კავკასიონის გადმოღმა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ის თავისი გავლენის დამყარებას უკვე სამხრეთ, ანუ ირანის აზერბაიჯანშიაც ლამობდა და ამისათვის მზად იყო ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა. ასე მაგ., თავრიზის ხანს კავკასიის ხაზის მთავარსარდლისათვის თავის წერილში უთხოვია მკურნალი ექიმის გაგზავნა. პ. პოტიომკინმა ასეთი „არაპოლიტიკური“ თხოვნაც კი მაშინვე რუსეთის ველიკოდერჟავული ინტერესებისათვის გამოსაყენებლად მიმართა და ბურნაშევს მისწერა: *„გაუგზავნეთ მას [ექიმი] თქვენი წერილითურთ, უთხარით რა, რომ მე მოვიწერე ბრძანება მკურნალის გაგზავნისა, რომელიც თქვენთან იმყოფება, და თუკი ის საიმედოა, დაავალეთ მას, ხანის განწყობილება რუსეთის პირდაპირ ერთგულებამდე მიიყვანოს. დაავალეთ მას, რათა მან განუწყვეტლივ უმტკიცოს ხანს რუსეთის დიდებულების შესახებ, იმპერატრიცას შეუდარებელი გულუხვობის შესახებ, რომ შთაუნერგოს, რამდენად დიდია ჩვენი ჯარების დიდება და რამდენად სასარგებლოა მისთვის მფარველობის შეძენა დიდი ეკატერინესი!“* (26 დეკემბერი, 1783 წელი) [2, 16].

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ერეკლეს სამეფო კარზე მოღვაწე გერმანელი ექიმი იაკობ რაინეგსი. დოქტორი რაინეგსი უკვე სარგებლობდა დიდი ნდობითა და პატივისცემით სამეფო კარზე, შესწავლილი ჰქონდა ქართული ენაც, ამიტომ ჩაითვალა შესაფერის

პიროვნებად რუსეთის იმპერიული მიზნების განსახორციელებლად ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ. იგი სასწრაფოდ დაიბარა თავისთან პ. პოტიომკინმა. გადაიბირა რა თავის სამსახურში, მიანიჭა მას პოლკოვნიკის წოდება და დანიშნა თავის „კომისიონერად“ ერეკლეს კარზე. რაინეგსს თავის საქმიო მოღვაწეობის კუალად, გამოიყენებდა რა სამეფო ოჯახისაგან უკვე მოპოვებულ ნდობას, უნდა დაერწმუნებინა ერეკლე, მიემართა რუსეთის იმპერატრიცასათვის მფარველობის მიღების თხოვნით [3, 14]. რაინეგსი თბილისში დაბრუნდა 1782 წელს და ერეკლეს მომდევნო პოლიტიკურ ნაბიჯები ცხადად ადასტურებს, რომ მოგზავნილი ექიმის „საკომისიონერო“ მისია რუსეთისათვის ერთობ შედეგიანი აღმოჩენილა.

ყოველივეს გათვალისწინებით, რა გასაკვირია, უკვე წარმატებით მოსინჯული ხერხის გამოყენება პოტიომკინს თავრიზის ხანის მიმართაც ეცადა. თუ სასურველ შედეგს არ გამოიღებდა, დასაკარგიც არაფერი იქნებოდა. თუმცაღა ბურნაშევის არქივიდან აღარ ჩანს, რა ბედი ეწია ამ წამოწყებას.

ბურნაშევის არქივიდან ჩანს, რომ რუსეთის კავკასიური პოლიტიკის განმახორციელებელი პ. პოტიომკინს არ გამოჰპარვია ერთი შეხედვით პოლიტიკურად ისეთ უმნიშვნელო საკითხი, როგორც იყო ერეკლეს ვაჟებს შორის დავა საპატარძლოს გამო, რომელიც უფროსს, გიორგის თავის სარძლოდ მოსწონებია, ხოლო ვახტანგ ბატონიშვილს იგივე ქალი თავისთვის ნდომებია. ბურნაშევს ეს ამბავი ისეთი მნიშვნელობისათვის არ უცვნია, რომ იგი კავკასიის ხაზის სარდლისათვის შეეტყობინებინა. ამის გამო

მან 1784 წლის 13 აპრილს პოტიომკინისაგან მიიღო საყვედური და იქვე – საგულისხმო მითითებაც: *„გირჩევთ ყველანაირად შეეცადოთ მათ შერიგებას. დაარწმუნეთ ისინი, რომ საშინაო დავა არის მათი სახლის დაღუპვა და შერცხვენა და სარგებელი მათი მტრებისათვის... შეეცადეთ, აუხსნათ მათ, რომ არ არსებობს დედამიწაზე არც ერთი ქალი, რომლის გამოც ძმებმა შეიძლება იჩხუბონ, მითუმეტეს სამეფო გვარის ძმებმა; და მითუმეტეს არ შეეფერებათ მათ, რამეთუ არც ერთი მათგანი საპატარძლოს არ იცნობს“* [2, 20][3]. პ. პოტიომკინი, როგორც შორსმჭვრეტელი დიპლომატი კარგად აცნობიერებდა, რომ მეფისწულებს შორის დაწყებული დავა თუ გაღრმავდებოდა, მას შეიძლებოდა პოლიტიკური სახეც მიეღო და ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორის საპირისპირო, ხოლო რუსეთისათვის არასასურველ პოლიტიკურ ორიენტაციაზე გადასვლით დასრულებულიყო, რაც თავის მხრივ სამეფოზე რუსეთის უცილობელ გავლენას შეუქმნიდა საფრთხეს.

მსგავსი პრინციპით ხელმძღვანელობს პ. პოტიომკინი, როცა მონდომებით ცდილობს ერეკლე II-სა და სოლომონ II-ის შერიგებას: მთავარი იყო, არცერთ მათგანს მეორესთან დაპირისპირების გამო პრორუსული ორიენტაცია არ უნდა შეეცვალა. ამავე დროს მათ შორის სადავო საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობდა ორივე მეფის შეთანხმებული მოქმედების წარმართვას რუსეთის ინტერესების შესაბამისად. იმერეთისა და ქართლ-კახეთის

[3] ეს ფაქტი იმითაც არის საინტერესო, რომ პ. პოტიომკინს თავისი სხვა დამატებითი საინფორმაციო წყაროები გააჩნდა საქართველოში და მხოლოდ ბურნაშევის მოწოდებულ ცნობებს არ სჯერდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წყაროებით გარკვეულწილად თავისი კომისიონერის მოწოდებული ცნობების გადამოწმებასაც ახდენდა.

მეფეების შერიგების მითითება ბურნაშევს მიულია 1783 წლის 20 დეკემბერს [2, 15]. სამიოდე კვირის შემდეგ, პოტიომკინი იმეორებს სოლომონისა და ერეკლეს შერიგების საჭიროებას: *„თუ მშვიდობის აღდგენა შესაძლებელია ორ მეფეს შორის ისე, რომ არცერთი მათგანი არ დარჩეს შეურაცხყოფილი, მით უკეთესი“* [2, 15-16]. შერიგების საკითხი ასახულია სოლომონ I-ის 1783 წლის 19 ოქტომბრის წერილშიც ბურნაშევისადმი, სადაც იმერეთის მეფე აყალიბებს მეფეთა შორის უთანხმოების გამომწვევ მიზეზებს და გამოთქვამს მზადყოფნას, რომ პოლკოვნიკის ძალისხმევით ამ მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ მან ერეკლე II-სთან „ძმური“ ურთიერთობა იქონიოს [2, 34].

ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ

ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებას მისი რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ საინტერესოდ აღწერს რუსეთის საგანგებო წარმომადგენელი ერეკლეს კარზე, სტეფანე ბურნაშევი თავის თხზულებაში საქართველოს შესახებ: *„სრულიად რუსეთის იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობაში საქართველოს მიღების შესახებ ტრაქტატის საზეიმოდ დადების შემდეგ, როგორც კი ჩვენი ჯარები შევიდნენ იქ, მთელი ადერბიჯანელი ხანები და სხვებიც უფრო იქით სპარსეთში ძლიერ შეშფოთდნენ, მიუხედავად მათი კეთილდღეობისა და სარგებლობისადმი რუსეთის კეთილი განწყობის შესახებ დაიმედებისა, წინასწარ შეპყრობილნი თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშით, და განმტკიცებულნი იყვნენ ამ აზრით კიდევ უფრო ოტომანთა*

პორტას შთაგონებით, რომელიც განუწყვეტელი მისიებითა და მფლობელებისთვის არცთუ მცირე საჩუქრების დარიგებით ცდილობდა მფლობელთა რაც შეიძლება ძლიერად მათ აღძრას მეფის წინააღმდეგ, და ამასაც მიაღწია: იბრაჰიმ-ხან შუშელმა დაუწყო მავნებლობა თავიდან საიდუმლოდ, ყოველი ხერხით, თუმცა კი ეს შესამჩნევი იყო. მისი მეცადინეობით მორჩილებიდან განდგა განჯა.“ ერევანშიც „სულეიმან-ფაშას უწყვეტი ბრიკებით“ „მეფეს ხარკს ალარ უხდიან სხვადასხვა საბაბით და ერევანიც მეფის ძალაუფლებისაგან ჩამოცილების უკანასკნელ მიჯნაზე დგას. მეფის მფლობელობაში მყოფი თათარი ხალხები: ყაზახელები, შამშადილელები და შამქორელები, საუკეთესო მეომრები და მდიდარი ადამიანები, დატოვეს რა თავიანთი მიწები, წავიდნენ შუშის ხანის მხარეში და ახლა მას ემსახურებიან მეფის წინააღმდეგ.“ თურქეთის პორტამ, – განაგრძობს ბურნაშევი – საქართველოდან ჩვენი ჯარების გამოსადევნად *„განავრცო თავისი ჩაგონებანი ხარბ დალესტნელებზე,... ფულისა და დაიმედეობის მეშვეობით იმოქმედონ ახალციხის მხრიდან კავშირში, დაარწმუნა ავარიის უმა-ხანი* (იგულისხმება ომარ-ხანი – დ.მ.) *მთიელთა შესაძლებელი ძალების შეყრით აშკარა ომით წამოვიდეს მეფეზე.“* ომარ-ხანმაც *„მოაგროვა რა სხვადასხვა მთიელ ხალხთაგან 11000-მდე, მოვიდა მდინარე ალაზანზე და შეუერთდა რა აქ მთიელებსა და ბელაქ-ნელებს, საქართველოს შეურიგებელ მტრებს, გაძლიერდა 20000-მდე“* და საქართველოში შემოიჭრა [1, 15-17].

საქართველოში მყოფი რუსული ჯარების მეთაურის მიერ გაკეთებული ეს მოკლე დახასიათება მთელი სისრულით ასახავს ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის შედეგად სამეფოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, რაც განსაკუთრებით დამძიმდა აქ ორი რუსული ბატალიონის შემოსვლის შემდეგ. ნიშანდობლივია, რომ რუსი კომისიონერი არ ასახელებს არც ერთ დადებით შედეგს, რაც ტრაქტატის დადებასა და რუსული ჯარების შემოსვლას მოუტანია ერეკლეს სამეფოსათვის. ამრიგად, ბურნაშევის მიხედვით, პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება გამოხატულა შემდეგში:

1. ქართული სამეფოს შეშინებულმა და შეშფოთებულმა ყველა მეზობელმა ხანმა საერთო მტრობის პირი შეკრა ერეკლეს წინააღმდეგ. მეფეს ზურგი აქციეს მისმა მოკავშირე ხანებმაც. ერთ დროს მისი მეგობარი და ერთგული შუშის ხანიც ერეკლეს მტრად მოეკიდა.

2. ერეკლეს მორჩილებაზე უარი განაცხადა მისმა მოხარკე განჯის სახანომ. ერეკლეს ძალაუფლება იმდენად შერყეულა ერევანშიც, რომ იგი უკვე ბეწვზეც კი ეკიდა.

3. ერეკლეს ქვეშევრდომობაში მყოფი მუსლიმური თემები (ყაზახელები, შამშადილელები და შამქორელები), რომელთაგან ქართლ-კახეთის ლაშქარი საიმედო და არცთუ უმნიშვნელო შეევსებას იღებდა, ყარაბაღში გადაიხვეწნენ და ახლა იქაურ ხანს დაუდგნენ გვერდში ერეკლეს წინააღმდეგ.

4. ერეკლეს უკიდურესად გაუფუჭდა ურთიერთობა ოსმალეთთან (რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წლების ომში

რუსეთის მხარეზე ბრძოლის გამო მასთან ერთხელ უკვე გაფუჭებული ურთიერთობის მოწესრიგება მანამდე ერეკლემ დიდი ძალისხმევის ფასად შეძლო), რომლისთვისაც რუსეთი უმთავრესი მეტოქე იყო რეგიონში. ოსმალეთმა ყველა საშუალებით დაიწყო ქართლ-კახეთის ისედაც შეშფოთებული მაჰმადიანური სამეზობლოს ამხედრება რუსების მოკავშირე ქართველების წინააღმდეგ.

5. ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მუშავდებოდა სამხედრო გეგმა, რომლის მიხედვით, სამეფოზე ერთდროულად უნდა მიეტანათ იერიში ახალციხის საფაშოდან და დაღესტნიდან. საბოლოოდ ოსმალთა წაქეზებით, ავარიის ხანი დაღესტნელთა ძალების იშვიათი მობილიზაციის შედეგად, 20 ათასიანი ჯარით შემოიჭრა საქართველოში, სოფლებისა და სავარგულების გარდა ააოხრა სპილენძისა და ვერცხლის გადამამუშავებელი საწარმოები (ბურნაშევი მხოლოდ ვერცხლისას ასახელებს). დაღესტნელთა დიდი ძალების მრავალგზის დამმარცხებელმა ერეკლემ კი ამჯერად ვერ შეძლო ომარ-ხანის შეჩერება და იძულებული გახდა მას ძალზე არასასურველი პირობებით დაზავებოდა.

სხვაგან ბურნაშევი აღნიშნავს, რა რომ დარეჯან დედოფალი, რომელიც თუმცა *„იმავე საშიშროების გამო* (ქართლის ტახტის დაკარგვა – დ.მ.) *გადაიხარა რუსეთთან ტრაქტატის დადებისაკენ“*, რის გამოც ერეკლე II, იგი *„ახლა ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ არ უსაყვედუროს მეფეს ქვეყნის გაჩანაგების გამო“* [1, 19]. აქ რუსი პოლკოვნიკი მისდაუნებურად ირიბად მიუთითებს, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლამ სამეფოს მდგომარეობაზე ყოველმხრივ უარყოფითად იმოქმედა და „ქვეყნის გაჩანაგება“ გამოიწვია.

პ. პოტიომკინი კი რუსული ჯარის საქართველოდან გაყვანის თაობაზე ბურნაშევისადმი მიმართულ ორდერში პირდაპირი დასკვნის სახით აღიარებს, რომ რუსული ბატალიონების შეყვანამ ერეკლეს არათუ რაიმე პოლიტიკური სარგებლობა არ მოუტანა, მეტიც, მხოლოდ მტრები მოუმრავლა ქვეყანას: *„ჩვენი ბატალიონების ყოფნით მეფეს მეტი მტერი ჰყავდა“* და მათი გამოყვანის შემდეგ კი *„იგი შვებას იგრძნობს მტრების თავშეყრისაგან“* [2, 29].

საქართველოდან რუსული ჯარის გაწვევის მიზეზები და გარემოებები

დროთა განმავლობაში ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა. სამეფოში არსებული ორი რუსული ბატალიონი (დაახლ. 2000 კაცი) საკმარისი არ იყო ამავე ბატალიონების აქ ყოფნის გამო ქვეყნის წინააღმდეგ დარაზმული სხვადასხვა ჯურის მტრების (მათ შორის ყოფილი მოკავშირეების) მოსაგერიებლად.

1787 წლის 4 ოქტომბერს ერეკლე ბურნაშევს ატყობინებდა, რომ მას მოუვიდა ცნობა, რომ ომარ-ხანი ჯარით უკვე ბელაქანში იყო შემოსული და კახეთში შემოჭრას აპირებდა [2, 37]. ორიოდე წლით ადრე ომარ-ხანის გარდაუვალი თავდასხმის სამზადისის შესახებ რუსმა პოლკოვნიკმა პატაკი გააგზავნა კავკასიის ხაზზე და ჯარის დამატებაც ითხოვა. იმავე შინაარსის წერილები გაუგზავნია სარდლობის შტაბში მეფე ერეკლესაც. ამაზე მეტყველებს იმ მომენტში კავკასიის ხაზის სარდლის, გენერალ ლეონტიევის საპასუხო წერილი ბურნაშევისადმი: *„ჩემს მიერ მისი უმაღლესობა*

მეფისაგან მიღებული წერილებიდან, ასევე თქვენი პატაკიდანაც ვხედავ, რამდენად საჭიროა ჩვენი ჯარების გაგზავნა საქართველოში“. ამ საჭიროების აღიარების მიუხედავად, გენერალი აცხადებდა, რომ რამდენადაც იგი დროებით ცვლიდა პ. პოტიომკინს, *„მთავარი ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე ამის გადაწყვეტა არ შეეძლო“*. გარდა ამისა, იმიზეზებდა მთიელების მასობრივ აჯანყებებს, რაც თავის მხრივ ხელს უშლიდა *„საქართველოს გზის შეკეთებას“*, რის გარეშეც შეუძლებელი იყო ჯარის გამოგზავნა (1785 წლის 15 აგვისტო) [2, 30].

ასეთ ვითარებაში გენ. ლეონტიევი ბურნაშევის მიმართ *„მტრებზე განსაკუთრებულად გამარჯვების“* სურვილის გამოხატვით შემოიფარგლება მხოლოდ და კიდევ, სამაგიეროდ, ქართველი *„ხალხის გასამხნევებელ“* ერთ რჩევასაც აძლევს: დაეყარა ცრუ ხმები, თითქოს რუსული ჯარები თავს იყრიდნენ და სულ მალე საქართველოშიც შემოვიდოდნენ [2, 31].

1787 წლის 13 სექტემბერს თავის ბატალიონებით ერეკლე II-ის მხადასაჭერად განჯასთან მდგარმა ბურნაშევმა მიიღო ორდერი, რომლითაც მას ებრძანებოდა საქართველოში მყოფი ეგერთა ამ ორი ბატალიონის დაუყოვნებლივ *„ბაზზე გამოყვანა.“* ორდერი გაცემული ყოფილა 29 აგვისტოს პავლე პოტიომკინის მიერ. ორდერშივე ჩანს, რომ მას თავის მხრივ საფუძვლად დასდებია გრიგოლ პოტიომკინის 19 აგვისტოს ბრძანება და სწორედ ამ ბრძანებაშია დასახელებული ამ გადაწყვეტილების ოფიციალური მიზეზი: ჯარის *„გამოკვების უკიდურესი გართულება“*. აქვე, როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, პოტიომკინი იმედს გამოთქვამდა, რომ მათი აქ ყოფნის გამო მომრავლებული მტრებისაგან შეწუხებულ მეფე ერეკლესათვის რუსეთის მთავრობის ეს ნაბიჯი ერთგვარი შვების მომგვრელიც კი იქნებოდა [2, 29].

როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება ერთბაშად არ მიღებულა. ჯერ კიდევ 1786 წლის 9 ოქტომბერს ბურნაშევის რაზმელი, საქართველოდან მოზდოკში ჩასული ოფიცერი მერლინი პოლკოვნიკს ატყობინებდა, რომ მას ორჯერ მისცემია პ. პოტიომკინთან შეხვედრის შესაძლებლობა. მასთან საუბრისას „კავკასიის ხაზის სარდალი“ თურმე მხოლოდ ზედაპირულად თუ ინტერეს-დებოდა საქართველოს შესახებ და ისიც მოვალეობის მოხდის მიზნით. ვინაიდან, როგორც მერლინი იწერებოდა, — იქ ყველაფერი ისედაც ზუსტად იცოდნენ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ თავი ისე მოჰქონდათ, „*თითქოს არ იცოდნენ და არც უნდოდათ, ცოდნოდათ და თუკი შესაძლებლობა ექნებოდათ, დავიწყებასაც მისცემდნენ ყველაფერს*“ [2, 31].

ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ პ. პოტიომკინმა ამ დროს უკვე იცოდა, რომ მის „კავკასიის ხაზზე“ ყოფნას დიდი დრო აღარ ეწერა და წინასწარ თადარიგსაც იჭერდა — ბარგის დიდი ნაწილი უკვე ასტრახანში გაეგზავნა. მას მოსახლეობისაგან რუსული ჯარისათვის სურსათის „*თავისუფალ ფასებში*“ შესასყიდად საქართველოში პროვიანტმეისტერი კი გამოუგზავნია, „*მაგრამ უფულოდ, არ მიუცია რა მისთვის არც ერთი კაპიკი ფული*“. ასევე საქართველოში გამოსაგზავნი არტილერია და ამუნიცია ვლადიკავკაზში გაგზავნილა, მაგრამ მერლინის აზრით, ის იქ ისევე იდგებოდა, როგორც

მანამდე სხვაგან იდგა – გზას არ აკეთებენ და არც აპირებენო. საგულისხმოა, რომ ამ დროს მოზდოკში ამაოდ მდგარან პასუხის მოლოდინში იმერეთის ელჩებიც [2, 31-32].

ამ ფონზე ბოლომდე დამაჯერებელი არ ჩანს მერლინის შთაბეჭდილება, რომ კავკასიის ხაზზე *„რას შეიძლება ველოდოთ მომავალში, მცირე შებრძოლებაც არ აქვთ“*. გამორიცხული არ არის, კავკასიის ხაზის სარდლობაში ზუსტი წარმოდგენა არ ჰქონოდათ რუსეთის მომავალი პოლიტიკის თაობაზე საქართველოს მიმართ, თუმცა ამავდროულად, ეტყობა, სამაგიეროდ კარგად ხვდებოდნენ იმას, რომ რუსეთში რაღაცას ელოდნენ, ამიერკავკასიისადმი ინტერესიც თითქოს დროებით შენელდა და რუსული ჯარების საქართველოდან გაყვანაც თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა. ეს საკითხი უახლოეს მომავალში რომ უნდა განხორციელებულიყო, იკვეთება მერლინის სიტყვებშიც, სადაც იგი ბურნაშევს უსურვებდა *„სწრაფ და მშვიდობიან გამოსვლას“* [2, 32]. ამ „გამოსვლაში“ უდავოა, საქართველოდან რუსეთში, კავკასიის ხაზზე გასვლა იგულისხმებოდა.

აქვე საჭიროდ ვცანით, შევხებოდით ერთ არცთუ უმნიშვნელო საკითხსაც. ბოლო დროს რუსეთის გარკვეულ წრეებში გამოიკვეთა ერთგვარი ტენდენცია. ეს არის მცდელობა, დასაბუთდეს, რომ გეორგიევსკის ტრაქტატმა ერეკლეს შვრიდან მისი დარღვევის გამო (რუსეთის ზურგსუკან ხელშეკრულების დადება ოსმალეთთან) ძალა დაჰკარგა. ამის შესაბამისად, რუსეთი თითქოსდა აღარ იყო ვალდებული უზრუნველეყო ქართლ-კახეთის დაცვა

და ამიტომ გაიყვანა კიდეც აქედან ტრაქტატის თანახმად შემოყვანილი რუსული ჯარი [6]. ცხადია, საკითხის ამგვარად დაყენების გზით ისტორიის წინაშე თავის მართლებას ცდილობენ რუსეთში იმის გამო, რომ თავის დროზე არ შესრულდა ქართული სახელმწიფოს მიმართ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები. მეფე ერეკლე და მისი სამეფო კი სწორედ რუსეთის მფარველობაში შესვლისა და, მით უფრო, აქ რუსული ჯარის შემოყვანის შედეგად გაავებული მტრების წინაშე მარტო-დმარტო მიატოვეს, როცა დამატებითი ჯარის შემოყვანის ნაცვლად აქ მყოფი ისედაც მცირერიცხოვანი შენაერთი უკან რუსეთში იქნა გაწვეული.

როდესაც ლაპარაკია ერეკლეს მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დარღვევაზე, რუს ოპონენტებს მხედველობაში აქვთ მეფის მიერ ახალციხის ფაშასთან დადებული შეთანხმება. რუსული ჯარის შემოსვლის შემდეგ ერეკლეს სამეფო მუდმივად ორმხრივი (დაღესტნიდან და ახალციხის საფაშოდან) დარტყმის საფრთხეში იმყოფებოდა და ამავე დროს ყოფილი სამცხე-საათაბაგოს მიწა-წყალი დარესტნელი მარბიელი ლაშქრისათვის მნიშვნელოვან დამატებით პლაცდარმად იქცა (პირველი აღმოსავლეთ მხარეს ლეკების მიერ მიტაცებული ჭარ-ბელაქანი იყო), ხოლო შექმნილ მძიმე ვითარებაში ქვეყანაში შემოყვანილი ორი რუსული ბატალიონის დახმარება მტრების მოსაგერიებლად მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებდა. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ერეკლე შეეცადა დიპლომატიური მანევრით გარკვეულწილად განემუხტა ვითარება და ახალციხის ფაშასთან ამის თაობაზე გააფორმა

ხელშეკრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა ტრაქტატით გათვალისწინებულ პირობებს.

რამდენად უკავშირდებოდა ახალციხის ფაშასთან დადებული ზემონახსენები ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსული ჯარის გაყვანას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ ს. ბურნაშევის არქივით. აქ ამ მხრივ ისეთი საინტერესო მონაცემები მოიპოვება, მართებული დასკვნისათვის ესეც საკმარისი იქნებოდა.

1. ორდერში, რომლის თანახმად ბურნაშევს ებრძანებოდა რუსულ ბატალიონებთან ერთად საქართველოს დატოვება, როგორც უკვე დავრწმუნდით, აღნიშნულია ამ გადაწყვეტილების ერთადერთი მიზეზი: ბატალიონების *„გამოკვების უკიდურესი გართულება“*. რუსი ეგერების გამოკვების პრობლება, ჩანს, მართლაც შექმნილა. მაგრამ როგორც არქივიდან ირკვევა მისი წარმოქმნის მიზეზიც რუსეთში უნდა ვეძიოთ. როგორც მერლინის წერილიდან ჩანს, 1787 წლის გაზაფხულზე რუსეთიდან ჯარის გამოკვება აღარ ფინანსდებოდა. ამას ადასტურებს ჯარის სურსათით მომმარაგებლის (პროვიანტმეისტერ კოზლოვის) უფულოდ გამოგზავნა მოსახლეობისაგან სურსათსანოვაგის შესაძენად. ასევე ბურნაშევისადმი ერეკლეს წერილიდან ირკვევა, რომ მეფე ცდილობდა ამ დანაკლისის გარკვეულწილად ანაზღაურებას სახელმწიფო ხარჯებით [2, 39].

2. პოლკოვნიკ ბურნაშევის თანახმად, ახალციხის ფაშას, რომელსაც დიდი ხანია ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობის მიღწევის სურვილი ამოძრავებდა, ერეკლესთან საიდუმლო პირობა დაუდევს *„რუსეთის*

ტაბტის წინაშე მისთვის შუამდგომლობის გაწევის თაობაზე“. ამის გათვალისწინებით ბურნაშევი ასკვნის, რომ რეგიონში რუსეთის მომავალი ექსპანსიის შემთხვევაში „*ახალციხის ფაშა არ დაუშვებს*“ *რუსეთის „წინააღმდეგ წარმოებულ ომში დიდი და მყარი წარმატების შეძენას*“ [1, 20]. გარდა ამისა, პ. პოტიომკინი ჯერ კიდევ 1784 წლის 27 თებერვლის წერილში, აღიქვამდა რა თურქების მხრიდან ზავს მათი სისუსტის ნიშნად, იმედს გამოთქვამდა, რომ „*მეზობელი ფაშები იქნებიან მეფესთან კვლავ მეგობრულად*“ [2, 18]. აქედან ჩანს, რომ რუსეთში წინააღმდეგი არ ყოფილან ფაშასთან ერეკლეს მეგობრული ურთიერთობისა. მეტიც, ამავე წლის აპრილში პ. პოტიომკინი ბურნაშევს მიუთითებდა: „*მეფე თავისუფალია ყველა შესაძლებელ საქმეში, ისევე როგორც ადრე. თურქებს ამჟამად ისე უნდა მოექცეს, როგორც მოკავშირეებს*“ [2, 20]. ეს მითითება ძალაში რჩებოდა რუსეთ-თურქეთის ახალი ომის დაწყებამდე (1787 წელი). რუსული ჯარის გაყვანის თაობაზე საიდუმლო ორდერს დართულ P. S.-ით ბურნაშევს დაევალა: „*უშუალოდ კი გამოუცხადეთ მის უმაღლესობას* (მეფე ერეკლეს – დ.მ.), *რათა მან მოაგვაროს საქმე ახალციხის ფაშასთან*“ [2, 29].

3. მერლინის წერილიდან ასევე აშკარად ჩანს, რომ რუსული ჯარების გაყვანის ოფიციალური ბრძანების მოსვლამდე ეს საკითხი რამდენიმე თვით ადრე ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო: გარდა იმისა, რომ აღარ ფინანსდებოდა ჯარის გამოკვება, ჯარს აღარ მიეწოდებოდა საჭირო საბრძოლო აღჭურვილობა და ამუნიცია (მხოლოდ გარეგნულად იქმნებოდა შთაბეჭ-

დილება, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან საამისოდ ზრუნვა გრძელდებოდა). რაც მთავარია, იკვეთება სურათი, თითქოს ყოველგვარი ინტერესი საქართველოს საკითხების მიმართ სრულიად გამქრალიყო: *იცოდნენ ყველაფერი და ამავე დროს მზად იყვნენ ეს ყველაფერი სამუდამოდ დაევიწყებინათ.* მიზეზი: რუსეთი თურქეთთან ომისთვის ემზადებოდა და კავკასიის ფრონტზე ომის წარმოებას არ გეგმავდა.

4. საინტერესო სურათს იძლევა პ. პოტიომკინის წერილების მთლიანობაში წარმოდგენა და მათი საერთო ანალიზი. 1783 წლის ივნისიდან (როცა მიწერ-მოწერა დაიწყო საქართველოში კომისიონერად მოვლენილ ბურნაშოვთან) წლის ბოლომდე გამოიგზავნა 14 წერილი. 1784 წლის მანძილზე ბურნაშევს ასევე მიუღია 14 წერილი. ანუ სულ 1783-1784 წლებში, წელიწადნახევრის მანძილზე – 28 წერილი. ეს მაშინ, როცა 1785-1787 წლებში თითქმის სამი წლის განმავლობაში ბურნაშევს პოტიომკინისაგან მიუღია მხოლოდ 5 წერილი (მე-6 უკვე საქართველოს დატოვების ოფიციალურ ბრძანებას წარმოადგენდა). კიდევ უფრო საგულისხმო სურათს გვიხატავს ამ წერილების შინაარსობრივი ანალიზი. 1783-1784 წლებში პოტიომკინს აინტერებს ყველაფერის საქართველოსა და მისი მეზობლების შესახებ. ითხოვს კონკრეტული სახის ინფორმაციებსაც. ჩანს აქტიური დაინტერესება ამიერკავკასიის საკითხებით. 1785 წელს ეს ინტერესი უმნიშვნელოა. ამ წელს პოტიომკინი მხოლოდ ორჯერ თუ იცლის კორესპოდენციის გამოსაგზავნად. 1786-1787 წლებში გამოგზავნილი მცირე რაოდენობის წერილები კი უკვე მთლიანად მოკლებულია

პოლიტიკურ ხასიათს. კავკასიაში რუსული პოლიტიკის წარმართველი თბილისში თავის კომისიონერს ამჯერად მხოლოდ აზიური ძვირფასი შენაძენების გაკეთებაში თხოვს დახმარებას [იხ. 2, 26-27]. აშკარად ჩანს, პოტიომკინი ჩქარობს, ცდილობს მოასწროს სასურველი ძვირფასი და ფუფუნების საგნების (კოლენკორი, მარმაში და ა.შ.) ხელში ჩაგდება ბურნაშევის მეშვეობით, ვინაიდან მალე ამის საშუალება მას აღარ ექნება.

საბოლოოდ ბურნაშევის არქივის მიხედვით ამის თაობაზე შეიძლება დავასკვნათ, ერეკლე II-სა და ახალციხის ფაშას შორის გაფორმებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია, ვინაიდან:

1. ასე რომ ყოფილიყო, ჯარის გაყვანის ოფიციალურ ბრძანებაში ეს აუცილებლად აღინიშნებოდა, მაშინ როცა ამის მიზეზად მასში სულ სხვა გარემოებაა დასახელებული (რუსეთის სამეფო კარზე ამის მერეც აზრად არავის მოსვლია გეორგიევსკის ტრაქტატი ძალადაკარგულად გამოეცხადებინა და ამაში ერეკლე დაედანაშაულებინა); 2. რუსეთში აღნიშნულ ხანაში წინააღმდეგი არ ყოფილან ერეკლეს მშვიდობიანი („მეგობრული“) ურთიერთობა ჰქონოდა მეზობელ ფაშებთან. აღსანიშნავია, რომ ამ დროს რუსეთ-ოსმალეთს შორის სამშვიდობო ზავი მოქმედებდა და ერეკლესაც ნება ეძლეოდა ფაშების მიმართ მოკავშირის (გარეგნულად მაინც) პოზიცია დაეჭირა. რუსული ჯარის გაყვანისას კი ახალციხის ფაშასთან რუსეთის გამო გაფუჭებული ურთიერთობის გამოსწორება მთლიანად ერეკლეს დიპლომატიას დააკისრეს; 3. პ. პოტიომკინის წერილების რაო-

დენობის მკვეთრი შემცირება და მათი შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს: რუსეთში საქართველოდან თავისი ბატალიონების გაწვევას უკვე 1785 წლიდან ფიქრობდნენ, სანამ საერთოდ გაფორმდებოდა ერეკლესა და ახალციხის ფაშას შორის რაიმე შეთანხმება.

ლიტერატურა

1. Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія Царствъ Карталинскаго и Кахетинскаго. Сдѣланное пребывающим при Его Высочествѣ царѣ Карталинском и Кахетинском Иракліи Темуразовичѣ полковникомъ и кавалеромъ Бурнашевымъ в Тифлисъ въ 1786 г., издание К. Н. Бѣгичева, Тифлисъ, 1896 г.
2. Новые Матеріалы для жизнеописанія и дѣятельности С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г., Собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С. Н. Бурнашевъ, подъ редакціей профессора А. А. Цагарели, С.-Петербург, 1901.
3. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002.
4. Г. Г. Паичадзе, Георгиевский Трактат, Тб., 1983.
5. ზ. შარაშენიძე, ირანის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1970.
6. А. Епифанцев, Была ли Грузия союзником России, Политическая модель выживания грузинской государственности, http://www.apn.ru/publications.

ირმა კვაშილავა

სამეგრელოს საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში

(მოგზაურ ვ. ზუევას ჩანაწერების მიხედვით)

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის საქმეში მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ, გვიანშუასაუკუნეების უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა ნაშრომები. ცნობილია, რომ მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ კათოლიკე მისიონერებს, რომლებიც XVII საუკუნეში მთელი გულმოდგინებით სწავლობდნენ რეგიონის ამა თუ იმ სოციალურ-კულტურულ პარამეტრებს. ამ პერიოდის მისიონერული მოღვაწეობა ევროპელთა აღმოსავლური ექსპანსიის აღმავლობას ემთხვევა და მათ ინტერესებს ისახავდა მიზნად. საქართველოსადმი, როგორც სტრატეგიული სამეურნეო-ეკონომიკური და სავაჭრო-სატრანზიტო შესაძლებლობების მქონე ქვეყნისადმი ინტერესი მოგვიანებით კიდევ უფრო გაიზარდა, რაც XVIII ს-ში გამოიხატა ცარიზმის აღმინისტრაციის მიერ კავკასიაში საგანგებოდ დაგეგმილ და განხორციელებულ რუსი აკადემიკოსების სამეცნიერო-დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციებსა და სამხედრო-დიპლომატიურ მისიებში. ესენი გახლდათ სამუელ გმელინი, იოჰან გიულდენშტედტი, პეტრე პალასი, ალექსანდრე იაკოვლევი, სტეფანე ბურნაშოვი და ა.შ. „აღნიშნულ მოგზაურ-მკვლევართა, დიპლომატთა, ცარიზმის აპარატის მოხელეთა თუ ახალდაპყრობილი ქვეყნების მონახულების რომანტიკული

ხიბლით შეპყრობილი საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებსა და ჩანაწერებში, გარკვეულ პოლიტიკურ დაკვეთებთან ერთად, უხვი და მრავალფეროვანი ცნობებია დაცული ადგილობრივ ხალხთა ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტებზე“ [8, 121].

კათოლიკე მისიონერებმა თავიანთი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, იმდენად სრულყოფილად აღწერეს სამეგრელოს სოციალურ-კულტურული ვითარება, რომ თამამად შეიძლება განზოგადდეს XVIII საუკუნესა და შემდგომ პერიოდზე, თუმცა აღნიშნულ ეპოქას თავისი გამორჩეული წარმომადგენლები ჰყავს. სახელდობრ, იოჰან გიულდენშტედტი და იაკობ რაინეგსი, რომლებიც უფრო საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციებში მიმდინარე პროცესებს ადევნებდნენ თვალს, ხოლო დასავლეთი რეგიონები მათი ინტერესის მიღმა დარჩა. ი. გიულდენშტედტის ცნობით, სამეგრელოში მის მოგზაურობას ხელი შეუშალა მთავარ კაცია დადიანის რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ. „ამასთან მისი მიწები უფრო უკეთ არ იყო უზრუნველყოფილი მეზობელთა ძარცვისა და თავდასხმებისაგან, ვიდრე ორივე ქართველი მეფის ქვეყნები... ქვეყნის ბატონის განსაკუთრებული დაცვის და ამალის გარეშე აქ მოგზაურობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო“ [1, 319].

XVIII საუკუნის წყაროთა ამ ძუნწ ნაკადში, არსებული ხარვეზი შეიძლება შეივსოს მოგზაურ ვასილია ზუევას ჩანაწერებით, რომელიც 1777 წლით თარიღდება. იგი ბევრს სესხულობს მისი წინამორბედი შარდენისაგან, მაგრამ საკუთარი დაკვირვებებიც აქვს.

განსახილველ პერიოდში სამეგრელო პოლიტიკურად უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. გარეშე მტრის დაპყრობა-ძალადობას თან სდევდა შინაფეოდალური თავდასხმები და ტყვის სყიდვის ბარბაროსული პროცესი. დატყვევება და უცხოეთში გაყიდვა ემუქრებოდა სოციალური კატეგორიის თითქმის ყველა წარმომადგენელს. ცხადია, მოიშალა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები, შეივწროვდა ქრისტიანული რელიგია, ე.ი. რჯულის მსახურება გაძნელდა; მოსახლეობის სოციალური პროტესტის ფორმამ, აყრა-გადასახლებამ ფართო ხასიათი მიიღო. მხარის ასეთი გავერანების ძირითადი მიზეზი, თურქების მოძალება იყო, მაგრამ მოსახლეობის ძლიერი ანტითურქული განწყობილების გამო, „თურქეთის მთავრობას დასავლეთ საქართველოში ვასალური მორჩილების დამამტკიცებელ პირობად, მოსახლეობის გამაჰმადიანება არ მოუთხოვია“ [10, 482].

მოგზაურ ვ. ზუევას ჩანაწერებში ყველაზე შემზარავი ტყვედ ჩავარდნილი ადამიანების გასაყიდი ფასებია, რომლებიც იმდენად დაბალი იყო, ცხენის ფასსაც კი ჩამოუვარდებოდა. მოგზაურის აზრით, ტყვის ასეთი სიიაფე გამოწვეულია იმით, რომ გამყიდველი ცდილობს სწრაფად მოიშოროს არასასურველი „სავაჭრო საქონელი“ [11, 237-238]. მიმოქცევაში ამ დროს იყო თურქული ფულის ერთეული, „სხვა ფულს დადიანი არ სჭრიდა“ [1, 321]. ვაჭრობის საგანს აგრეთვე წარმოადგენდა აბრეშუმი, ბამბა, ტყავეული, ხე-ტყე, თაფლი, ცვილი და მისთანა. ვაჭრობა ისეთი ფართომასშტაბით არ ვრცელდებოდა, რომ მოსახლეობა სოციალური კრიზისიდან გამოეყვანა. შეიძლება ითქვას, მას მხოლოდ

სეზონური ხასიათი ჰქონდა. კერძოდ, „აბრეშუმი რა მოიწევდნენ ივნისსა და ივლისში; აბრეშუმის ნაქსოვი – შემოდგომაზე; ბეწვეულობა ზამთარში, სიმინდი გაზაფხულზე, ღომი და თამბაქო ზამთარში, სანთელი – მარტში“ [4, 148]. XVIII ს-ში, სიმინდი და თამბაქოს კულტურა ჯერ კიდევ არ იყო სამეგრელოში შემოსული; ზემოთ აღნიშნული გვიანდელ სურათს ასახავს, ხოლო ვ. ზუევას დროს, მეგრელების ძირითადი საკვები ღომი (იგივე ღომის ღომი) და ლობიოა, ზამთარში – ხორცეული, ჩვეულებრივ საქონლის და ღორის ხორცით ინახავდნენ თავს, ხოლო მარხვაში შებოლილი თევზით და ხიზილალათი იკვებებოდნენ [11, 233]. ნიშანდობლივია, ვ. ზუევას თანამედროვე ი. რაინეგსის შენიშვნა, რომ მეგრელებისთვის უცხო იყო ვაჭრობა, ნაოსნობა და თევზჭერა [5; 122]. ი. რაინეგსის ცნობას ამ შემთხვევაში ობიექტურად უნდა შევხედოთ, ვინაიდან ვაჭრობა მაშინ მთლიანად თურქთა ხელში იყო მოქცეული. სახმელეთო გზებზეც სულ უფრო ხშირად თურქი ვაჭრები ჩანდნენ, რომლებსაც შემოჰქონდათ იარაღი, მშვილდ-ისრები, ცხენის აკაზმულობა, თავსაფრები, სუფრები, სპილენძი და რკინა [6, 34].

გაუთავებელ შინაფეოდალურ ომებში ჩაბმული მოსახლეობისათვის, იარაღი და საბრძოლო აღჭურვილობა უდავო საჭიროებას წარმოადგენდა. ვ. ზუევას მიხედვით, ამ ხანებში ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ იყენებდნენ. სამაგიეროდ, შუბის ხმარებაში იყვნენ დაოსტატებულნი. მათ შეიარაღებას მშვილდ-ისარი, ხმალი და დიდი ჯოხი – კომბალი წარმოადგენდა [11, 230]. მშვილდ-ისარი საქართველოსი უძველესი დროიდან

გავრცელებული სასროლი იარაღია, რომლის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიდნენ ბავშვებს, რომლებიც, „ისე კარგად ეუფლებოდნენ მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტასაც კი ახვედრებდნენ ისარს“ [9, 119]. ამგვარი წვრთნის შემდეგ, არავის გაუკვირდება მამაკაცების კარგ მხედრებად და მეომრებად ჩამოყალიბება, რომლებიც მაღალ საბრძოლო ხელოვნებას ფლობდნენ. სამწუხაროდ, ეს მეომრული სულისკვეთება შინაფეოდალურ ომებს ეწირებოდა. თავადები შეიარაღებული ჯარით თავს ესხმოდნენ ერთმანეთს. სახლს, მინდვრებს – ყველაფერს არბევდნენ, წვავდნენ და სპობდნენ. ვ. ზუევას ცნობით, მოსალოდნელი ძარცვა-რბევის შესახებ, ერთმანეთს წინასწარ არ აფრთხილებდნენ. მათი ურთიერთთარეში ერთ კვირას გრძელდებოდა. ტყვედჩავარდნილ ქალებსა და ბავშვებს თურქებზე ჰყიდდნენ, ხოლო მამაკაცებს და საქონელს ადგილზე ხოცავდნენ [11, 229]. ჟ. შარდენის მიხედვით, მეგრელებისა და მათი მეზობლების ომები არსებითად თავდასხმას და ძარცვას წარმოადგენს, რომელიც ხანგრძლივი არ არის და ნახევარ თვეში ყველაფერი მთავრდება. „ტყვეები რაც შეიძლება მეტი მიჰყავთ. თუ მხედარი გადმოაგდეს უნაგირიდან, მაშინვე ჩამოხტებიან ცხენიდან, დამარცხებულს შებოჭავენ იმ თოკით, რომელსაც ქამარზე ატარებენ და საკუთარ მხლებელს მიაბარებენ ხოლმე. შეპყრობილის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე დამტყვევებლის ხელთაა, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია მოექცეს. მას ჩვეულებრივ ტყვედ აქცევს და შემდეგ თურქებს მიჰყიდის [9, 126].

ადვილი წარმოსადგენია სასამართლო პროცესი და სამართლის წარმოების დონე. ამის შესახებ მოგზაურ-მისიონერთა ნაშრომებში ისედაც მცირეოდენი ცნობები გვხვდება, ვინაიდან იმდროინდელი მძიმე საშინაო და საგარეო პირობების გამო, კლასობრივ ურთიერთობათა მოწესრიგება ფეოდალური სამართლის ნორმების მიხედვით იშვიათად ხდებოდა. ფაქტობრივად, აშკარა ძალმომრეობა ბატონობდა [10; 483]. ჩვენთვის საკვლევ პერიოდში, ვახტანგის კანონი დიდი ხნის შემოღებული უნდა ყოფილიყო სამეგრელოში, დაახლოებით 1744 წელს, ოტია დადიანის დროს [4, 125]. თუმცა, სამეგრელოს მთავარი თავის სამთავროში სამართალს თვითონ აწარმოებდა, რომელიც მაინცდამაინც ლმობიერებით არ გამოირჩეოდა. საქმე იმაშია, რომ მთავარ დადიანს განუზომელი უფლება ჰქონდა თავის ქვეშევრდომებზე, როგორც იტყვიან მათ სიკვდილ-სიცოცხლეზე, ისევე როგორც აზნაურებს თავიანთ მამულებში. ასეთი მმართველობა, რომელიც არ ეყრდნობოდა მტკიცე კანონმდებლობას, ქვეშევრდომებს საცოდავი პირუტყვის მდგომარეობაში აგდებდა; აუტანელ სიტუაციას გაქცევით თუ დააღწევდნენ თავს [9, 227]. გარდა ოფიციალური გადასახადებისა, გლეხი ვალდებული იყო ყოველწლიურად რამდენიმე დღე შეენახა თავისი ბატონი, რომელიც მრავალრიცხოვანი ამალით (ქალები, ბავშვები, მოსამსახურეები, სტუმრები) მოგზაურობდა და მთელი წლის მანძილზე ადგილიდან ადგილზე გადადიოდა. ბარგი მიჰქონდათ ცხენოსნებს [11, 227]. შარდენის ცნობით კი, ტვირთი მიჰქონდათ ქვეითად მავალ მამაკაცებს და ქალებს, რომლებიც ნახევრად

შიშველი, თავზე და მხრებზე მოდებული ბარგით, სირბილით მისდევდნენ მათ [9, 117]. სწორედ ამგვარი მოგზაურობისას, დადიანი გზადაგზა არჩევდა სადავო საკითხებს და დაადგენდა სამართალს. ხალხით გარშემორტყმული მთავარი მუდმივად მზად იყო სადავო საქმე სიტყვიერად გაერჩია. „მეგრელები ბედნიერები არიან იმით, რომ მათი მთავარი ყოველთვის და ყოველგან მზად არის მოისმინოს საჩივარი და მოუძებნოს წამალი თავის ქვეშევრდომთა საჭიროებას. გინდ თათბირობდეს და და გინდ პურის ჭამად იჯდეს, თუნდაც ცხენით სეირნობდეს ან ნადირობდეს, მთავარი ყოველთვის მოისმენს საქმეს და შესაფერის განჩინებას დასდებს“ [3, 78]. იმდროინდელი სამეგრელოს მოსახლეობა მთავრის სამართლის წარმოების პრინციპით, როგორც ჩანს, უკმაყოფილო არ ყოფილა და რუსი მოხელეების მტკიცება იმის შესახებ, რომ სამეგრელოში რუსეთის შემოსვლამდე არავითარი სასამართლო ინსტიტუტები არ არსებობდა არ შეეფერება სინამდვილეს [7, 38]. საჩივრის წარდგენის მარტივი წესი არსებობდა. კერძოდ, მომჩივანი დგებოდა შუა გზაში, მთავრის პირისპირ და როდესაც იგი მას მიუახლოვდებოდა, მომჩივანი და მისი თანმხლებნი მაშინვე იწყებდნენ ხმამაღალ ყვირილს. ისინი ზეცისკენ ხელაპყრობილნი ოხრავდნენ, ჯოხებს ურტყამდნენ მიწას. ორივე მხარე ცდილობდა, ერთიმეორისთვის გადაეჭარბებინა. მთავარს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება გამოჰქონდა. ყოველივე ეს ხდებოდა გზადაგზა, რადგანაც მთავარი არ ჩერდებოდა, მაგრამ მიდიოდა ძალიან ნელა, რომ ადვილად მისდიონ მას. სხვადასხვა ბატონის გლეხების დავა

წყდებოდა მათივე ბატონების მიერ ზემოაღნიშნული წესით... თვით ბატონებს შორის დავას ძალა წყვეტდა. იმარჯვებდა ის, ვინც უფრო ძლიერი იყო. თუ მთავრამდე მიაღწევდა მომჩივანთა საჩივარი, მას დადიანისადმი მირთმეული საჩუქრებით გამოისყიდდნენ და გამოასწორებდნენ [9, 118; 11, 228].

ამდენად, სამეგრელოს სამთავროში უმაღლეს მსაჯულს მთავარი წარმოადგენდა, რომელიც ყოველწლიური მოგზაურობის დროს აწარმოებდა სადავო საკითხების გარიგებას. მეგრელები სთვლიდნენ, რომ ფეხით მოსიარულე ამალა, რომელიც ახლდა ამ შემთხვევაში მთავარ დადიანს, უფრო სანაქებო იყო, ვიდრე ცხენოსანი მხლებლები. მეგრელები, რომ ძალზე მამაცი ცხენოსნები იყვნენ ამაზე ი. რაინეგსიც მოგვითხრობდა, რომელიც მათ ერთადერთ სასახელო საქმიანობად მიიჩნევდა; მოგზაურის ცნობით, ცხოვრობდნენ რა ძალზე რბილ ჰავიან და უნაყოფიერეს ნიადაგიან მხარეში, რომელსაც უწვალებლადაც კი ჭარბად მოჰქონდა ყველა საჭირო და აუცილებელი რამ ცხოვრებისათვის, მიჩვეულნი იყვნენ უდარდელობასა და უსაქმურობას [5, 122]. ქართველები, რომლებსაც მიწის მუშაკობა (დამუშავება) კეთილშობილურ საქმედ მიაჩნდათ, ოფლით მოპოვებული ნაშრომ-ნაღვაწით ირჩენდნენ თავს და მცირედითაც კმაყოფილნი იყვნენ, მათ უსაქმურობაზე ფიქრსაც კი გამორიცხავს. იმდროინდელი საშინაო და საგარეო ვითარება, მწარმოებელ მოსახლეობას მეტ გასაქანს არ აძლევდა. ი. რაინეგსის ცნობები წინააღმდეგობაში მოდის ვ. ზუევას ჩანაწერებთან: სახელდობრ, ვ. ზუევას მიხედვით, მეაბრეშუმეობას და ბამბის კულტუ-

რის მოყვანას აქტიურად მისდევდნენ [11, 226], ხოლო ი. რაინეგსი წერდა, რომ აბრეშუმის წარმოება ამ ქვეყანაში ძალზე შემოსავლიანი და აყვავებული იქნებოდა, მაგრამ ის არის მხოლოდ უსაქმური თავადის ქალებისა და ზარმაცი აზნაურის ცოლების საქმიანობა, ამდენად, არა აქვს დიდი სარგებელი [5, 123]. ერთადერთი, რაშიც შეთანხმებას აღწევენ აღნიშნული მოგზაურები, იმაში ვლინდება, რომ მეგრელები არიან დიდად მორწმუნე ქრისტიანები. საქმე იმაშია, რომ მაჰმადიანური აგრესიის გარემოცვაში მყოფ მოსახლეობას განსაკუთრებით გაფაქიზებული ჰქონდა ქრისტიანული რჯულის მიმდევრობა და მსახურება. თუმცა, ხშირად დამახინჯებული ფორმით ასრულებდნენ. შესაძლებელია ზოგიერთი ავანტიურისტული ბუნების მქონე მოგზაური, სარწმუნოებრივ პრინციპებს განგებ აუფერულებდა, მაგრამ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, რჯულისადმი ერთგულებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.

მოსახლეობის სარწმუნოებრივი ყოფის შესახებ წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ქორწინებისა და დაკრძალვის წესებს უნდა შევეხოთ. ვ. ზუევას ცნობით, დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი რელიგიური წესების სრული დაცვით მიმდინარეობდა. კერძოდ, განსვენებულს გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს კრძალავდნენ, დაკრძალვამდე მას ტაძარში გადაასვენებდნენ, იქ წესს აუგებდნენ, საფლავს აკურთხებდნენ, ერთი წლის შემდეგ გლოვას შეწყვეტდნენ და მისთანა [11, 237].

ერთ-ერთი თავისებურება, რაც უცხოელების გაოცებას იწვევდა, ჭირისუფალი მანდილოსნების მწუხარების გამოხატვის გადაჭარბებული ფორმა გახ-

ლდათ, რაც ვლინდებოდა ლოყებისა და გულმკერდის ფრჩხილებით დაკაწრვაში, თმების დაგლეჯვასა და ხმამაღალ კივილში. ხშირად ქალებს ჭირისუფალი კაცებიც აჰყვებოდნენ თავიანთი ხმამაღალი გოდებით. გლოვის აღნიშნული ჩვეულება გვიანობამდე შემორჩა და მთელი დასავლეთი საქართველოსთვის ტრადიციად დამკვიდრდა. ასე, მაგ.: XX ს-ის დასაწყისში, ფრანგი ეთნოგრაფი შარლ ლეფორი ბათუმსა და გურიაზე დატოვებულ მოგონებებში, ამ საკითხსაც შემდეგნაირად ეხება. იგი ჭირისუფალს მიმართავს, რომ ღრმად მოხუცებული მიცვალებულის დროს ასეთი ვაი-უშველებელი იმართება და წარმოდგენილი მაქვს რა მოხდება მაშინ, თუ ახალგაზრდა გარდაიცვლება-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ასეთი ტრადიცია აქვთ და მას ყველა იცავსო [2, 90].

რაც შეეხება ქორწინების საიდუმლოებას, არსებული წყაროების მიხედვით, მას სამეგრელოში „სავაჭრო ხელშეკრულებას“ უწოდებდნენ. მაჭანკლის შუამავლობით მოგვარებულ კავშირს, ქალის ტრადიციულ მზითევს და სასიძოს საჩუქრებს, უცხოელები სავაჭრო გარიგებად აღიქვამდნენ, ვინაიდან მზითევიც დაახლოებით იმავე ღირებულების იყო, რაც სასიძოს საჩუქრების სახით მოჰქონდა. ქორწინების ცერემონიალში მრავალი ნიუანსი იქცევს ყურადღებას. მათ შორის აღსანიშნავია პატარძლის ახალ ოჯახში შემოყვანისას, მის მიერ მთელ დარბაზში ღვინის მიმოქცევა იატაკზე და ღომის ფაფის ნაჭრებად მიმობნევა. ჯვრისწერა ჩვეულებრივ ეკლესიაში სრულდებოდა, მაგრამ დასაშვები იყო ოჯახშიც აღსრულებულიყო [11, 235].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველდღიურ ყოფაში აღმოსავლური წესების გავლენა არ შეიმჩნეოდა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სამეგრელოში არსებული წესების თანახმად, სადილ-ვახშმობისას სუფრის წევრები თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და აღმოსავლეთის ხალხის წესისამებრ, ფეხმორთხმით სხდებოდნენ [11, 234].

ამრიგად, განსახილველ პერიოდში საშეგრელოს ტრადიციული ყოფის თავისებურებებზე ვ. ზუევას ჩანაწერებს წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს, ვინაიდან ავტორს მის წინამორბედებთან ყოველმხრივ გამართული და შეჯერებული მონაცემები გამოაქვს. ჩვენ არ მოგვეპოვება XVIII ს-ის II ნახევრის უფრო ორიგინალური და სრულყოფილი ხასიათის აღწერილობა, ამიტომ ვ. ზუევას ცნობები თავისი ობიექტურობით და სიზუსტით მკვლევართა სათანადო ყურადღებას იმსახურებს.

ლიტერატურა

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, 1962, გერმანული ტექსტი ქართული თარგამნითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა.
2. გოგოლიშვილი ო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში, თბ., 2009.
3. ლამბერტი არქ. სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ, თბ., 1991.
4. მეუნარგია ი. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.
5. რაინეგსი ი. მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002.
6. რომმელი დ. კავკასიის ხალხები, თარგმანი გერმანულიდან ნ. გიოშვილისა, თბ., 2011.
7. ქადარია თ. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 2003.
8. შამილაძე ვ. ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ, თბ., 2001.
9. შარდენი ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა.
10. ჩხატარაიშვილი ქ. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის 40-80-იან წლებში, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1971.
11. Зуева В., Выписка из путешественних записок Василья Зуева из месяцослова на 1777 года, М., 1823.

Irma Kvashilava

Some Problems of MegrelianSociety Every- day Life in the Second Half of the 18th Century (according to V. Zueva's records)

The records of Vasilia Zueva are a part of that scientific reconnaissance expeditions planed by Tsarist Russia, which was carried out before entering Russia in Georgia for different reasons. The author of this small length work accepts much from her predecessors, but has her own observations as well. To illuminate some peculiarities of the Megrelian Society's every- day life we used the description of the travel, as we do not possess the materials of the second half of the 18th century.

The social – economic situation and the details of everyday life in Megrelia are given in the work; mainly, in the sphere of labor, rendering judgment, the rights of wedding and mourning, etc.

V. Zueva's records full fill the gaps of those sources which have been existed before and despite its small length are noteworthy.

რუხის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა

გვიანი შუა საუკუნეების ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები განვითარდა, რამაც ღრმა კვალი დაამჩნია ამ მხარის ეთნიკურ სურათს. მოყოლებული XVI საუკუნიდან ადიღეურ-აფხაზური მოდგმის ტომები ეტაპობრივად მკვიდრდებოდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთამდე. ეს პროცესი XVIII საუკუნის II ნახევრამდე მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ განუხრელად ხორციელდებოდა. ამ მიგრაციის დროს ადიღეურ-აფხაზური მოდგმის ტომები, რომლებსაც ქართული საისტორიო წყაროები ტრადიციის მიხედვით ისევ აფხაზებად, ოღონდ „უღმთოდ და უსჯულოებად მოქცეულ აფხაზებად" იცნობს, მკიდრ ქართულ მოსახლეობას ადგილზე აღარ აჩერებს, ანუ მათთან თანაცხოვრებას ვერ იწყნარებს. აქედან მოყოლებული ქართული მოსახლეობა ან გაჟლეტის ან ტყვედ გაყიდვის ობიექტი ხდება. აფხაზურ ენაში ტყვის სინონიმად სიტყვა „აგრუა" — იგივე მეგრელი ხდება.

თავის მხრივ ოდიშის (სამეგრელოს) ჯერ ერისთავები, შემდეგ კი მთავრები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ლაშქრობებს აწყობენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ოდიშის ერისთავ მამია III დადიანის და გურიის ერისთავ მამია I გურიელის ერთობლივი საზღვაო ლაშქრობა შავიზღვისპირეთში ჯიქების წინააღმდეგ, რომელიც მარცხით დამთავრდა 1, 497.

ოდიშის პირველ მთავარ ლევან I დადიანსაც საომარი მდგომარეობა ჰქონდა ჯიქთა ტომებთან. ლევან II დადიანმა 1628 და 1634 წლებში მდინარე კელასურს იქითა აფხაზეთში ილაშქრა და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა [2, 35].

აფხაზი მფლობელები ოდიშის მთავრის სიუზერენობას აღიარებდნენ, გამოყავდათ ლაშქარი საჭიროების შემთხვევაში, ზოგჯერ გასაჭირში მყოფი სამეგრელოს მთავრები აფხაზებს აფარებდნენ თავს. მაგრამ როგორც კი სამეგრელოს მთავრის ხელისუფლება შესუსტდებოდა, აფხაზები უმალვე იწყებდნენ თარეშს და ახალ ექსპანსიას, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიშის ძლიერი მთავრის ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ. თუ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იტალიური საისტორიო წყაროების მიხედვით სოხუმი სამეგრელოს სანავსადგურო ქალაქი იყო, XVII საუკუნის შუა ხანაში საზღვარი სამეგრელო — აფხაზეთს შორის მდინარე კელასურზე გადიოდა, სადაც ლევან II-მ სანაპიროდან მთებისაკენ სიმაგრეთა მთელი სისტემა შექმნა აფხაზური ტომების თავდასხმების აღსაკვეთად. ლევან II-ის შემდეგ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე აფხაზი მფლობელები შარვაშიძეები უფრო მეტად აქტიურდებიან.

1660-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოში შინა ომი დაიწყო, რითაც აფხაზებმა და მათმა მონათესავე ადიღეური მოდგმის ტომებმა კარგად ისარგებლეს. 1672 წელს ჟან შარდენის ცნობით, აფხაზებმა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია ისგაურიდან (ტყაურუ, სკურჩა) ანაკლიამდე საფუძვლი-

ანად დაარბიეს [3, 215-216]. ამ დარბევაზე ამახვილებდა ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც წერდა: „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან" [4, 842]. აფხაზები ძარცვავენ ცაიშის და წალენჯიხის ეკლესიებს, არბევენ და ტყვეებად მიჰყავთ მოსახლეობა. იტალიელი კათოლიკე მისიონერის ძამპის ცნობით „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის... მუდამ აფხაზის დაცემის შიშია" [5, 204-205]. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ დადიანის სამფლობელო „აბაზგებმა გაანადგურეს. . . აიკლეს მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი [6, 46] XVII საუკუნის 60–70-იან წლებში აფხაზთა ამ თავდასხმებს ხელმძღვანელობს საუსტან შარვაშიძე. აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ტერიტორია მდინარე კელასურიდან ღალიძგამდე, რასაც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქვს ეპისკოპოსნი" [4, 845].

ვახუშტიმ ძალიან კარგად დაინახა ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ეს არ არის ჩვეულებრივი, ფეოდალური სამყაროსთვის დამახასიათებელი ომი. ნიშანდობლივია მისი ტერმინი — „დაეშენებოდნენ", ანუ ეს იყო ახალი ტერიტორის, სამკვიდრებელისათვის ბრძოლა.

1681 წელს, როდესაც ოდიშის მთავარი ლევან III გარდაიცვალა, გარკვეული არეულობით ისარგებლა საუსტან შარვაშიძის ვაჟმა სავარეხმა (სორეხ) და თავი

ოდიშის მთავრად გამოაცხადა. თუმცა ის წინ ვერ აღუდგა სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივ გამგებელ გიორგი ჩიქვანს, იგივე ლიპარტიანს. სავარეხმა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე კონტროლი მაინც შეინარჩუნა [7, 113-115].

აფხაზი მფლობელები მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით არბევდნენ ქართულ მოსახლეობას, საჭიროების შემთხვევაში გარკვეული მოსაზრებით მაინც იყვნენ კავშირში ქართულ ფეოდალურ სამყაროსთან. თვითონ მათი ფეოდალური სახლის კულტურული გარემო მაინც ქართულ კულტურას და ენას უკავშირდებოდა. ისინი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ. 1689 წლისთვის არჩილ მეფეს, რომელიც აფხაზეთში გადავიდა, ღირსეული მასპინძლობა გაუწია აფხაზთა უპირველესმა თავადმა ზეგნაყ შარვაშიძემ [4, 851].

მიუხედავად იმისა, რომ სორეხ შარვაშიძემ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორია მიიტაცა, ეს მიწა-წყალი მაინც სამეგრელოდ იწოდებოდა და სორეხი აფხაზთა უპირველეს ზეგნაყს, მის ბიძას არ ემორჩილებოდა. 1685 წელს აფხაზები სორეხის სამფლობელოს შემოესივნენ და აიკლეს. ზეგნაყის შემდეგ მისმა შვილებმა მდინარე ბზიფსა და ენგურს შორის ტერიტორია დაინაწილეს. უფროსმა როსტომმა დაისაკუთრა მდინარეებს — ბზიფსა და კოდორს შორის მიწა-წყალი, შუათანა ჯიქეშიამ კოდორსა და ღალიძგას შორის ტერიტორია (აფხაზურად „აბჟუა"—შუა ნაწილი), ხოლო უმცროსმა ყვაპუმ ღალიძგასა და ენგურს შორის მიიღო სამფლობელო. ყვაპუს მემკვიდრის მურზაყანის

სახელის მიხედვით ამ ტერიტორიას შემდგომ სამურზაყანო ეწოდა. ყვაპუმ ბზიფის აფხაზეთიდან გადმოასახლა თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარი: ანჩაბაძე, ემხუარი, მარღანია, ინალიფა, რომლებმაც თავიანთი მოკიდებული გლეხებიც წამოიყვანეს. მაგრამ მიუხედავად ამისა ღალიძგასა და ენგურს შორის მოსახლეობა ძირითადად მაინც ქართული დარჩა, რასაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გაცემული დოკუმენტებიც ადასტურებს [7, 116-117].

აფხაზებმა განდევნეს მდინარე კელასურსა და ღალიძგას შორის ტერიტორიაზე მოსახლე ქართული მოსახლეობა და თვითონ დამკვიდრდნენ. მათ ამ პროცესისი განხორციელება ღალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორიაზე ვერ მოახერხეს. აქ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართული იყო, ხოლო გაბატონებული მდგომარეობა აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს.

1702 წელს იმერეთი ფაქტობრივმა მმართველმა გიორგი აბაშიძემ და სამეგრელოს ფაქტობრივმა გამგებელმა გიორგი ლიპარტიანმა ერთობლივად გაილაშქრეს აფხაზებზე და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვეს [4, 863]. ენგურსა და ღალიძგას შორის მიწა-წყალი ისევ ოდიშის სამთავროს იურისდიქციაში მოექცა, თუმცა ამ მხარის გამგებლობა ყვაპუ შარვაშიძის მემკვიდრეებს დარჩათ.

1703 წელს ოსმალეთის იმპერიამ დასავლეთ საქართლოს სრული დაპყრობა განიზრახა. თუმცა მათი ეს მცდელობა მალევე მარცხით დამთავრდა. ქართველებთან ერთად აფხაზებმაც მიიღეს მონაწილეობა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1723 წლისთვის

თურქ-ოსმალებმა მაინც მოახერხეს საქართველოს შავიზღვისპირეთის ნავსადგურებში: ფოთში, ანაკლიაში და სოხუმში თავიანთი მეციხოვნეების ჩაყენება. შარვაშიძეებმა მალე მოახერხეს ოსმალებთან საერთო ენის გამონახვა. 1744 წელს მანუჩარ შარვაშიძე ბათუმის ბეგად იჯდა, ზურაბი სოხუმის, ხოლო შერვანი ფოთის ციხეს განაგებდა. ზურაბმა თავისი ძმისწული ქელაიშ აჰმად ბეგი (მანუჩარის ძე) თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, ხოლო მეორე ძმისშვილს ბექირ ბეის (შერვანის ძე) აბჟუა უბოძა. შემდგომში ამ ორმა სამეგრელოს წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობაში, რასაც რუხი ბრძოლა მოჰყვა, დიდი როლი ითამაშეს [7, 131].

XVIII საუკუნის II ნახევარში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლამ დასავლეთ საქართველოში ფართო გაქანება მიიღო და ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში იმერეთის სახელოვანი მეფე სოლომონ I (1752–1784) ჩაუდგა, რომელმაც 1757 წელს ხრესილის ომში ოსმალები სასტიკად დაამარცხა. ამ ბრძოლაში მას ოდიშის და გურიის სამთავროების ლაშქარიც ეხმარებოდა. სამეგრელოს ჯარს კაცია დადიანი სარდლობდა და მას სამურზაყანოს მფლობელი ხუტუნია შარვაშიძეც თან ახლდა, რომელიც ხრესილის ბრძოლაში გმირულად დაეცა.

სოლომონ I-ის მოწვევით 1770–1771 წლებში დასავლეთ საქართველოში რუსეთის სამხედრო საექსპედიციო კორპუსი იმყოფებოდა. იმერეთის და რუსეთის გაერთიანებულმა ჯარმა იმერეთიდან ოსმალები გააძევა. ოსმალებმა სამეგრელოში დაცალეს ანაკლიისა და რუხის ციხე-სიმაგრეები. ოსმალთა წინააღმდეგ

ბრძოლაში სამეგრელოს მთავარი კაცია II დადიანი (1758–1788) იმერეთის მეფეს და რუსების საექსპედიციო კორპუსს კი ეხმარებოდა, მაგრამ საკმაოდ ორჭოფული მდგომარეობა ეკავა, რადგან ხრესილის ბრძოლის შემდეგ მას სოლომონ I-თან ურთიერთობა დაეძაბა. 1774 წელს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ ოსმალეთს იმერეთი ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა. სულთნის კარმა სამეგრელოში პოზიციების განმტკიცება გადაწყვიტა და ასეთ ვითარებაში, კაცია II-მ რადგან რუსებთან და იმერეთის მეფესთან ერთად მათ წინააღმდეგ მიიღო მონაწილეობა, აფხაზი მფლობელები წააქეზა სამეგრელოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი თავდასხმა მოეწყოთ. აფხაზი თავადები ამ ლაშქრობისთვის საგულ-დაგულოდ მოემზადნენ. საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეკრებილი მოლაშქრეების გარდა, მათ მოუწოდეს მეზობლად მცხოვრებ ჯიქებს, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ადიღეურ–ჩერქეზული მოდგმის ტომებს, ყირიმელ თათრებს სამეგრელოში ერთობლივ ლაშქრობაზე. ოსმალებმა მათ ზარბაზნებიც მიაშველეს.

გაერთიანებულ კოალიციას სათავეში ჩაუდგნენ: აფხაზ თავადთაგან უპირველესი ზურაბ შარვაშიძე, სოხუმის ციხის გამგებელი და ზურაბის მემკვიდრე ქელაიშ აჰმად ბეგი, აბჟუას მფლობელი ბექირ ბეი. გადამწყვეტ მომენტში სამეგრელოს მთავარს განუდგა და მათ მიემხრო სამურზაყანოს გამგებელი ლევან შარვაშიძე. ზოგიერთი წყაროს ცნობით გაერთიანებული ჯარის სარდალი არა ზურაბ შარვაშიძე, არამედ ქელაიშ აჰმად ბეგი იყო [7, 161-162].

კაცია II დადიანი მოახლოვებულ საფრთხეს კარგად მომზადებული შეხვდა. შეკრიბა ოდიშის, ლეჩხუმის და სვანეთის ლაშქარი, მაგრამ ისტორიკოს ნიკოლოზ დადიანის სიტყვებით: „გარნა რა სცნო სიმრავლე და ძალი შარვაშიძეთა, მაშინ თუმცა იყვნენ მტერად მეფე სოლომონ და დაიანი, გარნა მაშინცა მიუწერა ავრათი მეფესა და შეუთვალა: მოვიდენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოისა ჩემისა და შებღალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა და მოვედ შემწედ ჩემდა სახელოვნითა გულითა და აჰა ჟამი მოიხსენო მსახურება ჩემი ხრესილის ბრძოლისა" [8, 180]. სოლომონ I-მა უმალ გაიაზრა თუ რა საფრთხის მატარებელი იყო დასავლეთ საქართველოსთვის აფხაზთა და მათი მოკავშირეების თავდასხმა სამეგრელოს სამთავროზე. ის თავისი ლაშქრით სოფელ ბანძასთან მივიდა, იქ დაიბარა გურიის მთავარი ჯარით, შემდეგ გაერთიანებულ ლაშქარს თავად წარუძღვა და რუხის ციხე-სიმაგრესთან შეუერთდა ოდიშის მთავრის მოლაშქრეებს. დადიანი და მისი თანამებრძოლები სოლომონს დიდი სიხარულით შეეგებნენ.

ბრძოლა გაიმართა 1780 წლის მარტში რუხის ციხესთან ახლოს ენგურის ნაპირას და ის ისტორიაში რუხის ბრძოლის სახელით შევიდა. სიმრავლით შეგულიანებული მომხდურები ნიკო დადიანის სიტყვებით: „შემდგომად რაოდენისმე ჟამისა მოვიდენ აფხაზნი მიურიდებლად გამოვიდნენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათსა. მეორესა დღესა ამხედრდენ აფხაზნი და წარმოემართენ ზარბაზან-არტილერიითა და დიდძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზედა. აქათ მიეგებნენ

სპანი მეფისა და დადიანისანი, და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რამოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერთ-ოდიშართასა და მიუხთა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა ბრძოლისა განგლიჯა რაზმი, და შევიდნენ სპანი მეფისა და დადიანისანი რაზმსა შუა. და მხილველი ამისანი აფხაზნი ვერ წინაღუდგნენ, და ილტვოდნენ აფხაზნი მრავალნი და შეპყრობილიცა წარმოიყვანეს მრავალნი ტყვედ და გამარჯვებული და მხიარულ ქმნილნი უკმოიქცნენ" [8, 180].

რუხის ბრძოლაში ქართველთა დიდმა გამარჯვებამ წერტილი დაუსვა აფხაზთა შემდგომ შეტევებს ოდიშის სამთავროზე და მათ ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ ბრძოლის მონაწილე პოეტმა ბესარიონ გაბაშვილმა – ბესიკმა პოემა „რუხის ბრძოლა" დაწერა. მომდევნო საუკუნეშიც არ განელებულა ამ ომის მიმართ ინტერესი. რუხის ბრძოლას პოემები უძღვნეს გრიგოლ დადიანმა (კოლხიდელმა) და დავით დადიანმა (ნოღელმა). შემოინახა ზეპირთქმულებანიც, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა კრებულ „ძველ საქართველოში" გამოაქვეყნა. ამ ზეპირთქმულებების საფუძველზე მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ შესანიშნავი მოთხრობა „რაინდები" დაწერა.

რუხის ბრძოლის შემდეგ აფხაზეთში შიდა დაპირისპირება დაიწყო და უკვე სამეგრელოს მთავარი ჩაერია მათ შიდა საქმეებში. სამურზაყანოს ტერიტორია ისევ სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში დარჩა. აფხაზებს ამის შემდეგ აღარ უცდიათ ქართული ტერიტორიების შემდგომი ათვისება.

ლიტერატურა

1. ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., II, თბ., 1959.
2. И. Г. Антелава, очерки по истории Абхазии XVII–XVIII веков, изд. 2, сухуми 1951.
3. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილამ, თბ., 1975.
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., IV, თბ., 1973.
5. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
6. Путишествие Патриарха Досифеия, М. Селезнов, руководство к познанию Кавказа, кн. I, СПБ., 1847.
7. ბ. ხორავა, ოდიშ–აფხაზეთის ურთიერთობა XV–XVIII სს., თბ., 1996.
8. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

Papuna Gabisonia

The battle of Rukhi and its importance

In the middle centuries on the territory of modern "Abkhazeti" Abkhazians and their relative North-Caucasian tribes eventually were trying to capture the territories of principality of Samegrelo. The prince of samegrelo Levan II Dadiani (1611-1657) could suppress their attacks. But after his death it was impossible to repulse Abkhazian's aggression. In 1780 Abkhazian feudals: the Zurab, Kelaish, Bekir and Levan Sharvashidze togather with the tribes of Jikis and other North-Caucasian tribes planned the aggression against Samegrelo. In difficult situation the king of Imereti Solomon I helped to the prince of Samegrelo Katsia II Dadiani. The battle was on the bank of the river Enguri in the village of Rukhi. So this battle is known in history as "The battle of rukhi". Georgians gained the brilliant victory against the aggressors. After the defeat in Rukhi Abkhazians never tried the exspansion on the principality of Samegrelo.

ზურაბ სულაბერიძე

სერბეთ-ბულგარეთის ომი და ევროპის ძვეშნების დამოკიდებულება ბალკანეთის პრობლემისადმი 1885-1886 წლებში

1885 წლის 6 სექტემბერს რუსეთისა და სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესების საწინააღმდეგოდ ქ. პლოვდივში ბულგარეთმა და აღმოსავლეთ რუმელიამ გამოაცხადეს გაერთიანება. რამაც წარმოქმნა ბულგარეთის კრიზისი. სერბეთი წინააღმდეგი წავიდა სამხრეთ და ჩრდილოეთი ბულგარეთის გაერთიანებისა. სერბეთის ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება დაარღვევდა ძალთა ბალანსს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე [3, 256]. როგორც ბულგარელი ისტორიკოსი ვენედიკტოვი წერდა, სერბეთს ანტიბულგარულ გამოსვლაში მხარს უჭერდა ოსმალეთი, რომელიც სერბეთს სამხრეთ ბულგარეთის მიწების ხარჯზე პირდებოდა ტერიტორიის გაფართოებას [1, 38].

ბულგარეთ-სერბეთის ომის მიზეზი ასევე განაპირობა მდ. ტიმოკზე ორ ქვეყანას შორის არსებულმა საზღვრის პრობლემის გადაუჭრელობამ. წლების განმავლობაში მდინარის კალაპოტის შეცვლის შედეგად, სოფელ ბრეგოვოსთან მდებარე სერბეთის სასაზღვრო ჰაუპტვახტი ბულგარეთის სანაპირო ზოლში მოექცა. ბულგარეთმა მიმართა სერბეთს მოეხდინა ჰაუპტვახტის ევაკუაცია, რაზეც პასუხად უარი მიიღო. რის შემდეგ, სერბეთის მესაზღვრეები ბულგარელი სამხედროების ძალისხმევით გაიყვანეს. ასე დაიწყო ე.წ. „ბრეგოვოს კონფლიქტი“ [1, 39; 11].

1886 წლის 15 ოქტომბერს სერბეთის ჯარის ნაწილები ბულგარეთის ტერიტორიაზე შევიდა [1, 58]. დიდი იყო რიგითი მოსახლეობის მხარდაჭერა ბულგარელებისადმი. დაახლოებით 60000-იან ჯარის ნაწილში 15000-ზე მეტი სახალხო რაზმის წარმომადგენლები იყვნენ.

რაც შეეხება თავად აღმოსავლეთ რუმელიის ავტონომიის შექმნას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტონომიის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს ბერლინის კონგრესზე. 1879 წელს ევროპის საერთაშორისო კომისიამ განსაზღვრა მისი სტატუსი როგორც „შტატუტ ორგანიქუე დე ლა ღოუმელიე რიენტალე“, რომელიც იმართებოდა გენერალ-გუბერნატორის მიერ. გუბერნატორი ბულგარული წარმოშობის ქრისტიანული აღმსარებლობის პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელსაც ევროპის ქვეყნების შეთანხმების საფუძველზე ქვეყნის 5 წლის ვადით მართვის უფლებით ოფიციალურად წარადგენდა სულთნის ხელისუფლება. ავტონომიის წარმომადგენლობითი ორგანო 10 კაცისაგან შემდგარი სახალხო საბჭოთი განისაზღვრებოდა.

რუმელიის პირველ გენერალ-გუბერნატორად დაამტკიცეს ბულგარული წარმოშობის ალეკო-ფაშა, იგივე ალექსანდრე ბოგორიდი. მისი 5 წლიანი მმართველობის პერიოდი რუმელიისათვის საკმაოდ მშვიდობიანი იყო. მაგრამ აღმოსავლეთ რუმელია წარმოადგენდა თავშესაფარს ბულგარეთიდან პოლიტიკურად დევნილი პირებისათვის, რასაც რუსული დიპლომატია წინააღმდეგობას უწევდა. ალეკო ფაშა ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ცდილობდა

ევროპული დიპლომატიის მხარდაჭრა მიეღო. მიუხედავად ამისა, 1884 წელს აღმოსავლეთ რუმელიის გენერალ-გუბერნატორად დამტკიცებულ იქნა გაბრიელ კრესტოვიჩი. იმავე წელს აღმოსავლეთ რუმელიიდან გაემგზავრა დეპუტაცია ევროპაში ქვეყნის ბულგარეთთან მიერთების თხოვნით. მაგრამ, ბერლინის, ვენისა და პეტერბურგის კარის მიერ ეს თხოვნა იმთავითვე უარყოფილ იქნა. ხოლოს პარიზსა და ლონდონში დეპუტაციამ ვერ მოახერხა ოფიციალური მიღებაც კი. მიუხედავად ამისა, მოძრაობა ფრიად პოპულარული გახდა აღმოსავლეთ რუმელიაში. ამ გარემოებით ისარგებლა ალ. ბეტენბერგმა და პოლიციის ოფიცრებისა და რევოლუციური კომიტეტის წევრთა დახმარებით დაიწყეს აგიტაციის გატარება რუმელიის ბულგარეთთან მიერთების შესახებ. რევოლუციურ პარტიას სათავეში ედგა ზაქარია სტოაიანოვი. 1885 წლის მაისში პლოვდივიში კონსპირაციულად მოღვაწეობა დაიწყო ბულგარეთის ფარულმა რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელსაც ალ. ბეტენბერგი ფინანსურად და მორალურად უჭერდა მხარს. ეს იყო პირველი ორგანიზაცია, რომელიც იბრძოდა ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის გასაერთიანებლად. პირველი მღელვარება 1885 წლის 2 სექტემბერს დაიწყო. 5 სექტემბერს მღელვარება გავრცელდა და ანტიოსმალურმა ძალებმა დაიკავეს რიგი პუნქტები [9].

გენერალ-გუბერნატორი კრესტოვიჩი დაპატიმრებულ იქნა და გასახლებულ იქნა რეგიონიდან. შეიქმნა დროებითი მთავრობა დოქტორ სტრანსკის ხელმძღვანელობით. ალ. ბეტენბერგმა, რომელიც იმჟამად ვარნაში იმყოფებოდა, 8 სექტემბერს მიიღო ტელეგრამა

სახელმწიფო გადატრიელების წარმატებულად დასრულების შესახებ. იმავე დღეს ბეტენბერგმა საზეიმო ვითარებაში გამოსცა მანიფესტი აღმოსავლეთ რუმელიის ბულგარეთთან მიერთების შესახებ [10].

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყება ალ. ბეტენბერგისგან ითხოვდა, რომ არ დაეჭირა მხარი აღმოსავლეთ რუმელიის გამოწვევისთვის და დაეცვა ბერლინის ტრაქტატის საერთაშორისო მოწყობის ძირითადი პრინციპები [6, 210].

ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ პროცესებს მეტნაკლები სისრულით ეხება თავად ალ. ბეტენბერგი თავისი მოგონებაში. ჩანაწერიდან ჩანს, რომ ალ. ბატენბერგი აღნიშნულ ვითარებას ვარაუდობდა ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე. რამდენადაც აღმოსავლეთ რუმელიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებს მომავალი ცხოვრება მხოლოდ ბულგარეთთან მიერთებით წარმოედგინათ [4].

ალ. ბეტენბერგი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბეტენბერგს პირობა ჰქონდა დადებული რუსეთის საიმპერატორო კარის წინაშე, რომ მხარს არ დაუჭერდა აღმოსავლეთ რუმელიის გამოწვევას, ფაქტობრივად კი აღმოსავლეთ რუმელიის მხარდამჭერად გამოდიოდა. დიდი იყო ბეტენბერგის შიში ოსმალების მხრიდან აგრესიის გამოვლენისა და ქვეყნის ინტერვენციის მხრივაც [5, 73].

საბერძნეთი და სერბეთი მოითხოვდნენ ტერიტორიების კომპენსაციას. ევროპელი დიპლომატები სტამბულში მთელი 1 კვირის განმავლობაში ბჭობდნენ საკითხის დარეგულირებას, მაგრამ შეხვედრამ არანაირი შედეგი არ გამოიღო [6, 212].

1885 წლის ნოემბერში სერბეთის მეფე მილანმა ომი გამოუცხადა ბულგარეთს.

სამხედრო დაპირისპირებამ, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, საერთაშორისო პოლიტიკური ძალების ჩარევა გამოიწვია. განსაკუთრებით წინააღმდეგი შეხვდა ამ ფაქტს ავსტია-უნგრეთის იმპერია, რამდენადაც ბულგარეთის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა მის პოზიციებს ბალკანეთში.

ომის დასაწყისში სერბეთი ვარაუდობდა, რომ მას მხარს დაუჭერდა ოსმალეთის იმპერია. მაგრამ რუსეთის დიპლომატიური ზეწოლის შედეგად, სულთნის ხელისუფლებამ არ განახორციელა კონფლიქტში ჩარევა.

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის დასაწყისში ბულგარეთი ფაქტობრივად სამხედრო ოფიცრების გარეშე დარჩა. რადგან რუსეთმა ორი ქვეყნის გაერთიანების შესახებ გამოცხადებისთანავე, გამოიყვანა ბულგარეთის ჯარის ნაწილებში მომსახურე რუსი ოფიცრები. რის შემდეგ, ბულგარელები, ძირითადად არტილერიის იმედად დარჩნენ.

რაც შეეხება სერბეთის არმიას, ის იმ პერიოდისთვის აღჭურვილი იყო თანამედროვე სამხედრო შეიარაღებით. მაგრამ მათ მაინც ვერ მიაღწიეს სამხედრო წარმატებას. ძირითადი მიზეზი წარუმატებლობისა, იყო ოფიცრებისა და სამხედროების არაპროფესიონალიზმი და საბრძოლო აღჭურვილობის აუთვისებლობა. ომის დაწყებიდან ცოტა ხანში, სერბეთის ჯარისკაცები დადგნენ სამხედრო აღჭურვილობის დეფიციტის წინაშე. არასწორი იყო ასევე სერბეთის მეფის მილან I-ის მიერ

განხორციელებული სამხედრო სტრატეგია, რამაც დაბნეულობაში ჩააგდო ჯარის ნაწილები.

წარუმატებელი შეტაკების შემდეგ, სერბეთი თავდაცვაზე გადავიდა. ბულგარეთმა კი სამხედრო მოქმედებები სერბეთის ტერიტორიაზე გადაიტანა. მათ დაიკავეს ქალაქი პიროტი. რის შემდეგ, 1885 წლის 28 ნოემბერს ავსტრია-უნგრეთმა ულტიმატუმი გამოუცხადა ბულგარეთს, რომ ომის არშეწყვეტის შემთხვევაში სამხედრო პროცესში ჩაერთვებოდა.

ავსტრია-უნგრეთის ამგვარმა განცხადებებმა საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დიდი სახელმწიფოები, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი და ოსმალეთის იმპერია ომის ზღვარზე აღმოჩნდნენ. აქ ძირითადად ერთმანეთს ეჯახებოდა რუსეთ-ავსტრიის ინტერესები. გერმანია, როგორც ბერლინის ტრაქტატის მთავარი ნოვატორი, გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ პროცესებისადმი, რომლებიც ტრაქტატის შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებში შეიქმნა. ის ფარულად უჭერდა მხარს ავსტრია-უნგრეთს, რამდენადაც მისი დაინტერესება იმთავითვე დიდი იყო ბულგარეთ-სერბეთთან მიმართებაში.

ბისმარკის 1885 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ გერმანია გამოდიოდა ხელშეკრულების დამცველად და სამხედრო კონფლიქტის წარმოშობისთანავე ემხრობოდა სტატუს ქვოს შენარჩუნებას ბალკანეთზე [7, 12-13]. მაგრამ ბულგარეთი რასაკვირველია წინაღმდეგი იყო ამ შემოთავაზებისა. რუსეთი თავს არიდებდა ბულგარეთ-სერბეთის ურთიერთობების პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვას. რაზეც გერმანიის კანცლერი

უკმაყოფილებას გამოთქვამდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ. გერმანიის მთავრობა ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა თავისი გავლენა ორივე იმპერიაზე [7, 15].

რუსეთიც ოფიციალურად თითქოს არ ერეოდა შექმნილ ვითარებაში, თუმცა მთავარ ბეტენბერგის წინააღმდეგ გამოსასვლელად ბულგარეთის ლიბერალურ ძალებთან ამყარებდა ფარულ კონტაქტებს. ასევე რუსული ნაციონალისტური პანსლავური პრესა პირდაპირ გამოდიოდა „ბულგარელი ძმების“ დაცვის მხარეზე [6, 210; 5, 73].

1885 წლის 22 ნოემბრისათვის, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო შეთანხმებული იყო ბულგარეთისა და სერბეთის ტერიტორიების სტატუს ქვოს შენარჩუნებაზე [7, 16]. ეს გადაწყვეტილება, რასაკვირველია, იმთავითვე მიმართული იყო რუსეთის პოზიციების შესასუსტებლად ბაკლანეთსა და კავკასიაში.

1885 წლის 24 ნოემბერს თურქეთისა და ევროპის ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ გრაფ ქევენჰიულერთან სერბეთის შესახებ მშვიდობიანი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, რაც დადასტურებულია გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლის გრაფ ბრეის ბისმარკისადმი მიწერილ წერილში [7, 21]. აღნიშნულ შეთანხმებაში, გერმანია რუსეთთან და ავსტრია-უნგრეთთან ერთად, მოითხოვდა ძმათამკვლელი ომის სასწრაფოდ შეწყვეტას რასაც მხარს უჭერდნენ ინგლისის, იტალიისა და საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები [7, 23].

ამ მოწოდების მიუხედავად, 1885 წლის 25 ნოემბერს ბულგარეთმა უარი განაცხადა საომარი

მოქმედების შეჩერებაზე. სერბეთი ყოველგვარი სამხედრო ამუნიციის გარეშე იყო დარჩენილი და საკმაოდ შესაძლებელი იყო ბულგარელებს ბელგრადამდე მიეღწიათ. არსებული ვითარებიდან გამომსახველად, ავსტრიის ხელისუფლება არწმუნებდა ბერლინის კარს, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ავსტრიის მიერ სერბეთის ოკუპაცია იქნებოდა. რის შემდეგ, თითქოს, ბულგარეთი შეწყვეტდა აგრესიას ამ ქვეყნისადმი [7, 24]. ავსტრია-უნგრეთის ამ გეგმაში, რასაკვირველია, სერბეთის ინტერესები ყველაზე ბოლო ადგილას იყო. მისთვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, არსებული ვითარების გამოყენებით, ბოსნია-ჰერცოგოვინის ანექსია და სერბეთზე საკუთარი გავლენის დამყარება.

ავსტრია-უნგრეთის გადაწყვეტილება გერმანიის ხელისუფლებამ დადებითად არ აღიქვა. 1885 წლის 23 ნოემბერს გერმანიის ელჩი თურქეთში ფონ რადოვიტცი ბისმარკს წერდა, რომ 22 ნოემბისათვის საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ სერბეთ-ბულგარეთის საკითხთან დაკავშირებით, რის ძირითად მიზეზად რუსეთის გადაწყვეტილების მიუღებლობას ასახელებდა, რამდენადაც ვერ მიიღო სათანადაო მითითება პეტერბურგიდან. ავსტრიასა და იტალიას არავითარი წინააღმდეგობა არ გააჩნდა. თანხმობას აცხადებდა ასევე საფრანგეთის დიპლომატიური წარმომადგელობაც. ორაზროვანი იყო მხოლოდ რუსეთის კარის დამოკიდებულება აღმოსავლეთ რუმელიის ბულგარეთთან მიერთებასთან დაკავშირებით [7, 18].

1885 დეკემბერში გერმანიის მთავრობა სრულად იყო ინფორმირებული ავსტრიის განზრახვაზე, სერბეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით. მაგრამ ავსტრია-უნგრეთის

აშკარად მხარდაჭერისგან თავს იკავებდა. ავსტრია გერმანიას უმტკიცებდა იმას, რომ მისი შესვლა სერბეთში მხოლოდ დროებითი ხასიათის იქნებოდა. რასაც გერმანია არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად [7, 31].

ფონ ბისმარკის აზრით, ავსტრიის სერბეთში შეჭრა გამართლებული იქნებოდა, მხოლოდ რუსეთის მიერ ბულგარეთის ანექსიის შემთხვევაში. მაგრამ, როგორც მასალებიდან ჩანს, ბულგარეთის ოკუპაცია იმ პერიოდის რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმაში საერთოდ არ განიხილებოდა [7, 34].

საინტერესოა ის გარემოება, რომ ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთის ვითარების დესტაბილიზაციის შემთხვევაში, რუსეთის მთავარ პოლიტიკურ კოზირს ჩერნოგორია წარმოადგენდა. თუმცა ჩერნოგორიის ხელისუფლებას რუსეთის საიმპერატორო კარი მოუწოდებდა თავი შეეკავებინა სამხედრო-პოლიტიკური გამოსვლებისაგან და სათანადო მომენტს დალოდებოდა [7, 31].

ამ თვალსაზრისით გერმანიის კანცლერი სწორად განსაზღვრავდა რუსეთ-ჩერნოგორიას შორის არსებულ პოლიტიკურ რეალობას. ავსტრიის მხრიდან სერბეთის ოკუპაციის შემთხვევაში, რუსეთს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა ჩერნოგორელების პროვოცირება და სვამდა კითხვას, რამდენად შეეძლო ავსტრიას თავი გაერთვა შემდგომში განვითარებული რთული პოლიტიკური პროცესებისათვის [7, 34]. გერმანიის საგარეო უწყებისათვის ასევე ნათელი იყო, რომ ავსტრიის მთავრობას არ შესწევდა ძალა ვითარება მხოლოდ სერბეთის მთავარ მილანისათვის სასარგებლოდ წარემართა [2, 33]. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ

ბერლინის ტრაქტატის დადებიდან მოყოლებული რუსეთი აქტიურად ინარჩუნებდა დომინანტის პოზიციას ბულგარეთზე და მთლიანად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამრიგად, როგორც რუსეთი, ისე გერმანია იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერათობის ფონზე არ დაუშვებდა ავსტრია-უნგრეთის გაბატონებული პოზიციის შექმნას ბალკანეთზე [7, 34].

გერმანიის მთავრობა არც იმას მალავდა, რომ ავსტრიის მიერ პროვოკაციის განხორციელების შემთხვევაში, მას წინ აღუდგებოდა [7, 35]. გერმანიის რკინის კანცლერი თავის წერილში დასძენდა, რომ ავსტრიის მიერ სერბეთის დაკავების შემთხვევაში, იგივე არგუმენტი შეეძლო მოეყვანა რუსეთს ბულგარეთის, რუმინეთის და თუნდაც კონსტანტინოპოლის ოკუპაციაზე. ასევე ინგლისს ეგვიპტის სრულ კოლონიზაციაზე. რაც ეწინააღმდგებოდა იმ სამმხრივი მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა „სტატუს ქვოს“ შენარჩუნებას ბალკანეთზე [7, 35-36].

ავსტრიის საგარეო უწყება მხედველობაში არ იღებდა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებისათვის ჩერნოგორიის განსაკუთრებულად ახლო ურთიერთკავშირს რუსეთთან. ასევე უგულებელყოფდა ბოსნიაში არსებულ ეთნიკურ სურათს. რომლებიც არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც დაძაბულ ურთიერთობაში იყვნენ სერბეთთან [7, 37].

გერმანიის მხრიდან გამოხატულმა ნეიტრალურმა პოზიციამ ავსტრიის მიერ სერბეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით, ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებაში გააჩინა ეჭვი, რომ გერმანიის საიმპერატორო კარი

პრორუსულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე იდგა. ბისმარკი თავის მხრივ უმტკიცებდა ავსტრიის ხელისუფლებას, რომ აღმოსავლური პოლიტიკის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო რუსეთ-ავსტრიის მოწესრიგებული ურთიერთობის გარეშე. ამით არწმუნებდა ავსტრიას კიდევ ერთხელ იმაში, რომ ავსტრიის მსგავსი მოქმედების შემთხვევაში რუსეთი ხელდაკრეფილი არ დარჩებოდა მისი „სლავი ძმების“ დაცვის საქმეში [7, 37].

გერმანიის საიმპერატორო კარი ასევე უარყოფდა ავსტრიის პოლიტიკური წრეების შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიისათვის ბალკანეთზე სტაბილური ვითარების შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანი იყო [7, 38].

სერბეთ-ბულგარეთის სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება საბოლოოდ დასრულდა 1886 წლის 7 დეკემბრის ბუჰარესტის საზავო ხელშეკრულებით. აღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ გერმანიის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიისა და თურქეთის წარმომადგენლები [8, 12]. საერთაშორისო ზეწოლის (განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთის) შედეგად, ბულგარეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა ომამდელი ვითარების შენარჩუნებას. სერბეთისა და ბულგარეთის ტერიტორიები უცვლელი დარჩა. მხოლოდ ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის გაერთიანება აღიარეს დიდმა სახელმწიფოებმა. როგორც ბულგარელი მეცნიერები აღნიშნავენ, ომის შემდეგ გაიხსნა შემდგომი გზა ბულგარეთის მომავალი წარმატებული განვითარებისა.

სერბეთი კი დიდი მორალური დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ბულგარეთისა და სერბეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში სერიოზული ბზარები გაჩნდა. ქვეყნები რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთად იბრძოდნენ ოსმალური ბატონობის წინააღმდეგ, 1885 წლის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ. განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა გერმანია-ბულგარეთის ურთიერთობები როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. Венедиктов, Й. История на доброволците от Сербско-Балгарската война 1886, «Сливница», 1935.
2. Гоков Олег, Образ князя Александра Баттенберга в российской мемуаристике последней четверти XIX – начала XX вв; [eleqtronuli resursi]; http://library.by/portalus/modules/history/readme.php?subaction=showfull&id=1297706545&archive=&start_from=&ucat=&; დაშვება 25.08.2012.
3. Краткая история Болгарии, под редакции Г. Литаврина, Москва, 1987.
4. Fuerst Aleksander von Bulgarien, Mittheilungen aus seinem Leben und seiner Regierung, Darmschtadt 1887.
5. Bulgarische nationalismus und die Politik bismarcks. Author, Roland Schaller. Publisher, Johann Wolfgang Goethe-Universitat, 1975. Original from, gv. 73]--'-50;
6. Björn Opfer, Alexander v. Battenberg und die Anfänge des Bulgarischen Fürstentums, Zeitschrift für hessische Geschichte und Landeskunde, #108 (2003), Johann Wolfgang Goethe-Universitat, Frankfurt am Meine 1975.
7. Die Große Politik der Europäischen Kabinette 1871-1914; B. 5, Berlin 1922.
8. 1200 Jahredeutsch-bulgarische Beziehungen – in Überblick Professor Dr. Heinz-Günther Borck, ელექტრონული რესურსი: http://www.oberemeerbach.de/Bulgarien.pdf; დაშვება 15.08.2012.
9. http://www.slovo.bg
10. http://www.studhistory.ru
11. http://ru.wikipedia.org

Zurab Sulaberidze

The Serbian-Bulgarian war and the relation's of the European countries with the Balkan's started in 1885-1886

The Serbian-Bulgarian war in 1885-1886 is considered in the publication. On September 6th 1885 in the city of Plovdiv Bulgaria and Eastern Rumelia publicly declared the association of Bulgaria and Eastern Rumelia to against Russia and other great countries of interests which caused the Bulgarian crisis. Serbia went against the association of Northern and Southern Bulgaria and the Government of Serbia considered the association of Bulgaria to cause a violation of power balance on the Balkan Peninsulas. The Ottoman Empire supported Serbia against anti-Bulgarian succession and the government of Turkey promised Serbia to broaden it's territories at the expense of the Bulgarian lands.

Military opposition which carried on for more than one year had incurred interventions of the international forces. The Austria-Hungarian empire was especially against this fact, whereas strengthening of Bulgaria foretold the danger of its positions in the Balkans.

After unsuccessful attacks on Bulgaria, Serbia shifted to self-defense and military operations had been transferred over to the territories of Serbia which were finally completed with the victory of the Bulgarian military forces. On November 28th 1885 Austria – Hungary declared an ultimatum to Bulgaria to cease military operations. In an opposite case they also promised to join in the war against Bulgaria.

On December 7th 1886 in Bucharest the peace agreement between Serbia and Bulgaria was signed. The diplomats of Germany, Russia, Austria - Hungary, France, England, Italy and Turkey also signed on the Agreement. As the result of this international pressure, Bulgaria was compelled to agree on maintenance of a pre-war situation. The territories of Serbia and Bulgaria remained indisputable. The association of Bulgaria and Eastern Rumelia was recognized only by the great countries.

The Bulgarian scientists claim that after the war the new way of future successful development was opened to Bulgaria. Serbia's indifference from Bulgaria was under big moral and material threat and serious cracks appeared in the Bulgarian- Serbian relations. The countries which battled together against an Ottoman yoke throughout the centuries , after the military conflict of 1885, became the enemies to each other.

Сулаберидзе Зураб

Политические и экономические аспекты Немецкой восточной политики в конце 19 – начале 20 вв.

Целью нашей публикации является краткое рассмотрение политических и экономических аспектов восточной политики Германии в конце 19 и начале 20 века.

На основании русской и немецкой научной литературы и источников, мы представим системную картину турецкой и ближневосточной политики Германии в конец 19 и начале 20 века.

Итоги франко-прусской войны в 1870 – 1871 годах создали совершенно новую ситуацию в Европе. Образование Германской империи имело большое международное значение и оно изменило политическую карту Европы. После этого, Берлинский трактат 1878 года особенно упрочил немецкий авторитет и ее роль на международной арене в 70-80 годах 19 века[1].

В конце 19 века политические и экономические интересы Германии пересекаются на востоке в основном в двух направлениях. Первым являлось: воздействие Германии непосредственно на северо-восток, который объединял Прибалтику, Польшу, Беларусь, Украину. Вторым же было усиление влияния Германской

[1] Norddeutsche Allgemeine Zeitung, 12. Sept. 1919, N443, S.4

империи на юго-восточные территории: Балканы, Турция, Кавказ, ближний восток до Персии[2].

Канцлер Германии Бисмарк хорошо понимал, что экспансия Германии в Турции и на Балканах зависела от временных обстоятельств[3].

С начала 19 века немецкие востоковеды начали многосторонне изучать Турцию. Кроме этого, немецкие политики и военные лица внимательно исследовали возможность распространения немецкой политики в ближневосточном регионе.

После Русско-турецкой войны 1877-1878 года Турецкому султану Абдул-Хамиду II-му было необходимо восстановить боеспособность армии. Ввиду тяжелого финансового и морального положения Османской империи, выбор султана пал на Германию. Поскольку, до собрания Берлинского конгресса, Отто фон Бисмарк выражал поддержку Абдулахмаду II-му и его Визирям. Поэтому, Бисмарк положительно отнесся к просьбе Абдул-Хамида направить в Стамбул немецких чиновников и офицеров для оказания помощи в деле реформирования армии[4].

После заключения русско-австро-германского союза 1881 года, отправка миссии в Турцию затянулась. Наконец, в 1882 году миссия во главе с фон-дер Гольцем, прибыла в Стамбул, где работала до 1893 года[5] .

---

[2] Д.Сейдаметов, Н.Шляпников, Германско-Австрийская разведка в царской России, М., 1939, стр. 5

[3] История 19 века, под редакции Лависа и Рамбо, книга 7, стр. 425

[4] Силин А.С. Германская военная миссия фон дер Гольца в Турции в 1882 – 1895 гг. – М., 1956. с.56-58

[5] Силин А.С. Экспансия Германии на Ближнем Востоке в конце XIX века. – М., 1971, с. 64-67

В первые годы своей деятельности, немецкая военная миссия практически не была допущена к руководству вооруженными силами Турции. В 1882 – 1885 годах германские офицеры практически оказались в двусмысленном и унизительном положении. Было очевидно, что Османский двор, используя немецких офицеров, держал своей целью произвести впечатление наличия политической поддержки. Надо отметить, что из всего состава германской военной миссии, с самого начала лишь фон-дер Гольцу удалось достичь некоторого успеха. Он сумел добиться частичной реорганизации турецких военных училищ. Фон-дер Гольц был назначен начальником главной Стамбульской военной школы, готовившей офицеров генштаба и соответствующей военным академиям в европейских государствах. Фон-дер Гольц стремился приблизить систему обучения и распорядок школы к известной ему Берлинской военной академии. Но Абдул-Хамид испугался европеизации военной школы и чинил препятствия деятельности фон-дер Гольца. Таким образом, фон-дер Гольцу приходилось преодолевать сопротивления и в 1886 году он был назначен генеральным инспектором всех турецких военных школ. Фон-дер Гольц пользовался в Турции влиянием и это облегчило в последующем вовлечение младотурок в орбиту германского влияния, так как лидеры младотурецкой партии были его учениками и выходцами из руководимых им военных школ.

С 1885 года начинаются реальные сдвиги германо-турецкого сотрудничества[6].

Государственный переворот, произошедший в Турции в январе 1913 года, был осуществлен младотурками, руководящий комитет которых - "Единение и прогресс" - поддерживал тесный контакт с германским послом в Стамбуле бароном Г. фон Вангенхаймом и германским военным атташе майором фон Штремпелем. Это создавало благоприятную почву для укрепления германских позиций в Османской империи[7].

Соответствующий договор с Османской империей был подписан 28 октября 1913 года в Берлине[8]. Тесные связи между Германией и Турцией привели этих два государства к союзу в первой мировой войне.

К концу XIX века были созданы все условия для расширения германского капитала в Турции. В самой Германии происходил бурный рост промышленных монополий и в конце 80-х годов XIX века. Георг фон Сименс – глава Немецкого банка – заявил, что "прошли те времена, когда германский капитал был лишь участником английских и французских предприятий в Тур-

---

[6] Еремеев Д.Е., Мейер М.С. История Турции в средние века и новое время. – М., 1992, с. 142-143

[7] Секретный договор – контракт о немецкой военной миссии // Юровская Е.Е. Практикум по новой истории 1870 – 1917 гг. – М., 1974. с. 221-222

[8] Хальгартен Г. Империализм до 1914 года. Социологическое исследование Германской внешней политики до Первой мировой войны. – М., 1961, с. 324

ции; теперь этот капитал окреп и может действовать самостоятельно"[9].

Стремительная экспансия немецких банков на Ближнем Востоке свидетельствовала о вступлении Германии в борьбу за передел сложившихся в этом регионе мира сфер экономического влияния других европейских государств.

В 1888 году в Стамбуле открыл свое отделение крупнейший в Германии Немецкий банк (Deutsche Bank), а в 1906 году в Стамбуле группой немецких банков был основан Немецкий Восточный банк, конкурируя с британскими и французскими финансовыми учреждениями и внедряясь в экономику Ближнего Востока. Позиции германских банков в экономике Османской империи быстро укреплялись. Немцы добились также права на осуществление судоходной связи между Хайдарпашой и Стамбулом[10].

Вторым особенным направлением немецкой восточной политики является проникновение Германии в политическую и экономическую жизнь Персии в конце 19 и начала 20 века. По договору 1873 года между Германией и Персией, Германия имела возможность действовать на территории Персии. Договор, безусловно, пересекал интересы Англии и России в регионе Ближнего Востока.

---

[9] Туполев Б.М. Германский империализм в борьбе за «место под солнцем": Германская экспансия на Ближнем Востоке, в Восточной Африке и в районе Индийского океана в конце XIX – начале XX веков. – М., 1991 с. 33

[10] Jürgen Franzke, Bagdad- und Hedjazbahn. Deutsche Eisenbahngeschichte im Vorderen Orient« DB Museum, Nürnberg 2003; s. 24-90

Персия со второй половины 19 века являлась полуколониальной страной: на северной части Персии господствовала гегемония России, на южной части – Англии.

В 1888 году «Дойче Банк» основал «Немецкое Общество Анатолийских железных дорог» и получил концессию на проведение рельсовой колеи по Малой Азии до Ангоры с обещанием дальнейших концессий до Багдада. Общая длина всей Багдадской железной дороги должна была составить 3000 километров и весь проезд от Константинополя до Багдада требовал всего 40 часов времени. Срок постройки был определен, по концессии, в 8 лет, т.е. к 1908 году[11].

По первоначальному проекту, созданному известным инженером Вильгельмом фон Пресселем, Багдадская дорога должна была начаться у Хайдар-паши на Мраморном море, т.е. именно у Константинополя. От этого пункта дорога должна была пройти по северной части Анатолии, почти параллельно по побережью Черного моря, затем в юго-восточном направлении через Сивас, где проходили армянские и персидские караваны, откуда должно было пойти разветвление на Эрзерум и Битлис, к кавказской границе. Затем дорога, по проекту Пресселя, поворачивала в юго-восточном направлении и шла через Сивас, Диарбекир, Мосул к Багдаду, а оттуда к Персидскому заливу. В действи-

[11] Manfred Pohl, Von Stambul nach Bagdad. Die Geschichte einer berühmten Eisenbahn, Piper Verlag, München 1999

тельности это была великая военно-стратегическая дорога[12].

Турецкое правительство приняло проект Пресселя. С 1871 по 1872 год была построена линия от Хайдарпаши до Исмада в объемностью 92 километра. Но затем в течение последующих десяти лет, с 1873 по 1889 год, дело ни на шаг не продвинулось вперед. Было очевидно, что Турция собственными силами не была в состоянии осуществить даже часть этого грандиозного проекта.

Проекты Багдадской железной дороги согласовывались со стремлениями турецкого генерального штаба соорудить эту линию ближе к Закавказью. По так называемому «северному варианту» Багдадскую железную дорогу намечалось продолжить от Ангора через Иоз-гад, Токат, Сивас, Нижнюю Малатию, Харпут и Диарбекир. От последнего пункта железная дорога должна была спуститься в Северную Мессопотамию.

Противодействие России принудило германцев обратиться к «южному варианту» Багдадской дороги. В апреле 1900 года между Германией и Россией было оформлено секретное соглашение. По договору прорыв Германии к кавказской границе был окончательно предотвращен. По «южному варианту» железная дорога должна была пройти от Эрегли через Адана, Ислахие, Джерабулус, Рас-эль-айн, Мосул, Багдад, Неджеф, Ковейт.

Буржуазная революция Персии 1905 года, создала серьезное разногласие между Россией и Англией, осо-

---

[12] Аветян А.С. Германский империализм на Ближнем Востоке. - М., 1966, с. 111

бенно в вопросе разделения политико-экономи-ческого влияния над Персией[13].

Германия вела последовательную экономическую политику и результатом этого стало на 3-е место во внешней торговле Персии после Англии и России. В период 1901-13 и 1913-24 годах немецкий товарооборот в Персии вырос с 2,5 млн. кран до 33 млн. кранов[14]. Персидский двор со своей стороны был заинтересован расширять немецкую торговую, индустриальную сферу, а также банковское дело[15].

В начале 1910 года был исчерпан срок Персидско-Российского договора 1890 года. Берлин хотел максимально использовать это обстоятельство[16].

После острого дипломатического реванша, Лондон и Петербург потребовали от Персии без консультации Англии и России не выдавать ни одной концессии на строительство железной дороги[17].

Вопрос Багдадской железной дороги и Северного Ирана стоял главной темой на повестке дня во время встречи в Потсдаме в ноябре 1910 года. Соглашением от 19 августа 1911 года Германия отказывалась от экономических концессий в северной части Персии. Стороны пришли к соглашению, что в будущем, когда немцы завершили бы строительство железной дороги

---

[13] Архив внешней политики России, ф. Канцелярия, 1909 год., д. 17, л. 60

[14] С.Агаев, Германский империализм в Иране, М., 1969, стр. 7

[15] Die Deutsche Politik der Europaische Kabinete, b. 25 (1), Berlin 1927, N8566

[16] АВПР, ф. Канцелярия, д. 19, л. 16 Шебеко-Сазонову, 16/29, апреля 1910 года

[17] АВПР, Ф. Канцелярия, д. 19, л.л. 20-23, 19 апреля- 2 мая 1910 год

до Ханекина, Россия имела бы возможность провести ветку железнодорожной линии от Западной части Тегерана до Ханекина[18].

В конце первой мировой войны, около 2000 километров пути были заложены на строительство Багдадской железной дороги. Железнодорожный путь начинался в Константинополе и завершался в Насирие.

В 1917 году восставшие бедуины в течение четырех месяцев уничтожили 17 локомотивов и взорвали 80 железнодорожных мостов. Следы этого исторического события туристы все еще могут увидеть, если они последуют по маршруту Хиджазе железной дороги через юг Иордании, граница которая проходит с Саудовской Аравией, на которой последний поезд прошел осенью 1924 года[19].

В конце публикации отметим, что в конце 19 и в начале 20 века Германия осуществляла успешный курс политического и экономического влияния в Турции и Персии. Поражение в первой мировой войне, весьма отрицательным оказалось для будущего развития ближневосточной политики Немецкой империи. По условиям Версальского мирного договора Германия была вынуждена насовсем отказаться от ближнего востока и колоний в юго-восточной Африке.

---

[18] Die Deutsche Politik Europeische Kabinette, B. 27(2), N10159

[19] DIE ZEIT 11.12.2003 Nr.51, S.3

ზურაბ სულაბერიძე

გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის ასპექტები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

პუბლიკაციის მიზანია გერმანულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის ძირითადი ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები. ბერლინის ტრაქტატის შემდეგ გერმანიისა და თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები მჭიდროდ დაუახლოვდა ერთმანეთს. 1882 წელს გერმანიის მისია ფონ-დე გოლცის მეთაურობით ჩავიდა სტამბულში რათა დახმარებოდნენ სულთნის ხელისუფლებას სახელმწიფო ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმის გატარებაში. აღნიშნულმა მისიამ იმუშავა 1893 წლამდე.


უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში ფონ-დე გოლცის მისია ფაქტობრივად უმოქმედოდ იყო. რეალური ძვრები გერმანია-თურქეთის ურთიერთობაში დაიწყო მხოლოდ 1885 წლიდან. თურქეთის დაახლოება გერმანიასთან უფრო აქტუალური ხდება 1913 წელს „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ განხორციელებული რევოლუციის შემდეგ. ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი ოფიციალურად 1913 წლის 28 ოქტომბერს გაფორმდა.

მე-19 ს-ის 70-იანი წლებიდან გერმანია ასევე აქიტურად ერევა სპარსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. 1873 წელს გერმანია-

სპარსეთის ხელშეკრულების შემდეგ გერმანიის საფინანსო ინსტიტუტების გავლენა სპარსეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში დღითიდღე იზრდებოდა. სპარსეთ-გერმანიის დაახლოება იმთავითვე ეჯახებოდა დიდი ბრიტანეთის და რუსეთის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მიუხედავად ამ ვითარებისა, 1888 წელს გერმანიის „დოიჩე ბანკმა“ მიიღო კონცესია ბაღდადის რკინიგზის მშენებლობაზე. ცნობილი გერმანელი ინჟინრის ვილჰელმ ფონ პრესელის პროექტით, რკინიგზის მაგისტრალი კონსტანტინე-პოლიდან ბაღდადამდე 3000 კილომეტრს შეადგენდა, რომლის მშენებლობა 1908 წელს უნდა დასრულებუ-ლიყო. რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გერმანია მე-19 ს-ის დასასრულისა და მე-20 ს-ის დასაწყისში თანმიმდევრულ და წარმატებულ პოლიტიკას ატარებდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მაგრამ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ, უკიდურესად უარყოფითი როლი შეასრულა აღნიშნული პოლიტიკური კურსის შემდგომ განვითარებაზე. ვერსალის ზავით, გერმანია იძულებული იყო საბოლოოდ უარი ეთქვა, როგორც მახლობელ აღმოსავლეთზე, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის კოლონიებზე.

„Und die Sonne Homers, siehe! Sie lächelt auch uns" (Schiller)

ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (3). *ფრინველი*



წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ფესტოსის დისკოს 𐄁 PhD31 *ფრინველის* ნახატ-ნიშნის გრაფიკული დახასიათება, მნიშვნელობა, ამოკითხვა ტიპოლოგიური პარალელებითა და კომენტარითურთ.


1. PhD31 ნახატ-ნიშნის გრაფიკული დახასიათება, მნიშვნელობა და ტიპოლოგიური პარალელები

ა. ევანსის (Evans 1909, I, 279), ლ. გოდარის (Godart 1994, 87, 113), კ. ზორნიგის (Sornig 1997, 71), ტ. ტიმის (Timm 2004, 231), ჯ. აიზენბერგისა (Eisenberg 2008, 19) და სხვების ვარაუდით, ფესტოსის დისკოს 𐄁 PhD31 *ფრინველის* ნახატ-ნიშანი გამოსახავს *არწივს*. ფ. სტოუელის (Stawell 1911, 26) მოსაზრებით, ეს ნახატ-ნიშანი აღნიშნავს *ქორს*; ხოლო გ. იპსენი (Ipsen 1929, 2), დ. ოლენროთი (Ohlenroth 1996, 92-94), ი. ბიგაი (Bigaj 2008, 19) და სხვები 𐄁 PhD31 ნახატ-ნიშანს ამსგავსებენ *შევარდენს* (აგრეთვე იხ.: Balistier 2000, 54; Timm 2005, 93). ა.ევანსი, ლ. გოდარი და ჯ. აიზენბერგი ამ ნახატ-ნიშნის 𐄐 გრაფიკულ ატრიბუტს აღიქვამენ როგორც *გველს*, რომელიც *არწივის* კლანჭებშია მოქცეული. ვფიქრობ, რომ ამ ნახატ-ნიშანში *გველის* ნაცვლად შეიძლება ამოვიცნო 𐄂 *თევზიც*.


დისკოს 𐄁 PhD31 *ფრინველის* ნახატ-ნიშანს გრაფიკულად ემსგავსება შემდეგი ნიშნები:

ა) A კლასის ხაზოვან წარწერებში დაფიქსირებული *ფრინველის* (*არწივის* ან *შევარდნის*) 𐄁 A081 ნიშნის ვარიანტები, რასაც ვარაუდობენ ა. ევანსი (Evans 1909, I, 279; 1952, 15-16), ივ დიუუ (Duhoux 1983, 34), ტ. ტიმი (Timm 2004, 208), ი. ბიგაი (Bigaj 2008, 19), ჯ. აიზენბერგი (Eisenberg 2008, 19) და სხვები. ეს ნიშნები გამოსახულია შემდეგ სქემასა და სურათებში:


A ხაზოვანი დამწერლობის A081 ნიშნის ვარიანტები



GORILA 1985, V, *XLI*



ამეთვისტოს მძივი-ამულეტი
მფრინავი არწივის
გამოსახულებით. კნოსოსი.
Evans 1935, IV, II, 542, სურ. 497;
Evans 1895, 12 [281], სურ. 8



წარწერიანი საბეჭდავები.
პაგია ტრიადა.
Evans 1909, I, 33, სურ. 14

ბ) მიკენური ხანის ბერძნულ B ხაზოვან წარწერებში მოცემული *ფრინველის* (*არწივის* ან *შევარდნის*) B081 [**ku**] ნიშანი, რასაც ვარაუდობენ ბ. შვარცი (Schwartz 1959), ივ. დიუუ (Duhoux 1977, 56-61), კ. ზორნიგი (Sornig 1997, 84), მ. პ. ჯეკსონი (Jackson 1999, 23, 24; 2000), ლ. ჩოთალიშვილი (2003, 167), ი. ბიგაი (Bigaj 2008, 19) და სხვები;

გ) ი. ბიგაისა (Bigaj 2008, 19) და სხვათა მიხედვით, კვიპროსული მარცვლოვანი დამწერლობის სილაბოგრამა: ,  [**ki**];

დ) ჯ. კოულმანისა და გ. ოუენსის (Coleman, Owens 2012, 5) მიხედვით, კრეტული იეროგლიფური დამწერლობის ნიშანი  CH*168;

ე) აგრეთვე ჩემი მოსაზრებით, ძველი ქართული დამწერლობის [**ქ**] – ნიშანი (იხ. კვაშილავა 2008, 229-230; 2011, 178).

ამგვარად, ფესტოსის დისკოს  PhD31 ნახატ-ნიშანი და A კლასის ხაზოვანი დამწერლობის ,  A081 ნიშანი აღნიშნავს *მტაცებელ ფრინველს* (*არწივს*, *შევარდენს* ან *ქორს*).

> ვფიქრობ, რომ ფესტოსის დისკოს PhD31 *მტაცებელი ფრინველის* ნახატ-ნიშანს ასევე შეიძლება შევადარო შემდეგი ნიშნები:
>
> **ა)** ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის ნიშნები: G005 [**ḥr**] – *შევარდენი* (შდრ.: Fischer 1999, 26; Collier, Manley 2007, 135; Wallis Budge 1920, I, cxiv);  G001 [**ꜣ**] – *ფასკუნჯი* (შდრ.: Gardiner 2007, 467; Adkins 2001, 37; Collier, Manley 2007, 127; DAEH 2010, 1);
>
> **ბ)** ანატოლიური იეროგლიფური დამწერლობის ნიშანი AH133 [**ara/ari**] – *არწივი* (Everson 2007, 18; Anders 2004, 6; იხ. ჩემი ინგლისურენოვანი ნაშრომის დანართში: ხეთ. **ḫāra(n)-**, **ḫāraš-** – *არწივი*);
>
> **გ)** შუმერული დამწერლობის ნიშნები:  SAS622 [**ÙRI**] (Ryan 2000);  SC331 [**ÙRI**: **urin**, **ùri**] – *არწივი* (შდრ. Halloran 2006, 70; იხ. ჩემი ინგლისურენოვანი ნაშრომის დანართში: შუმერ. **ḫu-rí-in** > აქად. **urinnu** – *არწივი*).

2. *მტაცებელი ფრინველისა* და *გველის* სიმბოლური მნიშვნელობები

მტაცებელი ფრინველისა (***არწივის, ფასკუნჯის, ორბის, ძერის, სვავის, შევარდნისა*** და სხვ.) და ***გველის*** მოტივები ხშირად წარმოდგენილია მრავალი ხალხის მითოლოგიასა და რელიგიურ სიმბოლოებში (იხ.: Ingersoll 1923, 28-50; MHM 2008, 257, 387-388, 759-761; Chariton 2011; Rodríguez-Pérez 2010; კვაშილავა 2010, 157, 161).

არწივის კლანჭებში მოქცეული გველის კომპოზიციის შესანიშნავი ნიმუშია (იხ. Wittkower 1939), მაგ., ბაბილონური საბეჭდავის ანაბეჭდში დადასტურებული სტილიზებული გამოსახულება, რაც მოცემულია შემდეგ სურათში:



ბაბილონური საბეჭდავის ანაბეჭდი.
ძვ.წ. III ათასწლეული. Wittkower 1939, Pl. 49d

არწივი არა მარტო ფრინველთა მეფე და სამეფო ფრინველია, არამედ ღვთიური ფრინველი და ღვთაებაცაა[1]. ზოომორფული კლასიფიკაციით ***არწივი*** ზესკნელის ბინადარია (Gam-

[1]. „L'aigle n'est pas seulement, chez un grand nombre de peuples, le roi des oiseaux et l'oiseau royal; il est, par excellence, l'oiseau divin, c'est-à-dire, si l'on remonte assez haut le cours des âges, l'oiseau-dieu" (Reinach 1913, III, 76).

krelidze, Ivanov 1995, I, 410; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 490) და ის ასოცირდება ცასთან, ცეცხლსა და მზესთან (Herrmann 1961, 91-96; Henry 1905, 100; აგრეთვე იხ. Топоров 2006, 426, 438[67]). ***არწივი***, რომელიც ხშირად წარმოდგენილია როგორც მესაზიდრე, სხვადასხვა ხალხის რწმენა-წარმოდგენებში არის საკულტო ობიექტი, ღვთაებებისა და მათი დესპანების, ციური (მზიური) ძალების, სულიერების, სიმამაცის, გმირობის, სისწრაფის, თავისუფლებისა და სხვა სიმბოლო (იხ.: Reinach 1913, III, 76-91; Mackenzie 1915, 168, 169, 171, 330, 342, 351, 347; ნოზაძე 1957, 407-415; 1959, 135; შდრ. MHM 2008, 759); ხოლო ***გველი*** (ან ***თევზი***)[2] ქვესკნელისა (ხთონური) და წყლის არსებაა. ის არის სიმბოლო ნაყოფიერებისა, მკურნალობის, გარდაქმნის, მარადიულობის, სიბრძნისა და სხვა (შდრ. MHM 2008, 387, 878-880).

ქვემოთ წარმოვადგენ ციური და ხთონური არსებების, ხის კენწეროსა და ფესვებში ბინადართა, ***მტაცებელი ფრინველისა*** (***არწივისა***) და ***გველის*** სიმბოლოებსა და მოტივთან დაკავშირებულ მოკლე მასალას, მაგ.:

ა) შუმერულ-აქადურ მითში  [^{AN}**.IM. DUGUD**^{mušen}: **anzud**^{mušen}],  [**AN.IM.MI**^{mušen}: ^{an}**zu(d)**$_2$^{mušen}] ***ანზუდი*** – ***ლომისთავიანი არწივი*** არის ***მზისა*** და [^{d}**nin-ĝir**$_2$**-su**] ღვთაება ***ნინგირსუს*** სიმბოლო (შდრ.: Langdon 1919, 340[12], 351; MHM 2008, 68, 728; Winter 1985, 15); ხოლო ***გველი*** ნაყოფიერების შუმერული ქალღვთაება  [^{d}**inanna**] – ***ინანას*** (ანუ ***იშთარის***) სიმბოლოა (კვაშილავა 2010, 168).

საყურადღებოა შუმერულ-აქადური მითი მეფე-მწყემსი  [**e-ta-na**] ***ეთანას*** შესახებ, რომელშიც აღწერილია ***არწივისა*** და ***გველის*** მეგობრობა, აღთქმული ერთგულების დარღვევა და ურთიერთდაპირისპირება. ***ეთანა*** ამოიყვანს ***არწივს*** ორმოდან, რომელშიც ***გველმა*** ჩააგდო; ხოლო ***არწივი*** მის მხსნელს დაფარულს ახილვინებს და ცაში აიყვანს „შობის

---

[2]. „The ancient mythological view of ***fish*** as animals of the Lower World, or underground, gives grounds for relating the word for ***fish*** to that for ***earth*** (for the connection between ***snake*** and ***earth*** in Slavic)" (Gamkrelidze, Ivanov 1995, I, 453, 444-445 შმდ.; Гамкрелидзе, Иванов 1984, II, 535 შმდ., 526-527).

ბალახის" მოსაპოვებლად (The Etana Epic II, III: Foster 1995; კიკნაძე 2009, 287-297; აგრეთვე იხ.: Mackenzie 1915, 165-166; Parpola 1993, 195-199; Frankfort 1955, 44-45; კიკნაძე 1973, 81-94). ეს მოტივი გამოსახულია, მაგ., ცილინდრული საბეჭდავის ანაბეჭდის (აგრეთვე იხ. Frankfort 1955, Pl. 62, N657) შემდეგ სურათში:



ეთანა და მისი მესაზიდრე არწივი. აქადური ცილინდრული საბეჭდავის დეტალი, ძვ.წ. 2350-2150 წ.წ. პერგამონის მუზეუმი, ბერლინი

ბ) ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული მითი არწივისსახიანი არსების, **𑀕𑀭𑀼𑀟** **[garuḍá]** *გარუდას* შესახებ. ეს მითიური ფრინველი თავდაპირველად გაიგივებული იყო მზის სხივთა შთამნთქმელ ცეცხლთან (Monier-Williams 1960, 348). რელიგიურ და მხატვრულ ლიტერატურაში *გარუდა* ფიქსირდება როგორც ღვთაება **𑀯𑀺𑀰𑁆𑀡𑀼** **[víṣṇu]** *ვიშნუს* მესაზიდრე (Mackenzie 1915, 75; MHM 2008, 220), რომელიც ებრძვის მითიურ არსებას **𑀦𑀸𑀕** **[nāgá]** *გველს* (შდრ.: Vogel 1926, 51-57, 132-133, 141-142, 158, 169, 178, 180-181, 235-235, 240; Dikshit 1940, 36-41; Mackenzie 1923, 69-75; MHM 2008, 706; Wayman 1987).

გ) ეგვიპტურ კულტურასა და მითებში *შევარდენი* არის ცის ღვთაების 𓅃 **[ḥr]** *ჰოროსისა* და მზის ღვთაების 𓇋𓂋 **[r']** *რას/რეს* სიმბოლო (შდრ.: Gardiner 2007, 73, 448, 468; DAEH 2010, 251, 213; Adkins 2001, 141, 149; MHM 2008,

257, 847). 𓃀 *სვავი* და 𓆗 *ურეუსი* (*ეგვიპტური კობრა*) არის ნაყოფიერების ქალღვთაების 𓋴𓏏𓅱 [mwt] *მუტის* სიმბოლო; ასევე არის ზემო ეგვიპტის ქალღვთაების 𓎛𓉔𓏏 [nḫbt] *ნეხბეტისა* და ქვემო ეგვიპტის ქალღვთაების 𓇋𓄡𓆗 [wʒḏyt] *უაჯიტის* სიმბოლო, ძველი ეგვიპტის უზენაესი ხელისუფლების, სამეფო ოჯახისა და ფარაონების ატრიბუტი (შდრ.: Gardiner 2007, 73, 469; DAEH 2010, 150, 199; Adkins 2001, 96, 145, 146, 154; MHM 2008, 722, 1018; Reinach 1913, III, 74-75).

დ) ძველი აღთქმის ტექსტებში გვხვდება მტაცებელ ფრინველთა ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ებრაული სახელი 𐤍𐤔𐤓 [néšer] – *ნეშერი*, რომელსაც ლათინურად შეესაბამება ტერმინი ***Gyps fulvus***-ი, ხოლო ინგლისურ ენაზე – ***griffon-vulture***. ეს ებრაული სიტყვა ბიბლიის ქართულ ხელნაწერებში გადმოტანილია როგორც *ორბი*[3] (ლათ. *Gyps fulvus*) ან *არწივი*[4], ხოლო ბიბლიის ევროპულ თარგმანებში – როგორც *არწივი* (ბერძნ. ***ἀετός***, ლათ. ***Aquila***). *ნეშერი* ამ ტექსტებში *უფალი ღმერთისა* და *ქერუბიმის* (ანუ ადამიანის, ხარის, ლომისა და არწივისსახებიანი არსების) ერთ-ერთი სიმბოლოა (იხ.: ეზეკ. 1.10, 10.14; გამოცხ. 4.7). ამავე დროს, *ნეშერი* ისრაელიანთა სიმბოლური მესაზიდრეა, რაც ვლინდება ბიბლიურ მეტაფორებში (იხ. გამოსვ. 19.4: *Oshki & Jerusalem*; *მცხეთ. ხელნ. 1981, 179*; II რჯლ. 32.11-12: *მცხეთ. ხელნ. 1981, 413*; *Gelati*).

აღსანიშნავია, რომ ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებში ფიქსირდება ცხონების სიმბოლო *გველი* (იხ. რიცხ. 21.8-9: *მცხეთ. ხელნ. 1981, 321*; *Gelati*; შდრ. იოანე 3.14; Ferber 1999, 187). ასევე ამ ტექსტებში დასტურდება *გველი* როგორც მაცდურების სიმბოლო (შდრ.: დაბ. 3.1-15; იობი 26.12-13, 40.25-32, 41.1-26; ესაია 27.1; სიბრძ. 2.24; იოანე 8.44; 2 კორ. 11.3; Ferber 1999, 186).

ე) წინაბერძნული და ბერძნული მითების მიხედვით, „ყველა ფრთოსანზე სწრაფი" *არწივი* არის ოლიმპოს ღვთა-

---

[3]. შდრ. ქართ. *ორბ-ი*: სანსკრ. अर्भ [árbh-a] – *მცირე, პატარა* (შდრ. Monier-Williams 1960, 93). ქართ. *ორბ-ი* (ორბელიანი 1991, I, 604-605) > აფხაზ. **А-уáрба [a-uárba]** – *ძერა, არწივი* (შდრ. Касландзия 2005, 683); სვან.: ბალსზემ. *უერბ*, *ლაშხ. უორბ* – *არწივი* (ზემოსვან.); *ორბი* (თოფურია, ქალდანი 2000, 1663).

[4]. არწივ-ი ფორმის ეტიმოლოგიისთვის იხ. ჩემი ინგლისურენოვანი ნაშრომის დანართი.

ებათა მეფის, ზევსის უსაყვარლესი ფრინველი და „სწრაფფრთიანი მაცნე“ (იხ.: Homer, *Iliad* 1839, 378-379: *XXIV.308-313*; შდრ. Mackenzie 1917, xlvii).

წინაბერძნულ (მინოსური კრეტისა) და ბერძნულ მითებში, რელიგიასა და ხელოვნებაში გამარჯვების სიმბოლო იყო *მფრინავი არწივისა* და მის კლანჭებში მოქცეული *გველის* გამოსახულება (შდრ.: Evans 1909, I, 27; Evans 1921, I, 665 შმდ.; Mackenzie 1917, 294). ამ მოტივთან დაკავშირებით ჰომეროსის „ილიადა“-ში (Homer, *Iliad* 1839, 182: *XII.201-207*) ვკითხულობთ:

> **„...αἰετὸς ὑψιπέτης, ἐπ᾽ ἀριστερὰ, λαὸν ἐέργων,**
> **φοινήεντα δράκοντα φέρων ὀνύχεσσι πέλωρον,**
> **ζωὸν, ἔτ᾽ ἀσπαίροντα. καὶ οὔ πω λήθετο χάρμης.**
> **κόψε γὰρ αὐτὸν ἔχοντα κατὰ στῆθος παρὰ δειρὴν,**
> **ἰδνωθεὶς ὀπίσω: ὃ δ᾽ ἀπὸ ἔθεν ἧκε χαμᾶζε,**
> **ἀλγήσας ὀδύνῃσι, μέσῳ δ᾽ ἐνὶ κάββαλ᾽ ὁμίλῳ.**
> **αὐτὸς δὲ κλάγξας πέτετο πνοιῇς ἀνέμοιο“.**

აქვე მოვიყვან ამ ციტატის ქართულ თარგმანსაც (იხ. „ილიადა“ 1979, 276-277: *XII.201-207*):

> **„...მაღლით არწივი, ჩაუქროლა მარცხნიდან ლაშქარს,**
> **ბრჭყალებში ჰყავდა სისხლიანი ვეება გველი,**
> **ჯერაც ცოცხალი. იბრძოდა და იკლაკნებოდა.**
> **გადაიზნიქა, მიმტაცებელს კისერთან ახლოს**
> **მკერდზე უკბინა, და ტკივილით გამწარებულმა**
> **არწივმა გველი ჩამოაგდო მხედრობის შუა.**
> **თვით კი ყივილით გააყოლა ქარ-ნიავს ფრთები“.**

კრეტაზე, კიკლადის კუნძულებსა და მიკენში აღმოჩენილია არქეოლოგიური მასალა, რომელზეც მოცემულია *მფრინავი არწივის* (იხ.: Evans 1895, 11-12, 49; 1921, I, 634[1]), *არწივის* ან *ქორის თავის მქონე ქალის* ან *ლომის ტანიანი* (*გრიფონის*) არსების მსგავსი გამოსახულებები (იხ.: Evans 1909, I, 33, 34; 1921, I, 549, 558 შმდ., 707, 710, 711, 712; 1930, III, 501 შმდ.; 1935, IV, II, 910 შმდ., 911, 914, 922; Della Seta 1914, 158 შმდ.; წერეთელი 1923, 45; კვაშილავა 2010, 182). არქეოლოგიური მასალის მიხედვით, *გველი* მინოსური ხთონური დედაღვთაებისა და ქალღვთაების განსაკუთრებული

ატრიბუტია[5] (იხ.: Evans 1921, I, 508-509, 721, 504; 1935, IV, I, 176 შმდ., 194-195; Mackenzie 1917, 59, 67, 182; წერეთელი 1923, 42; Соколов 1972, No 58-63; Сидорова 1972, 125; კვაშილავა 2010, 183).

3) კავკასიის ხალხთა მითებსა და ფოლკლორში *არწივი* და *ფასკუნჯი* წარმოჩნდება როგორც ჭაბუკის ქვესკნელიდან შუასკნელში ამომყვანი ან ნათელ ქვეყანაში მიმყვანი ფრინველი (იხ. გელაშვილი, ჩლაიძე 2008, 95, 563-564, 721-722). ქართულ მითებსა და ფოლკლორში ნახსენებია *შევარდენი*[6], *არწივი*, *ორბი*, *ქორი* და სხვა ფრინველები; ასევე შემონახულია *გველთან* დაკავშირებული წინაქრისტიანული წარმოშობის მოტივები (იხ. კიკნაძე 2007).

საქართველოში აღმოჩენილია არქეოლოგიური მასალა, რომელზეც აღნიშნულია *არწივისა* ან *ფასკუნჯის* და *გველის* გამოსახულებები (იხ. ვადბოლსკი 2010, 29, 36, 67, 68, 70, 150). ეს გამოსახულებები ასევე უხვად არის შემონახული ქართული ქრისტიანული ეკლესიების კედლებზეც (იხ. ვადბოლსკი 2010, 39-40, 81, 82, 84, 90). მაგ., ხახულის მონასტრის (X-XI სს.) სარკმელზე გარედან მოთავსებულია *არწივისა* და მის *კლანჭებში მოქცეული ირმის* რელიეფიური ქანდაკება; სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის (XI ს.) ფასადზე წარმოდგენილია *არწივის* გამოსახულება; ბაგრატის ტაძარი (X-XI სს.) შემკულია *არწივისა* და ქალი-ფრინველის, *სირი-*

---

[5]. „In one case it is coupled with the ***serpent*** alone, a point of some significance when it is remembered that the ***snake***, like the ***double axe*** itself, was a special attribute of the ***Minoan Mother Goddess***" (Evans 1909, I, 195; შდრ. კვაშილავა 2009, 298). „The ***snake*** appears in the Palace shrine and elsewhere as an attribute to the ***Minoan Mother-Goddess*** [later identified with ***Rhea***], probably in her chthonic aspect" (Evans 1909, I, 211).

[6]. „Марани и находящееся в нем древо изобилия нашли отражение в мифологических рассказах и песне о небесном царстве Великой Матери Наны и ее долевых божеств. В картлийских и кахетинских вариантах соответствующей песни воспроизводится идеальное винохранилище – яхонтовый марани с вином сверкающим бледнокрасным рубиновым цветом, молодым чинаром с нежными, как нарцисс, ветвями и сидящими на них ***птицами – соколом*** и ***соловьем***, воркующими и издающими трели. Этот мифологический образ драгоценного, сверкающего красками маран и чинара с солнечным и певчими птицами, повидимому, тоже оформлен на более поздней ступени развития религиозных верований грузин под воздействием культа Великой Матери Наны и ее долевых божеств" (Бардавелидзе 1957, 188; აგრეთვე იხ. 78).

ნოზის კლანჭებში მოქცეული გველის ფიგურებით. ეს უკანასკნელი კომპოზიცია მოცემულია შემდეგ სურათში:



სირინოზის კლანჭებში
მოქცეული გველი.
ბაგრატის ტაძარი, X-XI სს.
ვადბოლსკი 2010, 81

3. ***მტაცებელ ფრინველთა*** **აღმნიშვნელი საერთო სახელის რეკონსტრუქცია პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე**

ქვემოთ მოცემულია *ქორის*, *ძერის*, *ძერქორის*, *ქორცქვიტის*, *შევარდნისა* და *ფასკუნჯის* აღმნიშვნელი ქართველური ფორმები:

ქართ.-ზან. ***ქორ-** – *ქორი* (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 497; Fähnrich 2007, 469);

ქართ. **ქორ**-ი – *ქორი* (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 497); ძერ-**ქორ**-ი – ***Lämmergeier*** (Fähnrich 2007, 469); **ქორ**-ცქვიტა – ***Accipiter brevipes***;

მეგრ. **ქირ**-ი/**ქგრ**-ი – *ქორი* (Кипшидзе 1914, 344(548); ქაჯაია 2002, III, 145, 162); *ძერა* (ქობალია 2010, 637); პეს-**ქურ**-ი – *ფასკუნჯი*; ბას-**ქი** – *შევარდენი* (ჯანჯღავა 2009, 130, 107); ბას-**ქირ**-ი – *შევარდენი*;

ლაზ./ჭან. **ქურ**-ი, მ-**ქირ**-ი, **ქი**-ი – *ქორი* (ჩიქობავა 2008, IV, 116-117; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 497; Fähnrich 2007, 469); **ქორ**-ი – ***коршунъ***, *ძერა* (Марръ 1910, 198).

სვანურში შესატყვისი ძირი გამოვლენილი არ არის.

ქართ.-ზან. *ქორ- ძირს შეესატყვისება ქართ. ქორ-, მეგრ.-ლაზ. *ქორ- > მეგრ. *ქურ- > ქირ-/ქგრ- და ლაზ. ქურ- > *ქირ- > ქი-, მ-ქირ- > მ-ქი- ფორმები, რომლებიც მიიღება ქართ.-ზან. *ო > ქართ. ო, მეგრ.-ლაზ. *ო > მეგრ., ლაზ. უ > ი (/გ) პროცესის შედეგად და ლაზ. *ქირ-ი ფორმაში ხმოვანთა შორის რ-ს დაკარგვისა და მ-ს განვითარების გზით (იხ.: ჩიქობავა 2008, IV, 116-117; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 146, 245, 333; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 497; Fähnrich 2007, 469-470).

„რამდენადაც ადრინდელ საერთო-ქართველურში თანხმოვნის უშუალო მეზობლობაში ყოველთვის უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი *ə (*ʔ) ხმოვანი, მარცვალთა რაოდენობა სიტყვაში ხმოვანთა რაოდენობით განისაზღვრებოდა. ამ პერიოდის საერთო-ქართველურში არ არსებობდა სპეციფიკური სონანტური ფონემები, როგორც საკუთრივ თანხმოვნებისა და ხმოვნებისადმი დაპირისპირებული ერთეულები, რამდენადაც ყოველ C ელემენტს *ə ელემენტი ახლდა. საერთო-ქართველური ფონოლოგიური სისტემა ფონემათა ორი კლასით იყო წარმოდგენილი: საკუთრივ თანხმოვნებითა (რომლებშიც შედიოდა აგრეთვე *რ, *ლ, *მ, *ნ, *უ, *ი ფონემები) და ერთადერთი *ə ხმოვნით“ – წერენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი (1965, 370). ამ სისტემის დაშლით დაიწყო ცალკეული ქართველური დიალექტების: სვანურის, მეგრულ-ლაზურისა და ქართულის ჩამოყალიბება და ფორმირება (შდრ. გამყრელიძე 2008, 30). თ.გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965, 372; აგრეთვე იხ. 369-371; შდრ. გამყრელიძე და სხვ. 2003, 564) თანახმად, მოხდა საერთო-ქართველური ვოკალური *ə ფონემის [*ე] და [*ა] ალოფონთა ფონოლოგიზაცია და მათი დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულებად ჩამოყალიბება. ასევე ცნობილია, რომ [*ო] ხმოვნის შემცველი ძირების რაოდენობა საერთო-ქართველურში მცირეა; /*ო/ ფონემის ხმარების სფერო ქართველურში მეტად შეზღუდული უნდა ყოფილიყო (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 146, 367; შდრ. კვაშილავა 2011, 209).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ამ მოსაზრებისა და ზემოთ მოცემული ქართველური ფორმების საფუძველზე აღვადგენ პროტო-ქართვ.-კოლხ. (სამხრეთკავკას.) *ქʔრ-ʔ [*kʰər-ə]

არქეტიპს, რომელიც არის *ქორის*, *ძერის*, *ძერქორის*, *ქორცქვიტის*, *შევარდნისა* და *ფასკუნჯის* აღმნიშვნელი საერთო სახელი (შდრ. კვაშილავა 2008, 229, 234). რეკონსტრუირებული *ქ2რ2 [*kʰərə] ფორმა განეკუთვნება ღიამარცვლოვან CəCə სტრუქტურულ ტიპს, რაც არის ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძე-ენის სისტემისთვის დამახასიათებელი ზოგადი ფონოლოგიური ნიშნებიდან ერთ-ერთი (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 373).

მაშასადამე, *ქ2რ-2 [*kʰər-ə] არქეტიპი განეკუთვნება საერთო-ქართველური ფუძე-ენის დიფერენცირების წინანდელ პერიოდს და ვფიქრობ, რომ ეს ფორმა *მტაცებელ ფრინველთა* აღმნიშვნელი საერთო სახელია.


საინტერესოა, რომ *ფრინველთა* აღმნიშვნელი საერთო სახელი სწორედ ასეთი ძირით აღდგება „ნოსტრატულ“ ენაშიც. ამ მასალას წარმოვადგენ მე-5 პუნქტში.

4. ფესტოსის დისკოს *ფრინველის* ნახატ-ნიშნის ამოკითხვა

ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების ამოკითხვა შესაძლებელია, რადგან დისკოს ნახატ-ნიშანთა სხვადასხვაგვარად მობრუნება ჩემ მიერ ჩაითვალა რელევანტურად (იხ.: კვაშილავა 2008, 216-217; http://aiacolchis.ge/scient.html www.scribd.com/Gia_Kvashilava http://tsu-ge.academia.edu/GiaKvashilava). მბრუნავი ნახატ-ნიშნები ფესტოსის დისკოს სპირალის ზოლში დაბეჭდილია ოქროს ყალიბებით ხან ჰორიზონტალურად და ხან ვერტიკალურად. დისკოს მობრუნებადი და მოუბრუნებადი ნახატ-ნიშანთა ამოკითხვისთვის წარმოვადგინე 5.2.1-5 ალგორითმი, რომელიც შედგება 5 წესისგან (იხ. კვაშილავა 2008, 217-218). ეს წესები საშუალებას იძლევა ცალსახად ამოვიკითხო არა მხოლოდ ფესტოსის დისკოს ყოველი ნახატ-ნიშანი, არამედ მისი მონათესავე დამწერლობების ნიშნებიც (მაგ., არქალოხორის ცულის, მალიის ქვის ბლოკისა და ფესტოსის ლარნაკის წარწერების ნახატ-ნიშნები, A და B კლასის ხაზოვანი დამწერლობების ნიშნები. იხ.: კვაშილავა 2008, 230-233; 2011, 192-193).


PhD31 *ფრინველის* ნახატ-ნიშანი დაბეჭდილია სამი განსხვავებული პოზიციით ფესტოსის დისკოს A7, A10, A13, A16

და A23 უჯრებში, რომლებიც ქვემოთ წარმოდგენილ სურათში დალაგებულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების მიმართ შემდეგი თანმიმდევრობით:



სურათი შექმნილია Olivier 1975, 11-14, 16-ის მიხედვით

ამ შემთხვევაში სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ ჰორიზონტალური ხაზის მიმართ PhD31 PhD31¹ და PhD31² *ფრინველის* ნახატ-ნიშნების მობრუნების კუთხეები შესაბამისად არის 0°, 90° და 180°, რაც მოცემულია შემდეგ სქემაში:



ფესტოსის დისკოს 𐄁 PhD31 *ფრინველის* (*ქორის, შევარდნის, ძერქორის, ფასკუნჯის* ან *ქორისებრი არწივის*) ნახატ-ნიშანი დაბეჭდილია სამი პოზიციით, რომლებსაც, ჩემ მიერ შედგენილი ალგორითმის 5.2.1-3 წესების თანახმად და ზემოთ მოცემული მასალის გათვალისწინებით, შესაბამისად ამოვიკითხავ როგორც:

𐄁 PhD31 – ***ქ2რ2** [***kʰərə**],

𐄂 PhD31¹ – ***ქ2** [***kʰə**] და

𐄃 PhD31² – ***რ2ქ2** [***rəkʰə**] ფორმებს.

ყველა ეს ფორმა პროტო-ქართველური-კოლხური არქეტიპებია.

ჩემ მიერ შედგენილი ალგორითმი მუშაობს A კლასის ხაზოვანი (და, მაშასადამე, B კლასის ხაზოვანი) წარწერების ამოკითხვის დროსაც, რადგანაც ამ დამწერლობის ყველა ნიშანი (ორი წრიული ფორმის ნიშნის გარდა) ვერტიკალურად არის წარმოდგენილი და, ალგორითმის 5.2.2 წესის თანახმად, ამოიკითხება როგორც ნიშნის შესაბამისი სიტყვის პირველი მარცვალი (იხ. კვაშილავა 2011, 192). ამ გზით, A კლასის ხაზოვანი დამწერლობის 𐃊 A081 ნიშანს ამოვიკითხავ როგორც ***ქ2/ქუ** [***kʰə/kʰu**] მარცვალს.

𐄁 PhD31 ნახატ-ნიშნის შესაბამის პროტო-ქართვ.-კოლხ. ***ქ2რ-ე** [***kʰər-ə**] არქეტიპს შეიძლება დავუკავშირო ჰომეროსის „ოდისეა“-ში (XIII.87) დადასტურებული, დაუდგენელი ეტიმოლოგიის ძველბერძნული **κίρκος** სიტყვა, რომელიც *ქორის*

ან შევარდნისნაირთა რიგის სხვა *ფრინველის* (*შევარდნის, ძერის, ძერქორის* ან *ქორისებრი არწივის*) აღმნიშვნელი სახელია (შდრ.: Boisacq 1916, 458[I, II]; გორდეზიანი 2007, II, 192).

ასევე ი. ბიგაიმ (Bigaj 2008, 19, 35) ფესტოსის დისკოს 𐄁 PhD31 ნახატ-ნიშნის ამოკითხვა დაუკავშირა **κίρκος** ფორმას. ეს ნახატ-ნიშანი მან აგრეთვე შეადარა B კლასის ხაზოვანი დამწერლობის 𐘂 B081 **[ku]** ნიშანსა და კვიპროსული მარცვლოვანი დამწერლობის 𐠊 **[ki]** სილაბოგრამას და ამოიკითხა როგორც **[ki/ku]** მარცვალი (შდრ. Schwartz 1981, 799).

ამისა და ზემოთ მოცემული მასალის გათვალისწინებით, შესაძლებელია აღვადგინო სავარაუდო ფორმები: მინოსური (A ხაზოვანი) 𐘒𐘂 **[*kʰə/kʰu/ku-ri]**, მიკენური ბერძნული (B ხაზოვანი) 𐀏𐀍𐀞 **[*ki-ri-ko]** (შდრ. KN X 1041 წარწერას. იხ. DMic 1985, I, 362) და კვიპროსული ბერძნული (კვიპროსული მარცვლოვანი ბერძნული) 𐠊𐠗𐠚𐠧 **[*ki-ri-ko-se]**, რომელთა მნიშვნელობა, როგორც ჩანს, იყო *ქორი* ან შევარდნისნაირთა რიგის ფირნველი (*შევარდენი, ძერა, ძერქორი* ან *ქორისებრი არწივი*).

რაც შეეხება პროტო-ქართვ.-კოლხ. ***ქ2** [***kʰə**] მარცვალს, რომელიც ფესტოსის დისკოს 𐄁 PhD31[1] ნახატ-ნიშნისა და A კლასის ხაზოვანი დამწერლობის 𐘒 A081 ნიშნის ფონოლოგიური მნიშვნელობაა, მას შეესატყვისება ლაზ. **ქი**-ი **[kʰi-i]** – *ქორი*[7].

ახლა განვიხილავ 𐄁 PhD31[2] ნახატ-ნიშნის შესაბამის პროტო-ქართვ.-კოლხ. ***რ2ქ-2** [***rək**ʰ**-ə**] არქეტიპს, რომლის შემდეგი სავარაუდო მნიშვნელობებია: ა. *მოკვეთილი ხე; საყრდენი სვეტი, საბჯენი ძელი, ბოძი*; ბ. *ხის ტოტი, ხის ჯოხი, ხელკეტი; საბჯენი ჯოხი; რიკული*; გ. *სიმაღლე; მაღალი; დიდი; გრძელი*; დ. *დიდი წვივის ძვალი* (ლათ. ***tibia***); *მუხლი*; ე. *რქა*.

პროტო-ქართვ.-კოლხ. ***რ2ქ-** [***rək**ʰ**-**] არქეტიპს ვუკავშირებ ქვემოთ წარმოდგენილ მასალას:

---

[7]. შდრ. ლაზ. **kʰ**l-i – *ქორი*: ეგვიპტ. 𓅱𓏲𓄡 ['ḫy] – *ფრინველის სახეობა*; 𓅱𓏲𓄡𓏺 [hy] – *ფრინველები* (შდრ. Wallis Budge 1920, I, 135, 444); ეგვიპტ. **ky** – *ფრინველი* (შდრ.: Dolgopolsky 2008, 911; Starostin 1998-2005).

♦ ***რქჳ-** [***rək̓-**] – *ხის ტოტი, ხის ჯოხი, ხელკეტი, საბჯენი ჯოხი; რიკული; მოკვეთილი ხე; საყრდენი სვეტი, საბჯენი ძელი, ბოძი*:

ქართ. **რიკ-ი** – *ხის ჯოხი* (შდრ.: ღლონტი 1984, 453[1,3]; ორბელიანი 1993, II, 11); **როკ-ი** – *ხის შტოს ძირი* (ორბელიანი 1993, II, 13); **როკ-ი** (იმერ., გურ.) – *ხმელი შტო; ხმელი ჯირკი; ტოტი; მაგარი სარი;* **როკვ-ი** (ოკრიბ.) – *ცულით გათლილი ძელი;* **როკ-ა** (აჭარ.) – *ფუჩეჩგაცლილი სიმინდის ტარო;* **რიკ-ნა** (ხევსურ.) – *მოკლედ დაჭრილი გლუვი ხე;* **რიკ-ნა-ი** (ფშ., ჩაღმა თუშ.) – *მოკლე ჯოხი, რიკი* (ღლონტი 1984, 453); **როკ-ნა** (ქართლ.) – *ხის თლა* (ღლონტი 1984, 455); **რიკ-ი** (ფშ., ქსნის ხეობა, მთიულ.) – *ცხვრის დუმის პატარა ძვალი* (ღლონტი 1984, 453); ქართ. **რიკ-ულ-ი, რეკ-ულ-ი** (რაჭ.) – *რიკული* (ღლონტი 1984, 452, 454); *მრგვალად გამოთლილი პატარა სვეტი*;

მეგრ. **რიკ-ი, რიკ-ე** – *ხის ჯოხი; ხის სოლი;* **როკ-ი** – *ჯირკი, კუნძი* (Кипшидзе 1914, 308(512)); **როკ-ი** – *ხის გამხმარი ტოტი, დაკორძილი ხე* (ქობალია 2010, 573); ტოპონ. **როკ-იშ-ი** – *ჯირკ-ის* (Цагарели 1880, 77; Кипшидзе 1914, 308(512), 0135(187); ქაჯაია 2002, II, 534); **როკ-ა** – *საბჯენი ჯოხი* (ქობალია 2010, 573); მეგრ. **რიკ-ულ-ი** – *რიკული* (ქაჯაია 2002, II, 527; 2001, I, 244); *მრგვალად გამოთლილი პატარა სვეტი*;

ლაზ. **რიკ-ი** – *ჯოხი* (Марръ 1910, 182, 222[1]); **როკ-ი** – *გამხმარი ხის მორი* (ქაჯაია 2002, II, 534);

სვან. **რიკ** (ლაშხ.); **რეკ** (ბალსზემ.) – *რიკი* (თოფურია, ქალდანი 2000, 1541); **რიკ** (ჩოლურ.) – *ჯოხის მოკლე ნაჭერი* (ლიპარტელიანი 1994, 252).

♦ ***რქქ-** [***rəkʰ-**]; ***რქქ-ჷლ-** [***rəkʰ-ə́l-**] > ***რქ-ელ-** [***rkʰ-əl-**][8] – *რქა*:

61. Gamkrelidze, Th. V., 2008. Language & the Linguistic Sign *(Selected Writings). Georgian National Academy of Sciences. Tbilisi, 2008 (in Georgian).*
გამყრელიძე თ., 2008. *ენა და ენობრივი ნიშანი (სტატიების კრებული). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. თბილისი, 2008.*
62. Gamkrelidze, Th. V. and others = Gamkrelidze, Th. V.; Kiknadze, Z.; Shaduri, I.; Shengelaia, N., 2003. A Course in Theoretical Linguistics. *Tbilisi University Press. Tbilisi, 2003 (in Georgian).*
გამყრელიძე თ. და სხვ. = გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., 2003. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2003.*

63. Gamkrelidze, Th. V.; Ivanov, V. V., 1995. Indo-European and the Indo-Europeans. A Reconstruction and Historical Analysis of a Proto-Language and a Proto-Culture. *Part I: The Text; Part II: Bibliography, Indexes. With a Preface by R. Jacobson. English Version by J. Nichols. Edited by W. Winter. Mouton de Gruyter. Berlin, New York, 1995.*
Gamkrelidze, Th. V.; Ivanov, V. V., 1984 = Гамкрелидзе Т. В., Иванов В. Вс., 1984. Индоевропейский язык и Индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры *(с предисловием Р. О. Якобсона). Т. I, II. Издательство Тбилисского Университета. Тбилиси, 1984.*
64. Gamkrelidze, Th. V.; Machavariani, G. I., 1965. The System of Sonants and Ablaut in Kartvelian Languages. A Typology of Common Kartvelian Structure. *Metsniereba Publisners. Tbilisi, 1965 (in Georgian).* Sonantensystem und Ablaut in den Kartwelsprachen. *Annotated German Translation by W. Boeder. Tübingen, Günter Narr, 1982.*
გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., 1965. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. *გამომცემლობა მეცნიერება. თბილისი, 1965.*
65. Gardiner, A. 2007. Egyptian Grammar. Being an Introduction to the Study of Hieroglyphs. *Griffith Institute, Ashmolean Museum, Oxford. Printed at the Cambridge University Press, 2007.*
66. Gelashvili, N.; Chlaidze, L., 2008. Caucasian Folklore. *Ed. by N. Gelashvili. Prefaced, compiled and commented by special editor L. Chlaidze. Tbilisi, 2008 (in Georgian).*
გელაშვილი ნ.; ჩლაიძე ლ., 2008. კავკასიის ხალხთა ფოლკლორი. *პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი ნ. გელაშვილი. კრებული შეადგინა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო სპეცრედაქტორმა ლ. ჩლაიძემ. თბილისი, 2008.*
67. Gelati = The Gelati Bible Manuscript. *This text is part of the TITUS edition of Vetus testamentum iberice, redactio Gelatica. Part No. 95. Electronically prepared by Jost Gippert and Beka Topuria, Frankfurt a/M, Tbilisi, 1997-2004; ARMAZI version by J. Gippert. Frankfurt a/M, 29.1.2005, 18.3.2007. http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/at/gelatat/gelat.htm?gelat095.htm*
68. Glonti, A., 1984. Dictionary of Georgian Dialect Words. *Ganatleba Publishers. Tbilisi, 1984 (in Georgian).*
ღლონტი ალ., 1984. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. *გამომცემლობა განათლება. თბილისი, 1984.*
69. Godart, L., 1994. Il disco di Festo. L'enigma di una scrittura. *Einaudi, Torino, 1994.*
70. Gordeziani, R. V., 2007, 2008. Mediterranean-Georgian Relations: Beginnings; Pre-Greek; Etruscan, Concluding Commentaries; Summary, Indexes. *In 4 Volumes. Logos Publishers. Tbillsi, 2007, 2008 (in Georgian).*
გორდეზიანი რ., 2007, 2008. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები:

საწყისები; წინაბერძნული; ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები; რეზიუმე, ინდექსი. *წიგნი I-IV. გამომცემლობა ლოგოსი. თბილისი, 2007, 2008.*
71. GORILA: Godart, L.; Olivier, J.-P.. 1976[I], 1976[III]. 1979, 1982, 1985. Recueil des Inscriptions en Linéaire A. *5 Vol.-s. École Française d'Athènes, Études Crétoises XXI, XXI.1-5. Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris, Vol. I: 1976; Vol. II: 1979; Vol. III: 1976; Vol. IV: 1982; Vol. V: 1985.*
72. Greppin, J. A. C., 1991. Some Effects of the Hurro-Urartian People and their Languages upon the Earliest Armenians. *With comments by I. M. Diakonoff. In: Journal of the American Oriental Society, Vol. 111, N4. October, 1991. 720-730.*
73. Halloran, J. A., 2006. Sumenan Lexicon. *Electronic Version 3.0, 2006, 1-159.*
74. HD 1989, 1997. The Hittite Dictionary. *Vol.-s P and L-N. Edited by H. G. Güterbock and H. A. Hoffner. Published by the Oriental Institute of the University of Chicago, 1989, 1997.*
75. Henry, V., 1905. Le Parsisme. *Les religions des peuples civilisés. Dujarric & C[ie], Éditeurs. Paris, 1905.*
76. Herrmann, F., 1961. Symbolik in den Religionen der Naturvölker. *Symbolik der Religionen. Band IX. Anton Hiersemann Verlag, Stuttgart, 1961.*
77. Hesychius 1867. Hesychii Alexandrini Lexicon. *Editionem minorem curavit M. Schmidt. Jenae, 1867.*
78. Hofmann, J. B., 1950, 1974. Etymologisches Wörterbuch des griechischen. *München, 1950. Athens, 1974.*
79. Homer, *Iliad* 1839. Homeri Ilias. *Ex recensione C. G. Heynii. Fere impressa cum notis Anglicis, in usum scholarum. Londoni, MDCCCXXXIX (in Greek).*
Homer, *Iliad* 1924. *The Iliad with an English Translation by A. T. Murray in two volumes. Cambridge, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd., 1924.*
ჰომეროსი, *ილიადა* 1979. *ძველბერძნულიდან თარგმნა რ. მიმინოშვილმა. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. თბილისი, 1979.*
80. Hyllested, A., 2008. Internal Reconstruction vs. External Comparison: The Case of the Indo-Uralic Laryngeals. *Internal Reconstruction in Indo-European: Methods, Results and Problems. Section Papers from the XVI International Conference on Historical Linguistics held at the University of Copenhagen, 11th-15th August, 2003. Ed. by J. E. Rasmussen and T. Olander. Copenhagen, Museum Tusculanum Press, 2008, 111-136.*
81. Illich-Svitych, V., 1971, 1976, 1984. A Tentative Comparison of the Nostratic Languages. *Volumes 1, 2, 3. Moscow, 1971, 1976, 1984 (in Russian).*
Иллич-Свитыч, Вл. М., 1971, 1976, 1984. Опыт сравнения ностратических языков (семитохамитский, картвельский, индоевропейский, уральский, дравидийский, алтайский). *Сравнительный словарь: В 3-х томах. Под ред. В. А. Дыбо. Издательство Наука. Москва, 1971, 1976, 1984.*
82. Ingersoll, E., 1923. Birds in Legend Fable and Folklore. *New York, London, 1923.*

83. Ipsen, G., 1929. Der Diskus von Phaistos. Ein Versuch zur Entzifferung. *In: Indogermanische Forschungen, Band 47, Heft 1. Berlin, Leipzig, 1929, 1-41.*
84. Ivanov, V. V., 1996. Comparative Notes on Hurro-Urartian, Northern Caucasian and Indo-European. *In: Journal of Indo-European Studies of the University of California, Los Angeles. Vol. I. 1996, 147-264.*
85. Jackson, M. P., 1999. A Statistical Study of the Phaistos Disc. *In: Kadmos, Vol. 38, Issue 1-2. Walter de Gruyter. Berlin, 1999, 19-30.*
86. Jackson, M. P., 2000. Structural Parallelism of the Phaistos Disc: A Statistical Analysis. *In: Kadmos, Vol. 39, Issue 1-2. Walter de Gruyter. Berlin, 2000, 57-71.*
87. Jastrow, M., 1903. A Dictionary of the Targumim, the Talmud Babli and Yerushalmi, and the Midrashic Literature. *Vol.-s I, II. London, New York, 1903.*
88. Janjghava, M., 2009. The Phenomenon of Mingrelian Language. *Tbilisi, 2009 (in Georgian).*
ჯანჯღავა მ., 2009. მეგრული ენის ფენომენი. *თბილისი, 2009.*
89. Johnson, F., 1852. A Dictionary in Persian, Arabic and English. *Published under the Patronage of the Honourable East-India Company. London, 1852.*
90. Kajaia, O., 2001, 2002, 2009. Mingrelian-Georgian Dictionary. *In Four Volumes. Edited by Th. V. Gamkrelidze. Nekeri and Inovacia Publishers. Tbilisi, 2001, 2002, 2009 (in Georgian).*
ქაჯაია ო., 2001, 2002, 2009. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. *თ. გამყრელიძის რედაქციით. I-IV ტ. გამომცემლობა ნეკერი და ინოვაცია. თბილისი, 2001, 2002, 2009.*
91. Kaslandzia, V. A., 2005. Abkhaz-Russian Dictionary. *Sukhumi, 2005 (in Russian).*
Касландзия В. А., 2005. Абхазско-русский словарь. *Сухум, 2005.*
92. Khaydakov, S. M., 1973. Comparative Dictionary of Dagestan Languages. *Thematic glossary of thirteen East Caucasian languages of Dagestan with comparative notes. Moscow, 1973 (in Russian).*
Хайдаков С. М., 1973. Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков. *Москва, 1973.*
93. Kiknadze, Z., 1973. Eagle and Lower World, Middle World, and Upper World (the Picture on the Old Sumerian Cylinder Seal of XXIII century BC). *In: „Matsne", Journal of the Academy of Sciences of Georgian, Language and Literature Series. Tbilisi, 1973, 81-94 (in Georgian).*
კიკნაძე ზ., 1973. არწივი და სამი სკნელი (ძვ. წელთაღრიცხვის XXIII ს-ის ძველშუმერულ ცილინდრულ საბეჭდავზე გამოსახული სურათის შესახებ). *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N4. თბილისი, 1973, 81-94.*
94. Kiknadze, Z. 2007. The Georgian Folklore. *Tbilisi State University Press. Tbilisi, 2007 (in Georgian).*
კიკნაძე ზ., 2007. ქართული ფოლკლორი. *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2007.*
95. Kiknadze, Z., 2009. The Ancient Mesopotamian Poetry. *From Sumerian*

and Akkadian translated by Z. Kiknadze. Memkvidreoba Publishers. Tbilisi, 2009 (in Georgian).
კიკნაძე ზ., 2009. *ძველი შუამდინარული პოეზია. შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ. მემკვიდრეობა. თბილისი, 2009.*
96. Kipshidze, I. A., 1914. Grammar of the Mingrelian (Iberian) Language with a Reader and Dictionary. *St. Petersburg, 1914 (in Russian).*
Кипшидзе І. А., 1914. Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматіею и словаремъ. *Матеріалы по яфетическому языкознанію, VII, Типографія императорской Академіи наукъ. Санкт-Петербургъ, 1914.*
97. Klimov, G. A., 1964. Etymological Dictionary of the Kartvelian Languages. *Nauka Publishers. Moscow, 1964 (in Russian).*
Климов Г. А., 1964. Этимологический словарь картвельских языков. *Издательство Наука. Москва, 1964.*
98. Kloekhorst, A., 2007, 2008. An Etymological Dictionary of the Hittite Inherited Lexicon. *2 Vol.-s. Leiden University Centre for Linguistics, Faculty of Arts, Leiden University, 2007.05.31. Brill Academic Publishers, 2008.*
99. Kluge, F., 1891. An Etymological Dictionary of the German Language. *Translated from the Fourth German Edition by J. F. Davis. London, George Bell and Sons, 1891.*
100. Kobalia, A., 2010. Megrelian Dictionary. *Artanuji Publishers. Tbilisi, 2010 (in Georgian).*
ქობალია ა., 2010. მეგრული ლექსიკონი. *გამომცემლობა არტანუჯი. თბილისი, 2010.*
101. Kogan, L.; Militarev, A., 2004. New Etymologies for Common Semitic Animal Names. *In: Egyptian and Semito-Hamitic (Afro-Asiatic) Studies In Memoriam W. Vycichl. Edited by C. Takács. E.J. Brill. Leiden, 2004, 144-154.*
102. Krishnamurti, B., 2003. The Dravidian Languages. *Cambridge University Press, 2003.*
103. Krougly-Enke, N., 2008. Preservation of the Nostratic Heritage and Renewal of Animal Names in Eskaleutian Languages. *Orientalia et Classica: Papers of the Institute of Oriental and Classical Studies. Issue XIX. Aspects of Comparative Linguistics 3. Russian State University for the Humanities Publishers, Moscow, 2008, 259-296.*
104. Kvashilava, G. D., 2008. On the Phaistos Disk as a Sample of Colchian Goldscript and its Related Scripts. *In: Studies in History and Ethnology. Vol. X. The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2008, 242-308.*
კვაშილავა გ., 2008. კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფვრის შესახებ. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, X ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2008, 202-241. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N10. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბი-*

ლისი, 2008, 26-45.

105. Kvashilava, G. D., 2009. On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (1). Axe. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XI. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2009, 313-348.*

კვაშილავა გ., 2009. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (1). ცული. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2009, 285-312. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N11. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი, 2008, 78-102.*

106. Kvashilava, G. D., 2010. On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (2). Rosette. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XII. Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2010, 237-362.*

კვაშილავა გ., 2010. ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (2). ვარდული. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XII ტ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2010, 144-236. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N1, N2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2011, 20-55, 5-43.*

107. Kvashilava, G., 2011. Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language. *In: Studies in History and Ethnology. Vol. XIII. The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology. Tbilisi, 2011, 227-310.*

კვაშილავა გ., 2011. A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე. *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIII. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2011, 161-226. სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, N2, N3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2012, 5-29, 5-50.*

108. Langdon, S., 1919. Sumerian Liturgies and Psalms. *University of Pennsylvania. The University Museum Publications of the Babylonian Section. Vol. X, No. 4. Philadelphia, 1919.*

109. Liparteliani, A., 1994. Svan-Georgian Dictionary (Cholur Dialect). *Tbilisi, 1994 (in Georgian).*

ლიპარტელიანი ა., 1994. სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო). *თბილისი, 1994.*

110. Macbain, A., 1911. An Etymological Dictionary of the Gaelic Language. *Stirling, Eneas Mackay, 1911.*

111. Mackenzie, D. A., 1915. Myths of Babylonia and Assyria. *With Historical Narrative and Comparative Notes. Illustrations in Colour and Monochrome. The Gresham Publishing Company. London, 1915.*

112. Mackenzie, D. A., 1917. Myths of Crete and Pre-Hellenic Europe. *With*

Illustrations in Colour by J. Duncan. London, 1917.
113. Mackenzie, D. A., 1923. Myths of China and Japan. *With Illustrations in Colour and Monochrome after Paintings and Photographs. London, 1923.*
114. MacKenzie, D. N., 1986. A Concise Pahlavi Dictionary. *London, Oxford University Press, 1986.*
115. Marr, N. Ja., 1910. Grammar of the Chan (Laz) Language with a Reader and Dictionary. *St.-Petersburg, 1910 (in Russian).*
Марръ Н. Я., 1910. Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматіею и словаремъ. *Матеріалы по яфетическому языкознанію, II. Санкт-Петербургъ, 1910.*
116. Martirosyan. H., 2008. Studies in Armenian Etymology with Special Emphasis on Dialects and Culture. Indo-European Heritage. *Faculty of Arts, Leiden University, 2008-02-13.*
117. Matasović, R., 2009. Etymological Dictionary of Proto-Celtic. *Brill. Leiden, Boston, 2009.*
118. Matisoff, J. A., 2003. Handbook of Proto-Tibeto-Burman: System and Philosophy of Sino-Tibetan Reconstruction. *University of California Press, Berkeley, Los Angeles, London, 2003.*
119. Melchert, H. C., 1993. Cuneiform Luwian Lexicon. *Lexica Anatolica Volume 2. Chapel Hill, N.C. North Carolina, 1993.*
120. Monier-Williams, M., 1960. A Sanskrit-English Dictionary. *Etymologically and Philologically Arranged with Special Pefrence to Cognate Indo-European Languages. At the Clarendon Press, Oxford, 1960.*
121. MPW 2008. Myths of the Peoples of the World. Encyclopaedia. *Editor-in-chief S. A. Tokarev. Moscow, 2008 (in Russian).*
МНМ 2008. Мифы Народов Мира. *Энциклопедия. Главный редактор С. А. Токарева. Москва, 2008.*
122. Mtskhetian Manuscript 1981. Mtskhetan Manusctript of the Bible. *Ed. by H. Dochanashcili. Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR. Tbilisi, 1981 (in Georgian).*
მცხეთ. ხელნ. 1981. ბიბლიის მცხეთური ხელნაწერი. *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1981.*
123. Nikolayev, S. L., 1985. North Caucasian Loanwords in Hittite and Ancient Greek. *Ancient Anatolia. Nauka Publishers. Moscow, 1985, 60-73 (in Russian).*
Николаев С. Л., 1985. Северокавказские заимствования в хеттском и древнегреческом. *Древняя Анатолия. Издательство Наука. Москва, 1985, 60-73.*
124. Nikolayev, S. L.; Starostin, S. A., 1994. A North Caucasian Etymological Dictionary. *Asterisk Publishers. Moscow, 1994.*
125. Nozadze, V., 1957, 1959 = Nosadse V. La significacion de la Astronomia y Astrologia en el epos heroic georgiano del siglo XII por Schota Rusthaveli "El Caballero de la Piel de Tigre". *Santiago de Chile, 1957,*

1959 (in Georgian).
ნოზაძე ვ., 1957, 1959. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება; ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება. *გამოცემა ავ. მერაბიშვილისა. სანტა-აგო დე ჩილე, 1957, 1959.*
126. Ohlenroth, D., 1996. Das Abaton des Iykäischen Zeus und der Hain der Elala: Zum Diskos von Phaistos und zur frühen griechischen Schriftkultur. *Tübingen. M. Niemeyer, 1996.*
127. Olivier, J.-P., 1975. Le disque de Phaistos. *In: Bulletin de correspondance hellénique. Vol. 99, livraison 1. Édition Photographique. Paris, 1975, 5-34.*
128. Olsen, B., A., 1999. The Noun in Biblical Armenian: Origin and Word Formation with Special Emphasis on the Indo-European Heritage. *Berlin, New York, Mounton de Gruyter, 1999.*
129. Orbeliani, S.-S., 1698, 1991, 1993. Georgian Lexicon. *Vol. I, II. Merani Publishers. Tbilisi, 1991, 1993 (in Georgian).*
ორბელიანი ს.-ს. 1991, 1993. ლექსიკონი ქართული. *I, II ტ. გამომცემლობა მერანი. თბილისი, 1991, 1993.*
130. Orel, V., 2003. A Handbook of Germanic Etymology. *E.J. Brill. Leiden, Boston, 2003.*
131. Orel, V. E.; Stolbova, O. V., 1995. Hamito-Semitic Etymological Dictionary: Materials for a Reconstruction. *E.J. Brill. Leiden, New York, Köln, 1995.*
132. Oshki & Jerusalem = The Old Georgian Texts of the Old Testament from the Oshki and the Jerusalem Bible Manuscripts. *Vetus Testamentum Iberice: codd. Oshki & Jerusalem. Part No. 57. On the basis of several editions electronically prepared by J. Gippert with contributions by A. Charanauli. 1986-1997. http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/ oskij.htm?oskij057.htm*
133. Parpola, S., 1993. The Assyrian Tree of Life: Tracing the Origins of Jewish Monotheism and Greek Philosophy. *In: Journal of Near Eastern Studies, Vol. 52, No. 3. Published by the University of Chicago Press, 1993, 161-208.*
134. Payne, M. 2005. Urartian Measures of Volume. *Ancient Near Eastern Studies. Supplement 16. Peeters N. V., 2005.*
135. Pokorny, J., 2007. An Etymological Dictionary of the Proto-Indo-European. *A Revised Edition of Julius Pokorny's Indogermanisches Etymologisches Wörterbuch. Indo-European Language Revival Association. Dnghu Adsoqiation - Indo-European Language Association. Revised and Published by the Dnghu Association, 2007.*
136. Prosdocimi, A. L., 1972. Venetico. *In: Studi Etruschi, 40. Istituto Nazionale di Studi Etruschi ed Italici. Roma, 1972, 193-245.*
137. PSD 2005: Website of the Pennsylvania Sumerian Dictionary. *www.morpheus.fr/pdf/dicosumer.pdf* and *http://psd.museum.upenn.edu/epsd/index.html*
138. Puhvel, J., 1984, 1991, 1997, 2001, 2004, 2007, 2011. Hittite Etymological Dictionary. *Berlin, New York, Amsterdam. Vol. 1, A: 1984; Vol. 2, E, I: 1984; Vol. 3, H: 1991; Vol. 4, K: 1997; Vol. 5, L: 2001; Vol. 6, M: 2004;*

Vol. 7, N: 2007; Vol. 8, PA: 2011.
139. Reinach, S., 1913. Cultes, mythes et Religons. *Deuxième édition, revue et corrigée. Tome troisième. Ernest Leroux, Éditeur. Paris, 1913.*
140. Rigveda. *Pdf edition by K. Briggs. 2010-05-20. http://keithbriggs.info/documents/rv.pdf*
141. Rodríguez-Pérez, D., 2010. Contextualizing Symbols: ‹the Eagle and the Snake› in the Ancient Greek World. *Sonderdruck Aus: BOREAS. Münstersche Beiträge zur Archäologie. Begründet von Werner Fuchs. Herausgegeben von H. Brandenburg, D. Korol, D. Salzmann, M. Söldner, K. Stähler. Redaktion: H. Schwarzer. Band 33, 2010, 1-20.*
142. Ryan, P. C., 2000. Sumerian Archaic Sign Table. *http://www.oocities.org/athens/Forum/2803/ SumerianArchaicSignTable.htm*
143. Ryan, P. C., 2008. Etruscan Glossary. *http://www.oocities.org/proto-language/EtruscanGlossary.htm*
144. Schmitt, R., 1967. Dichtung und Dichtersprache in Indogermanischer Zeit. *Otto Harrassowitz Verlag. Wiesbaden, 1967.*
145. Schwartz, B., 1959. The Phaistos Disk. *In: Journal of Near Eastern Studies (JNES), Vol. 18, No. 2, 105-112.* The Phaistos Disk II. Notes and Afterthoughts on the Phaistos Disk Solution. *In: JNES, Vol. 18, No. 3, 222-228. The University of Chicago Press, 1959.*
146. Schwartz, B., 1981. The Phaistos Disk, Again? *In: Bono Homini Donum: Essays in Historical Linguistics, in Memory of J. Alexander Kerns. Current Issues in Linguistic Theory, vol. 16, parts I and II. Edited by Y. L. Arbeitman and A. R. Bomhard. John Benjamins Publishing Company, Amsterdam, 1981, 783-799.*
147. Sidorova, N. A., 1972. The Art of Aegean World. *Publishing House Iskusstvo. Moscow, 1972 (in Russian).*
Сидорова Н. А., 1972. Искусство эгейского мира. Из истории мирового искусства. *Издательство Искусство. Москва, 1972.*
148. Sokolov, G., 1972. Aegean Art. *Publishing House Izobrazitel'noe iskusstvo. Moscow, 1972 (in Russian).*
Соколов Г., 1972. Эгейское искусство. *Серия Искусство стран и народов мира. Издательство Изобразительное искусство. Москва, 1972.*
149. Sornig, K., 1997. Wohlgemuthe Bemerkungen zum Umgang mit einem nach wie vor unlesbaren Text. *Institut für Sprachwissenschaft der Universität Graz, Herbst, Heft 48, 1997, 69-104.*
150. Starostin, S. A., 1998-2005; Starostin, G., 2006-2008. The Tower of Babel. *http://starling.rinet.ru/main.html*
151. Starostin, S. A., 2005. A Concise Glossary of Sino-Caucasian. *http://starling.rinet.ru/Texts/glossary.pdf*
152. Starostin, S. A., 2007. Writings in Linguistics. *Languages of Slavic Culture. Moscow, 2007 (in Russian and English).*
Старостин С.А., 2007. Труды по языкознанию. *Языки славянских культур. Москва, 2007.*

153. Starostin, S. A.; Dybo, A. V.; Mudrak O. A., 2011. Etymological Dictionary of Altaic Languages. *3 Vol.-s. Brill Academic Publishers. Leiden, Boston, 2011.*
154. Starostin, G.; Krylov, P., 2011. The Global Lexicostatistical Database. *Center for Comparative Studies at the Russian State University for the Humanities, Moscow. The Evolution of Human Languages Program at the Santa Fe Institute. http://starling.rinet.ru/new100/main.htm*
155. Stawell, F. M., 1911. An Interpretation of the Phaistos Disk. *In: the Burlington Magazine for Connoisseurs. Illustrated & Published Monthly. Vol. XIX, April to September. London, 1911, 23-29, 32-38.*
156. Stewart, J. M., 2002. The potential of Proto-Potou-Akanic-Bantu as a pilot Proto-Niger-Congo, and the Reconstructions Updated. *Journal of African Languages and Linguistics. Vol. 23, Issue 2. 2002, 197-224.*
157. Timm, T., 2004. Der Diskos von Phaistos – Anmerkungen zur Deutung und Textstruktur. *In: Indogermanische Forschungen, Vol. 109. Walter de Gruyter. Berlin, 2004, 204-231.*
158. Timm, T. 2005. Der Diskos von Phaistos. Fremdeinfluss oder kretisches Erbe? *Herstellung und Verlag, Norderstedt, 2005.*
159. Toporov, V. N., 2006. Researches on Etymology and Semantics. *Vol. 2: Indo-European Languages and Indo-European Studies. Book 1. Languages of Slavic Culture. Moscow, 2006 (in Russian).*
Топоров В. Н., 2006. Исследования по этимологии и семантике. Т. 2: Индоевропейские языки и индоевропеистика. Кн. 1. *Языки славянских культур. Москва, 2006.*
160. Topuria, V.; Kaldani, M., 2000. Dictionary of Svan. *Tbilisi 2000 (in Georgian).*
თოფურია ვ., ქალდანი მ., 2000. სვანური ლექსიკონი. *თბილისი, 2000.*
161. Tóth, A., 2007. Hungarian-Mesopotamian Dictionary. *Mikes International, The Hague, 2007.*
162. Trask, R. L., 2008. Etymological Dictionary of Basque. *Edited for Web Publication by Max W. Wheeler. University of Sussex, 2008.*
163. Trubachyov, O., 1974-2004. Etymological Dictionary of the Slavic Languages. *Vols 1-30. Nauka Publishers. Moscow, 1974-2004 (in Russian).*
Трубачёв О., 1974-2004. Этимологический словарь славянских языков. *30 выпусков. Издательство Наука. Москва, 1974-2004.*
164. Tsagareli, A., 1880. Mingrelian Studies. *Vol.-s I, II. St.-Petersburg, 1880 (in Russian).*
Цагарели Ал., 1880. Мингрельскіе этюды. *I: Мингрельскіе тексты съ переводомъ и объясненіями; II: Опытъ фонетически мингрельского языка. Санкт-Петербургъ, 1880.*
165. Tseretheli, A., 1923. The First European Civilization. Cretan-Mycenaean or the Eegean Culture. *Tiflis, 1923 (in Georgian).*
წერეთელი ალ., 1923. ევროპის პირველი ცივილიზაცია. კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა. *ტფილისი, 1923.*
166. Valpy, F. E. J., 1828. An Etymological Dictionary of the Latin Language.

London, 1828.

167. Vogel, J. P., 1926. Indian Serpent-Lore or the Nāgas in Hindu Legend and Art. *London, 1926.*

168. Wadbolsky, M., 1980, 1997, 2010. Heraldic Symbols of Georgia. *Translated from Georgian by M. Bitsadze and A. Andersen. Tbilisi, 1980, 1997 (Electronic Publishing).*
ვადბოლსკი მ., 1980, 1997, 2010. საქართველოს და მსოფლიოს ქვეყნების ჰერალდიკა. *თბილისი, 1980, 1997.* მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა. *საარქივო მასალები მოიძია, დაამუშავა, და წიგნი დასაბეჭდად მოამზადა ი. ბიჭიკაშვილმა. თბილისი, 2010.*

169. Wallis Budge, E. A., 1920. An Egyptian Hieroglyphic Dictionary. *In 2 Volumes. London, John Murray, Albemarle Street, 1920.*

170. Watson, W. G. E., 2007. Additional Names for Animals in the Ugaritic Texts. *In: Historiae 4. 2007, 93-116.*

171. Wayman, A., 1987. Researches on Poison, Garuda-Birds, and Naga-Serpents based on the *Sgrub thabs kun btus. Journal of the Tibet Society. Silver on LAPIS, Twentieth Anniversary Special, 1987, 63-77.*

172. Wegner, I., 2007. Hurritisch. Eine Einführung. *Otto Harrassowitz Verlag. Wiesbaden, 2007.*

173. Winter, I. J., 1985. After the Battle is Over: The Stele of the Vultures and the Beginning of Historical Narrative in the Art of the Ancient Near East. *In: Pictorial Narrative in Antiquity and the Middle Ages. Edited by H. L. Kessler and M. S. Simpson. Studies in History of Art 16. National Gallery of Art. Washington, 1985, 11-32.*

174. Wittkower, R., 1939. Eagle and Serpent: A Study in the Migration of Symbols. *In: Journal of the Warburg Institute, Vol. 2, No 4. April 1939, 293-325.*

აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით

XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ვახუშტი ბაგრატიონი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ზოგადად, ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროსა და, კერძოდ, ცხენისწყლისა და აბაშის ხეობების საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფრიად მნიშვნელოვან და საგულისხმო გარემოებას, რომ ვახუშტი ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის პირველ მკვლევრად გვევლინება, ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რაოდენ ფასეულია მისი ფუნდამენტური ნაშრომი და მის მიერვე შედგენილი ატლასები.

ოდიშის სამთავროს აღწერას მემატიანე ცხენისწყლის ხეობით იწყებს და ცხენისწყლის ხეობაში მდებარე დასახლებულ პუნქტთა შორის პირველად ბანძას ასახელებს: „...ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ [11, 776].

ვახუშტისეული „ციხე კეთილნაშენი“, მართალია, ცხენისწყლის დასავლეთით (მარჯვენა მხარეს) მდებარეობს, მაგრამ არა ცხენისწყლის, არამედ აბაშის ხეობაში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას [მსჯელობისათვის იხ. 15].

ბანძა სამეგრელოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, გაშლილ ველზე მდებარე სოფელი და თემის ცენტრია. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

დაყოფით მარტვილის რაიონში შედის და ზ. დ. 90 მ სიმაღლეზეა. რაიონული დაქვემდებარების ქალაქ მარტვილს 12 კმ-ითაა დაშორებული... ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ ვახუშტის მიერ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას არის მოხსენიებული, უნდა აიხსნას ბანძის იმდროინდელი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით.

გვიან შუა საუკუნეებში და შემდგომაც, XIX ს-სა და XX ს. 30-იან წლებში, სოფელი ბანძა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

XVIII ს. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს — სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს — ბანძას და (ვ)აბაშას. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს [5, 323]. ამ ცნობაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯღარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმდევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანძის მხარეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბანძის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ბანძის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა [მსჯელობისათვის იხ. 32, 274]. მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანძის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „Абашской“ [იქვე].

ეკატერინე ჭავჭავაძის მდივანი (შემდეგ სენაკის მაზრის უფროსი) კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს. I ნახევრის ბანძის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ ბანძას ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფალავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. „ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში შტატუს ინ სტატუს-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფალავები – ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“, – წერს კ. ბოროზდინი [4, 248-249]. მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები – ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფალავების საყმოს წარმოადგენდა [4, 250].

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში.

ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ბანძა დასახლებულია სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის, მაგრამ ამ დაყოფაში ლეხაინდრაო და ნოჯიხევი არ გვხვდება [იხ. 24, 113].

1886 წელს რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული კავკასიის მხარის კომლობრივი აღწერის მონაცემებით ბანძის სოფლის საზოგადოება სენაკის მაზრის ნაქალაქევის საპოლიციო უბანში შედიოდა ბანძის სოფლის საზოგადოება აერთიანებდა ოთხ სოფელს – ბანძას (373 კომლი, 2212 სული), ვედიდკარს (132 კომლი, 835 სული), მახათს (14 კომლი, 99 სული) და მუხურჩას (70 კომლი, 413 სული).

1930 წლისათვის საქართველოს სსრ პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, ბანძის სასოფლო საბჭო აერთიანებდა სოფლებს — საკუთრივ ბანძას (574 კომლი, 2853 სული), ვედიდკარს (263 კომლი, 1226 სული), ლევახანეს (49 კომლი, 253 სული), ლეფოჩხუეს (108 კომლი, 536 სული), მუხურჩას (134 კომლი, 658 სული) და ორქას (89 კომლი, 380 სული).

წერილობითი წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანძის შემოგარენში მდებარე სოფლები — ლეხაინდრავო, ნაჯახუ, ნაგიბერუ, ონოღია, ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი და მუხურჩა სხვადასხვა დროს ბანძის შემადგენლობაში ერთიანდებოდა.

აბაშისა და ინჩხიას ხეობებში, ზღვის დონიდან 170 მ-ზე მდებარეობს რაიონული დაქვემდებარების ქალაქი მარტვილი. ქალაქის ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭვენიას მაღალ სერზე, მარტვილის სამონასტრო კომპლექსია აშენებული, რაც აერთიანებს გეგმაში ჯვრის ფორმის ტაძარს, XVIII საუკუნიდან ჩიქოვანებისად მიჩნეულ ეკლესიას (VII, X ს.) და მესვეტის საცხოვრებელ ეკლესია-სვეტს (X-XI სს.). წინაქრისტიანულ ხანაში ტაძრის ადგილას მდგარა უზარმაზარი მუხა ჭყონდიდი, რაც კერპად მიიჩნეოდა. ძველ საქართველოში ხეთა თაყვანისცემისა და მცენარეულობის მძლავრი კულტის არსებობაზე მიუთითებდა აკად. ივანე ჯავახიშვილი და ამის ერთ-ერთ საუკეთესო დამამტკიცებლად სწორედ ძველ სამეგრელოში სახელგანთქმულ ჭყონდიდს თვლიდა, რაც

მეგრულად „დიდ მუხას“ ნიშნავს და, მეცნიერის აზრით, უეჭველად მიუთითებდა ამ ადგილას მუხის მსახურების სალოცავი ადგილის არსებობაზე [31, 134].

წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მარტვილის უწინდელი სახელწოდება სწორედ ჭყონდიდი იყო. VIII საუკუნის 30-იან წლებში, არაბთა ლაშქრობის შედეგად იავარქმნილი ტაძარი X საუკუნეში საფუძვლიანად აღუდგენია ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს, რომელსაც ჭყონდიდი საეპისკოპოსო კათედრად გამოუცხადებია [მსჯელობისათვის იხ. 28, 139; 7, 20-23]. „მატიანე ქართლისას“ ავტორი მოგვითხრობს: გიორგიმ „განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტუილთათა“ [27, 265]. მემატიანის ამ ცნობის სიზუსტეს თუ ვირწმუნებთ, ნათელი ხდება, რომ გიორგი მეფეს წმიდა მარტვილთა (მოწამეთა) ნაწილებით – ქრისტიანული სიწმინდეებით შეუმკია ჭყონდიდის აღდგენილი ტაძარი. როგორც ჩანს, თავდაპირველად VI-VII სს. ყველა წმინდანის („მარტუილთა“) სახელზე აგებული ტაძარი, სწორედ X საუკუნიდან, მეფე გიორგის მიერ მისი აღდგენის შემდეგ, იწოდა მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრად, რომლის სახელსაც ატარებს დღესაც [იხ. 18, 13-14].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ პრობიზანტიურ ხანაში დაარსებულ საეკლესიო კათედრებს შორის უადრესი და უპირველესი იყო ჭყონდიდი. სწორედ ჭყონდიდის დაარსებით უნდა დაწყებულიყო ბიზანტიური

კათედრებისათვის ქართული საეკლესიო კათედრების ჩანაცვლების პროცესი [22, 64].

ჭყონდიდის კათედრა წარმოადგენდა ფაზისის სამიტროპოლიტოს სამართალმემკვიდრეს. აღნიშნული ფაქტი განაპირობებდა იმას, რომ ჭყონდიდი მთელი საქართველოს მასშტაბით უპირველესი კათედრა იყო ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდშიც [იხ. 22, 113].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კონსტანტინეპოლზე დაქვემდებარების პერიოდში პატივის თანმიმდევრობით ფაზისელი პირველი მღვდელმთავარი იყო დასავლეთ საქართველოში და მიტროპოლიტის წოდებით იქვემდებარებდა ოთხ საეპისკოპოსოს (როდოპოლისისას, ცაიშისას, ძიღანევისას, პეტრასას), მისი, ჭყონდიდის საეკლესიო კათედრით ჩანაცვლების შემდეგ, ფაზისის სამიტროპოლიტოს ტერიტორიული მემკვიდრეობა და ფაზისელის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი — პატივი, ბუნებრივია, ჭყონდიდსა და ჭყონდიდელზე უნდა გადასულიყო [მსჯელობისათვის იხ. 22, 102]. ასეთი უპირატესობა ჭყონდიდს არც მომდევნო პერიოდში დაუკარგავს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჭყონდიდი იყო „წარჩინებული საღვთისმოძღვროჲ საყდართა შორის სამეუფოჲ ისა მისისათა“, მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) სწორედ ამიტომ „თავისი საფლავი მუნ განემზადა“, ე. ი. თავის საძვალედ ჭყონდიდი აირჩია.

საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი ინფორმაციის შემცველია ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი ლაკონური ცნობა: „ბანძას ზეით და ცხენისწყლის

დასავლით, და მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ეს აღაშენა ჰ მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. ამანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე“ [11, 167].

მეცნიერებს გარკვეული აქვთ, რომ ვახუშტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომზე („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) მუშაობის დროისათვის უკვე იცნობდა და კიდეც იყენებდა წინამორბედ მემატიანეთა, მათ შორის ჯუანშერისა და „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობებს. ჭყონდიდის მონასტრის აშენებისა და ხელმეორედ აღდგენის შესახებ ვახუშტისეული ინფორმაცია და მეფე გიორგის სახელთან მისი დაკავშირება, სხვა მრავალ ცნობასთან ერთად, სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას [იხ. 3, 55].

მარტვილის აშენების შესახებ ასეთივე ცნობას გვაწვდის ნიკო დადიანი, თავის თხზულებაში („ქართველთ ცხოვრება“), რაც თავის მხრივ წარმოადგენს ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების ერთგვარ შემოკლებულ ვარიანტს: „ეკლესია მარტვირისა (ესე იგი ჭყონდიდისა) აღაშენა მეფემან აფხაზთამან გიორგი. იქ დაფლულ არს მეფე ბაგრატ“ [იხ. 6, 150].

ჭყონდიდის ადგილმდებარეობის ვახუშტისეული აღწერილობა, რომ ეს პუნქტი ბანძის „ზეით“, ე. ი. ჩრდილოეთით, და მდ. ცხენისწყლის დასავლეთით, „მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ“ მდებარეობს, სინამდვილეს შეეფერება. ოღონდ ამ შემთხვევაშიც უნდა დაზუსტდეს

ერთი საკითხი, კერძოდ: შეცდომაა, როცა ვახუშტი ამ პუნქტსაც, ბანძის მსგავსად, არა აბაშის, არამედ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას ასახელებს, რასაც, ჩვენი ფიქრით, მდ. ცხენისწყლის ხეობის ბანძა-ჭყონდიდთან სიახლოვე განაპირობებდა.

ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის ცნობილი მკვლევარი თ. ბერაძე მიიჩნევდა, რომ ჭყონდიდის ადგილმდებარეობის ვახუშტისეული აღწერილობა იმდენად ზუსტია, რომ შესაძლებელია, მას ეს საყდარი თვითონაც ჰქონოდა დათვალიერებული [3, 55]. სწორია ვახუშტის ცნობა იმაზეც, რომ ჭყონდიდის ტაძარი არის საძვალე მეფე ბაგრატისა. აქ უთუოდ იგულისხმება საქართველოს მეფე ბაგრატ IV, რომელიც მეფობდა 1027-1072 წლებში. „ქართლის ცხოვრების“ მატიანის ჩანართი გვამცნობს: ჭყონდიდში „...შექმნა ბაგრატ საფლავი თვისი და დაუსვენებიან მრავალნი წმიდათა მარტვილნი“ [იხ. 27, 303-304].

დავუბრუნდეთ კვლავ ერთ საყურადღებო საკითხს. კერძოდ, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა საქართველოს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქია ვახუშტის მონაცემებით. მემატიანე აღნიშნავს, რომ ჭყონდიდელი ფლობს „უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე“ არსებულ ტერიტორიას. მიჩნეულია, რომ უნაგირად იწოდებოდა აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედი, რაც რამდენიმე მთის – დადიაშ ტახტას, ნაქალაქევის, აბედათისა და კალამონას კრებით სახელადაა აღიარებული. ეს მთები ერთმანეთისაგან უნაგირისებური დადაბლებებითაა გამოყოფილი. უნაგირა ოროგრაფიული ტოპონიმია და ნიშნავს უნაგირის კეხივით ჩაზნექილ

ადგილს სერზე. ნაქალაქევის ციხესთან ტეხური უნაგირას ორ ნაწილად კვეთს. ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული მთა აღწევს სოფელ თეკლათამდე, მდ. ციის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს“-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება ტეხურის მარჯვენა სანაპიროს [იხ. 23, 231].

საჭყონდიდლოს ტერიტორიის განსაზღვრის თვალსაზრისით ვახუშტის ნაშრომში მოცემულ ცნობას მნიშვნელოვნად ავსებს გვიანი შუა საუკუნეების რამდენიმე შეწირულების წიგნი. ბეჟან დადიანის (1714-1728 წწ.) მიერ სუჯუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულობის წიგნში, რაც 1714 წლით თარიღდება, აღნიშნულია, რომ ოდიშის მთავარს ჭყონდიდლობიდან გადაუყენებია თავისი ძმა გაბრიელი. „...ღოღაბარიძე ევდემონ მიტროპოლიტი გვიკურთხებინებია და ჭყონდიდლათ დაგვიჯდენია და საჭყონდიდლო ამისათვინ მიგვიცემია... ანჯელი და კოდორა გაღმართი ტეხურის პირამდის რაც არის, ძველთაგან ჭილაძეებს შეეწირათ, მაგრამ კიდევ ვინმე დაობდა... ეს პირველი გარიგებული და წიგნი ჩვენ ასე ხელახლა განგვიახლებია და შეგვიწირავს...“ [იხ. 14, 113]. თითქმის ასეთივე შინაარსისაა მეორე შეწირულობის წიგნი, რაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ 2011 წელს. მასში უფრო დაზუსტებითაა მოცემული საჭყონდიდლოს საეკლესიო ერთეულის საზღვრები. დოკუმენტი დათარიღებული არ არის, თუმცა ბოლოს დასმულ ბეჭედში იკითხება 1717 წელი: „განვაახლეთ. დავთარი ესე. და შევსწირეთ შენს:.

სუჯუნის ეკლესიას წმინდის გიორგისას. და გიძღვენით შენ. დედაო მაცხოვრისა:. ცხენის წყლის რიონის შესაყარიდამ გაღმართში. კუკუთი. ცხეპიჯი. უჩა ღელიდგან. ფიჩორს აქეთი. ანჯელი და სამარღანაო სრულად: რიონს გამოღმა. სირიაჩქონის თავის პირდაპირ: დაბლა ისულას რიონს ღელე ჩაერთვის. ღალუჩა ქვიან. კ-თის ტყეს შუაზედ გამოივლის. ონტყოროს ტბიდგან გავა. ტეხურამდის მოაწევს და იმას აქეთ. აწ ტეხურს გამოღმა. ბერულალუ რომ ტეხურს ჩაერთვის იქედამ და იწყება. წმინდის. სტეფანეს საყდარს აქეთ: ნოსირის ეწერში შუაზედ უჩა ღელე რომ გაივლის. გეჯეთისა და წყემის საზღვარს აქეთ. და სულირს. აქეთ აბაშის წყლამდის: დიდის გამოძიებით გამოვიკვლიეთ. და თუ ვისმე უდროობით ეჭირა... ხელი ავაღებინეთ და განგისაკუთრეთ... შენს დიდებულს ეკლესიას შევსწირეთ. მარტვილსა და სუჯუნას“ [იხ. 21, 46-47].

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ცხენისწყლისა და რიონის შესართავიდან ტეხურ-ბერულალის შესართავამდე (სოფ. ნოსირი) მდებარე ტერიტორია მარტვილის ეკლესიისადმი ყოფილა შეწირული, ნაწილი კი ჭილაძეს შეუწირავს. მოგვიანებით ბეჟან დადიანს და მისი ოჯახის წევრებს ძველი დავთრები განუახლებიათ და საეკლესიო მამულის საზღვრები დაუდგენიათ. დოკუმენტში მოცემული აღწერილობა თითქმის მთლიანად მოიცავს ახლანდელი აბაშის რაიონის ტერიტორიას და სენაკის რაიონის მცირე ნაწილს. კერძოდ, ირკვევა, რომ საეკლესიო მამულის დასავლეთი საზღვარი „ტეხურამდის მოაწევს“ და „აწ ტეხურს გამოღმა“, წმიდა სტეფანეს ტაძრამდე

ვრცელდებოდა. ნოსირის ჩრდილოეთით, საეკლესიო მამულის დასავლეთი საზღვარი სულირზე გადიოდა და „გეჯეთისა და წყემის საზღვარს აქეთ... აბაშის წყლამდის“ ვრცელდებოდა [იქვე].

შეწირულების წიგნი 1760 წლისათვის განუახლებია ოდიშის მთავარ კაცია დადიანსაც: „...რიონის და ცხენისწყლის შესაყრიდგან ტეხურის შესაყრამდის სულ გაღმართი, კოდორა, ცხეპიჯი, კუკუთი, სამარღნაო და ანჯელი, ესენი ძველთაგან ჭილაძის ყოფილიყო და ჭილაძეს შეწირა...“ [იხ. 14, 13].

კ. ბოროზდინი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის მდგომარეობას ადარებს კათოლიკე ეპისკოპოსის მდგომარეობას დასავლეთში და აღნიშნავს, რომ მწყემსმთავარი ფლობდა უზარმაზარ საეკლესიო მამულს. ის იყო პატრონი საჭყონდიდლოდ წოდებულ მამულზე მოსახლე აზნაურებისა და გლეხებისა. ეს მამული გაფანტული იყო მთელს სამეგრელოში, მაგრამ უმთავრესი ნაწილი 3000 კომლზე მეტი გლეხით, მდებარეობდა მდინარეებს – აბაშას, ტეხურსა და რიონს შორის. საჭყონდიდლოს „შუაგული სოფელი“ ანუ სარეზიდენციო კერა იყო სუჯუნა [4, 79-80].

საჭყონდიდლოს საზღვრებს მოგვიანებით შეეხო მკვლევარი იოსებ ყიფშიძე. მისი განმარტებით „საჭყონდიდო – название округа около Мартвильского монастыря, части Сенакского уезда“ [8].

ვახუშტი ბაგრატიონის, გიულდენშტედტის, კ. ბოროზდინისა და ი. ყიფშიძის, აგრეთვე XIX საუკუნის რამდენიმე საარქივო დოკუმენტის გაანალიზების საფუძველზე, გ. ელიავა საჭყონდიდლოდ წოდებული

საეკლესიო საუფლოს შემადგენლობაში აქცევდა აბაშისა და მარტვილის (ყოფილი გეგეჭკორის) რაიონების ტერიტორიას და სენაკის რაიონის ტერიტორიის ნაწილს [იხ. 8, 5-6]. ამასთანავე, მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებდა ვახუშტის ცნობის სისწორეს საჭყონდიდლოს დასავლეთის საზღვრად უნაგირას მიჩნევის შესახებ, ვინაიდან, გ. ელიავას მოსაზრებით, საჭყონდიდლოდ სახელდებულ ტერიტორიულ ერთეულში ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობდა არა მთლიანად უნაგირას, კერძოდ, მასში შემავალი სახარბედიოსა და ეკის მთებით, არამედ უნაგირას, ვიდრე ნოქალაქევამდე. გ. ელიავას მოსაზრებით, ტეხურისპირეთი ნოქალაქევის ქვემოთ უკვე სალიპარტიანოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო, ე. ი. სალიპარტიანოსა და საჭყონდიდლოს გამყოფად და ამ უკანასკნელის დასავლეთ საზღვრად მკვლევარი მდ. ტეხურს ვარაუდობდა. გ. ელიავა თავისი მოსაზრების გასამყარებლად ტოპონიმებსაც იმოწმებდა. „საჭყონდიდლო მამული, ანუ საეკლესიო ხატ-მამულები — საჭყონდიდლოს სახელწოდებით მხოლოდ აბაშისპირეთში ვრცელდება: ბალდა, მარტვილი, ბანძა, ონოლია, ვედიდკარი, სეფიეთი, ონტოფო, აბაშა, სუჯუნა-მარანის ხაზის გასწვრივ“ — წერს იგი [8, 8-9].

სალიპარტიანო-საჭყონდიდლოს გამყოფი საზღვრის შესახებ გ. ელიავას თვალსაზრისი დაზუსტებას საჭიროებს. ქართველ მკვლევართა მიერ უკვე გარკვეულია, რომ ფეოდალური ერთეული სალიპარტიანოს სახელწოდებით გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე ეს გ. ელიავას მიერ არის შემოსაზღვრული. „აფხაზეთის საკათალიკოსო დიდი

დავთრიდან“ ირკვევა, რომ სოფელი ნაგვაზაუ ლიპარტიანის მფლობელობაში ყოფილა XVII ს. I ნახევარში. ლიპარტიანთა საკუთრებას წარმოადგენდა სოფელი ბონბოთიც (ახლანდ. ბომბოთი), რაც მარტვილის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს [იხ. 2, 126-130].

სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეულის საზღვრების შესახებ არსებული ნარატიული წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ ლიპარტიანები მამულებს ფლობდნენ საჭყონდიდლოს ტერიტორიაზეც.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საუფლისწულო და სათავადო მამულების საზღვრები ხშირად არ ემთხვეოდა საეკლესიო მამულის საზღვრებს. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ბუნებრივია, განაპირობებდა იმას, რომ იცვლებოდა საეკლესიო და სათავადო-საუფლისწულო მამულების საზღვრებიც. ამ საკითხზე თავის დროზე ყურადღებას ამახვილებდა გ. ელიავა და სავსებით მართებულად შენიშნავდა: საჭყონდიდლოში სათავადო, საბატონიშვილო მამულების არსებობის მიუხედავად, აბაშის ხეობის ეს ერთადერთი სამეურნეო-პოლიტიკური და ტერიტორიული ერთეული მაინც განუყოფლად მიიჩნეოდა და მთავართა და თავადთათვის ხელმიუწვდომელი იყო [8, 8].

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ბუნებრივია, განაპირობებდა იმას, რომ იცვლებოდა საეკლესიო და სათავადო-საუფლისწულო მამულების საზღვრებიც, რაც თვალსაჩინოდ დასტურდება ჭყონდიდის საეპისკოპოსოს შესახებ არსებული და ჩვენ

მიერ ნაწილობრივ განხილული წერილობითი წყაროებითაც.

ბანძისა და ჭყონდიდის აღწერის შემდეგ ვახუშტი ეხება ჰიდრონიმ „აბაშის“ ეტიმოლოგიას და სახარიას ციხე-სასახლის ადგილმდებარეობას: „ამათთა (ბანძისა და ჭყონდიდის — ი. კ.) დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა /რა/ ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პჩ აბაში, და მიერითგან იწოდა აბაშა. /ამაზედ არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა/. ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამხრით. არა არს მას შინა თევზი, თვინიერ კალმახისა“ [11, 167].

აბაშის სათავედ ვახუშტი **კავკასს** ასახელებს. კავკასი, კავკასეთი იგივე კავკასიონია. მაგრამ მეცნიერი კავკასიონის მთიანეთის სხვადასხვა ნაწილს იმ სახელით მოიხსენიებს, რომელ მხარეშიც ის მდებარეობს. ასე მაგალითად, კავკასი ალანისა, ვახუშტის აღწერით, ეწოდება კავკასიონის მთიანეთის იმ ნაწილს, რაც კოდორ-ყუბანის წყალგამყოფს წარმოადგენს; ლეჩხუმის კავკასი ახლანდელი ლეჩხუმის ქედია ცაგერის რაიონში; კავკასი სვანეთისა ეწოდება ენგურის სათავეებს. სვანეთის საზღვრების აღწერისას ვახუშტი ასახელებს „სვანეთსა და ოდიშს შორის კავკასს“. მისივე თქმით სვანეთი „(ს)იგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე...“ [11 173]. მეცნიერის მსჯელობით, აბაშისა და ტეხურის სათავეები კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ იმ ქედზე, რაც წარმოადგენს

ოდიშის ჩრდილოეთ საზღვარს: „თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით და კვალად თაკვერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სვანეთს შორისი“ [11, 167].

მდ. აბაშა სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში (მარტვილის რ.). მისი სათავე-მდგენლებია ტობა და რაჩხისწყალი. მდინარის სიგრძე 66 კმ-ია და მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს ზანათის ტერიტორიაზე. ვახუშტის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII საუკუნის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. მემატიანე ჯუანშერი თავის თხზულებაში – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, მოგვითხრობს: „...აღდგეს მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა“ [27, 237-238]. ასეთივე განმარტებაა მოცემული წარმოშობით გერმანელი მკვლევრის, კარლ ჰანის ნაშრომში – „კავკასიის გეოგრაფიული სახელების განმარტებათა პირველი ცდა“, სადაც ვკითხულობთ: „Абаша приток Техура, получиль названые отъ того, что въ немъ утонуло 8000 абхазов (абашовъ) узъ войска арабского полководца Мурванъ-кру“ [33, 2].

ვახუშტი მიიჩნევს, რომ „აბაშა“ მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე „პირველ სხვის სახელით“ ყოფილა ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ

მემატიანე არაფერს ამბობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „აბაშა“ ამ მდინარის ქვემო წელის, კერძოდ, იმ მონაკვეთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც აბაშის რაიონის სოფ. ძველი აბაშის მიდამოებიდან ტეხურის შესართავამდე მდებარეობს.

ზემო წელზე მდინარე უეჭველად იმ მთის სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი, სადაც სათავეს იღებს. ასეთი კი რაჩხის მთაა. მდ. აბაშის მარცხენა მდგენელის — ტობას პარალელურ სახელწოდებად ჩაწერილი გვაქვს აგრეთვე ტოპონიმი „ტანწყარი“. შესაძლებელია ამ ორი ტოპონიმიდან ერთ-ერთი მდ. აბაშის ზემო წელის სახელწოდებად გვევარაუდა. საველე ძიებით მომავალში ამ ხეობის შუა წელის სახელიც შეიძლება გამოვლინდეს (მსჯელობისათვის იხ. ი. სიხარულიძისა და ი. კეკელიას ნაშრომი. იბეჭდება ჟურნ. „ცოტნეიდელში“).

მიაჩნიათ, რომ ჰიდრონიმ აბაშაში **აბა/-ბა** ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელს, ხოლო **-ში/-შა** მაწარმოებელ სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს (აბა-ში—>აბა-ში-ა—>აბაშა—>აბა-სი, ე. ი. აბაშა „აბას სამკვიდროდ, სამფლობელოდ“ მოიაზრება [30, 19]. დასაშვებია შემდეგი მნიშვნელობაც: აბჩა—>აბაშა: **აბ** სპარს. „წყალი“, **ჩა** სპარსული კნინობითობის აღმნიშვნელი ნაწილაკი; მაშასადამე, აბჩა—>აბაშა „პატარა წყალი; პატარა მდინარე“ (?) (შდრ. ობჩა) [იხ. 20, 17].

სად მდებარეობდა ვახუშტისეული „სახარია“? აღნიშნული პუნქტის ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. მხარეთმცოდნე გ. ელიავამ ტოპონიმი „სახარია“ სოფ. სალხინოსთან გააიგივა. საზაფხულო აგარაკად და

რეზიდენციად შერჩეულ სოფლის მთიან მხარეში, აბაშის ხეობის გადასახედზე, მდგარა დადიანთა ციხე და სასახლე სახარია. მოგვიანებით, აღნიშნავს მკვლევარი, – ეს ადგილი ოდიშის მთავრის კუთვნილ სარეზიდენციო სოფლად გადაქცეულა და თვალწარმტაცი მდებარეობის გამო სალხინო დარქმევია [9, 82]. ჩანს, რომ მკვლევარი სალხინოსა და სახარიას იგივეობას ამ ორი სახელწოდების ფონეტიკური მსგავსებით ხსნიდა. ეს მოსაზრება გაიზიარეს გოგილო და დემურ ბასილაიებმა [1, 29-30].

პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ მემატიანის მიერ მოხსენიებული სახარია ბანძის უკიდურეს ჩრდილოეთით, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას მდგარი ციხე-დარბაზის სახელწოდებად მიიჩნიეს, თუმცა, სრულიად სამართლიანად, მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისგან თავი შეიკავეს. „ეს ის ადგილია თუ არა, ამის ზუსტად დადგენა ძნელია, ასეთი ტოპონიმი დღეს არ არსებობს“, – წერენ ისინი [12, 234].

საქმე ისაა, რომ ბანძის ციხე შეუძლებელია სახარიად მივიჩნიოთ და ეს კარგად ჩანს თვით ვახუშტის ცნობიდან, რომელიც წერს: „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ [11,167]. ბანძა, როგორც ზემოთ ვიმსჯელეთ, მართალია, ცხენისწყლის დასავლეთით მდებარეობს, მაგრამ არა ცხენისწყლის, არამედ მდ. აბაშის ხეობაში. ციხეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე, აბაშა-მარტვილის საავტომობილო გზასა და მდინარეს შუა, ველზე დგას და ნანგრევები ნოჯიხენის სახელწოდებითაა ცნობილი. ესაა სოფლის სახელის

ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტიც. **ნაჯიხუ, ნოჯიხენი** მეგრულში „ნაციხარს“ ნიშნავს (ჯიხა „ციხე“). ამრიგად, ეს სახელი სავსებით შეეფერება ციხის ნაშთებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილის დროს, კერძოდ, XVIII ს. I ნახევარსა და უფრო ადრეც, ციხის სახელი **ნოჯიხენი** ვერ იქნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხის არსებობის პერიოდში სოფელს **ჯიხა** ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც, აქ მდგარი ნაგებობები დაინგრა, სოფელსაც ნოჯიხენი („ნაციხარი“) ეწოდა. ეს უნდა მომხდარიყო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში [იხ. 13, 55].

ჩვენი აზრით ციხის გარშემო მდებარე დასახლებას ნოჯიხენამდე ბანძა უნდა რქმეოდა. ეს სავსებით დამაჯერებელი ვარიანტია მაშინ, თუკი გავითვალისწინებთ იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ბანძა, გვიან შუა საუკუნეებსა და, შემდეგაც, XIX საუკუნეში, მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აბაშიდან ცხენისწყლამდე [იხ. 16, 7; 17, 14]. სწორედ ამიტომ უნდა მიუთითებდეს ვახუშტი ცხენისწყლის დასავლეთით ბანძას „კეთილნაშენი“ ციხით.

ძეგლი, რასაც ვახუშტისეულ ბანძის ციხედ მივიჩნევთ, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ბანძის თემის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს, ლეხაინდრავოს თემის სოფ. ნოჯიხევში, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს მდებარე შემაღლებაზეა. ნაციხარის გარშემო ამჟამად სახნავებია და ადგილობრივნი „აბაშაჭაეს“ ეძახიან, ხოლო თვით ნაციხარი „ჯიხად“ და „ნოჯიხენად“ მოიხსენიება.

ბანძის შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვახუშტი აღწერს ჭყონდიდის ადგილმდებარეობას, საუბრობს ჰიდრონიმ „აბაშის“ წარმომავლობაზე და ამის შემდეგ გვაწვდის ცნობას სახარიას ციხესა და სასახლეზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვახუშტის რუკაზე ტოპონიმი „სახარია“ ნაჩვენებია ბანძის მახლობლად, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელ აბედათ-სერგიეთის ტერიტორიაზე.

მკვლევარ შალვა ჯღარკავას ვარაუდით ვახუშტისეული „სახარია“ სახარბედიოს დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ხარბედიები აბედათში მოსახლეობდნენ. „საინტერესოა, რატომ აღნიშნავს ვახუშტი ამ ადგილს სახარიად. შესაძლოა ეს მისი ძველი სახელწოდება იყო. ამ ადგილის შესწავლამ ერთ საყურადღებო გარემოებაზე შეგვაჩერა. აქ ცხოვრობენ ხარბედიები. დღეს რამდენიმე ოჯახია დარჩენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინათ ხარბედიებს მარსილში ეკავათ გარკვეული ტერიტორია და ეს ადგილი იწოდებოდა სახარბედიოდ... ვახუშტიმ შესაძლოა სახარბედიო აღნიშნა სახარიად... ვფიქრობთ, რომ ვახუშტის სახარია, „ციხე და სასახლე დადიანისა“, არის იგივე მარსილის დადიანის სასახლე“ [32, 287].

შ. ჯღარკავას მოსაზრება გაიზიარა თამაზ ბერაძემ. თუმცა სხვა, დამატებითი არგუმენტი შ. ჯღარკავას ვარაუდის გასამყარებლად მკვლევარს არ წარმოუდგენია. [იხ. 3, 56].

შ. ჯღარკავას ზემოთ მოხმობილი მსჯელობიდან გამოდის, რომ არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნული მარსილი და ვახუშტისეული სახარია ერთსა

და იმავე პუნქტში, სოფ. აბედათის ტერიტორიაზე, ან მის შემოგარენში ლოკალიზდება.

საქმე ისაა, რომ ამ ორი პუნქტის — სახარიასა და მარსილის იგივეობა პირადად ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამ იგივეობის მართებულობას უფრო ის გარემოება ართულებს, რომ ტოპონიმი სახარია აბედათის ტერიტორიაზე დამოწმებული არ არის. ამასთანავე, შეცდომაა, როცა შ. ჯღარკავას ვახუშტისეულ „სახარიად“ სოფ. აბედათში, მარსილის ველზე, ხარბედიების გვარით დასახლებული თუ მათ მფლობელობაში არსებული და, უწინ, ალბათ, სახარბედიოდ სახელდებული გარკვეული ტერიტორია ესახება. ამ მოსაზრების მცდარობაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებანი: 1. ხარბედია ერთ-ერთი რიცხვმრავალი გვარია. ამ გვარისკაცნი მოსახლეობენ მენჯში, კიწიაში, თეკლათში, ლესიჭინეში, სერგიეთში, ქარიატაში, ხობში, ახალსოფელში (ზუგდიდის რ.), ფოთსა და სხვაგან. აბედათის თემის არც ერთ სოფელში (აბედათი, ჯოლო, ლემიქავე, ლექაჯაიე) ხარბედიების მოსახლეობა ვერ დავადასტურეთ. შ. ჯღარკავას ნაშრომის გამოქვეყნების თარიღის (1965 წ.) გათვალისწინებით, აბედათში ხარბედიებს არ უცხოვრიათ არც გასული საუკუნის 60-იან წლებში, თუმცა შ. ჯღარკავა დარწმუნებით წერს, რომ ამ ადგილის შესწავლამ იგი ერთ საყურადღებო გარემოებაზე შეაჩერა; კერძოდ, იმაზე, რომ აბედათში თითქოს ხარბედიები მოსახლეობენ. რეალური სურათი კი სხვაგვარია: ჩვენ მიერ მოწყობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების დროს ხარბედიების გვარის კომპაქტური

დასახლება დადასტურდა არა აბედათში (როგორც აღნიშნავს შ. ჯღარკავა), არამედ მეზობელ სოფელ სერგიეთში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრი აბედათის ჩრდილოეთით, მდ. აბაშის მარჯვენა მხარეს), სადაც ამ გვარით დასახლებული უბანი წინაკვერკვესა და ნახუნუს საზღვრებთან „სახარბედიოდ“ იწოდება. აქვე დავადასტურეთ გვართან დაკავშირებული ორი ტოპონიმი: ნეძგიდეა//ხარბედიეფიშ ონეძე – ფერდობი არჯანიაშ ღეეს შენაკადის – ნოღის მარცხენა ნაპირზე, და ხარბედიეფიშ ნოხორი „ხარბედიების ნასახლარი“ – სახნავი ნახუნუს საზღვართან. ამასთანავე, XVII–XVIII სს. ისტორიული წყაროების მიხედვით ხარბედიები საეკლესიო გლეხები იყვნენ. თუკი სერგიეთში კომლმრავალ გვარებად ითვლებოდა გაწერელია, სურმავა, ბედია, სულავა, ქუთათელაძე, თოდუა, ინჯგია და სხვ., ხარბედიას გვარი რიცხოვნობით გამორჩეული არ ყოფილა და არაა სავალდებულო, რომ უწინ დამოუკიდებელი სოფლის ან სოფლის შიგნით დასახლებული უბნის სახით არსებულიყო.

პროფ. იური სიხარულიძის ვარაუდით, გეოგრაფიულად მდ. აბაშის ნაპირზე მდებარე სოფელი ნახარებაო სახელით უფრო ახლოსაა სახარიასთან (სახარარუი?). ამიტომ სახელწოდებათა მსგავსება ჩვენთვის საინტერესო პუნქტის არსებობას მკვლევარს სწორედ აბაშის ხეობაში, ამ სოფლის ტერიტორიაზე აფიქრებინებდა [26, 3].

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვახუშტიმ სოფლის სახელწოდება ნახარებაო მართლაც სახარიად გაიაზრა და ამ ფორმით კიდეც მოიხსენია თავის ნაშრომში, მაგრამ ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას მაინც ართულებს

რამდენიმე გარემოება: 1. ვახუშტი სახარიას აღნიშნავს ბანძის პირდაპირ, მდ. აბაშის მარჯვენა მხარეს. ნახარებავო კი ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე და ნოღელის ნამდინარევ ველზე მდებარეობს. 2. ჩვენამდე მოღწეულ არცერთ წერილობით დოკუმენტში ნახარებუს უწინდელ თუ პარალელურ ფორმად სახარია ნახსენები არ არის. უფრო მეტიც: ვახუშტის ცნობის თითქმის თანადროულ, 1771 წლით დათარიღებულ ანტონ ცაგერელის შეწირულების წიგნში სოფლის სახელწოდებად მითითებულია **ნახარბოი**: [იხ. 14, 43]; 3. ახლანდელ ნახარებუს ტერიტორიაზე ციხის ნაშთი შემორჩენილი არ არის.

სახარიას ლოკალიზაციის საკითხს შეეხო მკვლევარი დ. ჭითანავა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ვახუშტის მიერ მდ. აბაშასთან მოხსენიებული ციხე და დადიანის სასახლე სოფ. ვედიდკარში, აბაშის მარცხენა ნაპირთან ახლოს მდებარე, „ნოჯიხევად“ (ნაციხარი) სახელდებული ადგილი უნდა იყოს, სადაც შემორჩენილია ეკალ-ბარდებით დაფარული რიყის ქვის კედლის ნაშთები [29, 208]. იმავე ნაშრომში მკვლევარი ერთგან აღნიშნავს, რომ ვედიდკარ-მუხურჩის ციხე იგივეა, რაც ვახუშტის „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ [29, 213].

„სახარიას“ ისტორიისა და ლოკალიზაციის საკითხთან მიმართებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე სოფლის სახელწოდება **ლეხაინდრავომ** (არაოფიციალური სახელწოდებაა **ლეხაინდრე**). ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს აღნიშნულია პუნქტი **ლეხაინას** ფორმით. ვახუშტისეული ლეხაინა ფორმითაც და რუკაზე

მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხაინდრეს შეესაბამება [იხ. 19, 66]. ხაინდრავების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ პირობის წიგნში დასტურდება „მოწმე სულ ერთობით სახაინდრაო“ [იხ. 14, 175]. სახაინდრაოში სწორედ სათავადო აზნაურთა – ხაინდრავების (ადგ. ვარიანტი ხაინდრაა) მფლობელობაში არსებული მამული, სოფელი ლეხაინდრე უნდა იგულისხმებოდეს. როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნეში ერთი და იგივე პუნქტის პარალელურ სახელწოდებად ლეხაინდრე და სახაინდრაო დასტურდება. 1997 წელს სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას ჩავიწერეთ ტოპონიმი „სახარიაშ ფონი“. ასე ეწოდება ფონს სოფლის აღმოსავლეთით, მდ. ცხენისწყალზე. 2007 წელს ფეხდაფეხ შემოვიარეთ ლეხაინდრავოს თემში შემავალი სოფლები (საკუთრივ ლეხაინდრავო, სტეფასდაბალი, ნოჯიხევი) და მისი შემოგარენი. თუმცა ცხენისწყლის გაყოლებით, არც „სახარიაშ ფონის“ სახელწოდებით ცნობილი ადგილის მახლობლად და არც მეზობელი სოფლების (ნაგვაზუ, ნაგებერუ, ნაჯახუ) ტერიტორიაზე ციხისა და სასახლის ნაშთებს ვერ მივაკვლიეთ. თვით „სახარიაშ ფონის“ სახელდების მოტივის შესახებ კი შემდეგი განმარტება ჩაგვაწერინეს: სახარია ერქვა პიროვნებას, რომელიც ცხენისწყლის ნაპირას, სახელდებული ობიექტის მახლობლად ცხოვრობდა.

ჩვენი მიზანი იყო „სახარიას“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა. ყველა თვალსაზრისი

მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება, ვიდრე თითოეული მათგანი სათანადო არგუმენტებით არ გამყარდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის შრომისა და მის მიერ შედგენილი რუკების მონაცემთა გათვალისწინების გარეშე გვიანი შუა საუკუნეების სამეგრელოს წარსულის შესწავლა, რასაკვირველია, სრულყოფილი არ იქნება. დავესესხებით პროფ. ლევან მარუაშვილს: ,,ვახუშტი ბაგრატიონის გიგანტური შრომა, რაც გამოიხატა მშობლიური ქვეყნის დეტალურ, თავისი ეპოქისათვის ზუსტ აღწერაში და გამოსახვაში, შთამომავალთა აღტაცებას იწვევს. მხოლოდ სამშობლოს სიყვარულმა შეაძლებინა ჩრდილოეთში გადახვეწილ ბატონიშვილს ესოდენ ხანგრძლივი და ბეჯითი შრომა. შთამომავლობა ქედს იხრის ამ ფენომენის წინაშე, რომელმაც ასე სოლიდურად შეავსო ქართული მწერლობის თავისუფალი თარო".

ლიტერატურა

1. გ. ბასილაია, დ. ბასილაია, ჩვენი სალხინო, თბ., 2008.
2. თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, კრ. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, ტ. II, თბ., 1964.
3. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971.
4. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი. ტფ., 1934.
5. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962
6. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.
7. გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962.
8. გ. ელიავა, ჭყონდიდ-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა (მეგზური), თბ., 1969.
9. გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თბ., 1971.
10. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1977.
11. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.

12. პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი, არქეოპოლისი, ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991.
13. პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე, არქეოპოლისი—ნოქალაქევი, თბ., 1984.
14. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, II, ტფ., 1921.
15. ი. კეკელია, აბაშის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან. გაზ. „ქუთაისის უნივერსიტეტი“, 17. XII. 1997.
16. ი. კეკელია, ბანძის ციხე, გაზ. „მახარია“, №9 (26), 2002.
17. ი. კეკელია, სოფელი ბანძა (გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული საზღვრები), გაზ. „მახარია“, №6 (57), 2005.
18. ი. კეკელია, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2009.
19. ი. კეკელია, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010.
20. ი. კეკელია, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2011.
21. ი. კეკელია, ე. კურდღელია, ი. ხარებავა, მასალები ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის, კრ. „მხარეთმცოდნე“, II, ქუთ., 2011.
22. ბ. კუდავა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბ., 2022.
23. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.

24.ი. მეუნარგია, ოდიშის სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, ტფ., 1939.
25. ი. სიხარულიძე, ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები, გაზ. „მახარია“, №1 (28), 2003.
26.„ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ტ. IV, თბ., 1973.
27. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, 1961.
28. დ. ჭითანავა, საეკლესიო და საერო ნაგებობანი სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.
29.ო. ხუხუა, აბაშა, ბაში, ბარდა, ლებარდე, ცხენისწყლის ეტიმოლოგიისათვის. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესია (მასალები), თბ., 1981.
30. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1979.
31. შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება), თსუ შრომები, ისტ. მეცნიერებათა სერია, ტ. 113 (V), თბ., 1965.
32. К. Гань. Опыт объяснения кавказских географических названии. СМОМПК,. вып. 40. 1909.

IGOR KEKELIA

VAKHUSHTI BAGRATIONI AND THE ISSUES OF HISTORIC GEOGRAPHY OF ABASHA GORGE

The research work by Vakhushti Bagrationi, the well-known Georgian scientist and statesman of the 18 th century, represents a very important treasure in the history of Georgian culture and science.

For the thorough study of historical-geographical and social-economic situation of Georgia in the Middle Ages his major work „ Descripition of the Kingdom of Georgia~, based on his own observations and the study of historical sources, and his cartographic atlas are priceless.

Vakhushti deals with the small Kingdoms and principalities created as a result of disintegration of the unified Georgia (the second half of the 15 th century) and provides us with a description of historical past and geographic specificities.

In his work Vakhushti described Qartli, kakheti, Hereti, Kukheti, Didoeti, Samtskhe-saatabago, Klarjeti and some regions of western Georgia. Vakhushti's description of these regions (especially Abkhazia, odishi, Guria, Svaneti) is schematic and less precise. this was caused by the lack of information about these regions.

The proposed paper is dealing with the study of historical geography of abasha gorge as reflected in Vakhushti bagrationi's work. In terms of investigation of the above-mentioned issue the geographical atlases compiled by the scientist in 1735 and 1745 are very important.

While examining the issues of historical geography of Abasha gorge, the author discusses the etymology of hydronim

„Abasha", and the settlements (Bandza, Chkondidi, Sakharia). At the same time, the history of Epharkia of Chkondidi and localization of mountain Unagira are highlighted, taking into consideration the modern historiography.

ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში

ენგურის ხეობა უძველესი დროიდან იქცევდა უცხოელ და ქართველ მემატიანეთა ყურადღებას, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციებით. ხეობის აღწერილობა მოცემულია XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერის, კარტოგრაფისა და სახელმწიფო მოღვაწის – ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტურ ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ჭანისწყლის ხეობისა და წალენჯიხის აღწერის შემდეგ ვახუშტის ნაშრომში გადმოცემულია ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა: „ამის (წალენჯიხის – ი. კ.) ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სვანეთსა და ოდი[შ]ს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის /ზღვას/ ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა ჩღგ, ქართულსა ტჟა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩღკე, ქართულსა უიგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ზეით, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ“ [8, 168-169].

ენგურის ხეობის აღწერისას ვახუშტი ზოგჯერ სცოდავს. თ. ბერაძის დაკვირვებით, მას ხშირად ერთმანეთში ერევა „ჩრდილო“ და ჩრდილო-დასავლეთი ან დასავლეთი. ამიტომ ვახუშტის ზემოთ მოხმობილი ცნობა მდ. ენგურის წალენჯიხის „ჩდილოთ“ დინების შესახებ შეცდომაა, რამეთუ ეს მდინარე წალენჯიხის მონასტრის დასავლეთით მოედინება [იხ. 4, 60]. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მდ. ენგურსა და წალენჯახის შორის მოედინება კიდევ ერთი მდინარე ჩხოუშიას სახელწოდებით, რაც მდ. ჯუმს მარჯვნიდან შეერთვის ახლანდ. სოფ. დიდი ნეძის კახათის ტერიტორიაზე. ჩხოუშიას ვახუშტი არ იცნობს და შესაბამისად არც მის ნაშრომშია დასახელებული. ასევე შეცდომითაა მინიშნებული მდინარის სათავე. ენგური მოედინება ზემო სვანეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან, და მისი სათავე ბევრად დაშორებულია „სვანეთსა და ოდიშს შორისს“ მდებარე „კავკასს“, ანუ ეგრისის ქედს. ენგურის ზემო წელი სვანეთშია, შუა წელში ეგრისის ქედს ჩაუვლის დასავლეთით (ქ. ჯვარის შემოგარენი წალენჯიხის რაიონში), ხოლო ქვემო წელი მოიცავს ოდიშის დაბლობს, სოფ. ტყაიადან (ჩხორიის თემი) შავი ზღვის შესართავამდე.

საინტერესოა დაკვირვება ჰიდრონიმის ვახუშტისეულ დაწერილობაზე – ეგური. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეცნიერი ბატონიშვილი მდინარის სახელწოდებას სწორი ფორმით უნდა გადმოსცემდეს. „ის გარდამავალი უნდა იყოს „ეგრიდან“ „ენგურამდე“, – წერს თ. ბერაძე და იქვე თავისი მოსაზრების გასამყარებლად გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე საბუთსაც იმოწმებს. კერძოდ,

სქოლიოში (№34) მიუთითებს წიგნს – „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I“. წიგნში, რაც 1964 წელს გამოიცა, აღნიშნულია, რომ 1512-1532 წლებით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად „მამია დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღვთისმშობელს ეგურის პირას ნაჟანეო 60 კომლი კაცით“ [იხ. 16:78]. ამას გარდა, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის 1706 წლის სიგელი გვამცნობს: „...ელიბახუ ნანაისშიღი ეგურის გაღმიდამ წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ და ხიბულას დავასახლეთ“ [იხ. 11, 92].

ვახუშტი ფიქრობს, რომ ენგურს („ეგურს“) სახელი უნდა მიეღო ამავე სახელწოდების დაბისაგან, მაგრამ საქმე ისაა, რომ მის მიერ შედგენილ არც ერთ რუკაზე ამ სახელის მატარებელი დაბა აღნიშნული არაა [მსჯელობისათვის იხ. 4, 60-61]. ეტყობა, რომ მემატიანესაც ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების მატარებელი პუნქტის რეალურად არსებობაში.

ლამბერტი კოლხიდის „უმთავრეს და უფრო ცნობილ“ მდინარეებს შორის ასახელებს ენგურს, რაც, მისი აზრით უწინდელი ასტელეფოსი უნდა იყოს. გვთავაზობს მდინარის აღწერილობასაც: „ენგური ჩამოდის დიდის სისწრაფით სვანეთის მთებიდან. ზაფხულის სიცხეებში თოვლის დნობის დროს იგი საშინლად მატულობს, და უნავოდ გასვლა მასში შეუძლებელია. რამდენადაც უფრო გრილია. წყალი რიყის ქვებს შუა იწმინდება და მეტად მშვენიერია. ამ მდინარეში მრავალი ნაირ-ნაირი თევზია, რომელსაც მკვიდრნი იჭერენ ბადითაც და ხის კავებითაც. როცა

ზაფხულობით წყალი მატულობს, ამ მდინარის ზღვასთან შესართავში ძალიან ბევრ ზუთხს იჭერენ“ [14, 200-201].

მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს ნგოურ-ის ფორმით ჟაკ ფრანსუა გამბაც [5: 83, 94, 104, 105, 111, 112, 317, 321, 329].

შავი ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. ვახუშტი მას მოიხსენიებს **ანაკრიას** ფორმით. უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა.

ანაკლია თავის რუკაზე დატანილი აქვს კასტელს [13, 187; სურ. № 524]; ერთ-ერთ ნახატზე კი შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში“ (სურ. №473).

პირველი წყარო, სადაც ანაკლიაა დასახელებული, არის ლუი გრანჟიეს 1615 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი ამ პუნქტს ჰერაკლიად მოიხსენიებს. ლევან II დადიანის შეწირულობის სიგელში, რაც 1628 წლით თარიღდება, აღნიშნულია, რომ ოდიშის მთავარს ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს „ანაკლიას კოჩილაი ჩოდია... კიდევ ანაკლიას ფაცულაი წაწულუა“ [11, 41; 14, 19]. რომის პაპისადმი პატრ ძამპის მიერ 1675 წელს გაგზავნილ წერილში დასახელებულია „ანაკრია“ და „არკამა“ [12: 204-205). ანაკლიაზე ცნობები დაცულია ფრანგი მოგზაურის — ჟან შარდენის ნაშრომში. იგი საუბრობს ანაკლიის ეკლესიაზე: „...ანაკლიაში მე წირვასაც დავესწარი, რომელიც ისეთივე უპატივცემულოდ და დაუდევრად სრულდება, როგორც ეს

აღნიშნული იყო სამეგრელოს რელიგიის შესახებ ტრაქტატში. ერთხელ მოწმე გავხდი წირვის სასეირო შეწყვეტისა; თეათინელთან ერთად მივდიოდით ჩვენ თავშესაფარ კოშკში; გავიარეთ ეკლესიასთან, სადაც წირვა მიმდინარეობდა " [იხ. 22, 255]. ლამბერტი კოლხიდის (ოდიშის) მონასტერთა ჩამონათვალში ასახელებს ანაკრიას (d' Anarghia) და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი ჰერაკლეა (Heraclea) იყო. მისივე მითითებით აქ უწინ საეპისკოპოსოც ყოფილა, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება [იხ. 14, 138]. იოჰან ანტონ გიულდენშტედტის თქმით ანაკლია ეწოდება ციხეს ენგურის შესართავთან [6, 325, შენიშვნა]. 1823 წლის 6 (18) ივნისს სოხუმიდან ფრეგატით გადმოსული ფრანგი მოგზაური გამბა მეორე დღეს ანაკლიას სწვევია. „დილაადრიან უკვე ანაკლიაში აღმოვჩნდით, — წერს მოგზაურობის დღიურში, — იგი პონტის სამეფოს, ძველი ჰერეკლეას ერთ-ერთი კოლონია გახლდათ. ეს ნავსადგური გაშენებულია აჯისა (გის) და ენგურის შესართავთან; ძველად იგი ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლთან ძალზე მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა, რაც ძირითადად ტყვეთა სყიდვას ემყარებოდა" [იხ. 5, 94].

ანაკლიას ახსენებს შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მან XIX ს. 30-იან წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირეთში. „როდესაც მივცურავდით ენგურის შესართავის სიახლოვეს, — წერს დიუბუა, — ამ ჩქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე თვალი მოვკარი ანაკრიას, ბერძენთა ჰერაკლეას, მისი ძველი ნანგრევებით". ანაკლია მოხსენიებულია მორიც ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე

სანავსადგურო ადგილი და „სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო“ პუნქტი [7, 134].

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. მისივე ცნობით, აღნიშნული ციხე ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანს. 1779 წელს ანაკლიის ციხეს დაპატრონებია აფხაზეთის მთავარი ქელეშ ბეი შერვაშიძე [2: 184, 214]. აიხვალდი გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძევს ანაკლია“ [იქვე, 211]. საინტერესოა ედუარდ აიხვალდის ცნობა მდ. ანაკლიის შესახებ: „...მდინარე ანაკლია ამ დროს არაა სიცოცხლისათვის უხიფათო გასასვლელად“ [იქვე, 197].

„ანაკლიის“ სახელწოდებით მდინარე ცნობილი არაა. სოფლის ტერიტორიაზე გაედინება მდ. თიქორი, რაც ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (ანაკლიის თემი) უერთდება შავ ზღვას. მისი შენაკადია ღელე ფართოღალ(?), რაც სოფ. ცვანედან მოედინება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანაკლია თიქორის უწინდელი სახელწოდება ყოფილიყო.

ანაკლიაზე ცნობები დაუცავს იაკობ რაინეგსსაც, რომელიც აღნიშნავს: „...მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე ანაკლია. ეს არის აფხაზეთის მთავრის ლევან შერვაშიძის რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საჟენია, სიგანით — ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საჟენი სიმაღლისა და ხუთი

ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისაა“ [19, 108].

თავდაცვითი ხასიათის ნაგებობის ნაშთი შემორჩენილია ენგურის მარცხენა მხარეს და ზღვას 0,5 კმ-ით არის დაშორებული. ადგილობრივნი მას ჯიხას ეძახიან. შემორჩენილია კვადრატული გეგმის მქონე ციხის ორიარუსიანი გალავანი სამ მხარეს (გარდა დასავლეთისა) და კუთხეებში მდგარი სამი კოშკი, რაც დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა აღმართული. მდ. ენგურის, ე. ი. დასავლეთ მხარეს მდგარი კოშკი სწორკუთხაა, დანარჩენები — ცილინდრული ფორმისა. მეოთხე კოშკი მდგარა აგრეთვე მდინარის მხარეს, რაც ციხის გალავანთან ერთად ენგურს წაულეკია. აქ შემორჩენილი კედლების ნაშთი ადასტურებს მდინარის მხარეს 3 მ-ზე უფრო განიერი ჭიშკრის არსებობას. გალავნის ზედა იარუსზე სათოფურებია ჩართული. კოშკები სხვადასხვა ზომისაა. მათი ზედა სართულების საბრძოლო დანიშნულებაზე მეტყველებს კედლებში სათოფურების არსებობა [9, 117-118].

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ანარკია**. აღნიშნული ფორმა დასტურდება ტოპონიმებშიც. კერძოდ, ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილის მონაკვეთს სოფ. ინგირის ტერიტორიაზე ანარკიაშ შარა//ნაჭკირა ჰქვია. იგივე სახელით იწოდება გზა ზუგდიდიდან ანაკლიისკენ, სოფ. კახათის გაყოლით [24, 158].

მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაშიც გვხვდება „ანარკია“ ფორმა. მოვიხმობთ საილუსტრაციო მასალას:

ყურსალეფიშ ნახვამლეფი, ყურსალთა გატაცებული
,სქანი და დო ჯიმალეფი, შენი და და (შენი) ძმები,
ხე დო კუჩხი კრილეფი ხელ-ფეხგაკოჭილები
ანარკიას რჩხვიანდუნი? ანაკლიაში (რომ) კიოდნენ!

ან

ზუგიდური, ანარკული, ანაკლიელ-ზუგდიდელი,
ართიანიში მოხვარეფი! ერთმანეთის დამხმარენი.

ან კიდევ

პირველ თიას მი მერჩანდეს, პირველ წილს ვინ მოგცემდათ,
ვა იმენდათ ანარკია. იმედი არ ჰქონდეს ანაკლიას.

და ბოლოს

აბა, ჯიმა, რია, აბა, ძმაო, აჯანყება,
მარტვილ-ანარკია... მარტვილ-ანაკლია...

[20, 60, 83, 107; 21, 150].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვახუშტი ანაკლიის ციხის აშენებას ოსმალებს უკავშირებს. მემატიანის ცნობა, რომ ოსმალებმა რუხის ციხის ნანგრევებისაგან

„აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“, ძნელი დასაჯერებელია. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ცნობა რუხის ციხის შესახებ დაცულია შარდენის „მოგზაურობაში“, როცა იგი გადმოგვცემს 1672 წლის, ოსმალთა შემოსევასთან დაკავშირებულ ამბებს. უფრო ადრე, ზუგდიდთან, კოზხეთთან (კორცხელი) და ანაკლიასთან ერთად, რუხი თავის რუკაზე აღუნიშნავს ლამბერტს [14, ჩანართი 1 – „კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუქა“]. „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ რუხის ციხეში ინახებოდა ოფშქვითის ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეთაგან წართმეული ზარბაზნები [10, 282-288].

1700-1712 წლების ახლო ხანებში გრიგოლ კათალიკოსის მიერ დაწერილ „წიგნში“ აღნიშნულია: „რუხუს რომ ლევან დადიანი მოკუდა, მისი სიცოცხლეშიდ დადიანის ალნებით ნემსაძე კზს მოსლოდა“ [11, 102]. „რუხუ“ სწორედ ახლანდ. სოფელი რუხია. 1712 წლის გარიგების წიგნი გვამცნობს: „შარვაშიძე რუხს მოკვდა, წავედით და ვიტირეთ, ნიშნიც მართებული ავიღეთ...“ [იქვე, 104-105]. გიულდენშტედტის ცნობით რუხი ციხეა ენგურის მარცხენა ნაპირზე, რაც უწინ თურქთა ხელში იყო, ამჟამად კი მიტოვებულია [6, 325]. რუხის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც გვაუწყებს: რუსთა რაზმების მიერ დანგრეული აფხაზური პატარა ციხე რუხი ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ლაზებში მიმავალი გზის ჩამკეტია. იქვე ახლოს მდებარე სოფელსაც რუხი ეწოდება, ხოლო მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით შვიდ

ვერსზე, ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სამეგრელოს ყველაზე მძლავრი და დიდი ციხე ეგერსი, ანუ ეგერია [19, 121]. რაინეგსის ცნობა რუხის ადგილმდებარეობაზე არასწორია. იგი ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს.

რუხი გვხვდება მეგრულ ხალხურ საისტორიო ლექსშიც:

„ვო, დადია, დადია, ვო, დადია, დადია,
რუხიში დგნაბადია! რუხში დანაბადოო...“

[23, 233].

ოდიშის სამთავროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობის – რუხის ციხის მშენებლობა უკავშირდება ლევან II დადიანის სახელს, რასაც ციხის დაგეგმარება და კედლების წყობაც ადასტურებს. ციხის აშენება უმთავრესად განპირობებული იყო აფხაზთაგან ოდიშის დასაცავად. ლევანისავე ინიციატივით XVII ს. 30-იან წლებში განხორციელდა ჩხარიდან და ჩიხორიდან იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1605-1639 წწ.) გამოსასყიდში მიღებული სომეხი და ებრაელი ვაჭრების რუხში ჩამოსახლება. ასე დაარსდა აქ სავაჭრო სახელოსნო ადგილი ქალაქის სტატუსით. სომხებით დასახლებული ბორცვი რუხში, ჯიხაშკარის უბანში, დღესაც ნასომეხ(უ)დ იწოდება.

რუხის მშენებლობაზე ცნობა დაცულია არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში. „მხოლოდ სომხების ქალაქში, – გვაუწყებს ლამბერტი, – რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი,

სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“ [14, 179]. სომხების ქალაქში თეათინელი მისიონერი სწორედ რუხს გულისხმობს.

მკვლევარ ი. ანთელავას მართებული მოსაზრებით, რუხში ციხის აგება, მისი „გაქალაქება“ და ლევან დადიანის მიერ გატარებული სხვა ცნობილი ღონისძიებები (ვაჭრების მოწვევა, ზარაფხანის გახსნა...) მთავრის პროექტის მიზანდასახულობათა რეალიზაციას, კერძოდ, ევროპასთან სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებას ისახავდა მიზნად [1, 113-114].

თვით ციხე აგებულია ენგურის გავაკების შუა წელზე, ენგურსა და მის მარცხენა შენაკადს — რუხ(იშ)წყარს შორის, შემაღლებაზე. ერთ ჰა-მდე ფართობის მქონე ციხე თავისი მასშტაბებით, გალავნისა და კოშკების სისქე-სიმაღლითა და მშენებლობის სიმტკიცით მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ციხეს ადგილობრივნი უწოდებენ რუხიშ ჯიხას, ჯიხას. იქვე მდებარე უბანს, სადაც დუქნები ყოფილა განთავსებული, ჯიხაშკარს ეძახიან. ამასთანავე, რუხის ციხესთან გამავალი სახმელეთო გზა „ჯიხაშკარიშ შარად“ იწოდებოდა. პ. ზაქარაიას მსჯელობით, უწინ ენგური ციხეს უშუალოდ უვლიდა, ამჟამად კი მდინარის მარცხენა ნაპირს 300-400 მ. აშორებს [10, 162-174]. აშენებულია რიყის ქვითა და კირით. ციხეში შესვლა სამხრეთ-აღმოსავლეთის კოშკში დატანებული კარითაა შესაძლებელი. ციხის გარეკედლის სიმაღლე დაახლ. 10-12 მ-ია, საშუალო სისქე — 2,80 მ. დასავლეთით და აღმოსავლეთით სიმაღლე 14-40 მ-ს აღწევს. შემორჩენილია 5 კოშკი (საშ. ზომა 8,45X9,65 მ).

ციხის შიდა ზომაა 94X57 მ, რაც ორი ნაწილისგან შედგება. ციხე-სიმაგრე 1725 წელს დაურბევიათ თურქ დამპყრობლებს. XVII ს-ში ოდიშის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი და ციხე-სიმაგრე, ამის შემდეგ ქალაქის სტატუსით ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება [18: 46]. საინტერესოა შარდენის ცნობა, რომ რუხის ციხე სამეგრელოს მთავრის ადგილსამყოფელსაც წარმოადგენდა.

ვახუშტის ცნობით რუხის ციხე 1647 წელსაა აშენებული ლევან დადიანის მიერ („ქრისტესსა ჩქმზ, ქართულსა ტლე"). ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებზე დაყრდნობით თვლის ვახუშტი რუხის ციხის აგების თარიღად 1647 წელს [4, 62). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ციხის მშენებლობა სომეხ-ებრაელ ვაჭართა გადმოსახლებისთანავე, 1635-1636 წლებში უნდა დაწყებულიყო. ვახუშტის, ეტყობა, მიაჩნდა, რომ რუხის „აღშენება" 1647 წელს დასრულდა, „თორემ, — წერს ილია ანთელავა, — ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება" [1, 113-114].

პ. ზაქარაია შენიშნავს, რომ უზუსტობას შეიცავს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა რუხის ციხის დანგრევაზე. ოსმალთა მიერ ციხის დაზიანება შესაძლებელია, მაგრამ რუხის დანგრეული ციხის ქვებით ანაკლიის მშენებლობაზე ცნობის ამ ნაწილის დაჯერება ძნელია, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იქიდან ათეული კილომეტრით დაშორებულ ანაკლიამდე რიყის ქვის გადაზიდვა გაუმართლებელი იქნებოდა [9, 117].

სწორია ვახუშტის ცნობა რუხის ციხეში წყაროს არსებობის შესახებ. ეს წყარო ციხის ჩრდილოეთით,

გზატკეცილსა და ენგურს შორის, გალავანთან გამოედინება. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ოძილეს“ ეძახის, რაც ჯილეს, დარანს, თევზის სამყოფელს ნიშნავს.

სწავლული მეცნიერი ენგურის ხეობის იმ ნაწილში, რაც მდებარეობს ეგრისის ქედსა და სოფ. რუხს შორის, ასახელებდა ფეოდალურ ერთეულს სააფაციოს სახელწოდებით. მის მიერ შედგენილ რუკებზე სახელდებული ობიექტი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზეა აღნიშნული, ხან მარჯვენაზე. ამ საკითხით თავის დროზე დაინტერესდა ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის ცნობილი მკვლევარი თამაზ ბერაძე. „სააფაციოს“ ლოკალიზაციის კუთხით წარმოებული კვლევა გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში მან შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: ის ფაქტი, რომ ვახუშტის თავის რუკათა მეორე ატლასის არც ერთ შესაბამის რუკაზე სააფაციო, როგორც პუნქტი, არ აღუნიშნავს, იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სახელოვან მეცნიერს ეჭვი ეპარებოდა ამ სახელწოდების პუნქტის რეალურად არსებობაში. ვახუშტის ცნობის თანახმად, სააფაციო ისეთივე ფეოდალური ერთეულია, როგორიცაა სალიპარტიანო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოდიშის ამ ნაწილის სოფელთა ტოპონიმია არ იცნობს პუნქტს „სააფაციოს“ სახელწოდებით. მის არსებობაზე არაფერს გვეუბნება ხალხური გადმოცემა და ვინაიდან წერილობით წყაროებშიც არაფერია ცნობილი აფაციას, როგორც ფეოდალური გვარის შესახებ, სააფაციოს ფეოდალური ერთეულის არსებობაც ეჭვს იწვევს. სააფაციოში, დაასკვნის მკვლევარი,

შეუძლებელია ვიგულისხმოთ სოფ. რუხის ერთი უბანი საფარცვანიო, ვინაიდან არაა სავალდებულო ძველ დროში დამოუკიდებელ სოფლად მისი მიჩნევა. ამასთანავე, რაც მთავარია, ფარცვანიების გვარეულობიდან, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნაგულისხმევი საფაციოს ფეოდალური ერთეული ვერ შეიქმნებოდა, რადგან ამ გვარის კაცნი გლეხები იყვნენ [4, 61].

თ. ბერაძის აღნიშნული მსჯელობა რომ დამაჯერებელია, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუხელი ფარცვანიების გადმოცემით, მათი წინაპრები XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოსახლებულან სალიპარტიანოდან. გადმოცემის სისწორეს ადასტურებს ერთი საისტორიო წყაროც, საიდანაც ირკვევა, რომ სალიპარტიანოს სოფლებიდან – კურძუდან და ნამკოლუდან 85 კომლი გლეხის (მათ შორის – თოდუა 14 კომლი, ფარცვანია – 13 კ; ჯანაშია – 12 კ; ოკუჯავა – 3 კ; ფაცია – 3 კ; ნაჭყებია – 2 კ.) რუხში ჩამოსახლება მომხდარა 1859 წელს, ნიკო დადიანის ინიციატივით, რომელსაც თითოეული ახალმოსახლე ოჯახისათვის ენგურსა და კუჩხიობონუს შუა უფასოდ მიუცია 15 ქცევა მიწა და 5 წლის განმავლობაში ყველა გაუნთავისუფლებია გადასახადისაგან. შემდეგ გადასახადის სახით დაწესებულა 5 მანეთი და ერთი კოკა ღვინო თითო „გრამოტაზე“. ამის გამო სოფელ რუხს, რაც ნიკო დადიანის საკუთრებას წარმოადგენდა, ნიკოსია დარქმევია [26, ჩანაწ. 898]. ნიკოსიის სასოფლო თემი 233 კომლით დასახელებულია კავკასიის მხარის კომლობრივი აღწერის მასალებში (1886 წ.) ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის საპოლიციო უბანში. 1930 წელს

გამოცემული „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ მიხედვით არსებობდა ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის რაიონში შემავალი ნიკოსიის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებდა სამ სოფელს: ნაწულუკოუს (94 კომლი, 232 სული), ნიკოსიას (566 კომლი, 131 სული) და რუხს (70 კომლი, 333 სული). პროფ. პ. ცხადაიას თქმით ნიკოსია სოფელს 1926 წლამდე ერქვა [24, 269]. „ყაზაყში გაზეთის“ 1932 წლის №181 კი გვამცნობს, რომ ნიკოსიას 1932 წლის 15 სექტემბერს დაუბრუნდა ძველი სახელი რუხი.

საფარცვანიო უბანია საჯანაშიოსა და ქვემო სათოდუოს შუა. პ. ცხადაიას ცნობით, რადგანაც „გრამოტას“ ჩამოყოლილი ფარცვანიები წაჩხურუში (მარტვილის რ.) ყოველ წელს სალოცავად ვერ მიდიოდნენ, „საწაჩხურო ლაგვანი“ აქ, რუხში მოუწყვიათ [24, 272].

საკვლევი ტოპონიმის („სააფაციო“) ლოკალიზაციაზე მსჯელობისას საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოფ. რუხში მოსახლეობს 30 კომლამდე ფაციას გვარისკაცი და მათი დასახლება იწოდება საფაციოდ. უდაოდ თვალშისაცემი გარეგნული მსგავსების მიუხედავად („სააფაციო“ – „საფაციო“) ვახუშტისეული სახელწოდების ამოსავალი ძირის მნიშვნელობის შეძლებისამებრ მკაფიოდ ილუსტრირებისათვის რუხში მდებარე ფაციების გვარის კომპაქტური დასახლების აღმნიშვნელი სახელი „საფაციო“ მაინც ვერ გამოდგება, კვლავ იმ უმთავრესი გარემოების გათვალისწინებით, რომ ფაციებიც (ფარცვანიების მსგავსად) გლეხები იყვნენ და,

თუ ვიგულისხმებთ, რომ ვახუშტის მიხედვით, სააფაციო მართლაც გარკვეული ფეოდალური ერთეულის სახელწოდება იყო, გლეხთა გვარეულობა ამ ერთეულის სახელის „ნათლია“ ვერ იქნებოდა.

სააფაციოს გარშემო ვრცელი მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ სავსებით გაგვეზიარებინა თამაზ ბერაძის საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება ტოპონიმ „სააფაციოს“ ლოკალიზაციის, უფრო ზუსტად ენგურის ხეობაში ამ სახელწოდების მატარებელი პუნქტის არსებობის ეჭვქვეშ დაყენების შესახებ. ამავე დროს ანგარიშგასაწევია შემდეგი თვალსაზრისიც: ვახუშტი ბაგრატიონი შესაძლებელია არასწორად იძლეოდეს ამ ფეოდალური ერთეულის სახელს, ან ზუსტად ვერ განსაზღვრავდეს მის მდებარეობას, მაგრამ ისიც ძნელი დასავჯერებელია, რომ მას საერთოდ მოეგონებინოს „სააფაციოს“ არსებობა [4, 61].

ენგურის ხეობაში „რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა... სათავიდამ“, სააფაციოს, როგორც სოფლის თუ ფეოდალური ერთეულის, არსებობა და ზოგიერთ რუკაზე მისი აღნიშვნა, ძნელი სათქმელია, ვახუშტი ბაგრატიონის სუბიექტურ მოსაზრებას მივაწეროთ, თუ ხალხურ გადმოცემაზე დაფუძნებულ თვალსაზრისად მივიჩნიოთ. თუმცა უფრო სარწმუნოდ ის გარემოება გვესახება, რომ მეცნიერი სააფაციოზე წერისას ხალხისაგან მიღებულ ცნობებზე დაფუძნებულ თვალსაზრისს გვთავაზობს, ოღონდ – არასწორი სახით.

თ. ბერაძე განაგრძობს მსჯელობას სააფაციოს გარშემო და ვარაუდობს, რომ ვახუშტისეულ სააფაციოში შესაძლებელია წერილობით წყაროებში XIII ს-დან

მოხსენიებული ოდიშის ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს – აფაქიძეების (ადგ. გამოთქმით აფაქიების) ფეოდალური ერთეული **სააფაქიძო//სააფაქიო** დავინახოთ. ამ გვარში შემონახული ერთი გადმოცემის თანახმად აფაქიძეთა სამფლობელო ერთ დროს მდ. მაგანამდე აღწევდა, რაც ვახუშტის მიერ მოცემული „სააფაციოს“ ტერიტორიას ნაწილობრივ ემთხვევა. თ. ბერაძე ყურადღებას ამახვილებს XVII ს. პირველი ნახევრით დათარიღებულ საბუთში „საქოჩაქიძეოს“ მოხსენიების ფაქტს, რაც იყო „დადიანის ლევანის წყალობა მამული“. წყაროდ მითითებულია პროფ. სარგის კაკაბაძის მიერ 1914 წელს გამოქვეყნებული „აფხაზეთის საეკლესიო გლეხების დიდი დავთარი“ [გვ. 43]. ტოპონიმი „საქოჩაქიძო“ დასტურდება მდ. ენგურიდან რამდენიმე კმ-ით დაშორებულ სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რ.). საქოჩაქიძო, მასში შემავალი ჯგალის ციხე-სასახლით, ვრცელი „ქვეყანა“ უნდა ყოფილიყო. რაც, თ. ბერაძის აზრით, ნაწილობრივ თავსდება ვახუშტის რუკაზე მოცემულ ტერიტორიაზე. „სააფაციო“ შესაძლებელია დამახინჯებული „საქოჩაქიძო“ იყოს. ერთი რამ ცხადია, დაასკვნის მკვლევარი, რომ ვახუშტისეული სააფაციო რომელიღაც რეალურად არსებული ფეოდალური ერთეულის გამომხატველია, თუმცა სახელოვანი მეცნიერი მის სახელსა და მდებარეობას არაზუსტად გადმოსცემს [4, 62].

სააფაციოს მდებარეობის შესახებ თ. ბერაძის მოსაზრების ანალიზი მოცემულია დ. ჭითანავას ნაშრომში, რომელიც საანალიზოდ მიუთითებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის

მოსაპოვებლად თ. ბერაძის მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შესაბამის გვერდს. ტოპონიმი „სააფაციო“ ამ მხარეში ვერც დ. ჭითანავას დაუფიქსირებია. მკვლევარი ემხრობა იმ აზრს, რომ წერილობით წყაროებში აფაციების ფეოდალური სახლი და გვარეულობა არ იხსენიება, თუმცა დამატებითი მასალა „სააფაციოს“ ლოკალიზაციის თაობაზე მას არ წარმოუდგენია [25, 381-382].

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ზუგდიდის რ-ნის სოფ. ჭკადუაშში დადასტურებული ტოპონიმი „სააფაქიოშ ჩხოუშია“. ასე ეწოდება მდინარეს, რაც წარმოადგენს ჩხოუშიის მარცხენა მდგენელს. მის სათავესთან მდებარე ფართო ვაკეს „სააფაქიო“ ჰქვია (სახელმდებნი აკონკრეტებენ: საანთიოშ ჩხოუშია, თორდინეფიშ ჩხოუშია//ყალიჩეფიშ ჩხოუშია, თუდოლენი ჩხოუშია, ნაოჩეშ ჩხოუშია, სააფაქიოშ ჩხოუშია). საინტერესოა ისიც, რომ ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფზე, სოფ. ჭკადუაშსა და ჯვარს შორის მდებარე მაღლობი და სოფელიც საფაქიოდ იწოდებოდა. ჭკადუაშის ნაწილს რომ აფაქიები (აფაქიძეები) ფლობდნენ, მოწმობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, წალენჯიხის რაიონის სოფ. დიდი ეწერის საზღვარზე, საჯინჯოლაში მდებარე სასაფლაოსა და ნაეკლესიარის სახელწოდება ნაოხვამ(უ)//ბუჭუეშ ოხვამე. ინფორმატორები აქ ეკლესიის აშენებას თავად ბუჭუე აფაქიას მიაწერენ [24, 397].

დ. ჭითანავა სოფ. ჭკადუაშის სიძველეებზე საუბრისას პ. ცხადაიას ნაშრომიდან [24] შესაბამისი გვერდების მითითებით იმოწმებს სოფელში ტოპონიმებად

დადასტურებულ ნაეკლესიარ ადგილებს. ასახელებს ნაოხვამუს//ბუჭუეშ ოხვამეს და ამ ეკლესიის მშენებლად შეცდომით თავად ბუჭუე ალანიას მიიჩნევს [25, 139].

ლიტერატურა

1. ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990.
2. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.
3. გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2001.
4. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", IV, თბ., 1971.
5. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987.
6. იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962.
7. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
8. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997.
9. პ. ზაქარაია, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960.
10. პ. ზაქარაია, საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXVI–B, თბ., 1970.

11. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., 1921.
12. მიხეილ თამარაშვილი, 1902 – ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
13. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976.
14. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011.
15. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
16. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, თბ., 1964.
17. მ. პაჭკორია, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974.
18. მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975.
19. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
20. კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), თბ., 1971.
21. კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბ., 1979.
22. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და

კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
23. ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით), თბ., 1990.
24. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007.
25. დ. ჭითანავა, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.
26. Сборник сведении о Кавказе, т. V, Тифлис, 1879, ჩანაწ. 898.

Igor Kekelia

The Historical Geography of the River Enguri valley in Vakhushti Bagrationi's work

The well-known scientist and public man of XVIII century in Vakhushti Bagrationi's fundamental work are given the descriptions of the different parts of Georgia according to the natural consequence and military-political division of these places.

The geographical atlases with the maps of the different parts of Georgia are very important. They were made by Vakhushti in 1735-1745 years. On these maps we can see the historical-geographic parts of the country, settlements, relief and hydrography.

In this review of Vakhushti Bagrationi with his maps and other written sources, there are given the materials about historical Geography of the Enguri Valley.

თბილისის გალავანი და ციხესიმაგრეები

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ნებისმიერ კუთხეს, ქალაქსა თუ სოფელს, მრავლად აღმოვაჩენთ გალავანს, ციხესიმაგრეს თუ ე.წ. ნაციხვარს, რომლებიც ერთ დროს მნიშვნელოვან მოვალეობას ასრულებდნენ ქვეყნისა თუ ცალკეული კუთხის თავდაცვის საქმეში.

თანამედროვე ეპოქაში თავდაცვითმა ნაგებობებმა დაკარგეს თავდაპირველი ფუნქცია, თუმცა მათი მნიშვნელობა უზომოდ დიდია ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით.

ამჯერად ჩვენს მიზანს წარმოადგენს თბილისის ძველი ისტორიული გალავნის საზღვრების, მასში არსებული კარიბჭეთა და იმ ციხე-სიმაგრეთა განლაგების მიმოხილვა რომლებიც მდებარეობდნენ ქალაქისა თუ მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

ძველად ქალაქები შემოსაზღვრულნი იყვნენ ფართო და მასიური კედლით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა არამხოლოდ ომიანობის პერიოდში, არამედ მშვიდობიანი ცხოვრების დროსაც.

ქალაქის ციხე-კოშკებსა და კარებს, საგანგებოდ მიჩენილი მცველები ჰყავდათ, მათ „მცველნი ქალაქისანი ეწოდებოდათ“ [4, 1214].

„ქალაქის მცველებს ევალებოდათ უზრუნველეყოთ ქალაქი მოულოდნელი თავდასხმისაგან, დაეცვათ ქალაქის კარები, გაეღოთ იგი დილით ადრე ცისკრისას, რომ მის კედლებთან ღამით გაჩერებული ქარავანი, სათანადო

ნებართვის მიღების შემდეგ ქალაქში შემოეშვათ, ღამით კი ქალაქის კარები იკეტებოდა [4, 124].

როგორც ცნობილია ქალაქ თბილისში პირველად გალავნის მშენებლობას ქალაქის დამაარსებელი ვახტანგ გორგასალი შეუდგა, მაგრამ გარდაცვალების გამო მისი დაწყებული საქმე მეფის მემკვიდრემ დაჩიმ განაგრძო, ჯუანშერის სიტყვით: „განასრულა ზღუდენი თბილისისანი“ [4, 116].

აღნიშნული გალავანი VII-ს. ჯიბღუ ხაკანმა და ჰერაკლე კეისარმა დაანგრიეს, იმის გამო, რომ ქვითკირის კედლის შენება მეტად რთული და ძვირი იყო, ქალაქისათვის ხის გალავანი და ხის კოშკები აუგიათ [4, 116].

ქალაქის ხის გალავნით და კოშკით ისარგებლეს არაბებმა და ბუღა თურქმა VII ს. და გადაწვეს ქალაქი [4, 117].

ხის გალავნისა და კოშკების გადაწვის შემდგომ ქალაქის გარშემო ალიზის აგურის კედელი შემოუვლიათ, X ს. არაბი ისტორიკოსის ცნობით თბილისს იმ დროს ორი ალიზის კედელი ჰქონია [4, 117].

ქალაქის კედლებს ეხება გვიანი პერიოდის, კერძოდ XVII-ს. ფრანგი მოგზაური ჟან-შარდენი, რომელიც აღნიშნავს: „ქალაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით. მდინარისაკენ კი უკედლოა“ [4, 118].

გალავნის შესახებ ზოგად ცნობას გვაწვდის ასევე 1701 წელს თბილისში მყოფი გამოჩენილი ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური ჟოზეფ ტურნეფორი. ის აღნიშნავს: „დღეს თბილისის გალავნის სიმაღლე, ჩვენი ბაღების, ღობეების სიმაღლეს არ აღემატება“ [10, 64].

როგორც ჩანს ტურნეფორის დროს ქალაქის გალავნის სიმაღლე ომიანობის გამო მეტად შემცირებული ყოფილა. გარდა წერილობითი ცნობისა ტურნეფორი გვაწვდის ქალაქის იმდროინდელ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც იმ დროისათვის მეორე გამოსახულებად ითვლება, პირველად ითვლება ჟან შარდენის მიერ შექმნილი 1671 წელს, მესამედ კი ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს [10, 17].

რაც შეეხება გალავანში არსებულ კარებს, აღნიშნულის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის არაბი გეოგრაფი ტაბარი ცნობა X-ს. განეკუთვნება [ტაბარის] მიხედვით ქალაქს იმდროისათვის ხუთი კარი ჰქონია: „მაიდნის კარი“, „კარის კარი“, „მცირე კარი“, რაბათის კარი“ და „სოღდებილის კარი“ [2, 127],

დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, ქალაქის ზრდასთან ერთად კარიბჭეთა რაოდენობაც იზრდებოდა, შემოსევებისა და ომიანობის პერიოდში ნადგურდებოდა ქალაქის როგორც გალავნის ცალკეული ნაწილები, ისე კარიბჭეებიც, ვახუშტის გეგმისა და იმდროინდელი რუსული გეგმების მიხედვით ჩანს, რომ 1800 წლისათვის ქალაქს ექვსი კარი ჰქონია [4, 123].

1. „აბანოს კარი“ – აღმოსავლეთით, წავკისის ხევის გადალახვით ქალაქს აბანოების უბანთან და სეიდაბადთან აკავშირებდა [4, 123].
2. „განჯის კარი“ – ქალაქში სამხრეთის მხრიდან შემოდიოდა, განჯის კარით შემოდიოდა ქალაქში ტაბახმელადან და კრწანისიდან მომავალი გზები [4, 123].

3. „წავკისის კარი“ — ვახუშტის მიხედვით „კოჯრის კარი“, სხვა წყაროებით კი „მაღლაკარი“, მდებარეობდა ქალაქის დასავლეთ კედელზე [4, 123].
4. „დილმის კარი“ — მდებარეობდა ქალაქის დასავლეთ და ჩრდილოეთის კედელთა შესაყარზე [4, 123].
5. „მუხრანის კარი“ — მდებარეობდა ქალაქის ჩრდილოეთ კედელზე, ვახუშტი მას უწოდებს „წყლის კარს“. მუხრანის კარით ქალაქში მცხეთიდან მომავალი გზის ერთი განშტოება შემოდიოდა [4, 124].
6. „ავლაბრის კარი“ — მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და მეტეხის ციხის გალავანში იყო მოქცეული, ავლაბრის კარი ერთის მხრივ ესაზღვრებოდა მეტეხის ციხის გალავანს, ხოლო მეორეს მხრივ კი ავლაბრის გალავანს, რომელიც აიგო დარეჯან დედოფლის ბრძანებით XVIII-მ. 70-იან წლებში [2, 131]. ავლაბრის კარი ქალაქს კახეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებთან აკავშირებდა [4, 124].

ე. ი. ქალაქის კარებთა მიმართულება ასეთი იყო: ქალაქს აღმოსავლეთ ნაწილთან, აბანოების უბანთან და სეიდაბადთან „აბანოს კარი“ აკავშირებდა [4, 123]. სამხრეთის ქვეყნებთან ქალაქს „განჯის კარი“ აკავშირებდა [4, 123]. ჩრდილოეთის ქვეყნებთან და დასავლეთ საქართველოსთან „წავკისის კარი“, „დილმის კარი“ და წყლის ანუ „მუხრანის კარი“ აკავშირებდა [4, 123].

კახეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქალაქებთან თბილისს „ავლაბრის კარი“ აკავშირებდა [4, 124].

რაც შეეხება სიმაგრეების არსებობას ქალაქსა და მის შემოგარენში XX-ს. 20-იან წლებამდე ანუ სანამ კომუნისტები დაანგრევდნენ მათ, ათზე მეტი დიდი თუ

მცირე ციხე-სიმაგრე იყო. აღსანიშნავია, რომ დღევანდლამდე ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ თბილისის „დედაციხემ“ – ნარიყალამ მოაღწია, ყველა დანარჩენი დანგრეული იქნა უახლოეს წარსულში.

დაბლა ჩამოთვლილია ყველა ციხე-სიმაგრე, რომლებიც მდებარეობდნენ დედაქალაქის ფარგლებში.

ავლაბრის ციხე-გალავანი

ავლაბრის ციხე გალავანი XVII-ს. მეორე ან მესამე მეოთხედში უნდა იყოს აგებული [2, 131].

ავლაბარს ორი გალავანი ჰქონდა, ერთი ავლაბრის გალავანი, რომელიც მთელ ავლაბარს ერტყა გარს და მეორე თბილისის ანუ ქალაქის გალავანი ისან-ავლაბრის გარშემო [2, 131].

ავლაბრის გალავანი ნაჩვენებია ვახუშტის გეგმაზე [8, 459]. ასევე პიჩევიჩის გეგმაზე [8, 461].

ავჭალის ციხე

ავჭალის ციხე – აიგო 1734 წელს, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მისი მთავარი დანიშნულება იყო ლეკთა გამუდმებული თავდასხმისაგან ქალაქის დაცვა, ციხე შედგებოდა 12 კოშკისაგან [7, 275].

ციხეს ეხება გერმანელი მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი. იგი აღნიშნავს: „მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე დავინახე ციხე „ზემო ავჭალა“, ხოლო ერთი ვერსით ადრე სამხრეთით მდ. ავჭალის ხევის ჩრ. მხარეზე, ასევე დანგრეული სიმაგრე ქვემო ავჭალა“ [5,

61]. დღეს ციხისა და ძისი 12 კოშკისაგან არაფერი აღარაა შემორჩენილი, სიმაგრე დანგრეულ იქნა XX-ს. 20-იან წლებში.

ციხე დარიჯელი

დარიჯელის ციხის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა დღეს ვერანაირად ვერ ხერხდება. ცნობილია მხოლოდ, რომ ის მდებარეობდა დღევანდელი მეტეხი ნარიყალას მიმდებარე ტერიტორიაზე, ციხე მოხსენიებულია გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის დედაქალაქში შემოსვლასთან დაკავშირებით.

დიდუბის ციხე

დიდუბის ციხე მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ციხის შესახებ მცირედი ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნის გამოჩენილი გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, მოგზაური აღნიშნავს: „დილმიდან $^1/_2$ საათში გავიარეთ ქვიშაქვიანი მთა და გადავედით მდინარე ვერისხევზე, რომელზედაც არის ქვის ხიდი. აქედან ზედ მტკვრის აღმოსავლეთით, ნაპირზე ჩანს დანგრეული დიდუბის ციხე“ [5, 67].

თბილისის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი თეიმურაზ ბერიძე დაასკვნის, რომ დიდუბის ციხე-გალავანი აგებული უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნეში და მდგარა დღევანდელი ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე [11, 56].

1800 წელს შედგენილ კაპიტან ჩუიკოსა და პოლკოვნიკ ტიხონოვის გეგმაზე აღნიშნულია დიდუბის ციხე, გეგმის მიხედვით დიდუბის ციხე გალავანი მოგრძო სწორკუთხა ფორმის საკმაოდ მოზრდილი ნაგებობა ყოფილა, ოთხივე კუთხეში კი ცილინდრული ფორმის კოშკები ჰქონია ბურჯებად [11, 56]. დიდუბის ციხე გალავანმა დიდხანს ვერ გაუძლო რბევა-აწიოკებას. 1772 წლის საქართველოს რუკაზე დიდუბე „გაპარტახებულ ციხე-სიმაგრედაა აღნიშნული“. ამის შემდეგ იგი აღარც აღუდგენიათ [11, 56].

დიღმის ციხე

დიღმის ციხე მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან საკმაოდ დაშორებით დღევანდელ სოფელ დიღომში. დიღმის წმ. მარინეს ეკლესიის სიახლოვეს. ციხე გზად მოინახულა ზემოთ დასახელებულმა გერმანელმა მოგზაურმა გიულდენშტედტმა, მოგზაური აღნიშნავდა: „დევის ნამუხლარიდან $^{5}/_{4}$ საათი მივდიოდით თითქმის პირდაპირ სამხრეთით, ვაკე მინდორზე, რომელსაც ქვია დიღომის მინდორი და მიველით დიღომის ციხემდე, რომელიც მდებარეობს ორი ვერსის დაშორებით, იმ ადგილიდან, სადაც მდ. დიღომის ხევი ერთვის მტკვარს მარჯვენა მხრიდან. ეს ციხე მოსახლეობას მიეტოვებინა ორი წლის წინ ჭირის გამო [5, 61].

დიღმის ციხე დანგრეულ იქნა რუსული მმართველობის პერიოდში, ციხე მდებარეობდა დღევანდელი წმ. მარინეს ტაძრის სიახლოვეს, დღეს მისგან არაფერი აღარაა შემორჩენილი [6].

ერეკლეს ციხე

ერეკლეს ციხე მდებარეობდა თბილისის უკიდურეს აღმოსავლეთით მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნავთლულის უბანში, ციხე-სიმაგრე აგებულ იქნა მეფე ერეკლე II-ის მიერ. XVIII-ს. მეორე ნახევარში, ციხეს ხშირად მოიხსენიებდნენ მეორე სახელითაც „ნავთლულის ციხე“ – იმის გამო რომ იგი მდებარეობდა უბან ნავთლულში [3, 286].

1772 წლის თებერვალში აქ გაუვლია გიულდენშტედტს, რომელიც მოკლედ აღნშნავს: „სოფელი ნავთლული მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შედგება დაახლოებით 50 სახლისაგან და გარდა ამისა, ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთხკუთხა კედელი ადგილს, დიამეტრით 80 ნაბიჯი და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე“ [5, 17].

ერეკლეს ციხე მდებარეობდა იქ სადაც დღეს განთავსებულია წმ. ბარბარეს ეკლესია, მტკვრის დონიდან 20.25 მ. მაღლა მდებარე ადგილზე, დღევანდელი რკინიგზის ხიდის სიახლოვეს [3, 286].

თაბორის ციხე – იგივე ყორჩი-ყალა

თაბორის ციხე მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე თაბორის მთაზე, ციხე აგებული იქნა XI ს. [2, 256].

1747-1748 წლებში თაბორის ციხე ყიზილბაშებს ეკავათ ვიდრე ერეკლე II-ემ საბოლოოდ არ გაანთავისუფლა ციხე სპარსელებისაგან [1, 65].

თაბორის ციხის განთავისუფლებას ერეკლეს მიერ აღწერს თეიმურაზ ბაგრატიონი: „მაშინ შემოკრიბნა მუნ მეფემან მხედრობანი კახთანი სრულიად გორიდამაცა შთამოატანინა ზარბაზანი იგი დიდი, ბოჭორმისად წოდებული, და აიღეს მეტეხი, ხოლო უკანას‚კნელ თაბორი და თაბორითა იწყეს რა ცემა ზარბაზანითა მით, შეჭირვებულთა მათ ერთა მოსცეს ციხე მეფესა“ [1, 65].

ციხეს მეტად ზოგადად ეხება ვახუშტი, იგი აღნიშნავს: „თაბორს ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსვრული არს“ [2, 53]. როგორც ჩანს ვახუშტის დროს ციხე დანგრეული ყოფილა, სავარაუდოდ იგი კვლავ აღუდგენიათ, ამას გვაფიქრებინებს ის, რომ სპარსეთის შაჰის აღა მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის დროს 1795 წელს თაბორის ციხე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის თავდაცვაში. „ხოლო მეფის ძემ დავითმან შეყარა ხევსა შინა საგუბრისათა ზარბაზანნი იგი, რომელიც აქვნდა მას თბორისა კერძო, რათა არა დაუშთეს სპარსთა“, აღნიშნავს თეიმურაზ ბაგრატიონი [1, 65].

1795 წელს სპარსელთა მიერ დანგრეული ციხე აღარ აღუდგენიათ, დღეს მის ადგილას აგებულია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

დიდოს ციხე

ციხე ლილო მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ლილოში. მას გაკვრით ეხება სოღალუღში მყოფი გიულდენშტედტი, იგი აღნიშნავს: „ნავთლუღიდან ჩრ. დასავლეთით ჩანდა დანგრეული ციხე ლილო“ [5, 65].

ძნელია დღეს იმის დადგენა თუ სად მდებარეობდა ლილოს ციხე, იმ მიზეზით რომ განსხვავებით დღევანდელისაგან XVIII-ს. ლილო უფრო ფართო არეალს მოიცავდა ვიდრე დღეს.

მეტეხის ციხე

მეტეხის ციხე არის იგივე ისნის ციხე [2, 132]. ტოპონიმი ისანი მომდინარეობს არაბული ენიდან , რაც ნიშნავს ციხეს, (ჰისან-ციხე). მეტეხის ციხე როგორც ვარაუდობენ უნდა ყოფილიყო აგებული არაბების პერიოდში, XIII-ს. აქ სადილეგოა, შემდეგ იგი ქალაქის ამირას მიერ გადაკეთდა „სოღდებილის მედინად“ ანუ ციხედ. IX ს. აშენდა ქვითკირით, შემოავლეს თხრილი და სახელად ისანი-ციხე ეწოდა, ხოლო ბოლოს ისანში „მეტეხის“ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აგების შემდეგ, ამ ადგილმა სამუდამოდ მეტეხის სახელი დაიმკვიდრა [2, 129].

„ისანი ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად XI ს. გვხვდება, 1045 წ. ქალაქის ბერების მოწვევით, თბილისში შემოსული მეფე ბაგრატ IV იპყრობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის დამცველ ციხე-კოშკებს და შიგ თავის მხედრიონს აყენებს. მეფეს არ ნებდება „ისნის“ ციხე. მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი“. მიუხედავად ამისა მეფე გადადის მტკვარზე და დგება „ისნის ველსა“, ისნელები მეფეს დიდ წინააღმდეგობას უწევენ [2, 128].

ისნის ციხეს მრავალი გოდოლი ჰქონია დატანებული [2, 123].

შემდგომ ხანში „ისანში“ უკვე საქართველოს მეფეთა სასახლე დგას, სწორედ აქ გაიგო თამარ მეფემ მამის, გიორგი III-ის გარდაცვალების ამბავი [2, 128].

ისნის ციხე აღნიშნულია მეტეხის ღვთისმშობლის ტაძართან ერთად ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის 1735 წლის გეგმაზე, ნომრით №55 [8, 459].

ციხეის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდნენ ოსმალნი ჩლკჱ (1728 წ.) და დაშთათ უსრულნი [2, 131].

XVII ს. როსტომ მეფემ მეტეხის (ისნის) ციხის ზღუდე კედელი აღადგინა [2, 133].

მეტეხის ციხე საქართველოს მთავარმართებლის ერმოლოვის მიერ გადაკეთებულ იქნა სატუსაღოდ [2, 95].

ციხე დაანგრიეს XX ს. 20-იან წლებში.

ნარიყალას ციხე

თბილისში ერთადერთი დღემდე შემორჩენილი ციხესიმაგრე, წინანდელისაგან მეტად განსხვავებულის სახით, არის ნარიყალას ციხე, იგივე ქალაქის დედა-ციხე, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ სხვა სახელითაც: „კალა“ „შურის ციხე“ და „დედა ციხე“.

ციხე მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირის სიახლოვეს, ციხე ისტორიული წყაროების მიხედვით აგებულ უნდა იყოს IV-V ს. მიჯნაზე, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოს გვეუბნება არქეოლოგიური მონაცემები,

რის მიხედვითაც ჩანს, რომ ციხის ტერიტორია გვიანბრინჯაოს ხანაშიც (ძვ. წ. XIII-XII სს. დასახლებული ყოფილა და შესაძლოა იგი გორა ნასახლარს წარმოადგენდა [8, 40].

გამოჩენილი ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის მიხედვით ნარიყალას ციხე აგებულ იქნა 368 წელს IX საუკუნეში, სპარსთა მეფის პიტიახშის – ქრამ ხუარ ბორზარდის მიერ [7, 529].

საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ მომხდარა თბილისის დედაციხის აღდგენა-გადაკეთება, თუმცა ადრეფეოდალური ხანის ნაგებობებიდან მხოლოდ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაწილში მდგარი კოშკია შემორჩენილი [8, 41].

ვახუშტი თბილისის აღწერისას მოგვითხრობს: „კალა არს ციხე ნაშენი მაღალსა კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის ხევი მტკვრამდე“ [2, 72].

გარდა ზემოთ აღნიშნული ცნობისა ციხე აღნიშნულია ვახუშტის გეგმაზეც [8, 461].

ნარიყალას შესახებ ცნობებს გვაწვდიან ფრანგი მოგზაური ჟოზეფ ტურნეფორი [10, 65], გერმანელი მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი [5, 87], და სხვა თბილისში მყოფი მოგზაურები.

როსტომის მეფობის დროს (1632-1658) ხიდისყურიდან კალის ციხემდე ზღუდე გაუვლიათ და ქალაქი და ციხე გაუყვიათ. ამის შემდეგ გაჩნდა მიკროტოპონიმები: “დაბლა ციხე“ – „მაღლა ციხე“ [7, 530].

ციხე მნიშვნელოვნად დაზიანდა აღა-მაჰმადხანის შემოსევისას 1795 წელს, მაგრამ მალევე აღადგინეს – 1796 წელს [7, 530].

ციხე მნიშვნელოვნად დააზიანა 1827 წლის მიწისძვრამ, შეიწირა სტამბოლის გოდოლის დიდი ნაწილი, XIX ს. I ნახევარში ციხის ერთ-ერთ შენობაში, დენთის საწყობის აფეთქების შედეგად დაინგრა ციხის თითქმის ყველა შენობა. საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ დანგრეულმა და აღდგენილმა ციხემ ჩვენამდე მოაღწია XII-XIII ს. და XVII ს. შერეული ნაგებობების სახით.

ციხის კედლებში შემორჩენლია ორი კარის ნაშთი, ერთი „განჯის კარად“ წოდებული, ახლანდელი ბოტანიკური ბაღის მხარეს, მეორე უფრო დიდი – ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამ კართან უძველესი, თლილი ქვის დიდი კვადრატებით ნაგები კედლის ნაშთია [8, 530].

სოღანლულის ციხე

სოღანლულის ციხე მდებარეობდა ერეკლეს ციხის მოპირდაპირედ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. სოფელ სოღანლულში. დღევანდელი ქვემო ფონიჭალის ტერიტორიაზე, კერძოდ, რუსთავი-მარნეულის გზაგასაყარზე, ციხესიმაგრე ერთ დროს დიდ კონტროლს უწევდა სომხეთისა და სპარსეთისაკენ მიმავალ გზას.

ციხესიმაგრე აგებულ იქნა 1765 წელს, მეფე ერეკლე მეორის მიერ, სავარაუდოდ, როგორც თბილისის ისტორიის გამორჩეული მკვლევარი თეიმურაზ ბერიძე

აღნიშნავს, შესაძლოა, ციხე ერეკლემდეც უნდა არსებულიყო, 1765 წელს კი მოხდა მისი განახლება [2, 121].

ციხე-სიმაგრე 1772 წელს მოინახულა გიულდენშტედტმა. მოგზაური აღნიშნავს: „მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დგას სოფელი სოღანლუღი, გამაგრებული ასევე კოშკით, რომელიც ეკუთვნის თავად ყაფლანიშვილს“ [5, 65].

ციხე-სიმაგრე აღნიშნულია გიულდენშტედტის 1772 წ. რუკაზე, სოფელს უზის გეომეტრიული ნიშანი → ◊ რაც აღნიშნავს ციხე-სიმაგრეს [2, 121].

გენერალ ციციანოვის (ციციშვილი) თბილისიდან განჯაში ლაშქრობის მარშრუტის 1803 წლის რუკაზე ციხე-სიმაგრე აღნიშნულია მდინარე მტკვარსა და გზას შორის [2, 122].

1795 წელს სპარსეთის შაჰი აღა-მახმად ხანი გზად სოღანლუღს გაჩერდა, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის დავით ბატონიშვილი: „წარმომართებული აღა მაჰმად ხან მოვიდა და დაიბანაკა 30000 კაცითა სოღანლულსა შინა“ [1, 65].

1803 წელს ციხეში მყოფ რუსულ გარნიზონს თავს დაესხნენ ლეკები, „კვალად მოვიდნენ სოღანლუღს და წარტყვნეს უმეტეს ორასისა რუსნი“, აღნიშნავს დავით ბატონიშვილი [1, 70].

სავარაუდოდ, ციხესიმაგრე უნდა განადგურებულიყო XX-ს. 20-იან წლებში. დღეს მისგან არაფერი აღარაა შემორჩენილი, მეტად რთულია და შეუძლებელიც კი იმის გარკვევა თუ სად იდგა ციხე-სიმაგრე. ადგილობრივ მოსახლეობაში დღეს არავითარი ცნობა ან რაიმე სახის

გადმოცემა არაა შემონახული იმის თაობაზე თუ სად მდებარეობდა ნაგებობა და რა ბედი ეწია, მათთვის სრულიად უცნობია ისიც, რომ ერთ დროს ქვემო ფონიჭალა სიახლოვეს მდგარა ციხე-სიმაგრე [6].

„მეფემ აღიხუნა კოშკი კართანი თავის კაცთა, და გაღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი და ერისთავნი“ [8, 95].

წყალყინის ციხე კოშკი

რაც ითქვა ზემოთ დარიჯელის ციხის შესახებ იგივე უნდა ითქვას წყალყინის ორი ციხე-კოშკის შესახებაც, სამწუხაროდ დღევანდლამდე უცნობია ზუსტი ადგილმდებარეობა წყალყინის ციხე-კოშკისა [8, 95].

ჩვენი მიმოხილვის მიზანი იყო იმ საფოსტიფიკაციო ქსელისა და ნაგებობების ურთიერთკავშირში განხილვა, რომელიც იცავდა ქალაქ თბილისს და მის შემოგარენს. არსებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ თბილისი საკმაოდ დაცული ქალაქი იყო და მასთან მისასვლელი ყველა გზა ციხესიმაგრეებით კონტროლდებოდა.

ამ ციხესიმაგრეთა უმეტესი ნაწილის ზუსტი მდებარეობის დადგენა წერილობითი წყაროების მონაცემებით ჭირს, თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაა შესაძლებელი, რაც მეტად მნიშვნელოვანი იქნება თბილისის ისტორიისათვის.

ლიტერატურა

1. თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1983.
2. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნის ისტორია, თბ., 1977.
3. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XII, თბ., 1973.
4. დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952.
5. ი. ა. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962.
6. გ. გრძელიძე, პირადი საველე დღიური, 2012.
7. ენციკლოპედია, „თბილისი“, თბ., 2002.
8. თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
10. ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბ., 1988.
11. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, №1, თბ., 1992.

უნიკალური ერთეული ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდიდან

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგის ინსტიტუტი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1917 წლის 1 ივლისს თბილისში დაარსებული – **„კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტიდან“**. აღნიშნული ინსტიტუტის დაარსება განხორციელდა აკადემიკოს **ნიკო მარის** მოთავეობით. იმდროინდელი წესდების თანახმად, ინსტიტუტი წარმოადგენდა სამეცნიერო დაწესებულებას, რომლის ძირითადი ამოცანა იყო კავკასიის მოსახლეობისა და ლინგვისტურად თუ კულტურულად მისი მონათესავე ხალხების ისტორიის, ენების, ყოფისა და სიძველეების შესწავლა; კავკასიის მცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო დისციპლინების განვითარებისათვის ხელშეწყობა, კავკასიის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვა-აღწუსხვა და შესწავლა. ინსტიტუტის პირველ „ნამდვილ წევრებად“ (როგორც ამას განსაზღვრავდა მაშინდელი წესდება) არჩეულები იყვნენ **ექვთიმე თაყაიშვილი** და **გიორგი ჩუბინაშვილი**. ინსტიტუტში დაარსებისთანავე მიმდინარეობდა ისტორიული ხასიათის მასალის შეგროვება, ტარდებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი ექსპედიციები და მიმდინარეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

1918 წლის იანვარში ქართველი ხალხის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის უნივერსიტეტთან კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მჭიდრო კავშირის დამყარების საჭიროებას ხელს უწყობდა ამ ორი დაწესებულების მეცნიერული მიზნების ერთიანობა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის ორივე ნამდვილი წევრი – ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი – უნივერსიტეტის პროფესორებად იყვნენ არჩეულნი, ხოლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და არქეოლოგიის კათედრის პირველი გამგეა.

1931 წელს ინსტიტუტს ეწოდა „კავკასიის-მცოდნეობის ინსტიტუტი“, ხოლო 1936 წელს, მორიგი რეორგანიზაციის შემდეგ მან მიიღო „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ (ენიმკი) სახელწოდება. აქ მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი მეცნიერები ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, ნიკო ბერძენიშვილი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ილია აბულაძე, ვერა ბარდაველიძე, ქეთევან ლომთათიძე, შოთა ძიძიგური, სერგი ჯიქია, ვლადიმერ მაჭავარიანი და სხვ. ენიმკის დაარსებიდანვე აქ მუდმივ კონსულტანტად მოწვეული იყო ივანე ჯავახიშვილი. ენიმკი აერთიანებდა ქართველურ

ენათა, კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებებს და ფონეტიკისა და ნიკო მარის კაბინეტებს.

1941 წლის 8 მაისს ენიმკი გაიყო და მის ბაზაზე შეიქმნა ორი ინსტიტუტი: **„ისტორიის ინსტიტუტი“** და **„აკად. ნიკო მარის სახელობის ენის ინსტიტუტი“** (შემდგომში ენათმეცნიერების ინსტიტუტი). ეს იყო ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიაში ახალი ეტაპი. იმდროინდელი, ახლადშექმნილი ისტორიის ინსტიტუტი გახდა საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი ძირითადი ცენტრი. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სამუშაოების გაფართოების გამო 1964 წელს ისტორიის ინსტიტუტს ეწოდა **„ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“**, ხოლო 1977 წელს ინსტიტუტს გამოეყო და ცალკე სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბდა **„არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“**. 2006 წლიდან ინსტიტუტი გახდა **„საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“**, ხოლო 2010 წლიდან ის არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

რამდენადაც შთამბეჭდავია ამ ინსტიტუტის ისტორია, იმდენად მდიდარია მისი წიგნადი თუ საარქივო

ფონდები. წლების მანძილზე, რამდენადაც დიდი მეცნიერები მოღვაწეობდნენ ისტორიის ინსტიტუტში, იმდენად დიდია მათი დანატოვარი და მათ მიერ შემოწირული საბიბლიოთეკო თუ საარქივო ფონდები. ამჯერად ბიბლიოთეკის ფონდებზე საუბარს არ გავაგრძელებთ და შევეხებით მხოლოდ ერთ წიგნს, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უნიკალურ ერთეულს წარმოადგენს. საქმე ეხება ბერძნულ ენაზე გამოცემულ, სქელტანიან გამოცემას, რომელიც წარმოადგენს იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის „ისტორიას“. ცალკე აღსანიშნავია, რომ 1839 წელს მარი ბროსემ გამოსცა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მიერ შეგროვილი ცნობები საქართველოს შესახებ.

დოსითეოსი დაიბადა 1641 წელს პელოპონესში. პატრიარქი იყო 1669 წლიდან. ის გამოირჩეოდა მართლმადიდებლობის აქტიური დაცვითა და კათოლიკურ ეკლესიასთან უკომპრომისო ბრძოლით. თამარ ტივაძის აღნიშვნით, დოსითეოსი „იმ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც დასახული მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს გამართლებულად თვლიდნენ. ეს ის პიროვნება იყო, რომელიც ერეკლე პირველს წერდა: „... გარემოებამ გაიძულა გამოგეცვალა მამაპაპური წმინდა რჯული, მაგრამ შენ ეს გამიზნულად გააკეთე და არა იმისათვის, რომ ცუდი აზრი გამოძრავებდა. ეცადე, რომ ამ დასახულ მიზანს მიაღწიო... შენი მიზანი იყო გარეგნულად გვანებოდი უცხო რჯულის ადამიანს, გულში კი ქრისტიანი ყოფილიყავი. რაც შეეხება ურჯულოებს – მოატყუე ისინი, გაუცინე მათ, იცრუე, თუ საჭირო


იქნება, დაუფიცე კიდევაც, ოღონდ ქრისტიანებს სიკეთე მოუტანე...“ [2, 248].

დოსითეოს პატრიარქი საქართველოში ორჯერ ყოფილა ჩამოსული, ერთხელ 1658-1659, ხოლო მეორედ – 1681-1683 წლებში.


დოსითეოსის „ისტორია“, თავის მხრივ, უნიკალური გამოცემაა თავისი შინაარსის და წყაროსეული მნიშვნელობის თვალსაზრისით, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული ეს ეგზემპლარი არამხოლოდ შინაარსობრივი და გამოცემის თვალსაზრისითაა უნიკალური, არამედ ამ ერთეულის წარმომავლობითა და კუთვნილებითაც. საქმე ეხება ამ ერთეულზე არსებულ წარწერებს, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან.

პირველი წარწერა განმარტებითი ხასიათისაა და წიგნის ავტორის და სათაურის შესახებ გვამცნობს:


„ისტორია დოსითეოსისა საყოველთაო“



„დოსითეოს სანატრელისა პატრიარქისა იერუსალიმისა“




ბერძნულ ენაზე ამ ნაშრომს „ისტორია“ („ΙΣΤΟΡΙΑ“) აწერია:




ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი ორი წარწერა. კერძოდ, ამ წარწერებში საუბარია ამ წიგნის მფლობელებზე. პირველ წარწერაში ვკითხულობთ:

„საქართველო{ს} მეფის ძე დავითისაის“



ამ ტექსტს მოსდევს კიდევ ერთი განმარტებითი წარწერა, სადაც ვკითხულობთ:

„სალმრთო წიგნი მრავლითა წმიდისა მოთხრობებითა და ისტორია ესე, ბერძ{ნ}ულ წიგნად სანატრელისა პატრიარხისა დოსითეოსისა რომელიცა იყო საკუთარი საქართუ ლოს მემკვიდრის მეფის გიორგის ძის დავითისა და შემდეგ მისა ჩემთან დაშთომილი, აწ მოსახსენებელად, სულისა მის მეფის ძის დავითისა და მშობლისა მისისა მეფისა გიორგისა, წირვით და ლოცვით მივართვი მისს უწმიდესობას იერუსალიმის პატრიარხს კირილეს, ელითა ბერძნის არხიმანდრიტის უფლის იაკობისათა, თავადმან ნიკოლაოს ფალავანდოვმან, თბილისს, მაისის ა დღესა ჩყმზ წელსა“



ესე იგი, აღნიშნული წიგნი სამეფო ოჯახის კუთვნილება ყოფილა და სამეფო ოჯახის ბიბლიოთეკიდანაა. როგორც წარწერებიდან ირკვევა, ის ყოფილა მეფე გიორგის (ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1746-1800, მეფობის წლები 1798-1800)) ძის დავითის (1767-1819) კუთვნილება. ამის შემდეგ აღნიშნული წიგნი თავად ნიკოლოზ ფალავანდიშვილს დარჩენია. შემდეგ ეს წიგნი ნიკოლოზ ფალავანდიშვილს გადაუცია იმ დროს თბილისში მყოფი ბერძენი არქიმანდრიტისთვის – იაკობისთვის, იერუსალიმის პატრიარქ კირილესთვის გადასაცემად (1847 წლის 1 მაისს). სწორედ მაშინ, როცა ნიკოლოზ ფალავანდიშვილი ამ წიგნს უგზავნიდა პატრიარქ კირილეს, გაუკეთებია ზემოაღნიშნული განმარტებითი წარწერაც. ანუ, ოფიციალურად ეს წიგნი ქართული სამეფო – ბაგრატიონთა ოჯახის კუთვნილებიდან იერუსალიმის პატრიარქის კუთვნილება გამხდარა, მაგრამ

ფაქტია, ის საქართველოს წიგნთსაცავში აღმოჩნდა. ნაკლებსავარაუდოა, რომ აღნიშნული წიგნი წაეღოთ საქართველოდან და კვლავ დაბრუნებულიყო უკან. სავარაუდოდ არქიმანდრიტ იაკობს არ წაუღია დოსითეოსის „იასტორია“ საქართველოდან.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული წარწერის თანახმად, თავად ფალავანდიშვილს იერუსალიმის პატრიარქ კირილესთვის წიგნი უსახსოვრია 1847 წელს. მართლაც, ამ პერიოდში იერუსალიმის პატრიარქია კირილე II. ის მართლაც იყო საქართველოსთან დაკავშირებული. ცნობილია მისი წერილები ეკატერინე ჭავჭავაძისადმი (1816-1882) [1]. კირილე პატრიარქი იყო 1845-1872 წლებში.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ზემოაღნიშნული ერთეული წარმოადგენს არა მხოლოდ ინსტიტუტის ბიბლიოთეკის, არამედ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს, სამეფო ოჯახის კუთვნილ ერთეულს, რომელიც დღეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის რარიტეტულ გამოცემათა ფონდში ინახება ნომრით RAR-4065.

ლიტერატურა

1. კირილე (იერუსალიმის პატრიარქი), წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის კირილეს წერილები ეკატერინე ჭავჭავაძისადმი, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, 1985.
2. თ. ტივაძე, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, კრ. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971.

Shalva Gloveli

Unique Unit From the Scientific Library Fund of The Javakhishvili Institute of History and Ethnology

The article is about the unique unit (RAR-4065) of the rarity publications fund of The Javakhishvili Institute of History and Ethnology scientific library. It is a "History" by the patriarch of Jerusalem Dositheus. According to the colophons of the book we become aware that this unit was belonged to Prince David, the son of Kartl-Kakheti king Giorgi XII. That means that the mentioned book is from the royal library, family library of the Bagrations. Later, in 1847 Nikoloz Palavandishvili with the help of archimandrite Iakob sent it to the Patriarch of Jerusalem Kirill (Kirill II – 1845-1871). Archimandrite Iakob took the book himself.

„ეთნოგრაფია ხალხთან ყველაზე
ახლო მდგომი მეცნიერებაა“
გიორგი ჩიტაია.



ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებას გამოაკლდა დარგის ერთ-ერთი მესაძირკვლე, დიდი მოამაგე და ქომაგი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სიმონ ჯანაშიასა და გიორგი ჩიტაიას სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჯულიეტა რუხაძე, რომლის სახელი სამარადისოდ დარჩება ეროვნულ მეცნიერებაში, როგორც სიმბოლო მაღალი პროფესიონალიზმისა და შემოქმედისა. იგი XX საუკუნის, ამ დიდი ეპოქის ეროვნული სულის, მრწამსისა და ღირსების თავგამოდებული ქომაგი და დამცველი გახლდათ, განსაკუთრებული, ამაღლებული გრძნობით რომ უყვარდა სამშობლო და მისი ხალხი. ახალგაზრდობიდან მოყოლებული ხანდაზმულ ასაკამდე უმწიკლოდ ემსახურა ეთნოგრაფიის დარგს, ნამდვილი პროფესიონალი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ქალბატონ ჯულიეტას წილად ხვდა მისი მასწავლებლების, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლების, გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის გვერდით ელვაწა და მათ მიერ დაწყებული

დიდი მამულიშვილური საქმე ღირსეულად გაეგრძელებინა. როგორც მეცნიერი ყოველთვის მიყვებოდა დარგის განვითარებაში კარდინალურ გზას და ცდილობდა ყოველი მოვლენა დროსა და სივრცეში გაეაზრებინა. ამიტომ იყო არა მხოლოდ ტრადიციული სკოლის პრინციპების მტკიცედ დამცველი, არამედ არაერთი ნოვატორული აზრის დამმკვიდრებელი.

ჯულიეტა რუხაძემ მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გაატარა, დაწყებული მეცნიერი თანამშრომლობიდან განყოფილების ხელმძღვანელობამდე. წლების მანძილზე სათავეში ედგა განყოფილებას, რომელიც გიორგი ჩიტაიას მიერ იყო დაარსებული და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული ეთნოგაფიის შესწავლაში.

ჯულიეტა რუხაძის როგორც ეთნოლოგი მკვლევარის მეცნიერული ბიოგრაფია 1945 წლიდან იწყება. 23 წლისა იყო, როცა ინსტიტუტში მოვიდა. სამუშაოდ ვერა ბარდაველიძის რეკომენდაციით და სიმონ ჯანაშიას ხელდასმით. მანამდე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებულს, ვისაც ლექციებს XX საუკუნის დიდი პროზელიტი მეცნირები სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე და სხვები უკითხავდნენ, გარკვეული პედაგოგიური გამოცდილება ჰქონდა მიღებული, ჯერ ასპინძაში (მესხეთი), შემდეგ თბილისის სკოლებში. ეს იყო მძიმე წლები. მეორე მსოფლიო ომი ახლად დამთავრებული

გახლდათ და ქვეყანა თანდათან ძალებს იკრებდა. ამ დროს მთავრობას მეცნიერების განვითარების შესახებ საგანგებო დადგენილება ჰქონდა გამოცემული („სტალინის დეკრეტი"). ეთნოგრაფიულ დარგში, რომელსაც სათავეში ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიასთან ერთად შესანიშნავი ენთუზიასტი ახალგაზრდა მკვლევარები ედგნენ, პირველ სამკალს იმკიდნენ. ყურადღება განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთის, ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთის, რაჭის, სვანეთის მიმართ იყო გადატანილი, რადგან აქ უკეთ იყო შემონახული ქართული ხალხური მემკვიდრეობა, მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურები. ამასთან ერთად დრო მოითხოვდა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკისა და რეჟიმის პირობებში (რომელიც თავისებურად საბჭოურ ხანაშიც გაგრძელდა) ე.წ. „ტუზემცების", და გვაროვნული საზოგადოების გადმონაშთებად მიჩნეული ყოფითი კულტურის რეალური ობიექტური მიდგომით გაანალიზებას, რაც ჩვენმა უფროსმა თაობამ თავის მხრებზე იტვირთა და წარმატებით განახორციელა.

ჯერ კიდევ XX ს-ის 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმე — შეკრებილიყო ეთნოგრაფიული მასალა თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით, ომის შემდეგაც ინტენსიურად გაგრძელდა. ეწყობოდა დიდი ექსპედიციები (ახლა რომ ლეგენდებადაა ქცეული) გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის თაოსნობით და მათი მოწაფეების, ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლების მონაწილეობით (აქ რამდენიმე სტუდენტი იყო ჩართული). ახლა ამ ჯგუფიდან ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის, საველე მასალები კი რაც

მათ მიერ იქნა მოპოვებული უნიკალური და პირველწყაროს მნიშვნელობისაა. ჯულიეტა რუხაძეს ამ მასალების შეხებასა და დაუნჯებაში ლომის წვლილი მიუძღვის. იგი წლების მანძილზე სათუთად ქმნიდა უიშვიათეს ეთნოგრაფიულ არქივს, რომელშიც მისი საკუთარი მასალაც (დღიურები) ინახებოდა. ამჟამად ეს არქივი ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარ საგანძურს წარმოადგენს.

გადმოცემით ვიცი, რომ ჯულიეტა რუხაძე დიდი ექსპედიციების სული და გული იყო, როგორც არა მარტო ჩვეულებრივი წევრი, საველე მასალების შემკრები, არამედ ყველა შეჭირვებულთა დამხმარე, ქომაგი და მზრუნველი, მკურნალი და წამალთმცოდნე, რომელსაც აბგაში უამრავი მედიკამენტი ეწყო და ავადმყოფებს (მათ შორის მთხრობლებს) მკურნალობდა, ზოგჯერ მათ „რეცეპტებსაც“ კი უწერდა.

ჯულიეტა რუხაძე ასეთმა გამორჩეულმა თვისებებმა, ხასიათმა, ბუნებამ იმთავითვე ძალიან პოპულარული გახადა. მას ყველგან პატივს სცემდნენ. შრომისმოყვარეობა და „თანმიმდევრული წესრიგი“, კეთილზნეობა, დიდსულოვნება, სხვებზე ფიქრი და ზრუნვა ოჯახიდან – უსათნოესი დედისა და მამისაგან გამოყვა (ასეთივე სულისა იყო მისი დაც, ცნობილი ბიბლიოთეკარი ელიკო რუხაძეც). ამ პათოსით განვლო ქალბატონმა ჯულიეტამ ცხოვრების დიდი გზა, მეუღლესთან, შესანიშნავ პიროვნებასთან, გამორჩეულ ინტელიგენტთან და ცნობილ მათემატიკოსთან ავთანდილ ბენდუქიძესთან. ამ სულისკვეთებით ზრდიდა ის მის

შვილებს ნუნუ და კახა ბენდუბიძეებს, მოძღვრავდა შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.

ძნელია დღეს ერთ წერილში მოაქციო ჯულიეტა რუხაძის მეცნიერული მემკვიდრეობის ანალიზი, ეს თავისთავად საგანგებო კვლევის საგანია. ამდენად შევეცდები მხოლოდ მოკლედ ზოგიერთ ასპექტს შევეხო.

პირველი მონოგრაფიული ნაშრომი, რომელმაც მის ავტორს, საყოველთაო აღიარება მოუტანა „ქართული ხალხური დღესასაწაული“ — ბერიკობა-ყეენობაა. იგი პირველი იყო, ვინც ეთნოგრაფიული კუთხით შეისწავლა ეს დიდებული ხალხური თეატრალიზირებული სანახაობა და ევროპული სატურნალიების დარად მასში ბუნების აღორძინების ძალებისადმი მიძღვნილი ღრმა, რელიგიური და ეთნოფსიქოლოგიური საფუძვლები დაინახა. ეს დღესასწაული არის ერის ისტორიის ორგანული ნაწილი, საზოგადოების განვითარების ცალკეული ეტაპების, მისი სოციალური და კულტურული ცხოვრების ასპექტების გათვალისწინებით და როგორც თავად ჯულიეტა რუხაძე წერდა მასში აგრარულ კულტმსახურებასთან ერთად (ნიღაბობსნების ქმედებებში ნაყოფიერებისა და სიუხვე-ბარაქიანობის გამომხატველი ნიშნები) რელიგიურად აიხსნება ერის ერთიანობისა და სიმტკიცის აზრი, ცხოვრების მანკიერი და დადებითი მხარეები, მთლიანობაში გროტესკულ ფერებში გამოხატული ერთგვარი სოციალური პროტესტი არსებული რეჟიმისადმი, რომელსაც ასეთი ალეგორიული ფორმით ხშირად მიმართავდა ხალხი.

აღსანიშნავია, რომ პირველი მონოგრაფიის შემდეგ აღნიშნულ თემას ჯულიეტა რუხაძე რამდენჯერმე

მიუბრუნდა და გამოსცა კიდეც მისი გადამუშავებული, ახალი მასალებით გაჯერებული, დიდი ფუნდამენტური მონოგრაფია „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული ბერიკაობა-ყეენობა“, თბ., „ინტელექტი“ 1999. ამ წიგნისათვის ის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. უფრო მოგვიანებით კი ეთნოგრაფიულ დარგში გაწეული დამსახურებისათვის გიორგი ჩიტაიას სახელობის პრემიაც დაიმსახურა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჯულიეტა რუხაძის შემოქმედებაში, ქართული ტრადიციული სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის საკითხების კვლევა. ეს თემა შესულია მის მრავალრიცხოვან სტატიებსა და მონოგრაფიაში („აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში“), რომელშიც ავტორმა თავი მოუყარა და წარმოაჩინა ქართული სამიწათმოქმედო სისტემის ზოგადი და რეგიონალური ეთნიკური თავისებურებანი, იგი გააზრებულია კავკასიისა და ხმელთაშუაზღვის აუზის დიდ სივრცეში მოქცეული ხალხების კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში, ურთიერთ გავლენების, დიფუზური და სპონტანური მოვლენების გათვალისწინებით. ეს ნაშრომი არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ქართული ეთნოლოგიური სკოლა და წმინდა ეთნოგრაფიული კვლევები, კომპლექსურ ინტენსიური მეთოდის გამოყენებით (ავტორი გ. ჩიტაია) ყოველთვის იყო და რჩება თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისობაში და ის არასოდეს არ მოქცეულა ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში. ამასთან ასეთი ხასიათის კვლევებს წმინდა მეცნიერულთან ერთად პრაქტიკული

მნიშვნელობაც გააჩნდა, რადგან ხალხური ცოდნა-გამოცდილება ფასდაუდებელი საგანძურია წარსულისა და დღევანდელობის შესაბამისად. ახლა ამას უთუოდ სახელმწიფოებრივი მიდგომა, დაცვა და გამოყენება სჭირდება. ხალხური კულტურის დროსა და სივრცეში გააზრების სანიმუშო მაგალითია ჯულიეტა რუხაძის თანაავტორობით ჯერ კიდევ 1961 წ. გამოცემული კოლექტიური ნაშრომი „სოფელი აკურა“, რომელიც იმთავითვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ყოფის კულტურულ-ისტორიული და სისტემურ-შედარებითი კვლევა, იმ რეალური სინამდვილის ასახვა, რაც მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ადრეულ წარსულში და ომის შემდგომ პერიოდში 1960 წლამდე. აქ შედის როგორც მიწათმოქმედების (მევენახეობა-მეღვინეობის, მემინდვრეობის), ასევე საოჯახო ყოფის, ქორწილების, სულიერი კულტურის საკითხები. ვფიქრობ ასეთი ხასიათის კვლევების გაგრძელება დღესაც სისტემატურად კომპლექსური მიდგომით უნდა მიმდინარეობდეს, მეტადრე დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, როცა მრავალი ეროვნული ღირებულება იკარგება ან მისი მკვეთრი ტრანსფორმაცია ხდება.

ჯულიეტა რუხაძე მრავალმხრივი შემოქმედი იყო. მის კალამს წმინდა სამეცნიერო გამოკვლევებთან ერთად, რომლის რაოდენობაც 100-ზე მეტ ერთეულს ითვლის (იხ. ჯულიეტა რუხაძე, 85, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2007, რედ. ნ. საგანელიძე), ეკუთვნის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომები: „ვანის ღიურის ფურცლები (1982) და ხანი იმერეთის ხევსურეთია 1989). ეს წიგნები იკითხება, როგორც

ეთნოგრაფიული რომანები, მაღალი მხატვრული სტილით და გემოვნებით გამორჩეული. მათში პოპულარული ენითაა გადმოცემული ჩვენი ხალხის ყოფითი ტრადიციები, მისი კუთხური, ლოკალური ვარიაციები, ემპირული ცოდნის ლაბირინთები. შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი არის თავისებური გზამკვლევი, ეთნოგრაფიული სურათების ნათელი წარმოდგენისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქალბატონი ჯულიეტას მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებზე, კონგრესებზე, საერთაშორისო კონტაქტებზე, რაც ძალიან ბევრია, ასევე უნდა ითქვას საგამომცემლო, სარედაქციო მუშაობაზე. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით, რედაქტირებით დასტამბულ წიგნებზე. მათ შორისაა „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიიდან“ (ორი ტომი), კრებულები „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ცნობილი მხატვრის ნინო ბრაილაშვილის უნიკალური ალბომი „ასეთი მახსოვს საქართველო“ (საქართველოს ეთნოგრაფია), „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“ (ორი ნაკვეთი), „საქართველოს ეთნოგრაფია“ (ბიბლიოგრაფიული ცნობარი), ეთნოგრაფიულ არქივში დაუნჯებული მასალებიდან გამოცემული ფაფალა გარდაფხაძე-ქიქოძის „ქართული ხალხური დღესასწაულები“ (რაჭა), ბროშურები და მოსაგონარი წერილები აკად. გიორგი ჩიტაიაზე, ვერა ბარდაველიძეზე, რ. ხარაძეზე და სხვა, რომელთა შესახებაც საუბარს აღარ გავაგრძელებ (იხ. ბიბლიოგრაფია, ჯულიეტა რუხაძე 85, დასახ ნაშრომი, გვ. 119-130).

PS: 2006 წლიდან, მას შემდეგ, რაც ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში რეორგანიზაცია ჩატარდა, ქალბატონი ჯულიეტა პენსიაზე გავიდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სრულყოფილი მეცნიერული ცხოვრებით ცხოვრობდა და არასოდეს არ გამოკლებია ამ სფეროში მიმდინარე პროცესებს. ესწრებოდა სამეცნიერო ფორუმებს, შეხვედრებს, იუბილეებს და ა.შ. როგორც გულისხმიერ ადამიანს ძალიან უყვარდა მიმსვლელი, უხაროდა თანამშრომლების ხილვა, გამოირჩეოდა საოცარი სტუმართმოყვარეობით, პირადად გიმასპინძლდებოდა და არასოდეს არ კარგავდა დიდი სახლის, დიდი დიასახლისის ფუნქციას. ფიქრობდა დარგზე, მის მომავალზე, ზოგადად ჩვენი ხალხის კეთილდღეობაზე.

მე ახლაც თვალწინ მიდგას მისი ნათელი, ოდნავ სევდიანი, მაგრამ ღიმილიანი სახე. ერთხელ ხელი მომკიდა და სხვების თანდასწრებით მითხრა ჩემი ბიოგრაფი ხარ, „ნეკროლოგიც“ შენ უნდა დამიწეროო. სასტიკად არ მიყვარს ეს სიტყვა, განშორების აზრით რომ არის დატვირთული. და მაინც, ცრემლმორეულმა მოვახერხე გამოსათხოვარი სიტყვა მეთქვა. გამოვეთხოვე ჩემს მასწავლებელს ჩემი კოლეგების და საერთოდ ეთნოგრაფების სახელით. უფალს კი მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ ეს შემაძლებინა.

გიორგი გოცირიძე

თამაზ ბერაძის ხსოვნას

ბატონ თამაზ ბერაძეს ერთი წერილი აქვს, რომელსაც ლამაზი სათაური აქვს – „საქართველო ერთი თვალის გადავლებით“. მას დიდხანს უფიქრია, რომ მოხდენილი სიტყვა, მოხდენილი ფრაზა გამოეყენებინა, რაც ასე ამშვენებს მის ნაშრომს. მისი გახსენების ყველაზე კარგი შესატყვისი სწორედ მისი წერილის სათაურის ცოტაოდენი შეცვლა იქნებოდა შესაფერისი: „თამაზ ბერაძე თვალის ერთი შევლებით“. ეს, რა თქმა უნდა, მის მრავალწლიან დაუღალავ მოღვაწეობაზე საერთო წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, მაგრამ ბატონ თამაზს ზედმეტად გაჯერებული არც თხრობა და არც წერა უყვარდა: „მკითხველი არ უნდა დაღალოო“. საერთოდ, ბატონი თამაზი მოკრძალებული და საოცრად უშუალო, პირდაპირი და მეგობრული ადამიანი იყო, პირფერობა არ უყვარდა. ბევრჯერ უთქვამს თავისებური სიყვარულნარევი ვითომ უკმეხობით: „როცა მოვკვდები, არ დაიწყოთ მერე ეს რა დიდი მეცნიერი დავკარგეთ, საერთოდ არ მინდა თქვენი ქება-დიდება და ჩემი გაკეთებულის სათითაოდ ჩამოთვლაო“. ასეთი იყო, მაგრამ ბატონ თამაზს ამ თხოვნას ვერ შევუსრულებთ. მისი მოღვაწეობა თვალის გადავლებას აუცილებლად ითხოვს არამარტო მისი ხსოვნის გამო, არამედ შემდგომი თაობებისათვის, რომლებსაც მისი ნაშრომ-ნაღვაწი ბევრჯერ და ბევრჯერ დასჭირდებათ.

ბატონი თამაზი თითქმის ყველა ჰუმანიტარულ დარგში გათვითცნობიერებული იყო და ამაზე ხშირად ხუმრობდა: „ეს იძულებით გამომივიდაო“. ისტორია მისთვის მთელი

ცხოვრება იყო, რომელშიც „სანაპირო ცურვით შორეულ ოკეანეში შეაღწია“. უთქვამს კიდეც: „წარსულის სურათის აღწერა-აღდგენა დიდი სიამოვნება არისო“ და ეს სიამოვნება მან მკითხველს ბევრჯერ აგრძნობინა მისი წიგნებით, სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული წერილებით, რომლებიც დიდი ინტერესით იკითხება, მერე კი დიდხანს ხდება ფიქრისა და განსჯის საგანი.

თამაზ ბერაძე 1937 წელს დაიბადა თბილისში. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ამ დროიდან მისი მოღვაწეობა, სიცოცხლის ბოლომდე, ამ ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. იგი, ძირითადად, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს იკვლევდა. სამეცნიერო მუშაობაში გამოიკვეთა მისი ინტერესი დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხებისადმი. 1967 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.)“, ხოლო 1985 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზღვაოსნობა და საზღვაო ვაჭრობა შუა საუკუნეების საქართველოში“. წლების განმავლობაში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც 1995 წელს პროფესორად აირჩიეს; 2007-2010 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახლობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; დაარსების დღიდან

მუშაობდა საქართველოს უნივერსიტეტში, იყო საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი და პრორექტორი სამეცნიერო დარგში. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 9 მონოგრაფია. მისი სტატიები შესულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში „საქართველო“ და სხვ. საქართველოს უახლესი ხანის ისტორიაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც თამაზ ბერაძე არ გამოხმაურებოდა. ჯილდოები არ ჰქონდა. 2011 წელს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ დააჯილდოვა „საპატიო სიგელით“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წიგნის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ მომზადებასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის თანაავტორებთან ერთად და ხუმრობდა, ეს არისო ჩემი ერთადერთი სახელმწიფო ჯილდო, რომელიც მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობისათვის მიმიღიაო.

თამაზ ბერაძე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. 1989-1992 წლებში იგი იყო ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, ოთარ ჭელიძესთან ერთად მისი წვლილი ძალიან დიდია იმაში, რომ ეს ჟურნალი ერთ-ერთი საინტერესო და ინფორმაციული გახდა. უკანასკნელ წლებში იგი იყო „შავი ზღვა – კასპიის ზღვის საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტი და ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმებში ხშირად მონაწილეობდა.

თამაზ ბერაძის საკანდიდატო ნაშრომი „ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.)“ და შემდეგ

გამოქვეყნებული ვრცელი პუბლიკაცია „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“ უმნიშვნელოვანესი გამოკვლევაა საქართველოს ამ კუთხის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მან დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოს და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ისტორიის და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლაში. მისი ვრცელი ნაწილი შევიდა ფუნდამენტურ მონოგრაფიულ გამოკვლევაში „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“ (თბილისი-ზუგდიდი, 1999) ძველი ეგრისის სამეფოს, ახალი ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს, ოდიშის საერისთავოსა და სამთავროს ისტორიაზე. სწავლობდა იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს; სვანეთის შუა საუკუნეების ისტორიას; მშვენიერი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი უძღვნა რაჭას.

თამაზ ბერაძე იყო საქართველოს ზღვაოსნობის ისტორიის კვლევის პიონერი. ზღვაოსნობის ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე კვლევის საგანი არ გამხდარა. ერთხელ, ასეთი რაღაც გაიხსენა: ერთ-ერთ კონფერენციაზე მომხსენებელს განუცხადებია, შავ ზღვას საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელო როლი შეუსრულებიაო. თურმე ამას არ დაეთანხმა და ამ საკითხის შესწავლა გადაწყვიტა. დაუღალავი შრომისა და კვლევა-ძიების შედეგი იყო შესანიშნავი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია: — „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“ (თბ., 1981), სადაც შესწავლილია ძველი ქართული საზღვაო ტერმინები, ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან შავი ზღვის მეშვეობით... ნავებისა და გემების აღწერილობა. 1989 წელს რუსულ ენაზე გამოსცა მონოგრაფიული გამოკვლევა „Мореплавание и морская

торговля в средневековой Грузии“. ამ ნაშრომით თითქოს გაცოცხლდა ქართული ზღვაოსნობის დაკარგული წარსული. შავიზღვისპირეთში ნაოსნობასა და საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობებს მან კიდევ მრავალი ნაშრომი უძღვნა.

2003 წელს მანანა სანაძესთან ერთად გამოსცა „საქართველოს ისტორია, წ. I, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები“. ამ წიგნში, რომელიც ძალიან საინტერესოდ იკითხება, ახლებურად არის დანახული საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები. 2003 წელს გამოვიდა „საქართველოს ისტორიული ატლასი“, რომელიც მანანა სანაძესა და კონსტანტინე თოფურიასთან ერთად მოამზადა. საინტერესო ნაშრომი უძღვნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს („რუსეთ-საქართველოს ოთხი გამოუცხადებელი ომი“).

ბევრი შეიძლება დაიწეროს თამაზ ბერაძის პიროვნებაზე, მის მოღვაწეობაზე. მას დიდი გეგმები ჰქონდა. აპირებდა ხელახლა, ახლადმოპოვებული მასალების საფუძველზე გამოეცა შევსებული ნაშრომი „ზღვაოსნობა საქართველოში“; აპირებდა სამეგრელოს ისტორიის დაწერას; მალე დასრულდებოდა მუშაობა აფხაზეთის ისტორიულ ატლასზე, რომელსაც მან დიდი დრო და ენერგია შეალია...

ეს საოცრად კეთილშობილი და ნათელი ადამიანი ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა. მისი ამ ქვეყნიდან წასვლით გულისტკივილთან ერთად ნაცნობ-მეგობრებში გაჩნდა ღრმა სევდა, რომ თამაზ ბერაძე ჩვენს შორის აღარ არის.

პაპუნა გაბისონია

გერონტი გასვიანი — ქვეყნის მხურვალე გულშემატკივარი



ქართული მეცნიერებისთვის ეს წელიწადიც მძიმე დანაკლისით აღინიშნა, გამოგვაკლდნენ ქართველოლოგიური დარგების ცნობილი მკვლევრები და ჩვენი ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომლები — თამაზ ბერაძე, ჯულიეტა რუხაძე, ნელი ბრეგაძე, გერონტი გასვიანი.

თავისი ქვეყნის მხურვალე გულშემატკივარი, სამართლიანი, ვაჟკაცური და სიმპატიური — ასე დაგიხასიათებდათ გერონტი გასვიანს ყველა, ვინც მას შორიდან მაინც იცნობდა.

მთელი თავისი ცხოვრება ბატონმა გერონტიმ, სვანეთის პატარა, მაგრამ თავისი ტრაგიკული ისტორიით ცნობილ, სოფელ ხალდეში დაბადებულმა, საქართველოს ისტორიის საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხების კვლევას მიუძღვნა. გარდა მნიშვნელოვანი მეცნიერული მოღვაწეობისა, ის თავისი მტკიცე და სამართლიანი პოზიციით, სვანური პირდაპირობით, ყოველთვის ქვეყნის ინტერესების დამცველად გვევლინებოდა.

გერონტი გასვიანი ფართე დიაპაზონის მკვლევარი იყო. მისი ნაშრომები შეეხება საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდების

სხვადასხვა საკითხებს. თავდაპირველად მისი კვლევის ინტერესს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ისტორიის საკითხები წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილი კუთხის, სვანეთის კვლევაში, მას უდავოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს შეტანილი.

ბატონი გერონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის თავიდანვე, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი, არგუმენტირებულად და მტკიცედ დაუპირისპირდა კომუნისტური იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგად მეცნიერებაში დანერგილ მოსაზრებას, რომ თურმე სვანეთი სრულიად კარჩაკეტილ და ფეოდალური ურთიერთობების არმქონე კუთხეს წარმოადგენდა; რომ სვანეთი მდიდარი იყო "გადმონაშთებითა" და უძველესი ტრადიციებით, რაც სრულიად უარყოფით კონტექსტში იყო წარმოჩენილი.

მეცნიერი საისტორიო წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, დასაბუთებულად ცდილობდა ასევე იმ მცდარი მოსაზრების უარყოფას, თითქოს სვანეთში სოციალური დიფერენციაცა არ იყო შორს წასული პროცესი და აქ საზოგადოებრივი განვითარება ფეოდალიზმის ადრინდელ ფაზაში იმყოფებოდა. მას ამ საკითხების კვლევისას, გარდა არსებული სამეცნიერო მასალის მაღალ დონეზე ფლობისა, ხელს უწყობდა უმთავრესი ფაქტორი — ის შიგნიდან, რეალურად და ნათლად ხედავდა სვანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების პერიპეტიებს, ვინაიდან ორგანული ნაწილი იყო ამ საზოგადოებისა. ამ ყველაფერმა ერთად განაპირობა, რომ სვანეთთან

დაკავშირებული მისი ყოველი მოსაზრება დამაჯერებელია და საფუძვლიანად დასაბუთებული.

საქართველოს ისტორიაში ბოლო პერიოდში მომხდარი ავბედითი მოვლენების შემდეგ, გერონტი გასვიანი მთელ თავის ძალისხმევას აფხაზეთის ისტორიის კვლევას უძღვნის. მისი დამსახურება და კვლევის შედეგები ამ მიმართულებით, უდავოდ მნიშვნელოვანია და დასაფასებელი.

აფხაზეთის ისტორიას, სოციალურ-ეთნიკურ ვითარებასა და პოლიტიკური პროცესების შეწავლას მკვლევარმა რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფია მიუძღვნა: "ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთის შესახებ", "აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში, (თბ., 2004), "აფხაზეთის ომი", (თბ., 2005), "აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, (თბ., 2008), "აფხაზეთი ისტორიული საქართველოა, (თბ., 2011)". თანაავტორია ნაშრომისა "აფხაზეთის ანთროპოლოგიური ისტორია (თბ., 2005) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მკვლევარი აფხაზეთის ისტორიის საპრობლემო საკითხების მთელ სპექტრს შეისწავლის. მას განხილული აქვს ამ ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ტომების ეთნიკური კუთვნილების საკითხები, ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის პრობლემები. გერონტი გასვიანი განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლის გვიან შუასაუკუნეებში აფხაზეთში ჩრდილოკავკასიიდან მოსახლეობის მიგრაციის საკითხებს, რაც გახდა კიდევაც ერთერთი ძირითადი მიზეზი ამ რეგიონში წარმოშობილი კონფლიქტისა.

ნაშრომებში გაშუქებულია ის ნეგატიური როლი, რაც შეასრულა რუსეთმა, ცარიზმიდან მოყოლებული დღევანდელი ეპოქით დამთავრებული, იმ სისხლიანი ომის გაჩაღება-წარმოებაში, რამაც ჩვენს ქვეყანას ერთერთი უძველესი კუთხე დროებით დააკარგვინა. გამოვლენილი და პასუხგაცემულია ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციის შემთხვევები.

გერონტი გასვიანის ნაშრომები საყურადღებოა იმითაც, რომ იქ წარმოჩენილი კვლევები ყოველთვის საარქივო მასალებზე და დოკუმენტებზეა დაფუძნებული.

მეცნიერის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიის კვლევას, ის თანაავტორია ორტომეული ნაშრომისა "ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები" (თბ., 1978), ხოლო 2006 წელს გამოსცა მონოგრაფია "ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები – დასაბამიდან XX საუკუნემდე".

ბატონი გერონტი 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 18 მონოგრაფიაა.

გერონტი გასვიანის ხსოვნა და სამეცნიერო მემკვიდრეობა ყოველთვის საკადრისად იქნება დაფასებული მისი კოლეგებისა და შთამომავლობის მიერ.

ხათუნა იოსელიანი

სარჩევი

რედაქტორისგან..... 3

ხათუნა იოსელიანი
სამხედრო ეტიკეტის საკითხები..... 4
Khatuna Ioseliani
Problems of the Military Etiquette..... 24

გიორგი მამარდაშვილი
აფხაზეთის ტერიტორიის მოსახლეობის რელიგიური ცხოვრების თანამედროვე საკითხები..... 25
Giorgi Mamardashvili
Modern Issues of the Religious Life of the Abkhazia Territory Population..... 44

მედეა გოგოლაძე
„ბუნ-თურქთა“ სახლობა ქართლში
– მითი თუ რეალობა?..... 46
Medea Gogoladze
"Bun-Turks" in Georgia – Myth or Reality?..... 54

დავით მერკვილაძე
რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არქივის მასალების მიხედვით (1783-1787 წწ.)..... 55

ირმა კვაშილავა
სამეგრელოს საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში (მოგზაურ ვ. ზუევას ჩანაწერების მიხედვით)..... 92
Irma Kvashilava
Some Problems of MegrelianSociety Every- day Life in the Second Half of the 18th Century (according to V. Zueva's records)..... 104

პაპუნა გაბისონია
რუხის ბრძოლა და მისი მნიშვნელობა..... 105
Papuna Gabisonia
The battle of Rukhi and its importance..... 115

ზურაბ სულაბერიძე
სერბეთ-ბულგარეთის ომი და ევროპის ქვეყნების დამოკიდებულება ბალკანეთის პრობლემისადმი 1885-1886 წლებში..... 116
Zurab Sulaberidze
The Serbian-Bulgarian war and the relation's of the European countries with the Balkan's started in 1885-1886..... 129

Сулаберидзе Зураб
Политические и экономические аспекты Немецкой восточной политики в конце 19 – начале 20 вв..... 131

ზურაბ სულაბერიძე
გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის ასპექტები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში..... 140

გია კვაშილავა
ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (3). ფრინველი..... 142

Gia Kvashilava
On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (3). Flying Bird..... 165

იგორ კეკელია
აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით..... 210

Igor Kekelia
Vakhusti Bagrationi and the issues of historic geography of Abasha Gorge..... 237

იგორ კეკელია
ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში..... 239

Igor Kekelia
The Historical Geography of the River Enguri valley in Vakhushti Bagrationi's work..... 261

გიორგი გრძელიძე
თბილისის გალავანი და ციხესიმაგრეები..... 262

შალვა გლოველი
უნიკალური ერთეული ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტული ფონდიდან..... 278
Shalva Gloveli
Unique Unit From the Scientific Library Fund of The
Javakhishvili Institute of History and Ethnology..... 288

გიორგი გოცირიძე
ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების მეტრი..... 289

პაპუნა გაბისონია
თამაზ ბერაძის ხსოვნას..... 298

ხათუნა იოსელიანი
გერონტი გასვიანი – ქვეყნის მხურვალე
გულშემატკივარი..... 303

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

www.mtignobari.ge 0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №40